www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 13 ივლისი, 2002 წელი. №41
ფასი 50 თეთრი

# პოლიტიკურმა პარტიებმა შევარდნაძეს მუშტი მოუღერეს

ზაზა წულაძე

**ირინა სარიშვილი, ზურაბ ჟვანია, დავით გამყრელიძე, მიხეილ სააკაშვილი, აკაკი ასათიანი, შალვა ნათელაშვილი და მამუკა გიორგაძე პოლიტიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ერთად გამოვიდნენ.**

*1994 წლის 14 ნოემბერს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მაშინდელი ლიდერის, გიორგი ჭანტურიას ინიციატივით, ორთაჭალაში, წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, აქტიური კონსულტაციები დაიწყეს, რათა საქართველოში ხელისუფლების საბოლოო კრიმინალიზაცია არ დაეშვათ. ამ გახმაურებული შეხვედრიდან, ზუსტად სამი კვირის თავზე, გიორგი ჭანტურიას საკუთარი სახლის წინ მხეცურად კლავენ. გუშინ, თითქმის ანალოგიური ინიციატივით, გიორგი ჭანტურიას ქვრივი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია გამოვიდა, რომელიც რვა წლის წინ, სრულიად შემთხვევით გადაურჩა ქილერთა ტყვიას.*



დავით გამყრელიძე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზურაბ ჟვანია

იური ლობოდინის ფოტო

**"ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინდელ და დღევანდელ შეხვედრებს შორის ძალიან ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. განსხვავებული პოლიტიკური ხედვის მიუხედავად, პარტიები მაშინაც იმიტომ დავდექით ერთად, რომ არ დაგვეშვა ხელისუფლების საბოლოო კრიმინალიზაცია. საუბედუროდ, ხელისუფლებამ, დღის წესრიგში, ეს პრობლემა ისევ დაგვიყენა, ამიტომაც შევიკრიბეთ, რათა გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა და ახლა მაინც შევძლოთ, რომ პოლიტიკური საკითხები არ წყდებოდეს ძალადობის, ტერორისა და ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ,"** – გვითხრა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, რომელიც რვა წლის წინანდელ შეხვედრას, "მოქკავშირის" თავმჯდომარის რანგში დაესწრო, ახლა კი, ედპ-ს შტაბ-ბინაში, როგორც "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი მივიდა.

ამ ორ შეხვედრას შორის, მართლაც ბევრი პარალელია. 2002 წელი, ისევე, როგორც 1994, ახალი საპარლამენტო არჩევნების წინა წელია; თუ რვა წლის წინათ, ქართული პოლიტიკური ელიტის წინაშე მწვავედ იდგა სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი, დღეს ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის საკითხია. ისევე, როგორც მაშინ, დღესაც, პოლიტიკურ პარტიებს კრიმინალების ეშინიათ. უცვლელი მხოლოდ "ბუაა", მაფია უკვდავია - ის კვლავინდებურად "მხედრიონია".

**"არ შეიძლება, ყველა ხელშეუხებელი ფასეულობა ფეხქვეშ გათელო და შენი ინტერესებისთვის გამოიყენო, მათ შორის შეწყალების აქტი. მკვლელებმა, რომლებიც შეიწყალა პრეზიდენტმა, მოკლეს გიორგი ჭანტურია და მეც მესროლეს. სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, პრეზიდენტს ჩვენზეც უნდა ეფიქრა,"** – ამბობს ახალი ინიციატივის ავტორი ირინა სარიშვილი, რომელმაც **"კრიმინალურ-პოლიტიკური სისტემის დაუყოვნებელი დემონტაჟის"** მოთხოვნით, გუშინ რვა პარტია ერთი საათის მანძილზე ერთ მაგიდასთან დასვა. მათ შორის, ბოლო პერიოდში მკვეთრად დაპირისპირებული ძალები - "ახლები", "დემოკრატები", "ნაცმოძრაობა", ედპ, "ტრადიციონალისტები", მწვანეები, ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი და სახალხო; ლეიბორისტებმა შეხ-

გაგრძელება A8 გვერდზე

"24 საათის" სტუმარია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე

## ძნელია, აუხსნა ხალხს, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები საჭირო არ არის

### ბერლინიდან უშიშროების საბჭომდე

- ამჟამად უშიშროების საბჭოს სხდომიდან მოვდივარ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ, აფხაზეთის შესახებ პარლამენტის დადგენილების შესრულება იყო.

გახსოვთ, ალბათ, პარლამენტში ძალზე ხმამაღლა იხილებოდა აფხაზეთის სტატუსის საკითხი. ვფიქრობ, სექტემბერს მომზადებულები უნდა შევხვდეთ, რათა მოსახლეობას, პარლამენტარებს ვუთხრათ, რა გაკეთდა.

31 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხს იხილავს. თუ აფხაზეთზე სერიოზული პოლიტიკური ზეწოლა არ იქნება - პირველ რიგში, რუსეთის მხრიდან - ამ დოკუმენტს არ მიიღებენ, მაგრამ მე არამარტო რუსეთიდან, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდანაც ველი სერიოზულ რეაგირებას. უშიშროების საბჭოზე ერთი მნიშვნელოვანი ფრაზა ითქვა – დღეს

გაგრძელება A3 გვერდზე

ქართველები ფულის შენახვის საუკეთესო ადგილად სახლს მიიჩნევენ A4
პოლიტიკოსები ტაქსის მძღოლებს ვერ იყოფენ A6
გიორგი რჩეულიშვილი პროფესიონალმა მოკლა A7
წყალი, ნახშირი, საპონი, კომპიუტერი და... 10 წუთში ყველას ამოგვიცნობენ A7
აკაკი ასათიანი: "პრეზიდენტს შემოდგომაზე ექნება არჩევანი - ან თვითონ, ან სახელმწიფო მინისტრი A8
შარაძე მორიგ შარს გადაეყარა A8
გამოსავალი - ამომრჩეველთა ელექტრონული სია A8
სასწავლო ცეკვები ჩინოვნიკურ ნანგრევებში B2

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | ☀ |
| ქუთაისი | 32 | წვიმა |
| ბათუმი | 30 | წვიმა |
| სოხუმი | 30 | წვიმა |
| ფოთი | 31 | წვიმა |
| თელავი | 33 | ☀ |
| ზუგდიდი | 32 | წვიმა |
| გორი | 30 | ☀ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2150 |
| ევრო | 2.1878 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4333 |
| რუბლი | 0.0702 |

## გაუმარჯოს კარგ ლუდს!

B1




REUTERS

## აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს ევროსაბჭოც განიხილავს

თამარ ხორბალაძე

ბოლო თვის განმავლობაში, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი, ქართული მხარის მცდელობით, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური განხილვის საგნად იქცა.

ეს საკითხი საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ჯერ კიდევ ევროსაბჭოში ვიზიტის დროს გაახმოვანა.

კვირას და მომდევნო ორი დღის განმავლობაში ეუთო-ში ამ თემაზე ცნობილი სკანდალი ატყდა.

ხუთშაბათს ეს პრობლემა ისევ წამოიჭრა ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 804-ე სხდომაზე, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ლანა ღოღობერიძე.

გამოსვლაში ცალსახად გახლდათ ხაზგასმული, რომ აფხაზეთის მცხოვრებლები არ არიან აპატრიდები. მათ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნიათ

გაგრძელება A2 გვერდზე

## ზღუდავს თუ არა პრეზიდენტი შევარდნაძე მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობას

გიორგი კალანდაძე

*პრეზიდენტმა მარეგულირებელი კომისიების ჩარჩო-კანონს ხელი არ მოაწერა. პარლამენტს, სადაც კანონი მომზადდა, სახელმწიფო კანცელარიიდან გაეგზავნა შესწორებები, ოფიციალური ახსნა-განმარტებით. ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტისგან სამი შესწორების გათვალისწინება მოითხოვა. ამ საკითხის თაობაზე პარლამენტში კომენტარი, ჯერჯერობით, არავის გაუკეთებია, თუმცა, მარეგულირებელმა კომისიებმა პრეზიდენტს შესწორებათა ფორმულირების შეცვლა უკვე სთხოვეს.*

სადავო კანონი პარლამენტმა 21 ივნისს მიიღო. დეპუტატთა მხარდაჭერის მიუხედავად, საპარლამენტო კულუარებში დაიწყეს საუბარი იმ სირთულეებზე, რასაც შეიძლებოდა კანონი "გადაჰყროდა". ამ საკითხზე გასულ კვირას პრეზიდენტთან სპეციალური თათბირიც კი გაიმართა, რომელსაც პარლამენტის, მთავრობის, კონტროლის პალატისა და მარეგულირებელი კომისიების წარმომადგენლები დაესწრნენ. **"მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშის მოთხოვნაც კი, უდიდესი დავის საგანია. ბუნდოვანი სამართლებრივი ნორმების თავისებური ინტერპრეტაციით, მარეგულირებელ ორგანოთა ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ მათი კონტროლი დაუშვებელია",** - ასეთი იყო კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის პოზიცია. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა სწორედ ეს პოზიცია გაიზიარა, რადგან 10 ივლისს, კანონზე ხელმოწერის ნაცვლად, პარლამენტს შესწორებები გაუგზავნა.

პირველი მარეგულირებელი ორგანო საქართველოში 1997 წელს შეიქმნა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", ჩამოყალიბდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც დამოუკიდებელი იყო ყველა სხვა სახელმწიფო უწყებისა და ორგანიზაციისგან. კომისიას დაევალა ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზირების წესებისა და პირობების დადგენა. ასევე, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საცალო და საბითუმო ტარიფების დადგენა და რეგულირება.

ორი წლის შემდეგ საქართველოს კიდევ ერთი მარეგულირებელი – კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია "მოევლინა".

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა
B2 კულტურა | B3 რეკლამა | B4-B5 ლიტერატურული კრიტიკა | B6 სპორტი | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

**თბილისი**. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ შს ყოფილი მინისტრის თემურ ხაჩიშვილის, მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერის გიგა გელაშვილის და სპეცრაზმ "ალფას" ყოფილი ხელმძღვანელის გურამ პაპუკაშვილის შეწყალება ქვეყნის შიდაპოლიტიკურ დაძაბულ ვითარებაზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარასკევს გამოსცა განკარგულება, რომლითაც ეთხოვა საქართველოს გენერალურ პროკურატურას ეფექტიანად განახორციელოს ორი დღის წინ "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კოორდინაცია, "მომხდარის დაუყოვნებლივი და კვალიფიციური გამოძიების მიზნით".

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის განცხადებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ 12 ივლისს გამართულ სხდომაზე საქართველოს დახმარების პროგრამის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ სავალუტო ფონდი უახლოეს მომავალში 30 მილიონი აშშ დოლარით დაეხმარება საქართველოს.

მისივე თქმით, მსოფლიო ბანკის პროგრამაც უახლოეს მომავალში აღდგება, რადგან ამ პროგრამის აღდგენა დამოკიდებული იყო სავალუტო ფონდის პოზიციაზე.

ამავე დროს, პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიამ არ დაადასტურა სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსათვის პროგრამის აღდგენის შესახებ ფინანსთა მინისტრის ინფორმაცია.

■ ■ ■

**თბილისი.** გაეროს გენერალური მდივნის ახალი სპეცწარმომადგენელი საქართველოში **ჰაიდი ტალიავინი** სოხუმში თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს ვალერი არშბას შეხვდა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაეროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი, თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯნვის შესახებ, კონფლიქტის ზონაში გაეროს მისიის მოქმედების საყრდენს წარმოადგენს.

თავის მხრივ, აფხაზეთის მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტის განხილვას არ აპირებს, ვინაიდან იგი "აფხაზეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. "მათ ასევე ცალსახად დააფიქსირეს სოხუმის პოზიცია აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე და განაცხადეს, რომ აფხაზეთის სტატუსი რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ ჩატარებულ რეფერენდუმზე უკვე განისაზღვრა.

■ ■ ■

**ცხინვალი.** რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრი სერგეი შოიგუ და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ძასოხოვი, საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, სავარაუდოდ, ცხინვალს ეწვევიან, სადაც 14 ივლისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი შერეული ძალების შესვლიდან 10 წლისთავს აღნიშნავენ.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის სტანისლავ კოჩიევის განცხადებით, სამშვიდობოები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კვლავ სტაბილურობის გარანტად რჩებიან.

კოჩიევის მონაცემებით, 90-იანი წლების დასაწყისში ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტისას 947 ადამიანი დაიღუპა და 3 500 დაიჭრა.

■ ■ ■

**ცხინვალი**. ცხინვალში ამტკიცებენ, რომ დასავლეთის ქვეყნები საქართველოს სასარგებლოდ ეწევიან სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის მაცხოვრებლების გადაბირებას და ამ პროცესს "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის დაწყებას უკავშირებენ.

როგორც სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ კოჩიევმა განაცხადა, უცხოეთის სპეცსამსახურებმა რამდენიმე ადამიანის გადაბირება სცადეს, რომლებიც შემდეგ ცხინვალის უშიშროებაში გამოცხადდნენ და მოყვნენ მომხდარის თაობაზე.

მისი თქმით, გადაბირების მცდელობა განხილული უნდა იყოს ამერიკული პროგრამის კონტექსტში, რადგან მისი დასრულების შემდეგ, სავსებით შესაძლებელია, საქართველოს ხელისუფლებაში გაჩნდეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდით გადაწყვეტის სურვილი.

გარდა ამისა, მისი თქმით, აუცილებელია განხილული იქნას რუსეთის სამშვიდობო ძალების რიცხოვნობის გაზრდის საკითხი.

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი დასრულდა.

ვიზიტისას ორი ქვეყნის სამხედრო უწყებათა შორის თანამშრომლობის ფარგლებში "საქართველოს საზღვაო ძალების რეორგანიზაციის შესახებ" ოქმს მოეწერა ხელი.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, საბერძნეთთან სამხედრო თანამშრომლობა ორი - საქართველოს საზღვაო ძალების რეფორმების და შეიარაღებული ძალების ტელესაკომუნიკაციო პროგრამის მხარდაჭერის მიმართულებით ვითარდება.

შემოდგომაზე ფოთში ფუნქციონირებას დაიწყებს საბერძნეთის მრჩევლის მუდმივი ოფისი, ამავე პერიოდში საბერძნეთიდან ჩამოსული სპეციალური ჯგუფი იმ პრიორიტეტებს განსაზღვრავს, რომლებიც საზღვაო ძალების მოდერნიზაციისათვის არის აუცილებელი.

გარდა ამისა, საბერძნეთი საქართველოს დახმარებას გაუწევს მეზღვაური ოფიცრებისა და მიჩმანების მომზადებაში, მატერიალურ-ტექნიკურ, საზღვაო თავდაცვის ბაზისა და სამხედრო ნავმისადგომის ინფრასტრუქტურის აღდგენაში, გემების "ივერიისა" და "მესტიის" რემონტსა და სხვა საკითხებში.

პროექტი ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებსა და შტაბებს შორის მდგრადი ტელესაკომუნიკაციო სისტემის შექმნას, უსაფრთხო და დახურული კავშირგაბმულობის უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

ტელესაკომუნიკაციო პროექტის შესახებ ხელშეკრულება ოქტომბრის თვეში გაფორმდება.

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ელენე თევდორაძე თვლის, რომ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უნდა გაამართლოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი იგორ გიორგაძე, რამდენადაც მისი თქმით, სახელმწიფოს მეთაურზე 1995 წლის ტერაქტში მონაწილეთა უმრავლესობა შეწყალებული და პატიმრობიდან გათავისუფლებულია.

როგორც ელენე თევდორაძემ განაცხადა, ზემოხსენებულ პრეცედენტში მონაწილე სამი პირის შეწყალების თაობაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილება მთლად გასაგები არაა, რამდენადაც არცერთმა მათგანმა მისჯილი ვადის ნახევარი არ მოიხადა.

მისი თქმით, "მხედრიონის" ლიდერ ჯაბა იოსელიანზე 1992 წლის აგვისტოში, განხორციელებულ ტერაქტში მონაწილენი ირაკლი დოკვაძე და პეტრე გელბახიანი კვლავაც პატიმრობაში არიან. ამასთან, 5 ადამიანის მკვლელობის საქმეში, ფაქტის დასწრების გამო დოკვაძეს შეწყალებაზე უარი განუცხადეს.

გელაშვილის, ხაჩიშვილისა და პაპუკაშვილის საქმეში ასევე ფიგურირებს ასეთი ფაქტები, ამიტომაც პრეზიდენტის გადაწყვეტილებებში ორმაგ სტანდარტებს აქვს ადგილი, - აღნიშნა მან.

ამასთან, "ერთიანი კომპარტიის" ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე ამზადებს მიმართვას პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს მოსახლეობისადმი შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი მისი შვილის, უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის გამართლების მოთხოვნით.

პანტელეიმონ გიორგაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის მიერ ტერაქტში მონაწილე სამი პირის შეწყალებას იგორ გიორგაძის გამართლება უნდა მოყვეს.

■ ■ ■

**კვიპროსი.** ამა წლის აპრილში კვიპროსში მოქმედმა საქართველოს სასულიერო კულტურულმა ცენტრმა კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში რამოდენიმე კულტურული ღონისძიება უკვე მოაწყო. უახლოეს მომავალში ცენტრი კვიპროსში სუხიშვილის ეროვნული ბალეტის ჯგუფ "რუსთავის" გასტროლების მოწყობას და კვიპროსისათვის ქართული ფოლკლორის გაცნობის ფარგლებში სხვა ღონისძიებებს გეგმავს.

კვიპროსში საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო კულტურული ცენტრის საპატიო პრეზიდენტებად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე და კვიპროსის მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომი აირჩიეს. ცენტრის ხელმძღვანელად საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი კვიპროსში და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში დეკანოზი ზაქარია ფერაძე დაინიშნა.

კვიპროსში ქართულ სასულიერო კულტურულ ცენტრს სამი მოქმედი ეკლესია გადაეცა, რომლებშიც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღევლინება. ეკლესიათა მრევლს საქართველოდან წასული ემიგრანტები შეადგენენ, რომელთა რიცხვიც 9 ათასს აღემატება.

# აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს ევროსაბჭოც განიხილავს

პირველი გვერდიდან

საქართველოს მოქალაქეობა, ორმაგი მოქალაქეობა კი, ამ კანონმდებლობით, დაშვებული არ გახლავთ. ანუ, რუსეთი დე-იურე საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს რუსეთის მოქალაქეობას.

აქვე ითქვა, რომ რუსეთი ორმაგი სტანდარტით უდგება საკითხს. საუბარია იმაზე, რომ აქტიურად აკმაყოფილებენ აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანთა განაცხადებს, მაშინ, როცა რუსეთში მცხოვრებ ადამიანთა განაცხადები ისევ დაუკმაყოფილებელი რჩება.

სხვათა შორის, გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, კახა სიხარულიძემ განაცხადა, რომ რუსეთს, რეალურად, არ მიუცია მოქალაქეობა თურქი-მესხებისთვის.

შეგახსენებთ, რომ ხუთშაბათს რუსეთისა და საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნების ერთობლივ ბრიფინგზე ვლადიმერ რუშაილომ, აფხაზეთის მოსახლეობისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხის კომენტირებისას, განაცხადა: **"რატომ არ მიგიქცევიათ ყურადღება იმისთვის, რომ მოქალაქეობას ვაძლევთ თურქ-მესხებსაც, სხვებსაც... აფხაზებს უარს მხოლოდ იმიტომ ხომ არ ვეტყვით, რომ აფხაზი ეროვნების არიან?"**

ასეთი რეალობიდან და საქართველოს მხარის არგუმენტების სერიოზულობიდან გამომდინარე, ევროსაბჭოში საკითხით დაინტერესდნენ. დაიწყო მისი მომზადება მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე წარსადგენად.

ამ კონტექსტში საინტერესო უნდა იყოს მომავალ კვირაში დაგეგმილი ვიზიტი. სამშაბათს საქართველოში ჩამოდის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ლიდია პოლფერი. ვიზიტის პირველი საქმიანი შეხვედრა საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრთან, მალხაზ კაკაბაძესთან გაიმართება. სტუმარი შეხვდება საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს და სხვა ხელისუფალთ. ცხადია, რომ აფხაზეთის საკითხი ამ ვიზიტის დროს ერთ-ერთი წამყვანი თემა იქნება.

# ახალ საკრებულოს ისევ ლოდინი მოუწევს

თამარ მჭედლიშვილი

*ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინდელ სხდომაზე თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა არ დანიშნა. საქმე შემდეგშია:*

*სახალხო პარტიამ," საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, კვლავ მართლმსაჯულებას მიმართა და სამი დღის წინათ საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა. შეგახსენებთ: ამ გადაწყვეტილებით საოლქომ "ედეპელებსა" და "სახალხოელებს" უარი უთხრა თბილისის საკრებულოს შედეგების გაუქმებაზე.*



*ცესკო კვლავ ვერ იღებს გადაწყვეტილებას*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

როგორც "სახალხო პარტიის" წარმომადგენელმა, პაატა კიკვაძემ, "24 საათს" განუცხადა, საქმე წარმოებაშია მიღებული. "ნაციონალების" სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ჯერ ისიც კი არ არის ცნობილი, როდის გაიმართება სასამართლო კოლეგიის სხდომა.

რაც შეეხება ბიულეტენების გადათვლის პროცესს, იგი ცესკოს ჯერაც არ დაუწყია. კომისიის წევრები ხაზინიდან ფულს ელოდებიან. გუშინდელ სხდომაზე საფინანსო განყოფილებამ ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა და აღმოჩნდა, რომ "ცესკოს" ამ პროცედურისთვის 74 820 ლარი სჭირდება. როდის გამოუყოფს ხაზინა მათ ამ თანხას, არავინ უწყის.

ერთი სიტყვით, თბილისის საკრებულოს ირგვლივ შექმნილი გაურკვეველი და ბუნდოვანი ვითარება კვლავაც სტაბილურია და არ იცვლება. როგორც ჩანს, დროის გაწელვის პოლიტიკა კიდევ საკმაო ხანს გაგრძელდება. არც სასამართლო და არც ცესკო თბილისის საკრებულოს შესახებ კონკრეტულ და საბოლოო გადაწყვეტილებებს არ იღებს.

ამასობაში სხდომებს მართავს თბილისის ძველი მოწვევის საკრებულო და გადაწყვეტილებებსაც იღებს. თუმცა, ოფიციალურად, 20 ივნისს მათ უკანასკნელი სხდომა უკვე გამართეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. თითქოს ამ ისტორიას გაგრძელება არც უნდა ჰქონოდა, მაგრამ 1998 წელს არჩეულმა საკრებულომ, შეიძლება ითქვას, იურიდიული არსებობა თვითნებურად გაიხანგრძლივა. ისინი ყოველ ოთხშაბათს შეიკრიბებიან და სხდომებს გამართავენ. როგორც "24 საათმა" გამოარკვია, დღეს მოქმედი კანონი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ მათ ამის საშუალებას აძლევს.

საქმე ის არის, რომ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი ცალსახად აფიქსირებს - ძველი მოწვევის საკრებულოებს უფლებამოსილება 20 ივნისს შეუწყდათ, როცა ამავე მუხლის მესამე პუნქტი გვამცნობს – საკრებულოს წევრებს უფლებამოსილება მაშინ უწყდებათ, როცა ახალი მოწვევის საკრებულო პირველად შეიკრიბება.

კანონის საკმაოდ სერიოზული ხარვეზი პოლიტიკურ ატმოსფეროს უფრო ძაბავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორიოდე კვირის წინათ, პარლამენტმა უარი თქვა ამ ხარვეზის გამოსწორებაზე. კერძოდ კი, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის გაუქმებაზე, რითაც ძველი მოწვევის საკრებულოებს უფლებამოსილება გაუგრძელდებოდათ.

გამოდის, თბილისს პატრონი ჰყოლია და, ამ მხრივ, ვაკუუმი შექმნილი არ არის. ახალი მოწვევის საკრებულოს ამოქმედების მომხრე პოლიტიკური პარტიები კი ამის შესახებ რატომღაც დუმან. ჩუმად არის ქვეყნის ნომერ პირველი "ლეიბორისტი" შალვა ნათელაშვილი, ჩუმად არის "ნაციონალების" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, როგორც "24 საათს" კობა დავითაშვილმა განუცხადა, **"ძველი მოწვევის საკრებულო უკანონოდ იქცევა, რადგან მის წევრებს უფლებამოსილება ზუსტად 20 ივნისს შეუწყდათ."**

ამ მტკიცების მიუხედავად, კანონის ხარვეზს აღიარებენ რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ძველი და ახალი თავმჯდომარეებიც. "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი **რომან კუსიანიცა** და სოციალისტი **ნუგზარ ნავაძეც** აცხადებენ, რომ კანონი ორნაირად წაკითხვის საშუალებას იძლევა.

ვერსია, რომელიც პოლიტიკურ კულუარებში ყველაზე პოპულარულია, ასე ჟღერს: "სტატუს ქვო სექტემბრამდე შენარჩუნდება." სექტემბერში თბილისში ახალი არჩევნები დაინიშნება, რასაც საკმაო არეულობა უნდა მოჰყვეს. ამ სცენარის ავტორებად ხელისუფლების პირველი პირები სახელდებიან. ყველა პოლიტიკური ძალა ერთ რამეზე თანხმდება – ქვეყანაში მოსალოდნელი არეულობის ერთ-ერთი საბაბი, შესაძლოა, სწორედ თბილისის საკრებულო გახდეს.

# შევარდნაძე „ძალოვანებს" კიდევ ერთხელ დაემუქრა

თამარ ხორბალაძე

მას შემდეგ, რაც ოთხშაბათს ძალოვანებმა პრეზიდენტის რისხვა თავიდან აიცილეს, მათი პასუხისმგებლობის თემა ახლა პარასკევის უშიშროების საბჭოს სხდომაზე წამოიჭრა. საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ ძალოვანი უწყებების მინისტრებს კატეგორიულად მოსთხოვა ბრიტანელი ბიზნესმენის, "აგრობიზნესბანკის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პიტერ შოუს გატაცებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების დასრულება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი მინისტრებს მათი პერსონალური პასუხისმგებლობის დაყენებას დაჰპირდა. შევარდნაძის გაფრთხილება "საკმაოდ მწვავე და მკაცრი" ხასიათისა იყო.

ძირითადი აქცენტი სხდომაზე, ჩანს, უშიშროების სამინისტროზე გახლდათ გაკეთებული. ყოველ შემთხვევაში, სხდომიდან გამოსული შს მინისტრი მეტად ოპტიმისტურად გამოიყურებოდა და ამბობდა, რომ **"სამუშაოდ დრო კიდევ მიეცათ".** მან ისიც განაცხადა, რომ სამართალდამცავები ამუშავებენ ვერსიას, რომლის თანახმად საქართველოში ადამიანების გატაცებების მიზანი საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვა და, შედეგად, ხელისუფლებისთვის პრობლემების შექმნაა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში, ამ საქმესთან დაკავშირებით, საერთაშორისო თანამეგობრობიდან დამატებითი გამოხმაურებები საქართველოს აღარ მიუღია.

შედარებით სიტყვაძუნწი გახლდათ უშიშროების მინისტრი ხაბურძანია, რომელიც სხდომიდან ყველაზე გვიან გამოვიდა. მან განაცხადა, რომ სამინისტრო მუშაობას განაგრძობს.

სხდომის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო კანცელარიაში უშიშროების საბჭოს მდივანთან შესახვედრად, დიდი ბრიტანეთის ელჩი მობრძანდა, რომელმაც განაცხადა, რომ ახალ ინფორმაციას თავად არ ფლობს და მას ქართველი სამართალდამცველებისაგან ელის.

გუშინ სხდომის მონაწილეებს არ დაუზუსტებიათ ის ვადები, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ძალოვან უწყებებს გატაცების ამ და სხვა საქმეების გასახსნელად მისცა. თუმცა, ბოლო დღეებში ასეთ ვადად 20 ივლისი სახელდებოდა, რომელიც უკვე საკმაოდ ახლოსაა.

# აფხაზეთის სტატუსს პარლამენტი სექტემბერში განიხილავს

თამარ ხორბალაძე

აფხაზეთის სტატუსი გუშინ საქართველოს უშიშროების საბჭოს განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე, კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, ძირითადად ორი მოსაზრება გამოიკვეთა - პირველის თანახმად, აფხაზეთის სტატუსის კონსტიტუციურ განსაზღვრასთან დაკავშირებით პროცესების ფორსირება ამ ეტაპზე მოლაპარაკებათა პროცესს გაართულებს, ხოლო მეორე მოსაზრებით, რამდენადაც მოლაპარაკებები დღემდე უშედეგოდ დასრულდა, დროა, კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსი განისაზღვროს.

პირველი მოსაზრების აქტიური მხარდამჭერი, ტრადიციის შესაბამისად, გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეორე მიდგომას კი განსაკუთრებით აქტიურად, ასევე ტრადიციულად, აფხაზეთის უზენაესი საბჭო ავითარებდა.

უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საკანონმდებლო ორგანო აფხაზეთის სტატუსს სექტემბერში განიხილავს.

მისივე თქმით, გაეროს უშიშროების საბჭომ (რომლის სხდომაც 31 ივლისს გაიმართება) და, აგრეთვე, საერთაშორისო თანამეგობრობამ, სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგან აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების კუთხით, რათა საქართველოს პარლამენტს ჰქონდეს იმის არგუმენტი, რომ "სხვა რაკურსში იმსჯელოს აფხაზეთის პრობლემაზე".

უშიშროების საბჭოს სხდომის შედეგით უკმაყოფილო გახლდათ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. მან განაცხადა, რომ არ სრულდება პარლამენტის 20 მარტის დადგენილება.

ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ პარასკევს მიიღო გადაწყვეტილება აფხაზურ მხარესთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესის გაგრძელების შესახებ.

შეგახსენებთ: 20 მარტის "აფხაზეთში არსებული სიტუაციის შესახებ" დადგენილებით, პარლამენტმა მიმართა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს **"არსებული რეალიების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ორგანოსთან, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს აფხაზეთის საკითხზე მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სამართლებრივ-პოლიტიკური ექსპერტიზა, მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით".**

როგორც ამ დოკუმენტშია აღნიშნული, თუ სოხუმი, საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების შესაბამისად, არ გადადგამს კონსტრუქციულ ნაბიჯებს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური გზით მოწესრიგებისათვის, ასევე, არ დაუბრუნდება მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესს, ხელისუფლებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების, უპირველესად კი, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, 3 თვეში უნდა განსაზღვროს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსი.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ძნელია, აუხსნა ხალხს, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები საჭირო არ არის

## "24 საათის" სტუმარია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე

პირველი გვერდიდან

აფხაზეთთან მიმართებაში რეალობა სერიოზულად არის შეცვლილი და ამიტომ ჩვენც მთლიანად უნდა შევცვალოთ სტრატეგია. ბოლომდე უნდა გავითვალოთ ის ნაბიჯები, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში ხელისუფლების თითოეულმა რგოლმა უნდა გადადგას. ზუსტი სცენარი უნდა არსებობდეს და, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ეს მაქსიმალურად სწრაფად უნდა განხორციელდეს. პირველ რიგში ამის კოორდინირება უშიშროების საბჭოში უნდა მოხდეს. დღეს, რეალურად, ჩვენი ქვეყნის მმართველობის პრობლემა არის ის, რომ ქვეყანაში არ ხდება კოორდინირება. ერთი უწყება ერთ განცხადებას აკეთებს, მეორე – მეორეს და ა.შ.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ვიზიტისას აქ არ ვიყავი და დაწვრილებითი ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა, მივესალმები ასეთი დონის ვიზიტებს. გავეცანი რუშაილოსა და ჯაფარიძის განცხადებებს, რომლებიც თანამშრომლობის პრინციპებზეა აგებული. თუ ამას რეალური შედეგები მოყვება, ძალზე მოხარული ვიქნები, მაგრამ ჯერჯერობით რაც რეალურად ხდება, სერიოზული სკეპტიციზმის საფუძველს გვაძლევს.

### რუსეთისთვის არახელსაყრელია საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება

- რუსეთისთვის არ უნდა იყოს ხელსაყრელი სამხრეთელ მეზობელთან ცუდი ურთიერთობა. მით უფრო, რომ ჩვენ რთული მონაკვეთებით ვესაზღვრებით ერთმანეთს. რუსეთის პრეზიდენტის პრაქტიკულად ყველა განცხადება მისასალმებელი, პოზიტიური, ცივილური და დემოკრატიულია, მაგრამ უცხოელ კოლეგებს ჩემი მოსაზრება მაინც გავუზიარე: ერთია განცხადებები, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი აკეთებს და მეორე – რასაც საქართველო თავის თავზე რეალურად გრძნობს.

რუსეთის დემოკრატიულობა, გულწრფელობა და პროგნოზირებადობა უნდა განსაზღვრონ არა რუსეთის დასავლეთთან ურთიერთობებით, არამედ - სწორედ საქართველოსთან ურთიერთობით. დემოკრატიულობისა და ცივილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია ის, თუ როგორ ექცევა დიდი ქვეყანა დაუცველ და პატარა ქვეყანას.

აუცილებლად პოზიტიურად უნდა შევაფასოთ პუტინის ერთმნიშვნელოვანი განცხადება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. კოდორის მოვლენების დროს მან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დაგვანახა, რომ ის არის პოლიტიკოსი, რომელსაც შეუძლია მიიღოს არაპოპულარული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება. არ მიმაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით პუტინმა რაიმე დაკარგა. პირიქით – მისი იმიჯი დემოკრატიული საზოგადოების თვალში საგრძნობლად ამაღლდა. თუმცა, რუსეთის სამხედრო წრეებში, ალბათ, ასე არ ფიქრობენ.

აღარ შეიძლება აპელირება იმაზე, რომ არის ორი რუსეთი. პუტინი დღეს სრულად, რა თქმა უნდა, ვერ აკონტროლებს სიტუაციას, მაგრამ კონტროლის ხარისხი ძალზე მაღალია...

### პუტინის განცხადებები და რუსეთის ქცევა...

- მინდა ვიფიქრო, რომ პუტინი გულწრფელია თავის განცხადებებში, მაგრამ ვერ აკონტროლებს ხელისუფლების ყველა იმ რგოლს, რომლებიც გარკვეულ ეტაპებზე საქართველოსთან ურთიერთობაში პრობლემებს ქმნიან. ამაში დასარწმუნებლად საჭიროა ელემენტარული რამ - ადამიანებიდან, ვინც პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ იბომბება საქართველოს ტერიტორია, კოდორში გადაადგილდება ჯარი, საქართველოს მოქალაქეების რუსეთის მოქალაქეებად ფორსირება ხდება - ვინმე აუცილებლად უნდა დაისაჯოს და ისე სამაგალითოდ, რომ სხვას ამის სურვილი აღარ გაუჩნდეს.

რაოდენობრივად ბევრად უფრო ნაკლებნი არიან ადამიანები, ვინც რაციონალურად აზროვნებს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ ეს უმცირესობა გაიმარჯვებს, რადგან რუსეთსა და საქართველოს შორის ბევრად უფრო ბუნებრივია ცივილური ურთიერთობები, ვიდრე ის, რაც დღეს ხდება.

### რუსეთი აბსოლუტურად მარტო დარჩა

- ბერლინში, ეუთო-ს საპარლამენტო სესიაზე, როდესაც აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგების საკითხი დავაყენეთ, თავად ეუთო-ს დელეგაციაში აზრი გაიყო. ნაწილი აღიარებდა, რომ ეს მართლა პრობლემაა, ბევრმა მათგანმა არაფერი იცოდა პასპორტიზაციის შესახებ, იყო მესამე ნაწილი, რომელიც ჩვენს აღშფოთებას იზიარებდა და იყო ნაწილიც, ვინც ჩვენთან საუბარს კულუარებში სირბილი და ხმების ძებნა არჩია იმისთვის, რომ საკითხის განხილვა ჩაეგდო.

ჩვენ მართლაც კრიტიკულად ვიყავით განწყობილნი და ამაში ვერავინ შემოგვედავებოდა, რადგან სამშობლო წაგვართვეს და ახლა დაკანონებას ცდილობენ. ჩვენ მზად ვიყავით, დავმსხდარიყავით რუსეთის დელეგაციასთან ერთად, დეტალურად განგვეხილა საკითხი და მართლაც ველოდით მათგან ერთობლივი მსჯელობის ინიციატივას. ეს ყველაზე რაციონალური, ცივილური გზა იქნებოდა. მაგრამ რუსეთის დელეგაციამ აღშფოთების გამოხატვა არჩია - როგორ გაბედა საქართველომ და რუსეთს ბოროტი ზრახვები დასწამა... რუსებმა ცივი ომისდროინდელი გზა აირჩიეს.

მიმაჩნია, სულ რომ არაფერი მომხდარიყო და საკითხი არც განეხილათ, მაინც დიდი საქმე იყო, რომ რუსეთმა ჩვენი საკითხი ვერ ჩააგდო. პირველი შემთხვევა იყო ეუთო-ს საპარლამენტო ისტორიაში, როცა რუსეთი აბსოლუტურად მარტო დარჩა. მათ ეს ეკუთვნოდათ. მუდმივმოქმედ კომისიაზე მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ტრაფარეტი რომ იყო აწეული, იმიტომ ეკუთვნოდათ.

დიდი იყო წნეხი დელეგაციებზე. ჩვენთან მოდიოდნენ დელეგაციის ხელმძღვანელები და გვიბოდიშებდნენ, რომ ღიად ვერ გვიჭერდნენ ხმას, მაგრამ კენჭისყრაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას. ჩვენთვის ეს სავსებით საკმარისი იყო. 54 ქვეყნის დელეგაციაში არიან ისეთებიც, რომლებსაც მართლა შეიძლება, პრობლემები შეექმნათ რუსეთთან, მაგრამ მაინც ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და არ დაუჭირეს მხარი რუსეთს.

ევროსაბჭოცა და ეუთო-ც განიხილავენ ამ საკითხს და მჯერა, რომ ასეთი ხმაურის შემდეგ რუსეთი ველარ გადადგამს რეაქციულ ნაბიჯს.

### ჩვენ იქ მუდმივად პრობლემებს ვაყენებთ

- ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში ჩვენი დელეგაცია აღიარებულია, როგორც ძალზე აქტიური. რომ გადახედოთ ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ მიღებულ რეზოლუციებს, შესწორებებსა და გამოსვლებს, ნახავთ, რომ ზოგიერთ ქვეყნებს ერთობლიობაში არა აქვთ გაკეთებული ამდენი.

ჩვენ იქ ნამდვილად გვეთქმის სიტყვა. ზედმეტად აქტიურებიც კი ვართ. მუდმივად ვაყენებთ პრობლემებს, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. სამწუხაროდ, ჩვენ პრობლემატური ქვეყნიდან ვართ.

### ყველა ომი პროვოკაციით იწყება

- როცა პარლამენტი სამშვიდობოების მანდატის გაგრძელებაზე გადაწყვეტილებას იღებდა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. პრაქტიკულად, პარლამენტის დავალებით მე წარმოვადგინე ეს წინადადება და რეალურად ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც პარლამენტში ძალოვანების მოსვლას ითხოვდა. იმიტომ, რომ მეშინოდა - მართლაც რომ შესრულებულიყო პარლამენტის გადაწყვეტილება და რუსებს კონფლიქტის ზონა დაეტოვებინათ - იყვნენ თუ არა ისინი მზად, პირისპირ აღმოჩენილიყვნენ იმ პრობლემების წინაშე, რაც მშვიდობისმყოფელთა გასვლას მოჰყვებოდა.

ფაქტია, რომ აუცილებლად იქნება პროვოკაცია. ყველა ომი პროვოკაციით იწყება. საბაბი მოიძებნება. ჩვენ ძალიან მოგვეხმარებიან, რომ ეს საბაბი მოვძებნოთ და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. დღესაც არ ვიცი სამართალდამცავთა საბოლოო პასუხი - ვართ თუ არა მზად....

პარლამენტი პოლიტიკური ორგანოა და პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო გაყვანის გადაწყვეტილების მიღება. ბოლო სიტყვა მაინც პრეზიდენტზეა. ერთმნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მხოლოდ რუსი სამშვიდობოები არ უნდა იყვნენ იქ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მოხდეს სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია. ამას თითოეული ჩვენგანი ფიქრობს და ამბობს. ნაბიჯ- ნაბიჯ უნდა იმუშაოს თითოეულმა ჩვენთაგანმა, რომ წლის ბოლოსთვის მაინც, როცა მათ უკანასკნელი ვადა გაუვათ, მოხდეს მანდატის ინტერნაციონალიზაცია.

დღეს რუსეთის სამშვიდობოები ემორჩილებიან რუსეთის გენერალურ შტაბს, რაც საქართველოსთვის მისაღები არ არის. როგორც კი ინტერნაციონალიზაცია მოხდება, ისინი იმ ორგანოს დაემორჩილებიან, რომელიც საერთაშორისო ეგიდით იმუშავებს. ეს სრულიად სხვა ვითარებას შექმნის.

### აფხაზები სხვა ჯარებს არ შეუშვებენ

- ეს პრობლემა არსებობს. პირადად მე მაქსიმალურად შევეცდებოდი, მშვიდობისმყოფელები დსთ-ს მანდატიდან გაერო-ს ეგიდის ქვეშ გადამეყვანა. იმიტომ, რომ გაერო, მიუხედავად ჩვენი მათდამი პრეტენზიებისა, მაინც ბევრად უფრო მისაღებია. გაერო-ს მანდატის შემთხვევაში, გარწმუნებთ, ძალიან ბევრი სახელმწიფო გამოჩნდება, ვინც ჯარებს გამოგზავნის აფხაზეთში. ჩამოთვლა არ მინდა, მაგრამ ასეთი ქვეყნები არსებობენ.

ვეჭვობ, რომ ამ ეტაპზე გაერო მზად არ არის. რაც შეეხება ახაზეთის მხარის თანხმობას, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით აუცილებელია - რეალობის შეცვლისას ხელშეკრულებების ახალი თვალით შეხედვა იქნება შესაძლებელი. აფხაზეთი ბლოკავს ყველაფერს, რისი დაბლოკვაც შეიძლება. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე ძალიან უარყოფითად შეფასდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების არაკონსტრუქციული პოზიცია იმის თაობაზე, რომ აფხაზები არ უშვებენ სოხუმში ეუთო-ს სპეციალურ ჯგუფს, რომელიც აფხაზეთის საკითხებს სწავლობს.

გარდა ამისა, ჩვენი თხოვნით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ თავის თავზე აიღო ინიციატივა და თავისი ხარჯებით მიიწვია აფხაზები რუმინეთში ამ ჯგუფთან შესახვედრად. აფხაზებმა ამაზეც უარი განაცხადეს. საერთაშორისო აზრისა და ინიციატივების იგნორირების გამო აფხაზეთმა ძალზე მწვავე შეფასებები მიიღო. ალბათ, ამ შეფასებებს კვლავ დაუბრუნდებიან ზამთრის სესიაზე.

### აფხაზეთი არასოდეს არ იქნება რუსეთის შემადგენლობაში

- რეალურად ძალიან ძნელია პასპორტიზაციის პროცესის შეჩერება, მაგრამ იმას, რომ პრეზიდენტი ჩვენს შეფასებას დაეთანხმა და თბილისიდან მწვავედ გამოგვეხმაურა, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბევრი დელეგაციის ხელმძღვანელი თავისი ქვეყნისგან ქმედით და რადიკალურ მხრდაჭერას შეგვპირდა. გაუგებარია, რა უნდა მოხდეს პასპორტიზაციის შემდეგ – რუსის ჯარმა უნდა დაიცვას ისინი, თვითონ უნდა იმსახურონ ჯარში, თუ რა...

ანექსიად, იცით, რატომ შევაფასეთ? ამდენი ხანია, აფხაზეთის ტერიტორია დე ფაქტოდ ჩამოგვაცილეს, კიდევ უფრო დიდი ხანია, კულტურული თვალსაზრისით ჩამოგვაშორეს (რუსიფიკაცია და ა.შ.); რაც აფხაზეთში რუსული ფული ამოქმედდა –ფისკალურად ჩამოშორებაც მოხდა. დღეს კი მოქალაქეობის მინიჭებასთან ერთად სამართლებრივად უპირებენ ჩამოშორებას... ამას ანექსია ჰქვია, სხვა არაფერი.

უგუნური პოლიტიკის შედეგია ის, რაც გააკეთეს რუსეთის ცალკეული სტრუქტურების წარმომადგენლებმა, რადგან დღეს ასეთი არაცივილური ნაბიჯის გადადგმა ძალიან სერიოზული შეცდომაა ისეთი დიდი ქვეყნისთვის, როგორიც რუსეთია. აფხაზეთი არასოდეს არ იქნება რუსეთის შემადგენელი ნაწილი, არასოდეს არ იქნება დამოუკიდებელი. თუ აფხაზები რუსეთის პასპორტებით იცხოვრებენ, მათ ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონების მორჩილება მოუწევთ.

სხვათა შორის, რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ პასპორტებს მხოლოდ მათ აძლევენ, ვისაც რუსეთში საცხოვრებლად წასვლა უნდა. თუ ასეა, წავიდნენ და სადაც უნდათ, იქ იცხოვრონ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

### დესტაბილიზაციას ყოველ შემოდგომაზე მოსავალივით ველით...

- სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე წელია, ყოველ შემოდგომაზე ველით დესტაბილიზაციას. ეს ცუდია იმიტომაც, რომ მუდმივად დაუცველობის და არასტაბილურობის განცდა გვაქვს.

ჩვენ, პარლამენტმაც და პრეზიდენტმაც, ხელიდან გავუშვით წარმატების მიღწევის გარკვეული შანსი. 1995-დან 1999 წლამდე პარლამენტში სრული უმრავლესობა და ერთსულოვნება იყო. ჩვენ შგვეძლო და არ გავაკეთეთ ბევრი რამ. ნოემბრის ამბებზეც გავუშვით ხელიდან შანსი – ისევ დავნაწევრდით.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება, შევქმნათ სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ავტომატურ რეჟიმში იმუშავებს, იმის დამოუკიდებლად, თუ ვინ იქნება სახელმწიფოს სათავეში...

შევარდნაძეს სამჯერ იმიტომ დაესხნენ თავს, რომ ამ ერთი კაცის არსებობა ქვეყნის ყოფნა-არყოფნას წყვეტდა. ასე აღარ უნდა გაგრძელდეს.

საკანონმდებლო ორგანოს საკმაოდ მწირი შესაძლებლობები აქვს იმისათვის, რათა წინ აღუდგეს დესტაბილიზაციას. თუმცა, გადამწყვეტ მომენტებში პარლამენტს გაერთიანება შეუძლია. თუ ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, დესტაბილიზაცია მართლა მოსალოდნელია. კიდევ ერთ არეულობას კი ეს ქვეყანა ველარ გაუძლებს.

### მინისტრთა კაბინეტი

- რამდენი წელია, ვერ გადავწყვიტეთ, გვინდა თუ არა მინისტრთა კაბინეტი. ფაქტია, რომ დღევანდელი მთავრობა აშკარად შესაცვლელია, კადრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სტრუქტურულადაც. ამას თავი ვერ მოვაბით. მიდგომაა არასწორი - ვამბობთ, რომ კარგი სახელმწიფო მინისტრი გვყავს და ეს კანონი აღარ გვინდა. ასე არ შეიძლება. არ არის ნორმალური, როცა კანონებს იმის მიხედვით ვწერთ, კარგი პარლამენტის თავმჯდომარე გვყავს თუ ცუდი, კარგი სახელმწიფო მინისტრი გვყავს თუ არა... კანონი ქვეყნისთვის უნდა დაიწეროს და ჩვენ, თანამდებობის პირები, მას უნდა მოვერგოთ.

### ვინ არის მაკონტროლებელი პარლამენტი თუ მთავრობა

- არ მინდა ჩემი კოლეგები და არც ჩემი წინამორბედი, თუ ვიტყვი, რომ მთავრობის კონტროლის ფუნქციას პარლამენტი სათანადოდ ვერასდროს ასრულებდა. ეს არც არის გასაკვირი. პარლამენტებს საკონტროლო ფუნქციის განხორციელება კარგად განვითარებულ ქვეყნებშიც უჭირთ.

აი, მთავრობას კი ჰქონდა პარლამენტის გაკონტროლების სურვილი და, ფაქტობრივად, ნაწილობრივ აკონტროლებს კიდეც, მაგრამ თუ ეს საქმისთვის სასარგებლო იქნება და კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმა ექნება, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. პირიქით, ამას ხელსაც შევუწყობ. ხოლო თუ ეს კანონების კომპოსტირებისთვის მოხდება, ამას ყველანაირად შევეწინააღმდეგები.

საყვედურები, როლებიც დღეს მთავრობის მხრიდან პარლამენტის მისამართით ისმის, ნამდვილად არ არის სამართლიანი. პარლამენტმა ყველანაირად შეუწყო ხელი მთავრობას იმაში, რომ მას ნორმალურად ემუშავა. მთავრობას რატომღაც ეგონა, რომ პარლამენტი 40-მილიონიან გარლევვას აღფრთოვანებული შეხვდებოდა.

მარტში ვამბობდი, რომ 4 თვის გეგმა შეიძლება ვერ შესრულებულიყო. მაშინ ეს უარყოფითად იქნა აღქმული. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა.

მთავრობას ურჩევნია, იმაზე იფიქროს, როგორ შეასრულოს ბიუჯეტი და არა იმაზე - აკონტროლოს თუ არა პარლამენტი. პარლამენტი მთავრობის ქვეყნისათვის საჭირო ყველა გადაწყვეტილებას დაუჭერს მხარს.

### გადავირჩიოთ პარლამენტი?

- როცა მინისტრთა კაბინეტზე ვსაუბრობდი, ვგულისხმობდი სტრუქტურულ ცვლილებებს და მათ შორის, პარლამენტის უფლება-მოვალეობების ცვლილებასაც.

იმ ქვეყნებში, სადაც მინისტრთა კაბინეტია, პარლამენტის დათხოვნის პრაქტიკაც არის და ერთ-ერთი პირობა პარლამენტის დათხოვნისა უმრავლესობის არარსებობაა. არც ერთ ქვეყანაში პარლამენტი, რომელსაც უმრავლესობა არ აქვს – არ არის ეფექტური.

ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნისას ვთქვი, რომ თუ ეს პარლამენტი ვერ შეძლებს საარჩევნო კანონის, საგადასახადო კოდექსის მიღებას, მინისტრთა კაბინეტის შემოღებას, ტერიტორიულ მოწყობასა და დეპუტატთა რიცხოვნობის შემცირებას - მაშინ ხალხი ვერ გაიგებს იმას, თუ რატომ არ უნდა დააყენოს ვადამდელი არჩევნების საკითხი.

დღეს ჩვენ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ვერ ვაგროვებთ კვორუმს. კენჭისყრას გადავდებ ხოლმე იმიტომ, რომ დეპუტატებს პარლამენტში მოსვლა ეზარებათ და პირადი საქმეები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. რატომ არ უნდა მოითხოვოს ხალხმა ვადამდელი არჩევნები? არგუმენტები ჩვენს სასარგებლოდ სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება. თუმცა, ვადამდელ არჩევნებს ყველა ქვეყანაში ერიდებიან, რადგან ეს ყოველთვის არასტაბილურობის შემტანია ყველგან და, მით უმეტეს, ჩვენნაირ ქვეყანაში.

თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში პარლამენტში შეკრული უმრავლესობა მოვა? მე სულაც არ ვარ დარწმუნებული. დარწმუნებული რომ ვიყო, არჩევნები მშვიდად და ჩხუბის გარეშე ჩატარდება და ნამდვილად პროგრესული ძალა გაიმარჯვებს, პარლამენტში ქვეყნის ინტერესების გამტარებლი შეკრული უმრავლესობა მოვა – შეიძლება, მართლა სერიოზულად ვიფიქრო ხელახალ არჩევნებზე. თუ საზოგადოება ჩათვლის, რომ ქვეყნისთვის ვადამდელი არჩევნების ჩატარება კარგი იქნება, და არსებულ დაძაბულ სიტუაციას განმუხტავს, ამას ხელს ნამდვილად არ შევუშლი. მაგრამ დღევანდელი საარჩევნო კანონით ახალი არჩევნების ჩატარება არ შეიძლება.

### ასეთია ღარიბი პარლამენტის ბედი

- პარლამენტის მუშაობა, რა თქმა უნდა, არაეფექტურია იმიტომაც, რომ თითო დეპუტატს ოთხი, ხუთი თანაშემწე მაინც უნდა ჰყავდეს.

უნდა გენახათ, რამხელა დელეგაცია იყო ეუთო-ში წარმოდგენილი რუსეთიდან. დაახლოებით, დელეგაციის 15 წევრი და აპარატის 25 თანამშრომელი... ჩვენ ამჯერად ბევრნი წავედით – 5 დელეგატი და აპარატის 2 თანამშრომელი. ჩაფრენის პირველსავე დღეს ბიუროს სხდომა იყო, რომელიც ღამის 1 საათზე დამთავრდა. ღამის 12 საათზე ვიგებ, რომ საწევრო არ გვაქვს გადახდილი და ხმის უფლება საერთოდ არ გვექნება... გამოდიოდა, რომ ტყუილად ჩავედით... და მივიღე აბსოლუტურად ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება - შევკრიბეთ ფული, მოვხსენით სასტუმროს ფულიც და 3 572 ევრო - ერთი წლის საწევრო - იმ ღამესვე გადავიხადეთ. ცალკე კურიოზია, ფულის გადაუხდელობის გამო როგორ ვრჩებოდით სასტუმროში.

### ჯორბენაძეს - ბერკეტები, ბურჯანაძეს - პარლამენტი

- თუ ამ ბერკეტების ამოქმედება სახელმწიფო მინისტრს მოეხმარება მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ბიუჯეტის შესრულებაში – ჰქონდეს ეს ბერკეტები. მთავარია, ქვეყანა რეალური კრიზისიდან გამოვიდეს. ეს ბერკეტები ნაწილობრივ დაკანონებულია, თან - არ არის დაკანონებული... ამიტომ არ აქვს ეფექტი.

ჩემი ინტერესი ქვეყანაში ეფექტური მმართველობა, სტაბილურობა და ბიუჯეტის შესრულებაა. მიმაჩნია, რომ პარლამენტარიზმის ინსტიტუტი ქვეყნის დემოკრატიულობისა და განვითარებისთვის აუცილებელია და პარლამენტის ავტორიტეტის შენარჩუნებას ყველანაირად შევუწყობ ხელს. იარსებებს თუ არა პარლამენტი, ეს მხოლოდ ჩემი პრობლემა არ არის. ეს, პირველ რიგში, პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის პრობლემაა.

### პოსტშევარდნაძისტული ეპოქის ძალები

- რა ძალები მოვლენ, არ ვიცი. გეტყვით, როგორი ძალები მინდა, რომ მოვიდნენ – უნდა მოვიდნენ მხოლოდ დემოკრატიული ძალები, ვისთვისაც ძვირფასია ევროპული ფასეულობები. გადარჩენის და ნორმალურ ქვეყნად გადაქცევის სხვა შანსი ჩვენ შეიძლება აღარც გვექნეს.

### როგორ იქცევა ბურჯანაძე

- როცა ჩემზე ზეწოლას ცდილობენ, განსაკუთრებით მიმძაფრდება უკურეაქცია. ვიქცევი ისე, როგორც მიმაჩნია საჭიროდ და სწორად. არასდროს მოვიქცევი არასწორად მარტო იმის გამო, რომ თანამდებობა შევინარჩუნო. თანაც, გულწრფელად გითხრათ, ჩემს ქმედებებში მაინცადამაინც არასწორ საქციელს ვერ ვხედავ...

სექტემბრიდან კი უფრო გამოვსწორდები იმ თვალსაზრისით, რომ მიკროფონებს ასე განურჩევლად აღარ ჩავრთავ. ვცდილობ, ვიყო ობიექტური და ყველას მივცე სიტყვა. ეს ჩემი ობიექტურობა სისუსტედ აღიქვეს და ამას აშკარად ბოროტად იყენებენ.

გპირდებით, აღარ ჩავრთავ მიკროფონს მას შემდეგ, რაც ვიტყვი, რომ აღარ ჩავრთავ მიკროფონს.

ჩემი შეცდომა ისიც იყო, რომ გუნდი არ ჩამოვაყალიბე. ჩავთვალე, რომ რადგანაც ხმა მომცეს, როგორც დამოუკიდებელ და ობიექტურ კანდიდატს, არ მქონდა მორალური უფლება, ეს იმედი გამეცრუებინა. პოლიტიკური თვალსაზრისით კი ეს შეცდომა იყო. ახლა არჩევნების ბოლო წელია და, ბუნებრივია, შევეცდები გუნდის შექმნას.



ნინო ბურჯანაძე: "აფხაზეთი არასოდეს არ იქნება რუსეთის შემადგენელი ნაწილი"

გოგიტა გახაძის ფოტო

## 11 სექტემბრის ტერაქტი ამერიკული ბანკების ხელშეწყობით განხორციელდა

თორნიკე შარაშენიძე

11 სექტემბერს თვითმფრინავების გამტაცებლებმა, ტერაქტის დაგეგმვისა და მომზადების პერიოდში, ამერიკულ ბანკებში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გახსნეს 35 ანგარიში და ისარგებლეს ამ ბანკების მომსახურებით.

გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელთა თქმით, როგორც ჩანს, ტერორისტებმა საამისოდ გამოიყენეს ინდივიდუალური სოციალური დაზღვევის არარსებული, ყალბი ნომრები. ბანკებმა კი, უბრალოდ, თავი არ შეიწუხეს მათი შემოწმებით.

ერთ-ერთი ბანკის წარმომადგენელმა ამ ბრალდების საპასუხოდ განაცხადა, რომ უცხოელებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სოცუზრუნველყოფის ამერიკული ნომრები, არ ეკრძალებათ აშშ-ს ბანკებში ანგარიშების გახსნა. თუმცა, ამავე დროს ბანკირმა ვერ დაასახელა, თუ რა საბუთები წარმოადგინეს ტერორისტებმა ანგარიშის გახსნისას.

"ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ ტერორისტები ასეულ ათასობით დოლარს ქაჩავდნენ ახლო აღმოსავლეთიდან ამერიკაში. FBI-ს საგამოძიებო ჯგუფი იუწყება, რომ დამნაშავეები, განსაკუთრებით, "სანთრასთის" ბანკებს სწყალობდნენ. იქ 14 ანგარიში იყო გახსნილი, რომლებზეც 325 ათასი დოლარი გადაირიცხა. საბოლოო ჯამში, როგორც სამართალდამცავები ვარაუდობენ, "ალ ქაიდას" მიერ 11 სექტემბრისათვის დახარჯული თანხის რაოდენობამ ნახევარი მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან ლომის წილი ამერიკული ბანკების გავლით მიდიოდა.

პირველი საბანკო ოპერაციები თვითმფრინავების მომავალმა გამტაცებლებმა 2000 წელს განახორციელეს. მაშინ გადაირიცხა პირველი 100 ათასი მუჰამედ ატას სახელზე, რომელსაც 11 სექტემბრის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედად მიიჩნევენ. გამოძიებამ უკვე დაადგინა, რომ ეს თანხა არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან გადაირიცხა მუსტაფა აჰმედ ალ ჰისავის მიერ, რომელიც უსამა ბინ ლადენის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლადაა მიჩნეული.

ამ აღმოჩენებმა, ალბათ, სერიოზულად უნდა დააფიქროს აშშ-ს ხელისუფლება, რომელიც ტერორისტების ფინანსური მოღვაწეობის მთავარ სარბიელად აქამდე ბრიტანეთსა და შვეიცარიას მიიჩნევდა. ამ ქვეყნებში, საბანკო ოპერაციების წარმოებისას, კლიენტის ანონიმურობა წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია, რითაც, ცხადია, მშვენივრად სარგებლობენ ტერორისტები და ფულს იოლად ათეთრებენ.

როგორც FBI ვარაუდობს, ფულის გათეთრება, ძირითადად, საქველმოქმედო ნიღბით მიმდინარეობს. ამის გამო ყველა ამერიკულ ბანკს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კატეგორიულად აეკრძალა მუსლიმური ორგანიზაციებისათვის საქველმოქმედო მიზნებში ფულის გადარიცხვა. სავარაუდოდ, ამან დიდი ლახვარი ჩასცა ტერორისტებს თუნდაც იმ ფაქტის გამო, რომ ამერიკულ კომპანიებს ბევრ არაბულ ბანკში აქვთ წილი და მათ, პრაქტიკულად, აკონტროლებენ კიდეც. თუმცა, როგორც ამბობენ, მედალს ორი მხარე აქვს: იმ ბანკებმა, რომლებიც საქველმოქმედო ტრანსაქციებს აღარ ახორციელებენ, არაბი მოსახლეობის დიდი რისხვა დაიმსახურეს. ამ უკანასკნელებმა, პრაქტიკულად, ბოიკოტი გამოუცხადეს პროამერიკულ ბანკებს, დეპოზიტები ლამის ყოველდღე გააქვთ, ხოლო ახალი ანგარიშების გახსნაზე ხომ საუბარიც არაა.

ისე, სანამ ასეთ ზომებს მიიღებდა, ვაშინგტონს, ალბათ, ერჩივნა შინაური ბანკები უკეთ შეემოწმებინა. უცხოელები მუდამ იმას ჩივიან, რომ აშშ-ში საბანკო ანგარიშის გახსნა ერთობ რთულია. მაშ, რატომ გაუადვილდათ ასე ეს ამბავი ტერორისტებს?

## Bristol-Myers-ი შემოსავლების მილიარდი დოლარით „გაბერვაშია" ექვმიტანილი

აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია ფარმაცევტული კომპანია Bristol-Myers Squibb-ის წინააღმდეგ გამოძიებას აწარმოებს. "ნიუ-იორკ თაიმსის" ინფორმაციით, კომპანია გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის მილიარდი დოლარით "გაბერვაშია" ეჭვმიტანილი.

Bristol-Myers-ი შარშან ფასდაკლებას სთავაზობდა ბითუმად მყიდველებს, რადგან, ბაზარზე კონკურენტი ფირმების ანალოგიური იაფი პროდუქციის გამოჩენის გამო, მისი გაყიდვების მოცულობამ კლება დაიწყო. სპეციალისტების გათვლებით, წელს, აპრილში ბითუმად შემსყიდველი ფირმების საწყობებში Bristol-Myers-ის პროდუქციის მოცულობა მისთვის "სასურველს" მილიარდი დოლარით აღემატებოდა.

სპეციალისტები ასეთ სიტუაციას "არხების გაჭედვას" უწოდებენ, რამაც კომპანიას მომავალში მდგომარეობა, შეიძლება, სერიოზულად გაურთულოს. მათი აზრით, ეს მანევრი, რომლის განხორციელების უფლებაც Bristol-Myers-მა თავის თავს მისცა, გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ამას სხვა ფარმაცევტული კომპანიები ბედავენ.

## Dell-მა საფონდო ბირჟებს იმედი ჩაუსახა

ევროპისა და აზიის საფონდო ბაზრებზე აქციათა კურსის ზრდა შეინიშნება, იტყობინება Bloomberg-ი. კერძოდ, ევროპის ბირჟებზე კორპორაცია Dell-ის აქციები, საშუალოდ, 11 პროცენტით გაძვირდა მას შემდეგ, რაც ამ კომპანიის პროდუქციაზე სამომხმარებლო მოთხოვნისა და სამთავრობო შეკვეთების ზრდის გამო, მისი საპროგნოზო შეფასებების გაუმჯობესების შესახებ გამოცხადდა.

აღსანიშნავია, რომ ბაზრები, ძირითადად, ამერიკული ეკონომიკის შესახებ არსებული ინფორმაციით ცხოვრობენ. ერთის მხრივ, გრძელდება კომპანიების ანგარიშგებასთან დაკავშირებული სკანდალების კასკადი, მეორეს მხრივ კი, ამერიკიდან ოპტიმისტური მონაცემები მოდის ისეთ კომპანიებზე, როგორებიცაა: Wal-Mart-ი და Eastman Kodak-ი. მაისში დაფიქსირებულმა მრეწველობის 0.3-პროცენტიანმა ვარდნამ კი პარიზელ ტრეიდერებზე ვერანაირი გავლენა ვერ იქონია.

გუშინ, ნახევარი სავაჭრო დღის გასრულების დროისთვის ბრიტანული ინდექსი FTSE-100 2.03 პროცენტით, გერმანული DAX-ი – 2.42 პროცენტით, ხოლო ფრანგული CAC-40 – 2.65 პროცენტით გაიზარდა. ტოკიოში Nikkei-ს ინდექსმა 1.1 პროცენტით მოიმატა.

## Microsoft-ი მომხმარებლებით უკმაყოფილოა

პროგრამულ უზრუნველყოფაში შეცდომების ყველაზე ხშირი ავტორი კომპანია მოუწოდებს უსაფრთხოების სპეციალისტებს, დაფარონ აღმოჩენილი პრობლემები. მომხმარებლები კი იძულებულნი არიან მუდამ იფიქრონ იმაზე, უსაფრთხოა თუ არა ამა თუ იმ საიტზე შესვლა.

ZDNet-ის ინფორმაციით, კომპიუტერული უსაფრთხოების დანიელმა სპეციალისტმა, ტორ ლარხოლმმა ახალი შეცდომები აღმოაჩინა Internet Explorer-ის ბრაუზერში და Outlook-ისა და Outlook Express-ის საფოსტო პროგრამებში. ეს შეცდომები საშუალებას აძლევს ჰაკერებს, ჩართონ სახიფათო კოდი ვებ-გვერდებსა და e-mail-ით გადაცემულ წერილებში.

ლარხოლმი მომხმარებელს აფრთხილებს, რომ ეს კოდი ბოროტმზრახველებს საშუალებას აძლევს, თავიანთ მსხვერპლთა კომპიუტერებში ინფორმაცია გააკონტროლონ, წაიკითხონ დოკუმენტები და შეასრულონ მათი პროგრამები. Microsoft-ის ეს შეცდომა 25 ივნისს იქნა აღმოჩენილი.

სანამ Microsoft-ი ამ შეცდომის "დასაკემს" პროგრამას გამოუშვებს, დანიელი სპეციალისტი მომხმარებელს ურჩევს, გათიშონ Internet Explorer-ის დაცვის პარამეტრებში ActiveX-ი, ან იმუშაონ IE-სა და Outlook-თან "Restricted"-ის რეჟიმში.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 8–13 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6453 | 0.6383 | 0.0055 |
| US$ | 1.5496 | | 0.9887 | 0.0086 |
| €uro | 1.5668 | 1.0111 | | 0.0086 |
| ¥en | 181.01 | 116.82 | 115.51 | |

### 2002 წლის 13 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1878 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4333 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4919 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2150 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3319 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1886 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0702 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4541 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3809 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1573 ლარი |

## ზღუდავს თუ არა პრეზიდენტი შევარდნაძე მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობას

პირველი გვერდიდან



ედუარდ შევარდნაძემ ვეტოს უფლება გამოიყენა

"საქინფორმი"-ს ფოტო

პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ დაწუნებული კანონი "მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" კიდევ ერთი სახელმწიფო სტრუქტურის – ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოზეც ვრცელდება.

საქართველოში უკვე მოქმედებს სამივე უწყების საქმიანობის განმსაზღვრელი კანონები, რომლებშიც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული როგორც მარეგულირებელი ორგანოების კომპეტენციები, ასევე მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. **"ასეთმა მოდელმა, პრინციპში, მთელს მსოფლიოში გაამართლა. ჯერ ერთი, საუბარია სტაბილური რეგულირების პოლიტიკაზე. ასეთი ტიპის დამოუკიდებელი ორგანოები მცირედ არის დამოკიდებული მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებზე. გარდა ამისა, გაამართლა იმ ფაქტორმაც, რომ ასეთ ორგანოებს დაფინანსების დამოუკიდებელი წყაროები გააჩნიათ",** - აცხადებს კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დავით პატარაია. ამ მოდელით, კომისიებს გადაეცათ ენერგეტიკისა და კომუნიკაციების სექტორებში რეგულირების ფუნქცია და სატარიფო პოლიტიკის წარმართვა. ამის გამო, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (სემეკი) არაერთხელ გახდა კიდეც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ პოლიტიკური პარტიების კრიტიკის ობიექტი. ამის თაობაზე პრეზიდენტი პარლამენტისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ **"მარეგულირებელი ორგანოების რიგი გადაწყვეტილებები განსაკუთრებით არაპოპულარულია და იწვევს სოციალურ პროტესტს. ასეთი გადაწყვეტილების მიღება არსებული ბიუჯეტის ფონზე და, ამასთან, მათ დაქვემდებარებულ ეკონომიკის სეგმენტში მსხვილი კაპიტალდაბანდებების მსურველი პარტნიორების მოძიების ურთულესმა ამოცანამ, ობიექტურად განაპირობა მარეგულირებელი ორგანოების "სიფრთხილე" თავიანთ საქმიანობაში".** თუმცა, როგორც გაირკვა, მარეგულირებლები ხელისუფლების დღევანდელი გადმოსახედიდან, ზედმეტად დამოუკიდებლები გამოჩნდნენ. ეს ნათელი გახდა პრეზიდენტის მიერ მთავრობის ბოლო სხდომაზე გაკეთებული განცხადებიდან, რომ მარეგულირებელი კომისიები ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლის გარეშე არიან. ანალოგიური მოსაზრება გააჩნიათ კონტროლის პალატაში, სადაც აკრიტიკებენ პრეზიდენტისგან დაწუნებული კანონის ერთ-ერთ მუხლს, რომლითაც **"დაუშვებელია კომისიის საქმიანობაში ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ჩარევა, მისი საქმიანობის კონტროლის ან მის საქმიანობასთან დაკავშირებით რაიმე ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შესაბამის კანონში".** პალატაში აცხადებენ, რომ ასეთ "შესაბამის კანონებში" საერთოდ არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი.

თავის დროზე, სახელმწიფომ დამოუკიდებელი მარეგულირებლების მოდელი რამდენიმე მოსაზრების გამო აირჩია. ჯერ ერთი, ასეთი იყო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციათა და გავლენიან დონორ სახელმწიფოთა რეკომენდაცია, რასაც საქართველოს ხელისუფლება, ტრადიციულად, არ ეწინააღმდეგება.

გარდა ამისა, როგორც ენერგეტიკაში, ასევე კომუნიკაციების სექტორში, კორუფციისა და სახელისუფლებო ინტერესების გავლენა ძალიან მაღალი იყო. დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების შექმნით, ეს ინტერესები, მეტ-ნაკლებად, დაბალანსდა. ეს თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ კომისიები ლიცენზიების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებებს აუქციონების წესით იღებენ.

მესამე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი კომისიის შექმნისა ისაა, რომ მათ სამომხმარებლო ტარიფის დადგენა ევალებათ. ამ შემთხვევაში, მათ მედიატორის როლის შესრულება უწევთ კომპანიათა და მომხმარებელთა ინტერესებს შორის. ამდენად, ექსპერტთა აზრით, ნებისმიერი შეზღუდვის დაწესება მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

**"კონტროლის პალატას პრობლება არ შეექმნება, რათა "კონტროლის პალატის შესახებ" კანონით განსაზღვრული ფუნქციები შეასრულოს. ამაზე დავა შეუძლებელია,** - აღნიშნავს დავით პატარაია, - **წარმოუდგენელია, პალატას არ მისცე უფლება, შეამოწმოს, როგორ გამოიყენა კომისიამ ბიუჯეტის ფინანსები ან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კრედიტი თუ გრანტი. თუმცა, ამის იქით კონტროლის პალატა ვერ წავა".**

სულხან მოლაშვილის უწყების პოზიციით, მარეგულირებელმა ორგანოებმა, მართალია, დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, მაგრამ შემდეგ პალატის მიერ აუცილებლად უნდა მოხდეს მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერების შემოწმება.

დავით პატარაია ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და ყურადღებას "კონტროლის პალატის შესახებ" კანონზე ამახვილებს. კანონის მეშვიდე მუხლის თანახმად, **"პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ან სახელმწიფო სპეციალური ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან".**

**"თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანო დაიწყებს მსჯელობას კომისიების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის თაობაზე, ავტომატურად დგება მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის შეზღუდვის საკითხი",** - მიიჩნევს კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. მისი თქმით, კომისიის ბიუჯეტი ფორმირდება სალიცენზიო გადასახდელებიდან, რომელიც საბიუჯეტო სახსრებს არ განეკუთვნება.

ერთ-ერთი შესწორების თანახმად, რომლის შეტანასაც მარეგულირებლების კანონში პრეზიდენტი შევარდნაძე მოითხოვს, "კონტროლის პალატა უფლებამოსილია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში ჩაურევლად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი, "კონტროლის პალატის შესახებ" კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში".

**"ეს მუხლი მხოლოდ და მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების კონტროლს შეეხება",** - აცხადებს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი.

**"არასწორად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს კონტროლის პალატა მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყოს. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ჩვენ გვქონდა შენიშვნები, ჩვენი თხოვნა კი კანონპროექტის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ იქნა გათვალისწინებული. კონტროლის პალატის გარდა, შენიშვნები ჰქონდათ ფასების ინსპექციასა და ანტიმონოპოლიურ სამსახურს. მე ასე ვიცი, კანონპროექტი იმას ჰქვია, რომელიც მიღებამდე ჯერ ყველა უწყებასთან შეჯერდება. კონტროლის პალატის ინტერესი ერთია – არ იყოს შელახული არც ერთი უწყების კონსტიტუციური უფლებამოსილება",** - აღნიშნავს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი.

დავით პატარაია კანონში ამ შესწორების შეტანის აუცილებლობას ვერ ხედავს. **"ჩვენ საგადასახადო ინსპექცია ყოველწლიურად გვამოწმებს. ამ სამსახურის შესახებ კანონში რომ არაფერი წერია, კომისიაში შესამოწმებლად აღარ უნდა მოვიდეს?"** – კითხულობს იგი. პატარაიას ინფორმაციით, მზადდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც კონტროლის პალატას უფლებამოსილება გაეზრდება. მისი თქმით, **"დღეს იმის საშიშროება არსებობს, რომ მივიღებთ ისეთ დამოუკიდებელ მარეგულირებლებს, სადაც შესვლისა და შემოწმების უფლება უფრო მეტ მაკონტროლებელს ექნება, ვიდრე სხვა სახელმწიფო სამსახურებს".**

## ქართველები ფულის შენახვის საუკეთესო ადგილად სახლს მიიჩნევენ

გვანცა კვინიკაძე

*მარტში, მსოფლიო ბანკის შეკვეთით, სტატისტიკის დეპარტამენტმა მოსახლეობის სამომხმარებლო ქცევის კვლევის შედეგები ჩაატარა. წინა ორი წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირებულია იმ ადამიანთა რაოდენობა (65 პროცენტიდან 47 პროცენტამდე), რომლებიც ფიქრობენ, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. ამ მხრივ, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შეფასებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეკონომიკური წინსვლა, უმთავრესად, უზრუნველყოფილი ფენის ოჯახებმა იგრძნეს. ასე რომ, თუ რაიმე პროგრესი მართლაც შეინიშნება, მის ნაყოფს მხოლოდ ჩვენი შეძლებული თანამოქალაქენი იმკიან.*

სტატისტიკის დეპარტამენტმა ასეთი კვლევები 1998 წლიდან დაიწყო. წელს, მარტში, საქართველოს მასშტაბით 1500 ოჯახი (4500 რესპოდენტი) გამოიკითხა. კვლევა რამდენიმე უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს ეყრდნობა. მათ შორის: ოჯახების მიერ ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების, ფასების დონის ცვლილების, ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის, მიგრაციის, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების, ხანგრძლივი მოხმარების საგნების, დანაზოგებთან და სესხებთან დამოკიდებულებისა და ლარის გამოყენების არეალის შეფასებებს.

სტატისტიკის დეპარტამენტის მაკროეკონომიკისა და ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის სამმართველოს უფროსის, **რეზო წაქაძის** განცხადებით, ოჯახების, დაახლოებით, 70-75 პროცენტს საარსებო წყარო გააჩნია, რომელიც ოჯახის წევრების კვებას უზრუნველყოფს, მაგრამ ეს სულაც არ მეტყველებს მათი კეთილდღეობის მისაღებ დონეზე. მიუხედავად ამისა, გამოკითხული მოსახლეობის გაცილებით დიდ ნაწილი უყურებს მომავალს ოპტიმისტურად. თუმცა, მოსახლეობის საგრძნობი ნაწილისთვის უკეთესი მომავლის იმედები კრიტიკულ ზღვრამდეა შემცირებული.

წაქაძის თქმით, ფასების დონის ცვლილება საქართველოში განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ლარის კურსის სტაბილურობასთან. მარტში გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი აცხადებდა, რომ ბოლო ექვსი თვის მანძილზე ფასები უცვლელი იყო.

მნიშვნელოვანი კრიტერიუმია გამოკითხული ოჯახების მიერ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაც. წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაცილებით ცოტა გამოკითხულმა აღნიშნა საკუთარი ოჯახის მდგომარეობის გაუარესება. მაგრამ, ოჯახების დიდი წილის შეფასებით, მათი ისედაც არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ უარესდება. წაქაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) იზრდებოდა, საბიუჯეტო კრიზისმა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილებაში უთანასწორობის ზრდამ მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა.

გამოკვლევა მიგრაციის პროცესებსაც შეეხო. აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში ოჯახების რვა პროცენტიდან ერთი წევრი მაინც იმყოფება საზღვარგარეთ. წინა ორი წლის მაჩვენებელთან შედარებით, რეკორდულია (144.5 ათასი) იმ მიგრანტთა რაოდენობა, რომელთა ოჯახების თუნდაც ერთი წევრი საქართველოშია დარჩენილი. საზღვარგარეთ გასულთა 85 პროცენტს 20-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანები შეადგენენ, ამასთან, მათ შორის საკმაოდ დიდია უმაღლესი განათლების მქონეთა წილი. გამოიკვეთა უცხოეთში სასწავლებლად წამსვლელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. საქართველოს მიგრირებულ მოქალაქეთა თითქმის 25 პროცენტი სამშობლოში დაბრუნებას აღარ აპირებს. გამოკითხვის ჩატარების მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში საზღვარგარეთ წასვლას 40 ათასზე მეტი ადამიანი აპირებს.

მიმდინარე ხარჯების კუთხით, გამოკვლევამ აჩვენა, რომ მათი ძირითადი წილი სამედიცინო მომსახურებაზე, ბავშვებისა და მოზრდილების სწავლაზე და ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შეძენაზე მოდის. გარდა ამისა, საგრძნობლად მოიმატა გართობა-დასვენებისა და კაფე-რესტორნებში ხარჯების გაღების სიხშირემ.

განსაკუთრებით ძვირადღირებული საქონლისა და მომსახურების შეძენის მსურველთა რაოდენობა საქართველოში 1999 წლიდან არ შემცირებულა. პირიქით, წელს ეს მაჩვენებელი 2001 წელთან შედარებით 9.7 პროცენტით გაიზარდა. ძირითადად საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, მოსახლეობა პერიოდულად ანაცვლებს ახლით ან მეორადი მოხმარების საქონლით. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80-85 ათას ტელევიზორსა და 14-15 ათას ავტომანქანას ყიდულობს. რეზო წაქაძის თქმით, მოსახლეობის აქტივობა წვრილი და მსხვილი საქონლის შესყიდვაზე საგრძნობლად არის გაზრდილი, რაც მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკას ზრდისთვის სერიოზული სტიმული აქვს.

ამავე გამოკვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში მოსახლეობის საბჭოური მენტალიტეტი დიდად არ შეცვლილა და ფულის შენახვის საუკეთესო ადგილად კვლავაც საკუთარი სახლია მიჩნეული. თანხის არსებობის შემთხვევაში, გამოკითხულთა მხოლოდ რვა პროცენტი მიმართავდა კომერციულ ბანკს, ამასთან, დანაზოგს აუცილებლად უცხოურ ვალუტაში გადაყვანილი სახით შეინახავდა.

ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 95 პროცენტი ყოველდღიური ყიდვა-გაყიდვისთვის ლარს იყენებს, დანარჩენი კი - დოლარსა და რუსულ რუბლს. ამავე დროს, ყოველი მეოთხე გამოკითხული ძვირადღირებულ საქონელსა და ქონებას დოლარებში აფასებს. დოლარზე საკმაოდ მაღალ დამოკიდებულებას, წაქაძე საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონით ხსნის, რამაც შარშან 80 პროცენტს გადააჭარბა.

# სამივე ქვეყანა გარეთ იყურება და იქ ეძებს უსაფრთხოებას

შოთა უტიაშვილი

*გთავაზობთ ინტერვიუს ჟირარ ლიბარიდიანთან. ბატონი ლიბარიდიანი 1991-1998 წლებში იყო სომხეთის პრეზიდენტის თანაშემწე საგარეო პოლიტიკის საკითხებში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი. ამჟამად იგი ლექციებს კითხულობს მიჩიგანის უნივერსიტეტში.*

- ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კიდევ ერთხელ განახლდა, ამჯერად უკვე, როგორც ჩანს, ე.წ. "პარიზის პრინციპების" საფუძველზე. რას იტყოდით ამის შესახებ?

**- სიმართლე გითხრათ, მე წინააღმდეგი ვარ მოლაპარაკებების საფუძვლად პარიზის პრინციპების (ტერიტორიების ან დერეფნების გაცვლა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის) აღებისა. 1992 წელს უკვე იყო მსგავსი მცდელობა, რომელიც წარუმატებლად დასრულდა. მაშინ სომხეთის მთავრობაც წინააღმდეგი იყო ამისა. მას შემდეგ, რაც მე სომხეთის ხელისუფლებიდან წამოვედი, ეს პრინციპები რამდენადმე შეიცვალა. თანაც, ეს ძალზე დელიკატური საკითხია, მოლაპარაკებები ჯერ საიდუმლოდ მიმდინარეობს. ამიტომ, მისი კომენტირებისაგან თავს შევიკავებდი. მიდგომა, რომელსაც მე ვუჭერ მხარს, შემდგომში მდგომარეობს: რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ყარაბაღის უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი.**

- თქვენმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ, ვაფა გულუზადემ ამას წინ მითხრა, რომ ყარაბაღის კონფლიქტი გადაწყვეტასთან რამდენჯერმე იყო ახლოს. რატომ ჩაიშალა მაშინდელი ინიციატივები?

**- ჩვენ ორჯერ ვიყავით ახლოს კონფლიქტის მოგვარებასთან. ერთხელ ეს იყო ჩემი და მისი საიდუმლო მოლაპარაკებების დროს, 95 წლის დეკემბრიდან 96 წლის ნოემბრამდე. მაშინ ჩვენ მართლა ახლოს ვიყავით, მაგრამ ეს პროცესი ჩაიშალა აზერბაიჯანის მთავრობის გამო, რომელმაც გადაწყვიტა, მოლაპარაკებების გვერდის ავლით, ეუთოს ლისაბონის სამიტზე გაეტანა ახალი "პაკეტური" მიდგომა. მეორედ შეთანხმებასთან ახლოს 97 წლის სექტემბერში ვიყავით. მაშინ საერთო მიდგომას მხარს უჭერდნენ ალიევიცა და ტერ-პეტროსიანიც, მაგრამ იგი მიუღებელი აღმოჩნდა თავად ყარაბაღისა და სომხეთის ხელისუფლების უმეტესობისათვის. აქ უკვე სომხეთმა ჩაშალა მოლაპარაკებები, რაც ჩვენი შეცდომა იყო.**

**97 წლის სექტემბრის მიდგომა ითვალისწინებდა ეტაპობრივ მოგვარებას. იგი გულისხმობდა სომხეთის მიერ აზერბაიჯანისთვის იმ ტერიტორიის დაბრუნებას, რომელიც არ იყო ყარაბაღის ნაწილი და მისი უსაფრთხოებისათვის გადამწყვეტი არ გახლდათ. ამას უნდა მოჰყოლოდა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობებისა და კომუნიკაციების აღდგენა. ყარაბაღისა და ლაჩინის სტატუსის განსაზღვრა გადაიდებოდა მომავლისათვის. ეს მოლაპარაკებები ყარაბაღმა და ტერ-პეტროსიანის მთავრობის ზოგიერთმა წევრმა ჩააგდო, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ, ტერიტორიების დაცლის სანაცვლოდ, სტატუსი ყარაბაღს უნდა მიეღო.**

**უკვე კოჩარიანის დროს, 1998 წლის ნოემბერში შემუშავებულ იქნა "საერთო სახელმწიფოს" მოდელი, რაც, ტერიტორიის დაბრუნების პარალელურად, ყარაბაღის სტატუსისა და მისი უსაფრთხოების საკითხების განსაზღვრას გულისხმობდა. საერთო სახელმწიფო ნიშნავს არა ავტონომიას, რომელიც თავის თავში ვერტიკალურ ურთიერთობებს მოიცავს, არამედ ორი ერთეულის, აზერბაიჯანისა და ყარაბაღის მიერ თანაბარ საფუძველზე საერთო სახელმწიფოს შექმნას. შემდეგ უკვე გაირკვეოდა კომპეტენციებისა და სხვა საკითხები. ეს ყველაფერი ძალზე განსხვავდება პარიზის პრინციპებისაგან, რომელიც, აშკარად, ტერიტორიების გაცვლას ეფუძნება. ასე რომ, უნდა მოვიცადოთ და ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება.**

**პარიზის პრინციპების საფუძველზე წარმოებული მოლაპარაკებები ერთხელ უკვე ჩაიშალა. ჯერ ერთი, ორივე ქვეყნის მოსახლეობისათვის ძნელად მისაღები იყო ტერიტორიების გაცვლა. მეორეც, მეგრის ოლქის, რომელიც სომხეთს ირანთან აკავშირებს, აზერბაიჯანისათვის გადაცემა ძალზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური საკითხია, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობას სცილდება. სომხეთი უფრო ადვილად დათმობს ყარაბაღის სრულ დამოუკიდებლობას, ვიდრე მეგრის ოლქს.**

**თუმცა, მე პირადად არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ სომხეთის ან აზერბაიჯანის ხალხი არ წავა დათმობაზე. მე მგონი, ხალხი უფროა მზად კომპრომისისათვის, ვიდრე მთავრობები. უბრალოდ, მთავრობას არ უცდია, ხალხისათვის აეხსნა, რას კარგავს და რას იღებს თითოეული მხარე. მით უმეტეს, რომ სომხეთის მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ თუ იგი ახლა არ წავა კომპრომისზე, რომელიც მას რაღაცას მაინც მოუტანს, მაშინ 5 წლის მერე მან, შეიძლება, ყველაფერი დაკარგოს.**

- თქვენ ფიქრობთ, რომ 5 წლის მერე აზერბაიჯანი და მისი არმია იმდენად ძლიერი იქნება, რომ ყარაბაღის ძალით დაბრუნებას შეძლებს?

**- არმია არ ვიცი, მაგრამ ეკონომიკა კი გაცილებით უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ახლაა. ასე რომ, მათ ექნებათ რეალური შანსი, უფრო ძლიერი არმია შექმნან. ამაზე სომხეთმა ახლავე უნდა იფიქროს. მით უმეტეს, რომ სომხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წინსვლა არ იგრძნობა. მართალია, აზერბაიჯანის ეკონომიკაც არ ბრწყინავს, მაგრამ მას შემოსავლის ძალზე პერსპექტიული წყარო აქვს.**

- თუ არის ეს არგუმენტი მისაღები სომხეთის მთავრობისათვის?

**- გარკვეულ ნაწილისათვის კი, მაგრამ, არა მგონია, ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ არგუმენტს იზიარებდეს, ყოველ შემთხვევაში, მათ ქმედებებში ეს ნამდვილად არ იგრძნობა. მათ, როგორც ჩანს, იმედი აქვთ, რომ სომხეთს ეკონომიკური წინსვლა კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშეც შეუძლია.**

- ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის გარეშე, სომხეთ-თურქეთს შორის საზღვრების გახსნა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება შესაძლებლად მიგაჩნიათ?

**- სასწაულები, რასაკვირველია, ხდება, მაგრამ, არა მგონია, ამჯერად მოხდეს, მით უმეტეს, თურქეთის ამჟამინდელი სამთავრობო კრიზისის ფონზე. ამჟამად, ნებისმიერი თურქი პოლიტიკოსისათვის სომხეთთან ნორმალიზაციის მხარდაჭერა პოლიტიკური კაპიტალის გაფლანგვა იქნებოდა. ესეც რომ არა, კონფლიქტის გადაჭრის გზაზე პროგრესის მიღწევის გარეშე, თურქეთი ამ ნაბიჯს ვერაფრით გაამართლებს.**

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ყარაბაღის საკითხში მცირე კომპრომისზე წასვლა სომხეთს ბევრ სიკეთეს მოუტანს, მათ შორის, აზერბაიჯანთან და თურქეთთან საზღვრების გახსნას, რეგიონულ პროექტებში მონაწილეობას და სხვა. რატომ არ მიდის სომხეთი კომპრომისზე?

**- ახლანდელ მთავრობაში ბევრს სჯერა, რომ შესაძლებელია უფრო მეტის მიღება. არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ პრობლემა უკვე გადაწყვეტილია: ყარაბაღი და მისი მიმდებარე ტერიტორიები სომხეთის კონტროლის ქვეშაა. ისინი ამტკიცებენ, რომ, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამ მიწების დათმობა არ შეიძლება. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ ეს ისტორიული სომხური მიწებია. ასევე ფიქრობენ, რომ აზერბაიჯანი ახალი ომის დაწყებას ვერ გაბედავს, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკურ პრობლემებს, ისინი მთავრობის არასწორი პოლიტიკის ბრალია და არა ყარაბაღის კონფლიქტისა.**

- ახლა ცოტა შევცვალოთ ფოკუსი და სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებზე ვისაუბროთ. სომხეთს ზოგიერთი რეგიონში "ამრევად" და რუსეთის ინტერესების გამტარებლად მიიჩნევს.

**- არა მგონია, ასე იყოს. მაგალითად, სომხეთი თანახმაა, ისტორიაზე (1914 წლის გენოციდი) თვალი დახუჭოს. რატომ არ არის თურქეთი თანახმა, დაივიწყოს ყარაბაღი და ნორმალური ურთიერთობები დაამყაროს სომხეთთან? ამ შემთხვევაში ვინ გამოდის ამრევის როლში? და თანაც, თუ სომხეთს არ მიეცემა შანსი, თურქეთთან ურთიერთობები მოაგვაროს, რომელ ქვეყანასთან კავშირში უნდა ეძებოს მან თავისი უსაფრთხოება? სომხეთი შეიძლება "ამრევად" ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ჩათვლით, რომ სომხეთის უშიშროების კონცეფცია წინასწარაა განსაზღვრული და რუსეთზე ორიენტირებული.**

- პრობლემა ის გახლავთ, რომ სამივე ქვეყანა, ერთმანეთთან ურთიერთობების მოგვარების ნაცვლად, უსაფრთხოების მიღწევას რეგიონის გარეთ მდებარე სახელმწიფოებთან კავშირის დამყარებით ცდილობს და ისევ ცივი ომის დროინდელი კატეგორიებით აზროვნებს: პრორუსული და პროამერიკული. მე ვფიქრობ, ეს არასწორი მიდგომაა, განსაკუთრებით, აშშ-რუსეთის მზარდი თანამშრომლობის ფონზე.

**- თუ აზერბაიჯანი და საქართველო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აშშ-სა და თურქეთს მიმართავენ, რატომ არ უნდა მიმართოს სომხეთმა რუსეთს? სამივე ქვეყანა გარეთ იყურება და იქ ეძებს უსაფრთხოებას, იმის ნაცვლად, რომ, თანამშრომლობის გზით, უცხო სახელმწიფოების მიერ რეგიონში ცხვირის ჩაყოფის ალბათობა მინიმუმამდე შეამცირონ. მე მესმის, რომ კონფლიქტები ამისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს, ისევე, როგორც რეგიონული მასშტაბით აზროვნების ნაკლებობა. თუ ჩვენ ადრე მოსკოვს შევყურებდით ჩვენი პრობლემების გადასაჭრელად, ახლა უკვე ვაშინგტონსა და ევროპას შევყურებთ. ჩვენ თვითონ უნდა ვიქცეთ ერთმანეთის უშიშროების გარანტებად.**

- ეს ძალიან შორეული მომავლის პერსპექტივა ხომ არ არის?

**- იცით, უსაფრთხოება რომ გქონდეს, იგი უნდა შეიქმნა. თუ დაპირისპირება ისევ გაგრძელდა და თანამშრომლობა არ დამყარდა, ამ ქვეყნებს შანსი არა აქვთ.**

- თუ ყარაბაღის პრობლემა მოგვარდა და თურქეთსა და სომხეთს შორის ნორმალური ურთიერთობები დამყარდა, რა გავლენას იქონიებს ეს რუსეთ-სომხეთის ურთიერთობაზე?

**- თუ რუსეთ-ნატოს ურთიერთობებში არსებული ტენდენციები გაგრძელდა, რუსეთი გახდება ისეთი ქვეყანა, როგორც ყველა სხვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შეძლებს მეზობელ ქვეყნებთან ცივილიზებული ურთიერთობების დამყარებას. მეორე სცენარით, თუ ნატო და რუსეთი ისევ მოწინააღმდეგეებად დარჩნენ, მაშინ ნატო-ს შემოსვლას რეგიონში სომხეთი საფრთხედ აღიქვამს და მას სრული უფლება ექნება, თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, ვისაც სურს, იმას დაეყრდნოს. მე არ მჯერა იმისა, რომ ნატო, თავის მოკავშირეებთან ერთად, კარგია და რუსეთი, თავისი მოკავშირეებით, ცუდია.**

- ჩნდება კითხვა: ხომ არ იყენებს რუსეთი თავის მოკავშირე სომხეთს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ან ხომ არ იყენებს ნატო თავის მოკავშირეებს, საქართველოსა და აზერბაიჯანს, რუსეთის წინააღმდეგ?

**- თუ, მაგალითად, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს მივიჩნევთ წმინდა ეკონომიკურ პროექტად, მაშინ ჩვენ მასთან პრობლემა არა გვექნება, მაგრამ, თუ ამას ისე შევხედავთ, როგორც კლინტონის ადმინისტრაცია უყურებდა, ანუ საშუალებას ირანის იზოლირებისა და რეგიონიდან რუსეთის გაძევებისათვის, მაშინ მისი მშენებლობა ირანისათვის, რუსეთისათვის და ჩვენთვისაც მტრულ აქტად უნდა შეფასდეს. ხანდახან საქმეს ისე წარმოადგენენ, რომ ყველაფერი, რასაც რუსეთი აკეთებს, ცუდია და პირიქით, რასაც აშშ აკეთებს - კარგი. ეს მართალი არ არის, ყარაბაღის მოლაპარაკებები ჩაუშლიათ როგორც რუსეთს, ისე ამერიკასაც. ამ უკანასკნელმა ჩაშალა შეთანხმება, რომელიც ყველა სხვა მხარემ მიიღო. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აშშ-მ თავისი ნახევარსფეროდან სხვა ყველა დიდ ქვეყანას ფეხი ამოაკვეთინა და არაკონსტრუქციულადაც არაერთხელ მოქცეულა. ამიტომ, რეგიონის ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან, რომ ისინი სხვა სახელმწიფოების მანიპულირების ობიექტები გახდნენ.**

**სხვათა შორის, ირანი რეგიონში საკმაოდ ფრთხილად და კონსტრუქციულად იქცევა. რაც არ უნდა თქვან თურქეთმა და აზერბაიჯანმა, ირანს ყარაბაღის კონფლიქტში ნეიტრალური პოზიცია უკავია.**

- ჯავახეთის საკითხში ორივე ქვეყნის ხელისუფლება თავს იკავებს ვითარების გამწვავებისაგან, მაგრამ შეიძლება თუ არა გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ააფეთქებენ რეგიონს?

**- არ არის აუცილებელი, პრობლემა საგარეო ძალების პროვოცირებული იყოს. სოციალურმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა ჯავახეთში შეიძლება ფეთქებადსაშიში ვითარება შექმნან და მაშინ უცხო ძალამ, შეიძლება, ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. თუ ჯავახეთში სიტუაცია არ მოგვარდა, მაშინ, პრაქტიკულად, ნებისმიერი ქვეყანას შეუძლია ამ პრობლემით მანიპულირება, განსაკუთრებით, რეგიონში გამეფებული უდნობლობისა და მეტოქეობის ატმოსფეროში.**

- და ბოლოს, თქვენი პროგნოზით, საით წავა სამხრეთ კავკასია?

**- სულ სამი სცენარი შეიძლება წარმოვიდგინოთ. ერთი სცენარის თანახმად, თუ ვითარება არ შეიცვლა ან ნელ-ნელა გაუარესდა, მაშინ რეგიონის ქვეყნების სახელმწიფოებრიობა ეჭვქვეშ დადგება, აგრეთვე, გაიზრდება მათი დამოკიდებულება უცხო ქვეყნებზე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. მეორე სცენარი, კონფლიქტების გადაჭრა არ ხერხდება, მაგრამ ქვეყნები დგამენ პატარ-პატარა ნაბიჯებს, რათა ვითარების გაუარესება მაინც აიცილონ თავიდან. ამ მიდგომის მთავარი მომხრეა საქართველო, მას სომხეთიც უჭერს მხარს, მაგრამ აზერბაიჯანი აცხადებს, რომ კონფლიქტის მოგვარებამდე სომხეთთან არ ითანამშრომლებს. მესამე სცენარი, ხდება სასწაული და ის, რაც უნდა გაკეთდეს ათი წლის მერე, კეთდება ახლავე და კონფლიქტები შინაგანი სტიმულების ან გარე ძალების გავლენით გვარდება. მაგრამ ამის გამკეთებელი ჯერჯერობით არ ჩანს. ასე რომ, მე ვიტყოდი, რომ ვითარება ნელ-ნელა გაუარესდება, თუმცა, არის იმის მცირე შანსიც, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ნელ-ნელა დაიწყებენ კონფლიქტის მოგვარებას.**

*ამბები*

## თურქეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ახალ პარტიას აყალიბებს

თურქეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისმაილ ჯემმა, რომელიც გუშინ გადადგა, ახალი ცენტრისტული პარტიის შექმნის თაობაზე გააკეთა განცხადება. პარტია საბაზრო რეფორმების გატარებისა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების მომხრე იქნება. პრესკონფერენციაზე ჯემმა განაცხადა, რომ ძველმა პარტიებმა და თურქეთის პრემიერ-მინისტრის, ბულენთ ეჯევითის მთავრობამ ბოლო პერიოდში, მინისტრთა გადადგომის სერიის გამო, პოლიტიკური ძალა დაკარგეს და რომ თურქეთს ახალი ლიდერები სჭირდება. მინისტრთა კაბინეტის ყოფილი წევრები მას შეუერთდებიან, რაც პრემიერისთვის ერთგვარი გამოწვევა იქნება.

ამასობაში ბულენთ ეჯევითი კვლავ თავის თანამდებობაზე რჩება და გადამდგარ მინისტრებს მოუწოდებს, კაბინეტში დაბრუნდნენ.

*Reuters*



*ისმაილ ჯემი* REUTERS

## შვეიცარიელ დიპლომატს ფულის გათეთრებას აბრალებენ

შვეიცარიის ელჩი ლუქსემბურგში პიტერ ფრიდერიჰი, ფულის გათეთრების ბრალდებით, შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში დააკავეს.

ლუქსემბურგის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა, თავის შვეიცარიელ კოლეგებს, თებერვალში მიაწოდა ინფორმაცია "უცნობი წარმომავლობის ათობით ათასი ფრანკის" მიკვლევის თაობაზე. ამის შემდეგ შვეიცარიის ფედერალური პროკურორის სამსახურმა გამოძიება დაიწყო და წინა კვირას ელჩზე გავიდა. თუმცა, ელჩის მიერ თავისი თანამდებობის ბოროტად გამოყენების მტკიცებულებები გამოძიებას ჯერჯერობით არ გააჩნია.

შვეიცარიის კანონმდებლობით, ფულის გათეთრებაში ელჩის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ან 1 მლნ. შვეიცარული ფრანკის ოდენობის ჯარიმა დაეკისრება.

ფრედერიჰი დიპლომატიურ სამსახურში 1971 წლიდან არის. 1991 წელს იგი დანიშნეს შვეიცარიის ელჩად ვიეტნამში, 1995 წელს - კუბაში, ხოლო 1999 წლიდან კი - ლუქსემბურგში. *CNN*

## მილოშევიჩის სასამართლო პროცესი

იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი ზორან ლილიჩი, საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე სლობოდან მილოშევიჩის პროცესზე ჩვენებების მიცემის მიზნით, ჰააგაში ჩავიდა. თავდაპირველად ლილიჩმა ჩვენებების მიცემაზე უარი განაცხადა, მაგრამ სასამართლო უწყების მიღების შემდეგ, მან თავისი გადაწყვეტილება შეცვალა. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ლილიჩი ბელგრადის აეროპორტში იუგოსლაველმა პოლიციელებმა თვითმფრინავში ძალით ჩასვეს. მისი ადვოკატი ამას უარყოფს.

ლილიჩს 1993-97 წლებში იუგოსლავიის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ცნობილია, რომ, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, იგი სლობოდან მილოშევიჩის, რომელიც ამ დროს სერბეთის პრეზიდენტი გახლდათ, განკარგულებების შემსრულებელი იყო. *(BBC)*

# აშშ-ჩინეთის სტრატეგიული თანამშრომლობა თუ ტრადიციული უთანხმოება?

ლინა პანტელეევა

უკვე თითქმის ერთი წლის განმავლობაში აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში მიმდინარე "დათბობის" ფონზე, რომელიც ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებითა და აშშ-ს ანტიტერორისტული კამპანიისთვის მხარდაჭერით იყო განპირობებული, აშშ-ჩინეთის უსაფრთხოების კომისიამ მოამზადა მოხსენება, რომელმაც გამოააშკარავა აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში "ულრუბლო ცის" მოჩვენებითობა. 209-გვერდიან მოხსენებაში, რომელიც ორშაბათს კონგრესს გაეგზავნება განსახილველად, ჩინეთის მცდელობებს, გაიხსნას დასავლეთისთვის, კომისია სკეპტიკურად აფასებს და ასკვნის, რომ ჩინეთთან მზარდი ვაჭრობა აშშ-ს უსაფრთხოებისთვის, დასაქმების ბაზრისთვის და ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

კომისია 2000 წელს (მას შემდეგ, რაც ჩინეთისთვის მუდმივი სავაჭრო სტატუსის მინიჭების საკითხზე აშშ-ს ადმინისტრაციაში აზრთა დიდმა სხვაობამ იჩინა თავი) კონგრესმა ჩამოაყალიბა და მას აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში "დამკვირვებლის" ფუნქცია დააკისრა. კომისიას დაევალა, თვალყური ადევნოს, თუ როგორ იცავს ჩინეთი თავისუფალი ვაჭრობის წესებს, რა პოზიცია აქვს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საკითხთან მიმართებაში, რა მდგომარეობაა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და სხვ.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კომისიამ დაასკვნა, რომ ჩინეთი თავისუფალი ბაზრის წესებს მუდმივად არღვევს, რაც აშშ-ს სავაჭრო ბალანსზე უარყოფითად აისახება. აშშ-ს ხარჯზე ჩინეთმა თავისი სამხედრო სექტორის მოდერნიზაცია და აზიაში გავლენის გავრცელება შეძლო. მკვეთრი ეკონომიკური წინსვლის ფონზე, ჩინეთში პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლებების, ადამიანისა და მშრომელთა უფლებების დაცვის ან იარაღით უკანონოდ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში უმნიშვნელო პროგრესი შეიმჩნევა. კომისია პრობლემას ხედავს აშშ-ს მიმართ თვით ჩინეთის მთავრობის დამოკიდებულებაშიც - აშშ განიხილება, როგორც "უნილატერალისტი" სახელმწიფო, რომელიც სხვა ქვეყნებს თავის ფასეულობებს იძულებით ახვევს თავს.

აშშ-ჩინეთს შორის სტრატეგიული დიალოგის დაწყების პირველ მცდელობას 1971-72 წლებში ჰქონდა ადგილი და იგი წარმატებითაც დასრულდა - აშშ-ს პრეზიდენტმა, რიჩარდ ნიქსონმა და სახელმწიფო მდივანმა, ჰენრი კისინჯერმა ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მოახერხეს. 1972 წლის 21 თებერვალს პეკინში ჩასული ნიქსონი აცხადებს: "ჩვენ გაგვაერთიანა მსოფლიოში ახალი ვითარების შექმნის ფაქტის გაცნობიერებამ, ჩვენს მიერ იმის გაცნობიერებამ, რომ მნიშვნელოვანია არა ქვეყნის შიდა პოლიტიკური ფილოსოფია, არამედ პოლიტიკა დანარჩენი მსოფლიოს მიმართ..." იმ პერიოდში ჩინეთი და აშშ საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხემ გააერთიანა.

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის პერიოდი რამდენიმე მიზეზის გამო დასრულდა. ეს ცვლილება განპირობებული იყო იმით, რომ ჩინეთმა, მოულოდნელად, ანგარიშგასაწევ ძალად სწრაფად დაიწყო ჩამოყალიბება, რამაც ამერიკა დააფიქრა. გარდა ამისა, 1989 წლის ტიანანმენის მოვლენების შედეგად, როდესაც ჩინეთის მთავრობამ სტუდენტების მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია, ამერიკის ადმინისტრაციისა და მოსახლეობის მტრული დამოკიდებულება ჩინეთის კომუნისტური რეჟიმის მიმართ აშკარა გახდა. ამავე პერიოდში დაიშალა სსრკ და ვარშავის პაქტი, ანუ აშშ-ჩინეთის გამაერთიანებელი ფაქტორი გაქრა.

ზოგიერთი ექსპერტი 11 სექტემბერს თანამშრომლობის განახლების ახალი სტიმულის შეფასებას აძლევს. თუმცა, ეს მასტიმულირებელი ფაქტორი, 1970-იან წლებში არსებულთან შედარებით, უფრო სუსტია. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, 2001 წლის ოქტომბერში პრეზიდენტი ბუში ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ჩადის – იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ჩინეთში. ბუშის ჩინეთში ჩასვლა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო და ბევრისთვის იმის მანიშნებელი გახდა, რომ აშშ-ჩინეთის სტრატეგიული დიალოგი შეიძლება კვლავ განახლებულიყო.

რა შეიცვალა აშშ-ჩინეთის ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებაში 11 სექტემბრის შემდეგ? "ჩაინა პოსტი" წერს: "ახალი ომის პირობებში კომუნიზმი განიხილება არა როგორც სერიოზული საფრთხე, არამედ, პირიქით, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ დამხმარე ხელი". ამავე დროს, ოფიციალური ჩინეთიც მიიჩნევს, რომ ათწლეულზე მეტია (1989 ტიანანმენის სისხლისღვრიდან), ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის ასეთი კარგი პირობები არ ყოფილა. რაც შეეხება აშშ-ს ხელისუფლებას, ჩინეთთან მიმართებაში თავისი ინტერესების განსაზღვრაში მისი მიდგომა უფრო ფოკუსირებული და დისციპლინირებული გახდა.

როგორც ჩანს, დიალოგის სურვილი ორივე მხარეს აქვს. მაშინ რა უშლის ხელს მის განვითარებას? უპირველ ყოვლისა, მხარეებს ჯერ არა აქვთ მკაფიოდ გამოკვეთილი ის საკითხები, რომლებზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება. ნებისმიერი დიალოგის მიზანია თითოეული მხარის სტრატეგიული ხედვებისა და მიზნების ურთიერთგაგება, პატივისცემა და ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა. აშშ-ჩინეთის ურთიერთობის შემთხვევაში, ნაყოფიერი დიალოგი მაშინ შედგება, თუ მხარეები მკაფიოდ განსაზღვრავენ აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიული გარემოს მიმართ თავიანთ ხედვას და გაიაზრებენ, თუ როგორ ჯდება ამ ხედვაში თითოეული ქვეყნის ინტერესები და უსაფრთხოების არსებული ორმხრივი ალიანსები. მაგალითად, უნდა იყოს გარკვეული, თუ რა ადგილს დაიკავებს რეგიონის უსაფრთხოების გარემოში აშშ-იაპონიის ალიანსი. გარდა ამისა, აშშ-ს ადმინისტრაციაში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა ჩინეთის მიმართ, საზოგადოებრივი აზრიც ტიანანმენის შემდეგ არ შეცვლილა. თანამშრომლობის წამახალისებელი ახალი კონტექსტის პარალელურად, კვლავ რჩება ძველი პრობლემები – ტაივანი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ადამიანის უფლებები.

ტერორიზმის საფრთხე, ანუ, ამ შემთხვევაში დიალოგის მასტიმულირებელი მთავარი ფაქტორი, აშშ-სა და ჩინეთში განსხვავებულად აღიქვება. ჩინეთი უფრო შიდა პრობლემებზეა ფოკუსირებული და ტერორიზმის საფრთხე გათავისებული არა აქვს. მაშინ რატომ შეუერთდა ეს ქვეყანა აშშ-ს ანტიტერორისტულ კამპანიას?

ჩინეთი გრძნობს საფრთხეს ცენტრალური აზიიდან და ახლო აღმოსავლეთიდან (განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წელს ჩინეთში ოლიმპიური თამაშები გაიმართება). გარდა ამისა, ჩინეთს თავისი ეკონომიკური ინტერესების დაცვა სურს და ისეთი ურთიერთობების დამყარებას ცდილობს, რომლებიც შიდა განვითარების პროცესს შეუწყობენ ხელს. გარეშე ძალებიდან კი გარემოზე და, აქედან გამომდინარე, ჩინეთის განვითარების პერსპექტივებზე, ყველაზე დიდი გავლენა აშშ-ს აქვს.

რეგიონში ჩინეთი თავისთვის ერთ საშიშ ტენდენციასაც ხედავს – ჩინეთის ყველა მეზობელი (რუსეთი, ინდოეთი, პაკისტანი, იაპონია) აშშ-ს ანტიტერორისტულ კოალიციაში ერთიანდება. ამის შედეგად, მოსალოდნელია რეგიონში აშშ-ს, როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო როლის ზრდა. აქ თავი იჩინა ჩინეთის ტრადიციულმა შიშმა, "იყოს გარშემორტყმული". ჩინეთს არ სურს, რეგიონალურად ან გლობალურად იზოლირებული აღმოჩნდეს.

როგორც ჩანს, აშშ-ჩინეთის თანამშრომლობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და, აქედან გამომდინარე, მისი მომავალიც საკმაოდ ბუნდოვანია.

## მოსახლეობის პროტესტმა შედეგი გამოიღო

ნანა ქადაგიშვილი

თბილისში გასაყიდი ტერიტორია თითქმის აღარ დარჩა. სადაც კი სავაჭრო ცენტრისა თუ კვების ობიექტის გახსნა შეიძლებოდა, მერიამ გასასხვისებელი არ დატოვა. ბიზნესმენებმა ტროტუარები და კორპუსებს შორის ადგილებიც კი შეისყიდეს. ეს კი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს და ხშირად საქმე შეტაკებამდეც კი მიდის. თუმცა, საპროტესტო აქციები და მერია-გამგეობებისთვის დახმარების თხოვნა უშედეგოდ მთავრდება. მოსახლეობასა და ბიზნესმენებს შორის ატეხილი დავა, როგორც წესი, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ სრულდება. სანამ მოსახლეობა რამეს გაიგებდეს, ბიზნესმენს ადგილიც ნაყიდი აქვს და პროექტიც – არქიტექტურის დეპარტამენტთან შეთანხმებული.

ასეთი მდგომარეობის ფონზე ვაჟა-ფშაველას გამზირის მცხოვრებთა გამარჯვება ნამდვილად უპრეცენდენტო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. ყოფილი მოჭადრაკე თამაზ გიორგაძე ახლახან ამ ქუჩაზე, სასტუმრო "აფხაზეთის" პირდაპირ, კორპუსებს შორის, სავაჭრო ცენტრის აშენებას აპირებდა, მაგრამ მოსახლეობამ არ დაანება. აქ რომ სავაჭრო ცენტრი აშენდეს, "კუდის მოსაბრუნებელი" ადგილი აღარ დაგვრჩება. საცხოვრებელ კორპუსებთან ასე ახლოს არაფრის აშენება არ შეიძლებაო, ჩიოდნენ მოქალაქეები. მათ ჯერ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიმართეს და არაფერი რომ არ გამოუვიდათ, ქუჩა გადაკეტეს. საპროტესტო აქციის შემდეგ, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ, მოსახლეობის გასაკვირად, მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და სავაჭრო ობიექტის მშენებლობა შეაჩერა. სავაჭრო ცენტრის მეპატრონემ გამგეობის გადაწყვეტილება გააპროტესტა, რადგან მას მერიიდან ყველა საჭირო ნებართვა აქვს, მაგრამ ვაკე-საბურთალოს რაიონის არქიტექტორებმა მერიის არქიტექტურის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებულ პროექტში გარკვეული ხარვეზები აღმოაჩინეს. "პროექტში გაბარიტული ზომებია დარღვეული, არქიტექტურულ ნორმებში არ ჯდება. გამგეობამ მშენებლობა ამიტომაც შეაჩერა," – გვითხრა რაიონის მთავარმა არქიტექტორმა თამაზ მურვანიძემ.

საქმეს კვლავ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო იძიებს. თუმცა, ამჯერად, როგორც გამგეობის მთავარი არქიტექტორი ვარაუდობს, სასამართლო უფრო ობიექტური იქნება და სავაჭრო ცენტრის მშენებლობას მანამ შეაჩერებს, სანამ თამაზ გიორგაძე პროექტში დაშვებულ ხარვეზებს არ გაასწორებს. ასე რომ, მოსახლეობამ, ჯერჯერობით, გაიმარჯვა. მომავალში გამორიცხული არაფერია.

## ტენდერი საკურორტო მომსახურებაზე

თამარ მაისურაძე

რომელი ფირმა განახორციელებს "საზაფხულო საკურორტო რეაბილიტაციის პროგრამას", რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი. სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უმწეოთა, აფხაზეთში დაღუპულთა, ომის ვეტერანთა, მარჩენალ დაკარგულთა ოჯახებზე ხორციელდება, ამ ზაფხულს, 1000-1200 ადამიანის სახელმწიფოს ხარჯზე დასვენებას ითვალისწინებს. **"კანონით მოსარგებლე კონტინგენტს, დასვენებასთან ერთად ჩაუტარდება სამკურნალო რეაბილიტაციის პროცესი. ანუ, მათ ვისაც სამედიცინო მკურნალობა სჭირდებათ, შესაბამისი ცნობის წარდგენის შემდეგ, სახელმწიფო დაასვენებს,"** – გვითხრა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ მანონ ხაჩიძემ.

ხალხის იმ კატეგორიას, რომელთაც უფასოდ დასვენება კანონით ეკუთვნით, კურორტოლოგიის ინსტიტუტში არსებული სპეციალური კომისია შეარჩევს. რომელთაც იქვე მისცემენ დანიშნულებას, თუ რომელი დაავადების სამკურნალოდ, საქართველოს რომელ კუთხეს უნდა მიაშურონ. ქალაქის სოცუზრუნველყოფის სამსახურმა, მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელთა პირველი ნაკადი უკვე გაუშვა დასასვენებლად ცხვარიჭამიაში. მანონ ხაჩიძეს იმედი აქვს, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ, მათ დამსვენებელთა რამდენიმე ახალი ნაკადი დაემატებათ. **"ამდენად, შესრულდება კანონი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ვალდებულია, ეს ადამიანები დასვენებით უზრუნველყოს,"** - ამბობს მანონ ხაჩიძე.

## ზესტაფონელი ცოტნე კვეტენაძე მშვიდობის საუკეთესო ელჩი იქნება

თხზულებათა კონკურსში "მე რომ მშვიდობის ელჩი ვიყო" გამარჯვებული ზესტაფონის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ცოტნე კვეტენაძე გახდა.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოებისა და საზეიმო დახურვის ცერემონია, რომელიც გაეროს სახლში გაიმართა, გაერთიანებული ერების "ქალთა განვითარების ფონდმა" და არასამთავრობო ორგანიზაცია "მოზარდთა განვითარების ცენტრმა" ჩაატარა.

თხზულებათა კონკურსში მონაწილეობა საქართველოს 30 რაიონიდან 319-მა 12-დან 17 წლამდე ბავშვმა მიიღო. მათი ნამუშევრები დახურული წესით განიხილეს, შედეგად 21 საუკეთესო თხზულება შეირჩა. მათ ავტორთაგან ოთხი გამარჯვებული გამოვლინდა.

შერჩეულ თხზულებებს საზოგადოება თხზულებათა კრებულის სახით გაეცნობა, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა. იგი რუსულ ენაზე ითარგმნება და მოგვიანებით სამხრეთ კავკასიის ბავშვთა თხზულებათა რეგიონულ კრებულად გამოიცემა.

*ინტერ-პრესი*

## რუსი სამხედროები მაგატეს არ ეწინააღმდეგებიან

რადიაქტიული წყაროების გამოსავლენად, მომავალ კვირას ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატეს) სპეციალისტების დახმარებით, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების აეროგადაღებები განხორციელდება.

გარემოსა და ბუნებრივ რესურსების დაცვის მინისტრის ნინო ჩხობაძის თქმით, მოხდება ასევე ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიის აეროგადაღებები.

როგორც განაცხადა ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების პრესსამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრე ლუცკევიჩმა, ახალქალაქის ბაზის ტერიტორიის აეროგადაღება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

მისი ინფორმაციით, ახალქალაქის ბაზაზე საერთაშორისო დამკვირვებლების ინსპექცია არაერთხელ განხორციელდა.

*პრაიმ-ნიუსი*

## ამჯერად არქეოლოგები ჩადში ზეიმობენ

დალი კუპრავა

ფრანგ პროფესორს ნატვრა აუხდა , კაცობრიობას კი გაუჩნდა შანსი უფრო მეტი გაიგოს წინაპრებზე და თვალი გაადევნოს საკუთარი ევოლუციის პროცესს. მეცნიერები, ჯერ კიდევ დმანისში ნაპოვნი თავის ქალის აფრიკულ წარმომავლობაზე მსჯელობენ და ამ დროს აფრიკაში აღმოჩენილია თავის ქალა, რომელიც ავსტრალოპითეკის მსგავსია. მეცნიერულად დაუდგენელია თავის ქალის პატრონის სქესი, მაგრამ ასაკი, სულ ცოტა, 7 მილიონი წელია.

"მე ამას 25 წელი ველოდი და როგორც იქნა ვნახე",- განაცხადა არქეოლოგთა საერთაშორისო ექსპედიციის წევრმა, ფრანგმა მეცნიერმა მიშელ პუატიემ.

ნაპოვნი ქალა მეცნიერებს საშუალებას აძლევს, რომ საბოლოოდ დათმონ ადამიანებსა და მაიმუნებს შორის "შუალედური რგოლის" არსებობის იდეა. მართალია, ჯერ კვლევა არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ნანატრი აფრიკელის ნაკვთები ერთდროულად ძალიან თანამედროვეცაა და ძალიან გადაშენებულიც. ეს "ნაცნობი უცნობი" იმ პერიოდისაა, როცა ადამიანი და შიმპანზე ის-ის იყო დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ადამიანი ამქვეყნად ძალიან ცოტა იყო.

მეცნიერებმა აღმოჩენას დაარქვეს, "საჰელანთროპუს ჩადენისი", შინაურულად კი "თუმაიდ" მონათლეს- და, თუ ქალაზე მკვეთრ წარბზედა რკალებს არგუმენტად მივიჩნევთ, "თუმაი" კაცის ჩადური სახელია.

## პოლიტიკოსები ტაქსის მძღოლებს ვერ იყოფენ

ეკატერინე ბახუტაშვილი

კერძო ტაქსების მძღოლებმა ქალაქის ხელისუფალთ გუშინ თავი კიდევ ერთხელ შეახსენეს და ამჯერად - უფრო სერიოზულადაც. ყაზბეგის გამზირზე მათ მიერ დაწყებული აქცია, რომელიც სამი საათი მიმდინარეობდა, მერიის წინ გაგრძელდა. თავისუფლების მოედანზე თავმოყრილმა 100-ზე მეტმა მანქანამ სატრანსპორტო მოძრაობა რამდენიმე წუთით შეაფერხა. ტაქსის მძღოლები ითხოვდნენ, გაერკვიათ, რის საფუძველზე მოხდა ლიცენზიის ოდენობის გაზრდა თვეში გადასახდელი 8 ლარიდან 60 ლარამდე. ასევე ისინი მოითხოვდნენ, რომ ლიცენზიის თანხების შეტანა ხდებოდეს ერთ რომელიმე ბანკში და არა ისე, როგორც ეს დღეს არის. ამჟამად ლიცენზიას უამრავი ფირმა გასცემს და, როგორც ერთ-ერთმა ტაქსის მძღოლმა თქვა, ყველა "ბუტკაში" იყიდება. მძღოლების პროტესტს იწვევდა ისიც, რომ მათ მიერ სიმწრით გადახდილი თანხები, ღმერთმა უწყის, სად მიდის. ყოველ შემთხვევაში - არა მერიის ბიუჯეტში.

სანამ მერიაში შესული რამდენიმე მძღოლი ქალაქის ხელმძღვანელობასთან მიღწეულ მოლაპარაკებაზე ამბავს გამოიტანდა, შენობის გარეთ დარჩენილ ტაქსის მძღოლებს სრული მხარდაჭერა ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტის წევრმა, პარლამენტარმა ვანო მერაბიშვილმა შესთავაზა. კერძოდ, ახალი საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ისინი დასვამენ საკითხს ლიცენზიის ზღვრული ტარიფის განსაზღვრისათვის და ბანკის შესარჩევად, სადაც მოხდება ლიცენზიის თანხების შეტანა.

**"ხელისუფლების ყოველგვარ უკანონო ქმედებაზე ესე უნდა მოიქცეთ"**, - მოუწონა საქციელი მერიის შენობიდან გამოსულმა საკრებულოს "აღორძინების" ფრაქციის წევრმა ჯონდი ბაღათურიამ, რომელიც ქალაქის პრემიერის კაბინეტში გამართულ მოლაპარაკებას ესწრებოდა და ასევე ღიმილით უსაყვედურა აქციის წევრებს, რატომ საკრებულოში ერთხელ მაინც არ მოვიდნენ ამ პრობლემის გამო. მძღოლებმა მისგან შეიტყვეს, რომ საკრებულოს დადგენილებით ლიცენზია 15 ლარს შეადგენს. ბაღათურია ტაქსების მძროლებს დღესვე ყველა პრობლემის მათთვის სასარგებლოდ გადაწყვეტას შეჰპირდა.

აქციის მონაწილეები მათი პრობლემების ასე უცებ გადაწყვეტას ერთგვარი დაბნეულობით შეხვდნენ და მოედნიდან ნელ-ნელა დაიშალნენ.



ვანო მერაბიშვილი



აქციის მონაწილე



ჯონდი ბაღათურია

იური ლობოდინის ფოტოები

## ვეტერანებმა მრავალშვილიანები "შეავიწროვეს"

თამარ მაისურაძე

მეორე მსოფლიო ომში მებრძოლმა ქართველმა ვეტერანებმა, სახელმწიფოს მოთხოვნები წაუყენეს. ისინი, ყოველთვიურად 500 კვ.სთ ელექტროენერგიას უფასოდ ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 8 ათასი ვეტერანი მასიური მიტინგების მოწყობით იმუქრება. რამდენად გაჭრის პროტესტის გამომხატავი ეს გაცვეთილი ფორმა, ვერ გეტყვით. სახელმწიფო რამდენად დააკმაყოფილებს ვეტერანების მოთხოვნას, ესეც ძნელი სათქმელია, თან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათ მოთხოვნას გუშინ, პარლამენტში აბსურდული უწოდეს.

პარლამენტში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თაოსნობით გამართულ შეხვედრაზე, წესით იმ კანონპროექტის განხილვა უნდა ყოფილიყო, რომელიც ვეტერანებისთვის ელექტროენერგიის შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს. 1999 წლიდან მოყოლებული, დღემდე ისინი თვეში მხოლოდ 50 კვ.სთ შეღავათით სარგებლობდნენ. ვეტერანების პროტესტის შედეგად, ამა წლის აპრილის თვეში ეს კანონი საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა. ამდენად, პარლამენტს ახალი კანონის მომზადება დაევალა. "ელექტროენერგიის უფასო მომსახურება თვეში განისაზღვროს ფაქტობრივად ხარჯვის მიხედვით. მაგრამ ზამთრის სეზონზე არა უმეტეს (ნოემბერი-მარტი) ერთ ოთახიან ბინაზე – 160 კვ.სთისა, ორიანზე – 250 კვ.სთ, სამიანზე – 300 კვ.სთ, ხოლო მეტ ოთახიანზე –380 კვ.საათი. ზაფხულში (აპრილი-ოქტომბერი) ერთ ოთახიანზე – 110 კვ.სთ, ორიანზე – 110 კვ.სთ, სამიანზე – 240 კვ.სთ, ოთხი და მეტზე – 300 კვ.საათი." – ვკითხულობთ კანონპროექტში. ამ ციფრების მიუხედავად ვეტერანები მაინც უკმაყოფილოები არიან.

გუშინდელი შეხვედრა, რომელზეც სხვა საკითხებიც უნდა განხილულიყო მხოლოდ ვეტერანთა პრობლემით შემოიფარგლა. კომიტეტის თავმჯდომარე ზეზვა ღულუნიშვილი ამაოდ ცდილობდა იმაში გარკვევას, თუ რატომ მოითხოვდნენ, ან როგორ აპირებდნენ მოწვეული სტუმრები თვეში 500 კვ. სთ ელექტროენერგიის დახარჯვას. **"ჩვენ წლები მოგვემატა, თორემ ჭკუა არ დაგვკლებია, ამდენად გვაქვს ანალიზის უნარი. სიბნელეში ვსხედვართ, როგორმე საჭმელი რომ გავიკეთოთ. რომ გვეუბნებით, იმ წლებში, იმ წლებშიო, იმ წლებში ყველა მუხათგვერდში ვიქნებით და შუქი აღარ დაგვჭირდება",** – მიმართა ვეტერანთა კავშირის წევრმა შოთა ბუაძემ ხელისუფლების წარმომადგენელთ. **"თვეში 500 კვ.სთ ელექტროენერგია წყალივით გვჭირდება. თუ ზაფხულში ვერ შევძელით ამ რაოდენობის დენის დაწვა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დარჩენილი რაოდენობა ავანსის სახით შემდეგ თვეში გადავიდეს",** – თავისი მოსაზრება გამოთქვა ერთ-ერთმა ვეტერანმა. რომლის მოთხოვნებსაც სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თამაზ გიორგაძის მწვავე რეაქცია მოყვა. მან სხდომა დატოვა. **"როგორც თქვენი ხელფასის ფულს შოულობს სახელმწიფო, ისე იშოვნოს ჩვენი შუქის ფული",** – არ ცხრებოდნენ ვეტერანები და ხშირად უსვამდნენ ხაზს კომუნისტურ რეჟიმს. **"მაშინ სახელმწიფოსგან განებივრებულნი ვიყავით",** – ამბობდნენ ისინი.

ზეზვა ღულუნიშვილმა შეახსენა შეკრებილებს, რომ ეს უკანასკნელნი 45-47 ლარიან პენსიას იღებენ. **"ქვეყანაში კი 14 ლარზე მაცხოვრებელი 800 ათასი პენსიონერია. იმათ რაღა თქვან?"** – კითხვა დასვა კომიტეტის თავმჯდომარემ. **"სამამულო ომის მონაწილეების სხვა კატეგორიებთან გაიგივება არ შეიძლება. ჩვენ 80-85 წელს ვართ გადაცილებული, ორი პარასკევი დაგვრჩენია. სახელმწიფოსგან მოვითხოვთ, ნორმალური სიბერის საშუალება მოგვცეს. არ გვინდა სიბერეში ნაგვის ყუთში ქექვა",** – ასეთი იყო პასუხი.

სხდომის დასრულების შემდეგ, ორივე მხარე - სტუმრებიც და მასპინძლებიც უკმაყოფილოები ჩანდნენ. **"მოიფიქრეთ, ბატონო, რა გინდათ, როგორ გინდათ და შემდეგ შეხვედრაზე ისე მობრძანდით,"** – დამოძღვრა კომიტეტის თავმჯდომარემ ვეტერანები.

შეხვედრაზე "მრავალშვილიანი ოჯახების შესახებ" კანონპროექტზეც უნდა ესაუბრათ. მაგრამ, ეს საკითხი შემდეგი კვირისთვის გადაიდო.

## აგრარული უნივერსიტეტით ძირითადად დიღმელები არიან დაინტერესებულნი

ირმა კახურაშვილი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები 17 ივლისის "ღია კარის" დღისაგან საინტერესოს არაფერს ელიან. 10 წელზე მეტია, რაც სასოფლო-სამეურნეო განათლება უფრო პრესტიჟული და პერსპექტიული სპეციალობების ჩრდილში მოექცა. ამჟამად, თბილისიდან მე-13 კილომეტრზე მდებარე "სასოფლოში" კატასტროფული მდგომარეობაა – შარშან უფასო განყოფილებებზე მხოლოდ 500 სტუდენტი "იკლავდა" სწავლის წყურვილს.

**"ახალგაზრდა მიდის იქ, სადაც თავის პერსპექტივას გრძნობს. ადრე, ღვინის ტექნოლოგიურზე ჩაბარებისას, აბიტურიენტს ლამის "ცეკას" გადაწყვეტილება სჭირდებოდა. დღეს ეს სპეციალობა, როგორც აგრონომია ან მექანიზაცია, არავის აინტერესებს. ჩვენთან ძალიან დაბალი განათლების მქონე კონტინგენტი მოდის",** - ამბობს უნივერსიტეტის რექტორი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

თუკი ადრე აბიტურიენტების მხოლოდ 20 პროცენტი იყო ქალაქის მაცხოვრებელი, ახლა პირიქით არის. თანაც, სოფლის მეურნეობით "დაინტერესებულები" ძირითადად დიდი დიღმის მაცხოვრებლები არიან(?!). უნივერსიტეტის თანამშრომლები ამის ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებენ, რომ სასწავლებელი ქალაქისაგან მოწყვეტილია. გათბობის მოშლილი სისტემის გამო კი ზამთარში ლექციების ჩატარება თითქმის შეუძლებელია. მათი თქმით, "ვინც დღეს "სასოფლოში" მიზანდასახულად აბარებს, ნამდვილი გმირია".

მიწათმოქმედთა გეორგიაში რომ აგრარული სფერო არავის აინტერესებს, ეს ფაქტია. სტუდენტების რაოდენობა მას შემდეგაც არ გაზრდილა, რაც უნივერსიტეტში სამხედრო კათედრა ამოქმედდა. საქმეს ვერც იმან უშველა, რომ მისაღები გამოცდები ყოველ ზაფხულს სამჯერ ეწყობა, მოდური მეორადი სპეციალობებიც დაემატა: საბანკო საქმე, ჟურნალისტიკა, სამართალმცოდნეობა, მენეჯმენტი და სხვ. რექტორატის მაქსიმალური მცდელობები, გარკვეული შეღავათებით მაინც დაეინტერესებინათ მომავალი ჰიდრომელიორატორები, სამთოქიმიკოსები, ტექნოლოგები, კრახით დასრულდა. შარშან აუთვისებელი დარჩა უფასო სექტორი. ფასიან განყოფილებაზე, სადაც სწავლების საფასური 200$-ია, საუბარი საერთოდ არ არის.

რექტორი აღიარებს, რომ ასეთ პირობებში მასწავლებლებს ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა უწევთ. საშუალო განათლების "ჩავარდნების ამოსავსებად" უნივერსიტეტის ბაზაზე გახსნილია ლიცეუმი ცხრაკლასდამთავრებულთათვის, სადაც ბავშვები, ელემენტარულთან ერთად, აგრარულ განათლებასაც იღებენ.




ანასტასია ლობჟინენკოს ნახატი

რაც შეეხება სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობას, რომლის გარეშე სასოფლო-სამეურნეო განათლებას აზრი არ აქვს: ადრე უნივერსიტეტს ორი უზარმაზარი მეურნეობა ჰქონდა. მაგალითად, დიღომში მოჰყავდათ ათასამდე ტონა ყურძენი, სამასამდე ტონა ხილ-ბოსტნეული. წლების განმავლობაში მოუვლელობისაგან ნიადაგი გამოიფიტა, ბაღები გაველურდა. **"უნივერსიტეტი ქონების გადასახადს ვერ იხდიდა. 300-ზე მეტი ჰექტარი მეურნეობისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს დავურიგეთ. მაშინ ამ გზით კოლექტივიც და მიწაც გადავარჩინეთ,"** - გვითხრა ნაპოლეონ ქარქაშაძემ. საინტერესოა, რომ შემდგომში ეს ნაკვეთები გაიყიდა და ახლა იქ კერძო, კომფორტული სახლებია წამოჭიმული. სამეცნიერო კვლევებისათვის უნივერსიტეტს 30-მდე ჰექტარი დარჩა. ასეთივე სიტუაციაა მუხრანის მეურნეობაში, რომლის ნახევრადგაპარტახებული ნაკვეთები იჯარით არის გაცემული მოსკოველ ინვესტორზე, იმ პირობით, რომ სტუდენტები პრაქტიკას იქ გაივლიან.

სხვათა შორის, მისაღებ გამოცდებზე, არალეგალურ "სტავკებთან" დაკავშირებით, საქმე გაცილებით მარტივად არის, ვიდრე ჭორად გაგებული. აგრარული უნივერსიტეტის რექტორი უარყოფს ინფორმაციას, თითქოს მოწყობა 2 ათასი დოლარი ჯდება და ღიმილით გვეუბნება, რომ 300 დოლარს არ აღემატება. ამასვე ადასტურებენ მშობლები, რომელთა შვილებს აქ განუზრახავთ სწავლა. ჰოდა, არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ კიდევ დიდხანს მოგვიწევს თურქული ფქვილის, ამერიკული ბარკლებისა თუ სპარსული ტომატის "მონელება".

# წყალი, ნახშირი, საპონი, კომპიუტერი და... 10 წუთში ყველას ამოგვიცნობენ

## ამერიკელი კრიმინალისტები ქართველ კოლეგებს ნათითურების აღებას ასწავლიან

გიორგი გახელაძე

7 წუთის განმავლობაში, გამოხდილი და ჩვეულებრივი ონკანის წყლით, რაფინირებული ნახშირითა და თხევადი საპნით, უბრალო სკოტჩიდან 20-ზე მეტი სხვადასხვა ნათითური გამოაშკარავდა. საგამოძიებო ფედერალურ ბიუროსა და აშშ-ის საიდუმლო სამსახურში 40-წლიანი სტაჟის კრიმინალისტმა ქერმაინ ართოუნმა, ჩვენს თვალწინ ანაბეჭდების "გაპარვის" 10 წუთზე მეტი არ მოანდომა.

**"ძალიან მარტივია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა გვიხდება ამ მეთოდის სწავლა,"** – გამოვეტყდა საქართველოს გენპროკურატურის კრიმინალისტი.

**"აქ გამოყენებული რომელიმე ნივთიერება ძალიან სპეციფიურია, თუ არ მოგეპოვებათ?"** – დაინტერესდა, როდესაც ჩვენი მასპინძლის გაფართოებული თვალები დავინახე.

**"არა, ყველაფერი გვაქვს და თან იაფია,"** – დარცხვენით მიპასუხა ერთ-ერთმა.

**"ჩვენი დამნაშავეები ხშირად ხმარობენ სკოჩს?"** – ახლა ნასწავლის საჭიროების დადგენას შევეცადე.

**"კი, როგორ არა: ასაფეთქებელ მოწყობილობებზე, გატაცებული ადამიანის ხელსა და პირზე ასაკრავად... ხშირად,"** – ჩაერთო ისევ პროკურატურის კრიმინალისტი.

ეს საუბარი თითის ანაბეჭდების აღების კომპლექსური სემინარის დროს შედგა, რომელსაც აშშ-ის ექსპერტები ორი კვირის განმავლობაში თბილისში ატარებდნენ.

**"სემინარი ტარდება საერთაშორისო კრიმინალის გამოძიების ასისტირების პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება აშშ-სა და საქართველოს მთავრობათა შორის შეთანხმების საფუძველზე,"** – აღნიშნა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა მაია ნიკოლეიშვილმა.

პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში, სწორედ საქართველოში, შეიქმნება პატიმრების, მსჯავრდებულებისა და საგამოძიებო მოქმედებების მონაწილე ძალოვნების თითის ანაბეჭდების კომპიუტერული ბანკი. ამ შემთხვევაში კომპიუტერული ბანკი გამოძიებას დაეხმარება დამნაშავისა და სამართალდამცავის თითის ანაბეჭდების განსხვავებაში. გუშინ დავაკვირდით ჩამოტანილ ამ საინფორმაციო ბანკისთვის საჭირო ტექნიკურ-ლაბორატორიულ აღჭურვილობა, ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და აშშ-შივე დაბეჭდილი 15 ათასი დაქტილობარათი: ნიმუში დამნაშავეებისა თუ ეჭვმიტანილებისათვის, მწვანეები – "ორგანოების თანამშრომლებისათვის".

**"ჰენრის სიტემა ძველია, მაგრამ იოლად განახლებადი და უნივერსალური. საბჭოთა კავშირში მისი სახეცვლილი ვარიანტი იყო დანერგილი. ალბათ, ამიტომ კითხულობენ სტაჟიანი სპეციალისტები, იმათთან როგორ არისო? უჭირთ იმის გათავისება, რომ ეს სისტემა იქაური კი არა, უკვე კარგა ხანია, რაც აქაურია,"** – აღნიშნა ასისტირების პროგრამის თანამშრომელმა დავით ხაბურზანიამ.

დაქტილოთეკას შემდგომში მოჰყვება "მასრო", "ფონო" და სხვა ათასგვარი "თეკა", რაც კრიმინილალისტიკური ექსპერტიზის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. ამ მეთოდიკისა და ინფორმაციის გამოყენებას საპასპორტო სისტემაშიც აპირებენ. ეს ყველაფერი განთავსდება იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საუწყებათაშორისო საექსპერტიზო ცენტრში. წესით, ის დამოუკიდებელი ორგანიზაცია უნდა იყოს, რომლის სათათბირო ორგანოს წევრები გამოძიებასთან დაკავშირებული ყველა უწყების პირველი პირები იქნებიან.

სემინარი უტარდება 12 ექსპერტს, რომელთა შორის მხოლოდ ერთი სოციოლოგია, ხოლო დანარჩენი – იურისტები; ნახევარი მოქმედი თანამშრომლებია, ნახევარი კი – ახალბედები. შემდეგ ისინი გაივლიან დისტანციური სწავლების კურსს და ბოლოს ჩააბარებენ გამოცდებს. აგვისტოში, ლას-ვეგასში, გაიმართება დაქტილოსკოპისთა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ქართველი სპეციალისტები საკუთარი ნამუშევრებით მიიღებენ მონაწილეობას.

**"მსმენელთაგან სამმაც რომ ჩააბაროს გამოცდები, მაინც დიდ საქმედ მიმაჩნია. თუ საერთაშორისო კრიმინალური სამყარო "მუშაობს" მაღალტექნოლოგიური სტანდარტებით, ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ მათ. სხვანაირად ვერ გავხდებით კრიმინალიზებული დერეფნის საიმედოდ ჩამკეტი ქვეყანა,"** – ოპტიმიზმით დაასრულა საუბარი მაია ნიკოლეიშვილმა.

აგვისტოში უკვე 8 ათასამდე ბარათი იქნება შევსებული.

**"მსოფლიოს უმძლავრეს საგამოძიებო სამსახურებში მუშაობა მაღალი კვალიფიკაციის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. რა სფეროში გაქვთ დაცული სამეცნიერო ხარისხი?"** – ვკითხე ართოუნის მეწყვილეს, რობერტ ბოულს.

**"მართალია, ჩვენ პრაქტიკულ მეცნიერებას ვემსახურებით, მაგრამ უბრალო ხალხი ვართ,"** – თავმდაბლად მიპასუხა მან.

**"უბრალო კაცები შავებში?"** – არ მოვეშვი; აქ კი ორივეს სიცილი აუტყდა.



წყლით, ნახშირით და საპნით გამჟღავნებული ანაბეჭდები



ქერმაინ ართოუნი ანაბეჭდების ხარისხიანად აღებაზე ამახვილებს ყურადღებას



დაქტილობარათებს ართოუნის სახელმძღვანელოთი შიფრავენ



მაია ნიკოლეიშვილი: "ყველას ვაიძულებ, ლაბორანტადაც იმუშაონ"

ლევან ხერხეულიძის ფოტო

---

# ყალბი ანგარიშფაქტურები მსხვილი კომპანიების ხელში

## "ჯეოსელი", "სანტე", "რუსთავცემენტი" გაორებული ანგარიშფაქტურებით მუშაობდნენ

სოფიკო ჩხაიძე

მილიონნახევარი ლარი, რომელიც გაორებული ანგარიშფაქტურების გამო სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა, შეიძლება არც იყოს ის თანხა, რომელიც ქვეყანას ააშენებდა, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის ძიების ბოლომდე მიყვანის შემთხვევაში, შესაძლოა, პასუხისმგებლობა საკმაოდ სოლიდური კომპანიების ხელმძღვანელებსა და თვით საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებსაც დაეკისროთ. არ არის გამორიცხული, რომ გაორებული ანგარიშფაქტურებით გადასახადების დამალვის მთელი ქსელი არსებობს და ამაში მარტო წვრილ-წვრილი არგადამხდელები როდი არიან ჩართულნი. მით უმეტეს, რომ ყალბი დოკუმენტაციით ჩათვლების გაკეთებაში შემჩნეულნი არიან ისეთი მსხვილი ორგანიზაციები, როგორიცაა "ჯეოსელი", "სანტე უოლშ პროდუქტი", "რუსთავცემენტი". ყველაზე დიდი ოდენობით კი დღგ დამალული აქვს შპს "მშენებელს"(101 157ლარი), შპს "აგროტექნიკს" (100 198 ლარი),შპს "კოლხეთს" (63 699 ლარი).

მთლიანობაში ყალბი, გაორებული ანგარიშფაქტურების გამოყენება 100-მდე ორგანიზაციას ბრალდება, რომელთაგან უმეტესობა არარსებულია, ან რომელიმე მსხვილი კომპანიის სატელიტს წარმოადგენს. რიგ შემთხვევებში დასადგენია ყალბია თუ ნამდვილი ორგანიზაციის ბეჭედი, რომელიც ამშვენებს ანგარიშფაქტურას,.

სულ კი, გამოძიების ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, ამოღებული ყალბი ანგარიშფაქტურების მეშვეობით გაყიდულია 9 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია და აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტში" დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით, არ შევიდა მილიონ ნახევარი ლარი. დღეს პოლიციას საგადასახადო დეპარტამენტიდან 300-მდე ყალბი ანგარიშფაქტურა აქვს ამოღებული და არ არის გამორიცხული, რომ მათი რაოდენობა გაიზარდოს, მით უმეტეს, თვით საგადასახადო დეპარტამენტი, რომელსაც საკმაო საშუალებები გააჩნია სიყალბის გამოსააშკარავებლად, რატომღაც დანაშაულს წინ არ აღუდგება. სწორედ აქ გაიცემა ანგარიშფაქტურები და აღირიცხება გაცემულის ნომრები. თუმცა ეს არ აღმოჩნდა ხელისშემშლელი და გამყალბებლები ერთი და იმავე ნომრის მქონე ანგარიშფაქტურებს იქ უპრობლემოდ წარადგენდნენ. გამოძიებას უკვე დადასტურებული აქვს, რომ რამდენიმე შემთხვევაში საგადასახადო დეპარტამენტს მიღებული და ბეჭდით დადასტურებული აქვს ყალბი დოკუმენტაცია; თანაც ზოგი ისეთი, როცა ერთსა და იმავე ორგანიზაციიდან შესულია რამდენიმე ანგარიშფაქტურა ერთნაირი ნომრით.

საგადასახადოში არსებული ეს შეუსაბამობა, ჯერჯერობით, არ გამხდარა ამ ორგანიზაციაში კონკრეტული დამნაშავეების ძიების საფუძველი.

სამაგიეროდ, გამოძიება უკვე ეძებს იმ ხალხს, ვინც უშუალოდ დაბეჭდა ეს ანგარიშფაქტურები. როგორც გაირკვა, გაორებული ანგარიშფაქტურების ხმარებაში შემჩნეული 100-მდე ორგანიზაციიდან 7 შემთხვევაში ყალბი ანგარიშფაქტურები სტამბა "კარტოგრაფშია" დაბეჭდილი, რომელსაც ტენდერის საფუძველზე ნაღდი ანგარიშფაქტურების ბეჭდვის ექსკლუზიური უფლება აქვს მინიჭებული. იქ კი, როგორც ჩანს, ნამდვილი ანგარიშფაქტურების პარალელურად იმავე ნომრის მქონე ყალბი ასლებიც იბეჭდება. მაგრამ, ჯერჯერობით, "კარტოგრაფიის" თანამშრომელთა ან ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, რადგან ცვლებით მომუშავე სტამბაში გამოძიებას კონკრეტული დამნაშავეები ჯერ არ დაუდგენია.

როგორც შს სამინისტროს სამოხელეო დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს უფროსი ნესტორ მიქატაძე ამბობს: **"ჯერ გაორებული ანგარიშფაქტურები მხოლოდ საგადასახადო დეპარტამენტიდანაა ამოღებული, ახლა იმ მყიდველი და გამყიდველი ორგანიზაციებიდანაც უნდა ამოვიღოთ, რომლებსაც დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა ევალებოდათ. ჯერჯერობით, გამოძიება ექსპერტებისა და რევიზიების ჩატარების ეტაპზეა. ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს იმაზეც, არის თუ არა საგადასახადოს მიერ ყალბ ანგარიშფაქტურაზე დასმული ბეჭედი ნამდვილი, თუ აქაც გაყალბებასთან გვაქვს საქმე. თქვენ წარმოიდგინეთ, კურიოზული ფაქტებიც კი ხდება. საგადასახადო ამბობს, რომ გაორებული ანგარიშფაქტურები მათ არ გაუციათ, თუმცა მერე უკვე მიიღეს და ყალბი ანგარიშფაქტურებით ჩათვლაც განახორციელეს. არ არის ეს გასაკვირი, როცა ამბობენ ანგარიშფაქტურაზე, ჩემი გაცემული არ არისო და ასეთ ანგარიშფაქტურას იღებენ?**

**რაც შეეხება სტამბას, აუცილებლად მოიძებნება კონკრეტული დამნაშავე, ოღონდ ჯერ უნდა გაირკვეს, ვინ იყო პასუხისმგებელი ანგარიშფაქტურების ბეჭდვის გაკონტროლებასა და მათ შენახვაზე".**

სამმართველოს უფროსის ოპტიმიზმის გაზიარება იმდენად ჭირს, რამდენადაც საეჭვოა, რომ გამოძიება საგადასახადო დეპარტამენტის მაღალჩინოსნებამდე მივა. არადა, ძნელი დასაჯერებელია, რომ არსებული დარღვევები მათ ირიბად მაინც არ უკავშირდებოდეს.

---

# გიორგი რჩეულიშვილი პროფესიონალმა მოკლა

ინგა ალავიძე

*დეპუტატ ლევან პირველის დაცვის უფროსის, გიორგი რჩეულიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა სამართალდამცველებისთვის ცნობილია.*

ჩვენს ხელთ არსებული ზუსტი ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილია დათო სიხარულიძე. იგი ორჯერაა ნასამართლევი. მეორედ გასამართლებული სიხარულიძე, რომელსაც ათი წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, კოლონიიდან გაიქცა და მას წელიწადია, რაც სამართალდამცველები უშედეგოდ ეძებენ. სიხარულიძე, რომელსაც კანონდამცველები საშიშ დამნაშავეს, პროფესიონალ კრიმინალს უწოდებენ, სხვადასხვა დროს ბრალდებული იყო ბანდიტიზმში, ადამიანის გატაცებაში, ყაჩაღობასა და მკვლელობაში. არსებული ინფორმაციით, იგი აქტიური ნარკომანია.

გამოძიების მასალებით, სწორედ დათო სიხარულიძემ გაიყვანა 9 ივლისს გიორგი რჩეულიშვილი სახლიდან, სოფელ მჭადიჯვარში მდებარე აგარაკიდან. სიხარულიძე მკვლელობის დღეს რამდენჯერმე მივიდა რჩეულიშვილთან და ესაუბრა მას. თუ რა საკითხზე — უცნობია. საქმეში არსებობს მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ გიორგი სწორედ სიხარულიძესთან ერთად ნახეს მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე. მკვლელობის შემდეგ ნანახი ახალგაზრდა კაციც, რომელიც გიორგის მანქანას მართავდა, სწორედ დათო სიხარულიძე იყო.

შიდა ქართლის პროკურორმა ამირან ნოზაძემ, ჩვენთან საუბრისას დაადასტურა, რომ მათთვის ცნობილია მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა; თუმცა მის დასახელებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მისი ინფორმაციით, გამოძიება უკვე ორ გამოკვეთილ ვერსიაზე მუშაობს. ერთი ვერსიის მიხედვით, რჩეულიშვილი შურისძიების მოტივით მოკლეს. მეორე ვერსიით კი, ქონების დაუფლების მიზნით. ამ ვერსიის განხილვისას სამართალდამცველები მკვლელობის შემდეგ დაკარგულ "ჯიპსა" და ტაბელურ პისტოლეტს იშველიებენ.

დათო სიხარულიძეს კანონდამცველები ეძებენ. თუმცა, არსებობს ვერსია, რომ რჩეულიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პროფესიონალი კრიმინალი ე.წ. სამხრეთ ოსეთს აფარებს თავს.

---

სასამართლო დარბაზი

# დედის მკვლელს იძულებით უმკურნალებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

"დაავადებულია ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული ფსიქოზური აშლილობით – ჰალუცინაციით. დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა ფსიქიკურ ავადმყოფურ მდგომარეობაში, რის გამოც არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი მოქმედება," – ასეთი დიაგნოზი დაუსვა სტაციონარულმა სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დედის მკვლელ მამუკა მაჭარაშვილს.

სამი თვის წინათ არყით მთვრალი მამუკა მაჭარაშვილი, გამთენიისას, თავს დაესხა საძინებელ ოთახში მძინარე საკუთარ დედას, მას ოქრო და ძვირფასეულობა მოსთხოვა, ხოლო უარის მიღების შემდეგ მოკვლით დაემუქრა, აიღო წალდი და დედას რამდენჯერმე ჩაარტყა კისრისა და მხრების არეში, თან მსხვერპლისგან განუწყვეტლივ ითხოვდა ოქროსა და ძვირფასეულობას. თავდამსხმელმა შვილმა ცოტა ხანში წალდი იატაკზე დააგდო, დედამისს ხელებით სწვდა თავის არეში, მოუგრიხა და გადაუმტვრია კისერი.

განსასჯელის ძმის, სერგო მაჭარაშვილის, ჩვენებით, მკვლელობის დღეს ძმებმა სახლში ერთად დალიეს არაყი, რის შემდეგაც სერგო მაჭარაშვილს დაუძინია. ცოტა ხანში ის ხმაურს გაუღვიძებია. "ჩემი ძმა ოთახში დადიოდა, დედამ უსაყვედურა და სთხოვა დაეძინა, მაგრამ მამუკამ ხმა არ გასცა და ოთახში სიარული გააგრძელა. დილით რომ გავიღვიძე, სიგარეტის მოწევა მინდოდა და დედას ვთხოვე. მან ხმა არ გამცა. ვიფიქრე, ეძინა და გაღვიძება დავუპირე. ხელი მოვკიდე და სიცივე ვიგრძენი. ჩემი ძმა ისევ დადიოდა მეორე ოთახში. დავუძახე, მოსულიყო. მან მშვიდი ტონით მიპასუხა: "დედა მე მოვკალიო," – ასეთი ჩვენება მისცა სასამართლოს სერგო მაჭარაშვილმა, რომელსაც მაშინვე მოუნდომებია მეზობლებისთვის შეეტყობინებინა მომხდარი. თუმცა, მკვლელ ძმას მისთვის გარეთ გასვლის საშუალება არ მიუცია. მოგვიანებით სერგო მაჭარაშვილს როგორღაც მოუხერხებია კარის გაღება და მეზობლების მოხმობა.

"სერგო კარებიდან მეძახდა. მაშინვე ავედი ზემოთ, მაგრამ კარებთან მამუკაც დამხვდა. მას წალდი ედო უბეში და მემუქრებოდა, ახლოს თუ მოხვალ, შენც მოგკლავო. შეშინებული გამოვიქეცი, ეს ამბავი პოლიციასა და მეზობლებს შევატყობინე," – ასეთი ჩვენება მისცა სასამართლოს მაჭარაშვილების მეზობელმა.

მამუკა მაჭარაშვილის ფსიქიური სრულფასოვნების საკითხი ეჭვქვეშ მისი დაკავების მომენტშივე დადგა. სტაციონარულმა სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ კი მისი შეურაცხადობა დაასაბუთა. "მსჯავრდება და დასჯა მასზე ვერ მოახდენს გამასწორებელ ზემოქმედებას. ფსიქიკური მდგომარეობის გამო მას არ შეუძლია საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში მონაწილეობა. მამუკა მაჭარაშვილი წარმოადგენს განსაკუთრებულ სოციალურ საშიშროებას, რის გამოც იგი საჭიროებს იძულებით მკურნალობას მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში," - ასეთია წინასწარი გამოძიების საბრალდებო დასკვნა და ექსპერტების დიაგნოზიც.

დახურულ სასამართლო პროცესზე ჩატარებული გამოძიების შემდეგ სასამართლო კოლეგიამ, მამუკა მაჭარაშვილის მიმართ, იძულებითი სამედიცინო ხასიათის ღონისძიების ჩატარება მოითხოვა. გამოჯანმრთელებამდე მაჭარაშვილი ჯანდაცვის სამინისტროს მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაივლის მკურნალობას.

---

# 18-წლიანი პატიმრობა მეზობლის მკვლელობისთვის

ხათუნა ჯანგირაშვილი

მეზობელთან სტუმრად მიპატიჟებული ივანე არჩვაძე მასპინძლის მსხვერპლი აღმოჩნდა. მეზობლურ-მეგობრული სიამტკბილობით დაწყებული ქეიფი საზარელი მკვლელობით დასრულდა. მასპინძელმა, ჯიბო სადღობელაშვილმა, სტუმარს სადღობელაშვილების გვარის "ცუდ" კონტექსტში მოხსენიება არ აპატია. სადღობელაშვილების სახლში აივნიდან გადასულ სახანძროსა და პოლიციის თანამშრომლებს განსაკუთრებული სისასტიკით მოკლული ივანე არჩვაძე დახვდათ. მას სანადირო დანით 22 მძიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

სასამართლო პროცესზე ჯიბო სადღობელაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო; წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება ნაწილობრივ შეცვალა და მოსამართლეს აუხსნა, რომ მოკლულ მეზობელთან მას ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. უბრალოდ, მისი თქმით, გარდაცვლილი სიმთვრალეში ცუდ ხასიათს ავლენდა. "იმ დღეს ივანე არჩვაძემ იმერლები, კერძოდ, ჩემი გვარის წარმომადგენლები, ჰომოსექსუალისტებად მოიხსენია. შევკამათდით, ივანემ კისერში მომკიდა ხელი, მაგიდიდან დანა აიღო და რამდენჯერმე მომიქნია. მერე რა მოხდა, არაფერი მახსოვს," – განუცხადა სასამართლოს მსჯავრდებული ამტკიცებდა, რომ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. არადა, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, ჯიბო სადღობელაშვილს დანაშაულის ჩადენის დროს შეეძლო გაეცნობიერებინა, რას აკეთებდა და კონტროლი გაეწია საკუთარი ქცევისთვის. ივანე არჩვაძის გვამზე ჩატარებული ექსპერტიზა კი შემავალი და არშემავალი, ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობების იმ ვრცელ და დეტალურ ნუსხას აკეთებს, რამაც არჩვაძის სისხლისგან დაცლა და გარდაცვალება გამოიწვია.

როგორც გაირკვა, მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ ინგა დრაინლინგს, რომელმაც იცოდა, რომ მისი მეუღლე მეზობელთან ქეიფობდა, ჯიბო სადღობელაშვილმა კარი არ გაუღო. "ბინიდან გაურკვეველი ხმები ისმოდა. კარს არ მიღებდნენ, არც არავინ მპასუხობდა. მოგვიანებით ჯიბო სადღობელაშვილმა მიპასუხა – ივანე აქ საერთოდ არ ყოფილაო", - ასეთი ჩვენება მისცა სასამართლოს გარდაცვლილის მეუღლემ, რომელსაც ქმრის ამბის გაგება ახლობლებისთვის უთხოვია. სადღობელაშვილს ისინი იგივე პასუხით გამოუსტუმრებია ისე, რომ კარი არც გაუღია.

იმ პოლიციელების ჩვენებით, რომლებიც სადღობელაშვილების ბინაში აივნიდან გადავიდნენ და მკვლელი დიდი წინააღმდეგობის შემდეგ დააკავეს, გაირკვა, რომ სადღობელაშვილმა გაშვებისთვის მათ დიდი რაოდენობის თანხა შესთავაზა. სასამართლო გამოძიებამ, ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით, არ გაიზიარა განსასჯელის თავისმართლება, რომ მან დანაშაული სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა და არც ის სიტყვები ჩათვალა ისეთ მძიმე შეურაცხყოფად, რასაც ძლიერი სულიერი აღელვება უნდა მოჰყოლოდა.

მეზობლის მკვლელს სასამართლომ 18-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

---

# აფეთქებებს „მარიოტის„ კონკურენტები აწყობენ

*რუსთაველის გამზირზე, სასტუმრო "მარიოტის" მახლობლად, კვლავ ძლიერი აფეთქება მოხდა. აფეთქება სასტუმროდან 45 მეტრის დაშორებით განხორციელდა.*

არსებული ინფორმაციით, წინა აფეთქებისგან განსხვავებით, ახლანდელი გაცილებით მეტი სიმძლავრისა იყო და აფეთქების ტალღა სასტუმროსკენ გახლდათ მიმართული. ამჯერად, ასაფეთქებლად გამოყენებული იყო გვარჯილა.

ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი.

უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში, მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, საქმე კვლავ 318-ე მუხლით, საბოტაჟის კვალიფიკაციით, აღიძრა. გამოძიების ვერსიით, აფეთქება დაშინების მიზნით განახორციელეს. სამართალდამცველებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია ამფეთქებელთა ვინაობა და ისიც, თუ ვის წინააღმდეგაა მიმართული აფეთქებები.

სასტუმრო "მარიოტთან" მომხდარი აფეთქებების თაობაზე გავრცელდა ვერსია, რომელიც ყველაზე სარწმუნოდაა მიჩნეული. ამ ვერსიის მიხედვით, აფეთქებებს აწყობენ "მარიოტის" კონკურენტი სასტუმროს მეპატრონეთა მფარველები, რომლებიც შავი სამყაროს წარმომადგენლები არიან. აფეთქების მიზანია "მარიოტისთვის" იმიჯის დაცემა და მისთვის კლიენტურის წართმევა. წინა და ახლანდელი აფეთქებების შემდეგ, სასტუმრო "მარიოტი" შეშინებულმა უცხოელმა სტუმრებმა მართლაც დატოვეს.

# პოლიტიკურმა პარტიებმა შევარდნაძეს მუშტი მოუღერეს

პირველი გვერდიდან

ვედრას მხარდაჭერის წერილი გაუგზავნეს. შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი თქვა "აღორძინებამ", რომელიც თემურ ხაჩიშვილს ბათუმში მასპინძლობს.

საერთო აღიარებისთვის შეკრებას აშკარად აკლდა ისეთი სახალხო ლიდერი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, ის, ტრადიციულად, საზღვარგარეთაა. ნაცმოძრაობის წარმომადგენელ ვანო მერაბიშვილს კი მიაჩნია, რომ შეკრებაზე მისული პარტიები გულწრფელები იყვნენ. **"ყველა მონაწილე გულწრფელი იყო იმაში, რომ პოლიტიკური საკითხი პოლიტიკური მეთოდით უნდა გადაწყდეს და ხელისუფლებამ ვერ უნდა მოახერხოს პოლიტიკური პროცესებში კრიმინალების გამოყენება,"** – გვითხრა მერაბიშვილმა.

ახალ ანტიკრიმინალურ ფორუმში ჩართული პოლიტიკური პარტიები ხაზს უსვამენ, რომ ეს არ არის ერთიანი ოპოზიციური კოალიციის შექმნის მცდელობა. **"მთავარი, რაც ამ შეხვედრაზე მოხდა, არის ის, რომ, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ქვეყნის განვითარების უპრინციპულეს საკითხში, ჩვენ დავძლიეთ უთანხმოება და დავდექით ერთად. ირინამ კარგად თქვა, ეს არის ის ერთიანი, შემართული მუშტი, რომელიც მოღერებულია ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ძალადობით შეძლებს პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას,"** – ამბობს "ახლების" ლიდერი დავით გამყრელიძე.

ოთხმოცდათოთხმეტი წლის კონსულტაციების მონაწილე აკაკი ასათიანი ამბობს, რომ საქართველოში უკვე არსებობს პრეცედენტი, როცა ამგვარმა შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღო. "ტრადიციონალისტთა" ლიდერს იმედი აქვს, რომ ამჯერად ამბიციების დაძლევა მოხერხდება. **"მე ძალიან ვნანობ, რომ 1994 წელს გია ჭანტურიას მიერ დაწყებულმა კონსულტაციებმა შედეგი ვერ გამოიღო. ამის საშიშროება, რა თქმა უნდა, დღესაც არსებობს, მაგრამ ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, თუ ქვეყნის მომავალზე ვფიქრობთ. დარწმუნებული ვარ, მაშინ რომ შევთანხმებულიყავით, დღეს სულ სხვაგვარი სიტუაცია იქნებოდა. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი, კანონიერი არჩევნების გზით და არა ტყვიის სროლით,"** – ამბობს აკაკი ასათიანი.

# გოგი თოფაძეს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვს


ჩვენ 495 ხმით გავედით

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ გოგი თოფაძემ საზეიმო შეხვედრა მოუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 495 გამარჯვებულს, რომლებიც ფრაქციის სახელით გამოდიოდნენ. შეხვედრა სადღესასწაულო ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ფრაქციის წევრების გაცნობასა და მომავალი გეგმების გაზიარებას. სეფე სიტყვა გოგი თოფაძემ წარმოთქვა. იგი არჩევნებში მიღწეული შედეგებით გამოწვეულ კმაყოფილებას ვერ მალავდა. მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველა მოწვეულ სტუმარს არჩევნებში თავდადებული ბრძოლისათვის. **"ეს პოლიტიკური ბრძოლა კი არა, უფრო ვანდალიზმი იყო. მე ვიცი, რომ თითქმის ყველა რეგიონში ადგილი ჰქონდა ზეწოლას, შანტაჟს, გადაბირებას და სხვა წინააღმდეგობებს, მაგრამ, ამ ბარიერების მიუხედავად, ჩვენ 495 ხმით გავედით. ეს გამარჯვება ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებმაც მოგვილოცეს და მხარდაჭერასაც შეგვპირდნენ,"** – აღნიშნა "მრეწველთა" ლიდერმა და სამომავლო გეგმებზე გადავიდა. მისი თქმით, სამუშაო შეხვედრები სექტემბრიდან დაიწყება. **"ჩვენ ედემის ბაღს არ ვპირდებით მოსახლეობას, მაგრამ ჩვენი მიზანია იმ მდგომარეობის გამოსწორება, რაც ალვირახსნილი კორუფციისა და უნიათო მთავრობის ბრალია. ჩვენ უნდა ავაღორძინოთ ის დარგები, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უცხო არ არის და საკმაოდ განვითარებულიც იყო. საქართველოს ხსნა არის სოფლის მეურნეობის განვითარება. სხვა პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია. არ უნდა ვაქციოთ ჩვენი ქვეყანა უცხოეთის ნაგავსაყრელად. ეს რომ განხორციელდეს, ამისთვის აუცილებელია პოლიტიკური კლიმატის შეცვლა. ეს არის ჩვენი პოზიცია და ამას მივაღწევთ მაშინ, თუ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით გავიმარჯვებთ,"** - განაცხადა გოგი თოფაძემ. ფრაქციის ლიდერმა ისაუბრა ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს თანხების მიზნობრივად გამოყენებაზეც. **"ბიუჯეტში ჩასმულია 11 მილიონი ლარი, რაც სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას უნდა მოხმარდეს. ჩვენი დიდი მოთხოვნის შედეგად მოხდა ამ თანხის ბიუჯეტში ჩასმა. ვფიქრობ, არის ისეთი პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ასი ან ორასი ათასიც ეყოფა. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ჩვენი რესურსების მობილიზება და ხელი შევუწყოთ საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას,"** – ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოზე დიდი იმედებს ამყარებს გოგი თოფაძე.

სიტყვით გამოვიდნენ და საერთო საზეიმო განწყობა გაიზიარეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებმა. გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის გამოხატვის შემდეგ, გამომსვლელებმა არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევები გაიხსენეს და კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, თუ რის ფასად დაუჯდათ ასეთი შედეგის მიღწევა.

მეგობრული შეხვედრის შემდეგ გოგი თოფაძე სტუმრებს ქართული სუფრით გაუმასპინძლდა.

# აკაკი ასათიანი: „პრეზიდენტს შემოდგომაზე ექნება არჩევანი - ან თვითონ, ან სახელმწიფო მინისტრი"

თამარ ხორბალაძე

**"ხელისუფლება ზის შუშის სამხეცეში. ჩვენ მას ვხედავთ, ისინი ჩვენ გვხედავენ. მაგრამ ის, რომ შუშა გამჭვირვალეა, არაფერს ნიშნავს,"** - განაცხადა გუშინ "ტრადიციონალისტების" ლიდერმა კაკო ასათიანმა; ორიგინალურობა აღარ დაიჩემა და მანაც საქართველოს ხელისუფლებას საშემოდგომოდ მეტად ცუდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

"მთავარი ტრადიციონალისტის" გუშინდელი პრეს-კონფერენციის მთავარი სიახლე ედპ-ს ინიციატივისთვის მხარდაჭერა გახლდათ.



ერთიანი ფრონტი, რომლითაც ოპოზიციამ ხელისუფლებას უნდა შეუტიოს, ასათიანსაც გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად ესახება. ამ ფრონტში (ანუ კოალიციაში), მისი ვერსიით, ვერ გაერთიანდებიან ისინი, ვინც **"მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხზე კენჭისყრისას თავი შეიკავა, ან რეზოლუცია ჩააგდო. დღეს ყველამ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია. დღეს პოლიტიკური სპექტრი ორად გაიყო."**

"ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია"-ს ვარიანტი, რომელიც პოლიტიკაში დღეს თამაშდება, "ტრადიციონალისტურად" ასე "ითარგმნება": "ვინც ჩემთან არ არის, ის შევარდნაძესთანაა. ხოლო ვინც შევარდნაძესთანაა, ის დამარცხებისთვის განწირული პოლიტიკური მტერია."

ასეთი საერთო განწყობით აღჭურვილი აკაკი ასათიანი გუშინ აცხადებდა, რომ შევარდნაძის მიერ ორშაბათის რადიოინტერვიუში გახსენებული "აკაკი ასათიანისეული ტერიტორიული მოწყობის მოდელი" და მისი განხილვა დღეს ვერ გამოდგება იმ სატყუარად, რომელმაც შეიძლება, ძირითადი აქცენტები გადაანაცვლოს.

ძირითადი აქცენტი კი "ტრადიციონალისტებს" მთავრობის სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე აქვთ გაკეთებული.

**"ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი შემოდგომამდე უნდა გადადგას, რადგან შემოდგომაზე ეს პროცესი გაცილებით მძიმე ფორმებს მიიღებს. ოქტომბერ-ნოემბერში შევარდნაძეს უკვე აღარ უშველის ბიუჯეტზე პასუხისმგებელი მინისტრების, ან, თუნდაც, ყველა მინისტრის ერთი ხელის მოსმით შეცვლა. პრეზიდენტს შემოდგომაზე ექნება არჩევანი - ან თვითონ, ან სახელმწიფო მინისტრი... სექტემბერ-ოქტომბერში ჯორბენაძე წავა, ან გაუშვებენ,"** - ასეთია აკაკი ასათიანის პროგნოზი.

**"მესმის, რომ ცვლილებები, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ, გულისხმობს ხელისუფლების შეცვლას. მაგრამ ხელისუფლება უნდა წავიდეს ამაზე. მას სხვა გამოსავალი არ აქვს**," - ამბობს იგი.

"ტრადიციონალისტთა" ლიდერი მიიჩნევს, რომ უნდა შეიცვალოს ტერიტორიული მოწყობის მოდელიც და შემოღებული იქნას პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტიც.

მისი აზრით, სასწრაფოდ უნდა მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა; თუმცა მინისტრთა კაბინეტი მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უნდა დაკომპლექტდეს.

ხელისუფლების მომავალ კრახზე საუბრისას ასათიანისთვის ამოსავალი წერტილია საქართველოს განწირული ბიუჯეტი.

**"შემთხვევით არ უხსენებია მირიან გოგიაშვილს დეფოლტი ოთხშაბათს,"** - ამბობს იგი და ხაზს უსვამს, რომ ფინანსთა მინისტრს კარგად ვერ გაუგეს. ხოლო საკრებულოს ირგვლივ დატრიალებული მოვლენების კომენტირებისას (რაც სამომავლო გამოსვლების წინაპირობად სახელდება), იგი აცხადებს, რომ არც იმას მოუგია რამე, ვინც არჩევნები მოიგო და არც წაგებულს წაუგია რამე.

# შარაძე მორიგ შარს გადაეყარა

## შარი, ამჯერად, სატელეფონო ქსელიდან მოდის

გიორგი ასანიშვილი

***"პარლამენტარის სიტყვას დოკუმენტის ფასი აქვს,"*** *- აცხადებს გურამ შარაძე, რომელმაც, "კაგებესთან" მისი შესაძლო კავშირების გარკვევამდე, პარლამენტის წევრობაზე უარი თქვა, მაგრამ როდესაც სჭირდება, საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნას მაინც სიამოვნებით იყენებს: გუშინ უმანდატო დეპუტატმა პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის სხდომათა დარბაზში, სადაც მისმა 50-მდე მხარდამჭერმა მოიყარა თავი, მიტინგი გამართა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით - იყო მქუხარე ტაში მისი გამოჩენისას და სიტყვით გამოსვლის შემდეგ, მოწვეული სტუმრების მხარდამჭერი გამოსვლები და თანადგომის დაპირებები...*

ამ თავყრილობის მიზეზი გახდა საკმაოდ უცნაური ფაქტი; კერძოდ, "მაგთიკომის" ქსელით გავრცელდა მოწოდება - "სიკვდილი ფაშისტ გურამ შარაძეს, გაუმარჯოს "თავისუფლების ინსტიტუტს!". თავად პარლამენტარის განცხადებით, მესიჯებს, რომლის რაოდენობამაც 10 ათასს გადააჭარბა, აგზავნიდა ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" ("სოროსის ფონდი") და ინტერნეტპროვაიდერი კომპანია "კავკასუს ნეთვორქი".

**"მე სიკვდილის არ მეშინია! ჩემთვის ტყვიას ნუ დაიშურებენ, ოღონდ ქვეყანას და ხალხს თავი დაანებონ!"** - თანამოაზრეების ასეთი პათოსით გამხნევების შემდეგ, გურამ შარაძემ თავად ჯორჯ სოროსთან გამართა დაუსწრებელი პოლემიკა და **"უნგრელ ებრაელს"** შეახსენა, რომ **"საქართველოში სიკვდილით დასჯა უკვე გაუქმებულია".**

შარაძე დარწმუნებულია, რომ ზემოთ აღნიშნული მესიჯების გამავრცელებლები "თავისუფლების ინსტიტუტის" მიმართ სიმპათიით არიან განწყობილნი, თუმცა, "სიკვდილმისჯილი" უშუალოდ "თავისუფლების ინსტიტუტს" ხელს არ ადებს, რადგან **"სხვა რომ არაფერი, 11 ივლისის შემდეგ, მის წარმომადგენლებს, ფიზიკურად, არაფრის თავი აღარ უნდა ჰქონდეთ."**

რაც შეეხება გუშინწინ თავისი იდეური მოწინააღმდეგეების დარბევის ფაქტს, შარაძე აცხადებს, რომ კატეგორიულად ემიჯნება ყოველგვარ ძალადობას, "თავისუფლების ინსტიტუტის" "დაწიოკებას" სამარცხვინოს უწოდებს და ამის ჩამდენთა დასჯას ითხოვს.

იმის დასტურად, რომ მტრებთან ფიზიკურ ანგარიშსწორებას არ აპირებს, შარაძე თავის მხარდამჭერებს სთხოვს, "სოროსის ფონდის" დასჯისგან თავი შეიკავონ და მის ოფისს არაფერი ავნონ.

დეპუტატის ასეთ გულმოწყალებას ფონდის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ყაველაშვილი მაინცდამაინც არ აღუფრთოვანებია. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ "ანტიშარაძისტული" შეტყობინებები მისი ოფისიდან ფონდის არც ერთ თანამშრომელს არ გაუგზავნია.

ფონდის ხელმძღვანელი არ უარყოფს, რომ მესიჯებმა "სოროსის ფონდის" სერვერი, შესაძლოა, მართლაც გაიარეს, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ შარაძის სიკვდილით დასჯის მოწოდება აუცილებლად "ღია საზოგადოებიდან" უნდა იყოს გაგზავნილი.

**"ჩვენს და "კავკასუს ნეთვორქის" ქსელში 3 ათასზე მეტი კომპიუტერია ჩართული - ბიბლიოთეკების, მეცნიერებათა აკადემიის ქსელში შემავალი ინსტიტუტების და ა.შ. კანონიერი გზებით ძნელი არ უნდა იყოს ინფორმაციის პირველწყაროს დადგენა. რადგან ქსელში 10 ათასზე მეტი შეტყობინებაა გასული, ამისთვის, ეტყობა, სპეციალური პროგრამა დაიწერა და ამდენად, ეს ინტერნეტის კარგად მცოდნე ადამიანის გაკეთებულია,"** - აღნიშნავს "სოროსის ფონდის" ხელმძღვანელი.

გურამ შარაძის ბრალდებას არც "კავკასუს ნეთვორქის" ხელმძღვანელობა იზიარებს. ამ კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი პაატა ცაგარეიშვილი, ისევე, როგორც ნიკოლოზ ყაველაშვილი, "24 საათს" უცხადებს, რომ მათი კომპანიის სახელით "მაგთიკომის" ქსელში მესიჯების გავრცელება მათგან დამოუკიდებლად მოხდა.

**"ვიღაც ჰაკერმა პაროლი გახსნა და არალეგალურად იმუშავა. ამის გამო მთელი დღე პარალიზებული ვიყავით. როგორც მომხმარებელი, ჩვენც დავზარალდით და, ამდენად, სიმართლის დადგენა ჩვენს ინტერესებშიც შედის. ეს საკმაოდ შრომამატევადი საქმეა, რამდენიმე დღე სჭირდება და ისიც საეჭვოა, დადგინდება თუ არა დამნაშავის ვინაობა,"** - დასძენს ცაგარეიშვილი.

მიუხედავად იმისა, აეხდება თუ არა ფარდა ამ საქმეს, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ დღეებში ქართული პოლიტიკის გმირიც და ანტიგმირიც გურამ შარაძე იყო. სკანდალები და თავგადასავლები ამ პიროვნებას არც ადრე აკლდა, მაგრამ ივლისის თვეში ატეხილი ხმაურით მან ყველა "კონკურენტი" დაჩრდილა.

# საზოგადოებრივი სექტორი შეშფოთებულია

ვასილ გულეური

"თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისის დარბევის ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისში შეიკრიბნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ შეშფოთება გამოთქვეს მომხდარის გამო და შეიმუშავეს მიმართვის ტექსტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მსგავსი ქმედებები მიმართულია საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის წინააღმდეგ და ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. მიმართვაში, რომელიც სახელმწიფო კანცელარიას და საინფორმაციო სააგენტოებს დაეგზავნა, გორის არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებისგან ითხოვენ უზრუნველყონ საზოგადოების თითოეული წევრის უსაფრთხოება და დაიცვან მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებები.

აღსანიშნავია, რომ გორში, განსაკუთრებით ბოლო თვეების მანძილზე, გახშირდა არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისების გაქურდვის ფაქტები, რომელთაგან დღემდე არცერთი არ გახსნილა. საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები უახლოეს ხანში აპირებენ, შეხვედრა მოაწყონ ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან და მათ ქალაქში შექმნილ მძიმე კრიმინოგენულ სიტუაციაზე პასუხი მოსთხოვონ.

# გამოსავალი - ამომრჩეველთა ელექტრონული სიები

სოფო ბუკია

სახალხო დამცველის ოფისში მომავალ არჩევნებზე ფიქრი დაიწყეს. ამ მიზნით ომბუდსმენის აპარატი ახალი ინიციატივით შემოდის: შეიქმნას დროებითი არასამთავრობო, არაკომერციული, არაპოლიტიკური საკოორდინაციო წარმონაქმნი სახელწოდებით – "საქართველოში დემოკრატიული არჩევნების დამკვიდრების უზრუნველყოფის საკოორდინაციო საზოგადოებრივი ცენტრი", შემოკლებით დემოკრატიული არჩევნების საზოგადოებრივი ცენტრი (დასც).

არჩევნებზე სალაპარაკოდ ომბუდსმენის ოფისში გუშინდელ შეხვედრაზე თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა დაპატიჟეს, მაგრამ მხოლოდ ისინი მივიდნენ, ვინც 2 ივნისის არჩევნებში თითქმის არ ფიგურირებდნენ ან არც თუ ისე გაუმართლათ: "ეროვნული პარტიის" ლიდერი ირაკლი წერეთელი, "სახალხო ფრონტის" ლიდერი ნოდარ ნათაძე, "სახალხო პარტიის" წარმომადგენელი ვანო ხუხუნაშვილი. შეხვედრას "მრეწველი" ვახტანგ ხმალაძეც დაესწრო. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ, რაც დრო გადის, საქართველოში არჩევნები მით უფრო არადემოკრატიულად მიმდინარეობს. მიზეზად ბევრი რამ დასახელდა: გაუმართავი საარჩევნო კანონი, საარჩევნო დარღვევებისთვის დაუსჯელობა, საზოგადოების გულგრილობა და ა.შ. ანუ, ის, რასაც უკვე თვეზე მეტია, 2 ივნისის არჩევნების შემდეგ, მორჩილად ისმენს საზოგადოება.

ირაკლი წერეთელმა ძველი დრო და 1990 წლის არჩევნები გაიხსენა. გაჩნდა საერთო აზრი, რომ საქართველოს საარჩევნო პრაქტიკაში "ყველაზე წესიერი" სწორედ ეს არჩევნები და 1991 წლის რეფერენდუმი გახლდათ. **"მაშინაც იყო დარღვევები, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ ოპოზიციურ ძალებსაც კი არ მოსვლიათ აზრად გაყალბებაზე საუბარი. დღეს ყველა, ვისაც არ ეზარება, გაყალბებულ არჩევნებზე ყაყანებს,"** - აღნიშნა წერეთელმა.

ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ, თუ აშშ-ს მსგავსად, ჩვენთანაც ამომრჩეველთა ელექტრონული სიები იქნება, კარუსელების დატრიალებას და მკვდარი სულებით მანიპულირებას ვეღარავინ შეძლებს. **"ელექტრონული სიები ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ თუნდაც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ამ საქმეში ჩადებული გრანტი, საუკეთესო ინვესტიცია იქნება დემოკრატიის განვითარებისთვის,"** - ამბობს სახალხო დამცველი.

ელექტრონული სიების აუცილებლობას "მრეწველმა" ვახტანგ ხმალაძემაც გაუსვა ხაზი. ის დარწმუნებულია, რომ ამ იდეას თუნდაც ერთი წლის წინ არავინ დათანხმდებოდა, რადგან არსებობდა მყარი უმრავლესობა, რომელსაც ელექტრონული სიები ზედმეტ თავსატეხს გაუჩენდა. **"დღეს არჩევნებით არავინაა კმაყოფილი, ისინიც კი, ვინც კარუსელებს ატრიალებდნენ. თითქმის ყველა ფრაქციის ლიდერი თანახმაა, რომ საარჩევნო სიები კომპიუტერიზებული იყოს,"** - ამბობს ხმალაძე, თუმცა დასძენს, რომ საქმეს არც ეგ უშველის, რადგან იდეალური საარჩევნო კანონიც რომ მივიღოთ, მთელი თავისი სადამსჯელო ატრიბუციით, მაინც არაფერი შეიცვლება, თუ თავად საზოგადოებაში არ გაჩნდება მისი დაურღვევლობის სურვილი. **"40 ათასი ადამიანიდან 20 ათასი კანონს რომ იცავდეს, კანონი არ დაირღვევა. ცნობიერება, განწყობა უნდა შეიცვალოს...**" - დარწმუნებულია ხმალაძე.

**"ელექტრონული სიები? კარგია, მაგრამ არ ვიცი, როგორ მიიღებს ამას საზოგადოება... შეიძლება საზოგადოებამ, მაკარონის გარდა, რეალურად რამე აირჩიოს, მაშინ, როცა ყველა პრინციპი და იდეოლოგი ერთმანეთშია არეული?"** - იკითხა "სახალხო პარტიის" წარმომადგენელმა.

ელექტრონული სიების საწინააღმდეგო არაფერი აქვს ნოდარ ნათაძესაც. მისთვის მთავარია, არჩევნებში ყველა პოლიტიკურ ძალას თანასწორი უფლებები მიენიჭოს.

ელექტრონული საარჩევნო სიების დამფინანსებელმა დიდი ხელგაშლილობა უნდა გამოიჩინოს. ამ პროექტის უზრუნველყოფა რამდენიმე მილიონ ლართან არის დაკავშირებული. ვახტანგ ხმალაძე შეჰპირდა დამსწრე საზოგადოებას, რომ ზაფხულის ბოლოსთვის ზუსტად გაიგებს, რა თანხები დასჭირდება იმ ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელიც დიდ თავის ტკივილს გაუჩენს კარუსელების დამტრიალებლებს.

შეხვედრაზე, არჩევნების პარალელურად, "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის ინციდენტიც გაარჩიეს. ირაკლი წერეთელმა თავისი ცემის ფაქტიც გაიხსენა: - მე ბნელ ქუჩაზე მცემეს და ამ ფაქტს ევროსაბჭოს წარმომადგენლები არ დასწრებიანო.

**"ძალიან გათავხედდნენ. ის, რაც მოხდა, ვანდალიზმია. ამ არასამთავრობოს მიმართ სიმპათიები არასდროს მქონია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. პანტელეიმონ გიორგაძე რომ ეცემათ, ეგეც მეწყინებოდა,"** - გულწრფელად აღშფოთებულია წერეთელი.

**"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევა დამრბევის დისკრედიტაციის მიზნით მოხდა. დამრბევი კი ვინაა? ქართული საზოგადოება. უნდა წარმოაჩინონ, რომ საზოგადოება არის ისეთი ბნელი, რომ ამგვარ რამეებს სჩადის. ხელისუფლებას უნდა, ერი ბრბოდ წარმოადგინოს. იცით რატომ? შემოდგომაზე ხალხი ქუჩაში რომ გამოვა – და ეს გარდაუვალია - ამ ხალხისთვის ტყვიები აქვთ მომზადებული... სპეციალური რაზმები მზადდება საამისოდ,"** - დარწმუნებულია ნოდარ ნათაძე.

www.24hours.ge 24 B


ჟაკ შირაკი


რენატა კუენასტი


ტონი ბლერი


პრინცი ჩარლზი


გერჰარდ შროდერი

## ლუდით შესმული ზაფხულის სადღეგრძელო:

# გაუმარჯოს კარგ ლუდს!

თამარ ბაბუაძე

**ცხელა და მსოფლიოს სწყურია. ოღონდ სწყურია არც ცივი წყალი და არც ანანასის წვენი, არც კოკა-კოლა და არც ჩაციებული ღვინო. მსოფლიოს ლუდი სწყურია. ეს წყურვილი ჯერ ზაფხულის მზემ და ფეხბურთის ჩემპიონატმა გაამძაფრა, შემდეგ უიმბლდონმა და ბოლოს, თანამეგობრობის თამაშებმა. ბუნებრივია, ლუდი თითოეულ მათგანს მეტნაკლებად უხდება, მაგრამ ცივი ლუდით სავსე, გარედან დაცვარული კათხის დანახვაზე ეს აღარავის აინტერესებს, ლუდის წყურვილი ზენიტს აღწევს. ამ დროს ფეხბურთიც უბრალო მიზეზად იქცევა ხოლმე, ჩოგბურთიც და ჭადრაკიც.**

**სწორედ ამ წყურვილის დაკმაყოფილებას ცდილობს მსოფლიო ახლაც, როცა სხვადასხვა ქალაქებში სპეციალურ ფესტივალებს მასპინძლობს. კონტინენტიდან კონტინენტამდე ფესტივალების "ეგიდით" ათასობით ლიტრი ლუდი ისმება.**


მიუნხენის ფესტივალზე ოფიციანტი ბავარიულ ლუდს არიგებს

REUTERS

დავიწყოთ ყველაზე დიდით და გავლენიანით – ამერიკით. ივლისი შტატებში ლუდის თვედ არის გამოცხადებული. თავად წარმოიდგინეთ, ეს რასაც ნიშნავს – შტატიდან შტატში ჩატარებულ ფესტივალებს, შეჯიბრებებს, ქუჩის წვეულებებს. ამერიკელებს ხომ ისედაც უყვართ გასტრონომიული ჩემპიონატები; თუ შეჯიბრი - ვინ უფრო მეტ ჰოთდოგს შეჭამს, წარმატებით ტარდება, ბუნებრივია, არც შეჯიბრი - ვინ უფრო მეტ ლუდს გაანადგურებს, ჩაიშლება. მით უფრო, რომ ზაფხულია და მისი უცვლელი და გარდაუვალი აკომპანიმენტი მზის, ზღვის და პლაჟების მსგავსად, კარგი ლუდიც არის.

ჰოდა, როდ აილენდის ლუდის საერთაშორისო ფესტივალსაც ყველა მსგავსი შინაარსის ფესტივალის დედას უწოდებენ. ღონისძიებას ლუდის 70-მდე ქარხანა მასპინძლობს და ამ სითხის თაყვანისმცემლებს 250 სახის ლუდს სთავაზობს. გარდა დეგუსტაცია-გამოთრობისა, ფესტივალზე ჩასულებს შეუძლიათ, ლუდის ექსპერტებიც გახდნენ და, ნამდვილ სპეციალისტებთან ერთად, წლის გამარჯვებულები გამოავლინონ.

ტემზის ნაპირას კი ლუდის სიყვარულს კულტურული საბაბითაც ამდიდრებენ და საბოლოოდ რედინგში ნამდვილი ელისა და ჯაზის ფესტივალს ატარებენ. ამ საკმაოდ სასიამოვნო კომბინაციის ზეიმი წელს 18 ივლისს იწყება. ლუდის მსმელებს შარშანდელ ფესტივალზე ბობ კერი და მისი Whoopee ბენდი, გრემ ჰიუიტი და High Society Jazz ბენდი ართობდნენ. ორდღიანი საფესტივალო სმა ხშირად პაბებშიც გრძელდებოდა და, თანაც, დილამდე. რა თქმა უნდა, წლევანდელი წელიც მსგავსი სცენარით განვითარდება. ლუდის ბერკშირელი მოყვარულები კი კბილებს უკვე ილესავენ...

პრინციპში, ბრიტანელებს "გადანაწილება" უჭირთ: ელისა და ჯაზის ფესტივალთან ერთად ბრიტანეთში კენტის დღესასწაულიც ტარდება. თანაც, კენტი ბრიტანული ლუდის წარმოების სამშობლოა და მისი ფესტივალიც ინგლისში სიძველით მეორეა. ღონისძიებაზე ლუდს შვიდი საგრაფო წარმოადგენს, მათ შორისაა შემდეგი ქარხნები: Shepherd's Neame, The Kent Garden Brewery, Goachers... სულ ლუდის მოყვარულები 90 სახეობის ნამდვილი ელის არჩევანის წინაშე დგანან. თუმცა, ტრადიციულად ყველაზე დიდ მოწონებას Bishop's Finger და Master Brew იმსახურებს. კენტელებს მშობლიურ სიდრს და უცხოურ ლუდსაც სთავაზობენ. ქალაქი ფესტივალის განმავლობაში მუსიკით, მხიარულებით და, რა თქმა უნდა, ლუდით არის სავსე. კენტერბერის სადგურიდან კენტის მიმართულებით ავტობუსებიც გადის, თანაც, მგზავრებს ფულს არ ახდევინებენ და ლუდის მოყვარულებიც ლუდის მდინარეების შესასმელად უფრო მეტი ენთუზიაზმით მიეშურებიან.

ბრიტანეთს არც საფრანგეთი ჩამორჩება. ბელგიის საზღვართან ერთი პატარა, საპორტო, მეთევზეების ქალაქი კოტ`დ`ოპალი მდებარეობს. ზაფხულობით ამ კოლორიტულ ფრანგულ ქალაქს უბრალო დამსვენებლებთან ერთად ლუდის და თევზის მოყვარულებიც აწყდებიან. 27-28 ივლისს კოტ`დ`ოპალში არნახული რაოდენობის ზღვის ბინადარი და ლუდი ნადგურდება. ალბათ, ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ქართული წეს-ჩვეულებებისგან განსხვავებით, ლუდით შესმული სადღეგრძელო დასავლეთში შეურაცხყოფად არ ითვლება. ამიტომ, კარგი ლუდის გასინჯვით ნასიამოვნები და გაგრილებული ფრანგებიც სიამოვნებით უჭახუნებენ კათხებს ერთმანეთს და მხიარულად და გულწრფელად წარმოთქვამენ: "გაუმარჯოს კარგ ლუდს".

სად, სად და ლუდი ყველაზე უკეთ ირლანდიაში ესმით. ამაზე ე.წ. ლიტერატურული პაბების ზეიმიც მეტყველებს – ღონისძიება, რომელიც 2 აპრილიდან 31 ოქტომბრამდე გრძელდება, ირლანდიელებისათვის ორ ყველაზე საამაყო რამეს – მშობლიურ ლიტერატურას და ლუდს აერთიანებს, ჯოისის, ბეკეტის, შოუს თაყვანისმცემლები ყელს ირლანდიური ლუდით ისველებენ და საკუთარი ირლანდიელობით ტკბებიან. ღონისძიების ცენტრი დუბლინია...

თუ ამერიკა ლუდის თვედ ივლისს აცხადებს, ბრიტანელები ივლისში, კენტში დაწყებულ ზეიმს აგვისტოშიც აგრძელებენ. ლონდონში 6-10 აგვისტოს დიდი ბრიტანეთის ლუდის ფესტივალია დაგეგმილი. ღონისძიებას ლუდის თაყვანისმცემლები მსოფლიოში უდიდეს პაბს უწოდებენ. მართლაც, ფესტივალი ნამდვილი სამოთხეა ლუდის მსმელებისთვის. მთელი ბრიტანეთის მასშტაბით 400-მდე ნამდვილი ელის სახეობაა წარმოდგენილი; ასევე - სხვადასხვა ხორბლის ლუდი, ბიტერი, სიდრი და ლაგერი ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებიდან. კარგ ლუდს ფესტივალის ორგანიზატორები უგემრიელესი კერძების, პაბის ტრადიციული თამაშების, ცოცხალი მუსიკის და აუქციონების აკომპანიმენტსაც უკეთებენ. ფესტივალის მიმდინარეობის პროცესში ლუდის ექსპერტები სპეციალურ გაკვეთილებსაც ატარებენ და ცნობისმოყვარეებს ლუდის დეგუსტაციას თავისი კონსულტაციებით სთავაზობენ. იქვე ბრიტანეთის "ჩემპიონი ლუდის" ვინაობაც ირკვევა. ჯილდოებს რამდენიმე კატეგორიაში გასცემენ: მაილდი, ბიტერი, საუკეთესო ბიტერი, ძლიერი ბიტერი... შარშან ერთ-ერთი გამარჯვებული გახლდათ Jeffrey Hudson Bitter, რომელსაც Oakham Ales უშვებს. თუმცა, ლონდონელები მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ლუდით არ იფარგლებიან. ფესტივალზე ბელგიური, გერმანული, ამერიკული, ჩეხური, იტალიური და ჰოლანდიური ლუდიც ჩააქვთ.

ნუ გგონიათ, რომ ყველაფერი ზაფხულში მთავრდება. ლუდის სეზონი ხომ არასდროს გადის. ზაფხულიდან გამოყოლილი ლუდით ტკბობა სექტემბერში მიუნხენში გრძელდება – იქ მსოფლიოში უდიდესი ლუდის ფესტივალი იმართება. ასე რომ, ლუდის მდინარეები მსოფლიოს მთელი წლის განმავლობაში სერავს. ამ პოპულარული სითხის სიყვარული ხშირად არც წყალდიდობას გამორიცხავს. ლუდის მდინარეებით წალეკვა კი ბრიტანეთის შემდეგ სწორედ მიუნხენს ემუქრება...


ოლივერ კანი


ბიქსენტ ლიზარაზუ და ჯოვანი ელბერი


ფრანც ბეკენბაუერი


კრისტოფ ლანგენი

# ბაკურიანი - 2002 ანუ...

## ქართული ხელოვნების ავანგარდი VS საქართველოს ბიუჯეტის არაკულტურული ინტერესები

მადი სერებრიაკოვა



გიორგი მასხარაშვილის ნახატი

უკვე რამდენიმე წელიწადია ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა ახალგაზრდა შემოქმედთა შეხვედრა-სემინარების ტრადიცია დაამკვიდრა. წინანდალში ჩატარებულ პირველ სემინარს, რომელშიც მონაწილეობა ქართველი შემოქმედი ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა მიიღო, შედეგად კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში დათო საყვარელიძის, ნიკა მემანიშვილისა და მაკა ასათიანის მიერ განხორციელებული გახმაურებული Drama Per Musica (იაკოპო პერის "ორფეოსი და ევრიდიკეს" მიხედვით) და კიდევ რამდენიმე პროექტი მოჰყვა. წლევანდელ შეხვედრაზე დაგეგმილი პროექტების მასშტაბი და მნიშვნელობა კი საგრძნობლად გაიზარდა. დაგეგმილი ახალი ქართული პროფესიული (კლასიკური) მუსიკის დღეების, მხატვარ-გრაფიკოსთა კავკასიური ბიენალეს და სტუდენტური კინოს კონკურსის განსახორციელებლად ბრძოლა კი, ჩანს, იოლი არ იქნება: სემინარის საპატიო სტუმრისა და მხარდამჭერის - კულტურის მინისტრ სესილი გოგიბერიძის მხრიდან პირველი მცდელობა ორიოდ დღის წინ პარლამენტში სკანდალური კონფლიქტით დასრულდა. ახალგაზრდული ხელოვნების დასაცავად მორიგ ღონისძიებებს კი უკვე თავად შემოქმედი ახალგაზრდები მიმართავენ. ახალი პროექტების მხარდასაჭერად ისინი პრეზიდენტისთვის მიმართვას ამზადებენ. უახლოეს დღეებში მათი პირველი საქმიანი შეხვედრა თბილისშიც გაიმართება.

### ახალციხის ჩრდილიდან სტუდენტურ კინოფესტივალამდე

"ბაკურიანი 2002"-მა, რომლის წლევანდელ შემადგენლობაში მწერლები დათო ტურაშვილი, ლაშა ბულაძე, რატი ამაღლობელი, ბასა ჯანიკაშვილი, ნესტან კვინიკაძე, რეჟისორები დათო საყვარელიძე, ლელა ჭინჭარაული, მხატვრები გოგა ჯაფარიძე, პოლინა რუდჩიკი, მუსიკოსები ნიკა მემანიშვილი, ზუმბა, გოგი ძოძუაშვილი და კიდევ სხვა ნაცნობი თუ უცნობი პიროვნება შედიოდა – სტარტი 5 ივლისს აიღო. ახალგაზრდული დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ვოიაჟი ახალციხით დაიწყო. შემთხვევით თუ მიზანმიმართულად, სწორედ 5 ივლისს ახალციხის სახელმწიფო დრამატული თეატრი ევგენი შვარცის "ჩრდილის" პრემიერას გეგმავდა. სპექტაკლს, რომელიც კულტურის სამინისტროს გრანტის საშუალებით განხორციელდა, ახალციხელების გარდა, კიდევ ნახევარი თბილისიც დაესწრო - თავად მინისტრ სესილი გოგიბერიძის "თამადობით".

ახალციხის თეატრში სპექტალკის დადგმა კულტურის სამინისტროს სულ რაღაც 3000 ლარი დაუჯდა, შედეგმა კი – მოლოდინს გადააჭარბა. სემინარის ნამგზავრი, დაღლილი და არცთუ სათეატროდ განწყობილი მონაწილეებიც, რომლებიც იქ სოციალისტური წარსულიდან გამოყოლილ, იდეოლოგიურად დატვირთულ მორიგ სამთავრობო ღონისძიებას ელოდნენ სახტად დარჩნენ სპექტაკლის ხარისხითა და მაყურებლების არაჩვეულებრივი გულწრფელობით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ თავად მინისტრი და სემინარის მონაწილე ახალგაზრდა რეჟისორები და დრამატურგები ბოლოს სცენაზეც აღმოჩნდნენ და ემოციურ მილოცვებად დაიღვარნენ. კომპოზიტორმა ნიკა მემანიშვილმა ისიც კი ისურვა, რომ ახალციხის საპატიო მაყურებლის პრიზი, რომელიც სპექტაკლის ბოლოს სესილი გოგიბერიძემ თეატრის რამდენიმე გულმხურვალე ადგილობრივ მოყვარულს გადასცა – მომავალში მასაც რგებოდა. სპექტაკლის შემდეგ სესილი გოგიბერიძე სემინარის მონაწილეებს ბაკურიანშიც გამოჰყვა და მათთან ერთად პროექტების შემუშავებასა და დისკუსიებშიც მიიღო მონაწილეობა.

ახალგაზრდა ქართველ შემოქმედებთან სესილი გოგიბერიძის საქმიანი შეხვედრა ფინანსთა ახალი მინისტრის ხელმომჭირნეობისა და კულტურის სამინისტროს კომუნისტური ვალების განხილვით დაიწყო. აღმოჩნდა, რომ კულტურის სამინისტროსთვის გათვალისწინებულ საკმაოდ მცირე საბიუჯეტო დაფინანსება სამინისტრომდე ძირითადად არც აღწევს, ანდა თუ აღწევს – ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან დარჩენილი განუხორციელებელი პროექტების დასრულებას ხმარდება. სამინისტროს დღემდე ვალად აწევს დაწყებული 10 ფილმის დასამთავრებელი 240 ათასი, ხელოვნების დაწესებულებების აღდგენა-შეკეთების და მრავალი სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. ამ ფონზე კი ახალგაზრდული ხელოვნების დაფინანსებას ძალიან მცირე შანსი აქვს.

მიუხედავად ამისა, ფარხმალის დაყრას არავინ აპირებს და ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა ჯგუფი სამართლის საძიებლად რკინის ქალამნების ჩაცმასა და პრეზიდენტის შეწუხებასაც არ მოერიდება. ამ მხრივ, სემინარის განმავლობაში ხელოვნების ყველა ძირითად დარგში რამდენიმე პროექტი გამოიკვეთა: მათ შორის პირველს - სტუდენტური კინოს მხარდაჭერის პროგრამას - პატრონაჟი თავად გოგიბერიძემ აღუთქვა.

სტუდენტური კინო (ისევე, როგორც საერთოდ კინო-ინდუსტრია) საქართველოში ჯერ-ჯერობით მხოლოდ დეგრადაციის გზას ადგას. მატერიალური ბაზა და დაფინანსება თანდათან მცირდება, სადიპლომო ნამუშევრებიც კი უმეტესად სტუდენტთა საკუთარი ხარჯებით კეთდება – ეს ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. კინორეჟისორობის პრაქტიკის გარეშე სწავლა კი სრულიად წარმოუდგენელია. ახალგაზრდა მხატვრისა და რეჟისორის გიორგი მასხარაშვილის ინიციატივით (თუმცა "მასხარას" საქართველოში უფრო მისი ტელესერიალ "ძილის წინ"-ში სამსახიობო მოღვაწეობით იცნობენ) გადაწყდა, ყოველწლიური კინო-კონკურსი ჩატარდეს. მასში მონაწილეობას სტუდენტები მიიღებენ, რომლებიც კომისიას მომავალი ფილმის სცენარს წარმოუდგენენ. გამარჯვებული სცენარი დაფინანსდება და რეჟისორს მცირებიუჯეტიანი ვიდოე-ფილმის გადაღების საშუალება მაინც მიეცემა. გაირკვა, რომ ასეთი სტუდენტური ფილმის გადაღება 500-1000 დოლარის ფარგლებშიც შეიძლება. ეს თანხა კინოკონცერნის ვალებისათვის გათვალისწინებულ თანხაზე ათასჯერ უფრო მცირეა, შედეგი კი – ბევრად ეფექტური. თავად გოგიბერიძემაც აღიარა, რომ დასამთავრებელი ფილმების უმეტესობა არანაირ როლს აღარ ითამაშებს ქართული კინოს განვითარებაში და ისინი მხოლოდ დამსახურებული კინომოღვაწეების რეაბილიტაციას ემსახურებიან.

### თანამედროვე პროფესიული მუსიკის ფესტივალი - კლასიკური მუსიკა ისევ მოდაში შემოვა

"აბა, ვინ იცის, ვინ არიან ნათელა სვანაძე, მაკა ვირსალაძე ან ეკა ჭაბაშვილი?" – ამ "ჩამჭრელი" შეკითხვით დაიწყო ვენაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორმა და დირიჟორმა ნიკა მემანიშვილმა ე.წ "მუსიკის დღე" ბაკურიანის სემინარზე. მხოლოდ მუსიკოსებმა გამოიცნეს, რომ ისინი ქართველი კომპოზიტორები არიან, რომლებიც პროფესიული მუსიკაში თანამედროვე სტილით მუშაობენ. თავად ნიკა მათ ნაწარმოებებს მთელს ევროპაში ასრულებს და მათ დიდი წარმატებაც აქვთ. ჩვენში კი "ახალი" პროფესიული მუსიკა დღემდე კაკაფონიად აღიქმება და საკომპოზიციო პროცესიც, ფაქტობრივად, გაწყვეტილი, სადღაც სამოციან წლებში გაყინული, ან უბრალოდ - სრულიად შეუმჩნეველია. მიზეზი მარტივია – კლასიკური მუსიკა "მოდაში" აღარ არის, მსმენელი ან იაფფასიან კონცერტს ირჩევს, ან ბილეთს ვერ ყიდულობს. ახალი მუსიკა ათწლეულებია, თითქმის არ სრულდება და შედეგად მსმენელიც სრულიად მოუმზადებელია ახალი ესთეტიკური ღირებულებების მისაღებად.

ამ დილემის გადაჭრა ერთჯერადი ღონისძიებით, ცხადია, შეუძლებელი იქნება, თუმცა, სემინარის მონაწილე პოპულარულმა ქართველმა ხელოვანებმა გადაწყვიტეს შეგნებული PR-კამპანია აწარმოონ ქართველი კომპოზიტორებისა და, საერთოდ, თანამედროვე პროფესიული მუსიკისათვის მსმენელის დასაბრუნებლად. ამ მიზანს მოემსახურება თანამედროვე ქართული პროფესიული მუსიკის აქცია-ფესტივალიც, რომელიც, სავარაუდოდ, ნოემბერში ჩატარდება. მასში ჩაერთვებიან ადგილობრივი ორკესტრები და სოლისტები, რომლებიც რამოდენიმე დღის მანძილზე მოქმედი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს შეასრულებენ. დაიგეგმა ელექტრონული მუსიკის კონცერტი და კონკურსიც ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორებისათვის. ნიკა მემანიშვილმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, რომ საქართველოში თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორი პიერ ბულეზიც კი - უჰონორაროდ ჩამოვიდოდა. ამ თემასთან დაკავშირებით, უახლოეს დღეებში "24 საათის" რედაქციაში ორგანიზატორებისა და დაინტერესებული პირების საქმიანი შეხვედრა შედგება. იდეის მხარდასაჭერად დათო საყვარელიძემ სემინარის მონაწილეთა პრეზიდენტთან შეხვედრაც კი მოითხოვა. ამ შეხვედრის ორგანიზება კი – თავად ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურა გაიპარაშვილმა ითავა.

თითო დღე თეატრსა და ლიტერატურასაც დაეთმო – თუმცა, მათ კორექტულობა გამოიჩინეს და უპირატესობა მუსიკასა და კინოს, როგორც ყველაზე პრობლემურ დარგებს, დაუთმეს. მწერალთა კავშირისა და "ლიტერატურული საქართველოს" უფუნქციობის დაფიქსირების გარდა, მალხაზ ხარბედიასა და სემინარის საპატიო სტუმრის ბესიკ ხარანაულის ინიციატივით გადაწყდა - პრიორიტეტი ქართული მწერლობისა და დრამატურგიის თარგმნას მიენიჭოს. დასავლეთში თანამედროვე ქართული დრამატურგიის წარმატების მაგალითად ბასა ჯანიკაშვილის ინგლისში დადგმული პიესაც არა ერთხელ იქნა ნახსენები. ადგილზევე გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც. ზუმბას პოლონელმა ცოლმა – მაგდა ნოვაკოვსკა-კორინთელმა, რომელიც ქართულსაც ბრწყინვალედ ფლობს, იქვე გადათარგმნა პოლონურ ენაზე რატი ამაღლობელის რამდენიმე ლექსი.

### მხატვრები კონცეფციის გარეშე გრაფიკოსთა კავკასიური ბიენალე

"მხატვრობის დღე" ყველაზე დაძაბული გამოდგა. აქ რეჟისორები და ლიტერატორები მხატვრებს "დაეჯახნენ", მას შემდეგ, რაც უკანასკნელებმა სამხატვრო თეატრის პროექტი შემოგვთავაზეს, რომელშიც მუსიკოსებთან ერთად პერფორმანსის გამართვა ლიტერატურულ-დრამატურგიული ტექსტის გარეშე გადაწყვიტეს. თეატრის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრობა აქ არა ილუსტრაციული ფუნქციით, არამედ მხოლოდ საკუთარი ენით წარსდგეს და თავისი მხატვრული სამყარო პერსონაჟებისა თუ ინტერიერების გადმოცემით არ შემოფარგლოს. არ ვიცი, იდეის ბუნდოვანების ბრალი იყო, თუ საქმიდან "მოტეხილი" ლიტერატორების გაბრაზების – მაგრამ ფაქტია, რომ საყვარელიძისა და მხატვრების – წინანდლის პრემიის ლაურეატის გიორგი ჯაფარიძისა და საკმაოდ გამოცდილი თეატრალური და მოდის მხატვრის პოლინა რუდჩიკის კამათი ლამის ამ უკანასკნელის გულის წასვლით დამთავრდა. სიტუაციის განმუხტვა ლაშა ბულაძემ მოახერხა, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი იუმორით შუალედური ვერსია შესთავაზა, რომელიც პერფორმანსისათვის არა ლიტერატურული ტექსტის – სცენარის დაწერას, არამედ – კონცეფციის შემუშავებას ითვალისწინებს.

ისაუბრეს გრაფიკოსთა ბედის შესახებაც. გადაწყდა, ამ უკანასკნელთა წასახალისებლად საერთაშორისო ბიენალე გამართონ - ფინანსური პრობლემების გამო კი არეალი მხოლოდ კავკასიით შემოიფარგლა.

### ˝კლასგარეშე˝ რამდენი ავტოგრაფი გასცა ზუმბამ და როგორ თამადობს ლაშა ბულაძე

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პროექტების განხილვისა და მათ გარშემო დავა-კამათისა, "ბაკურიანი 2002"-ის მონაწილეები პრაქტიკულადაც ირჯებოდნენ. მოეწყო კინო-ჩვენება და კონცერტი. განსაკუთრებული წარმატება ამ უკანასკნელს ჰქონდა. კონცერტის შემდეგ ზუმბა, ნიკა მემანიშვილი და სხვა ნაკლებ ცნობილი მონაწილეებიც კი ავტოგრაფებს საათნახევრის მანძილზე ურიგებდნენ ბაკურიანელებსა თუ დამსვენებლებს. ზუმბას გახმაურებულ "ვაშლის გამყიდველის" მორიგი ახალი ვერსიაც მოვისმინეთ და მემანიშვილთან ერთად მოწყობილი დუეტ-იმპროვიზაციაც. გადაწყდა, რომ ხალხურ მოტივებზე შექმნილი კონცერტი თბილისშიც გამეორდება და მწერლისა და პროდიუსერის ბასა ჯანიკაშვილის მოწვევით "ქართული ჩანაწერების" სტუდიაში მისი ჩანაწერიც განხორციელდება. ასე რომ, ბაკურიანის კონცერტი შეიძლება ახალი ქართული მუსიკალური ალბომის საფუძველიც გახდეს.

"ბაკურიანი 2002"-ის განმავლობაში, ახალგაზრდა ქართველ ხელოვანებს მხოლოდ თეორიული და პრაქტიკული სახელოვნებო მუშაობით არ გამოუჩენიათ თავი. ჯერ იყო და, სემინარის დასაწყისში ბორჯომის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად გამართულ სუფრაზე წარმოუდგენელი მხიარულება გამოიწვია ამ უკანასკნელთა სერიოზულმა მცდელობამ სტალინისა და შევარდნაძის სადღეგრძელოები ეთქმევინებინათ ახალი ქართული კულტურის მოამაგეებისთვის. სემინარის დასასრულს კი თამადის პოსტი ლაშა ბულაძემ ჩაიგდო ხელთ, და სმასთან მწყრალად მყოფი სკანდალური მწერლის სათამადო დებიუტი ქართული ჭამა-სმის ისტორიაში ყველაზე მხიარული სუფრით აღინიშნა. მეორე დღეს თანამესუფრეები მუცლის კუნთების ტკივილს, ხოლო ბულაძე - ხმის ჩახლეჩვას უჩიოდა.

# სასწავლო ცეკვები ჩინოვნიკურ ნანგრევებში

## „ან სახელმწიფოს ძალისხმევით უნდა გადავარჩინოთ ბალეტი, ან იგი საერთოდ დაიღუპება„ - აცხადებს თამაზ ვაშაკიძე

დავით ბუხრიკიძე



სარეპეტიციო დარბაზი

იური ლობოდინის ფოტო

თუ ვინმე ქორეოგრაფიულად გულანთებული ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ჭაბუკიანის სახელობის სასწავლებლის შენობას მიაშურებს, ეს ნიშნავს რომ აპრილში მომხდარ მიწისძვრას კიდევ ერთხელ იგრძნობს "ლაივში". ეს არც მოკრძალებულ ხიბლს ნიშნავს და არც შეუძლებელის წარმოდგენას. შენობა თითქმის კატასტროფულ მდგომარეობაშია – ინგრევა ჭერი, სახურავი, დახეთქილია კედლები... და ეს ნიშნავს, რომ 270 ბავშვსა და მოზარდს, რომლებმაც ტერფსიქორასთან უკვე მოასწრეს დამეგობრება, შეიძლება ჭერი ყოველწუთს თავზე ჩამოენგრეს. მდგომარეობა იმდენად დრამატულია, რომ ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის, თამაზ ვაშაკიძის განცხადებით "შენობა დანგრევის პირასაა და საქართველო, შესაძლოა, დიდი ტრადიციების მქონე საბალეტო სასწავლებლის გარეშე დარჩეს. ეს კი მომავალი თაობის დაღუპვას ნიშნავს."

XX საუკუნის დასაწყისში იტალიელი ემიგრანტის, მარია პერინის მონდომებითა და ძალისხმევით დაარსებული ქორეოგრაფიული სტუდია (შემდგომ სასწავლებელი), რომელშიც თავის დროზე ვახტანგ ჭაბუკიანი, ალექსანდრე ჯავრიშვილი და ნინო რამიშვილი სწავლობდნენ, ბევრჯერ იმყოფებოდა სირთულეების წინაშე. თუმცა კატასტროფისათვის თვალებში მას ასე პირდაპირ არასოდეს ჩაუხედავს. უშნოდ და საბალეტო ენაზე რომ ვიხუმროთ, მიწისძვრა "გედის ტბის" ბოროტი პრინცი აღმოჩნდა, რომელმაც ჩვენი გაუმაძღარი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ბედისწერისაგან კრედიტი არ აილო და არც შენობა დაინდო...ჩანს, ჩვენი ნერვებისა და მათი სინდისის გამოსაცდელად.

ისეთი დახვეწილი ფუფუნება, როგორიც ბალეტია, დეფოლტირებულ ხელისუფლებას დაუხვეწავ ფეხებზეც აღარ ჰკიდია. ეს დაადასტურა სამთავრობო სხდომაზე გათამაშებულმა სცენამაც, რომელზეც აცრემლებული კულტურის მინისტრი ზოგადად კულტურის უმწეო მდგომარეობას ადასტურებდა. სახელმწიფოებრივად "მონდომებული" ფინანსთა მინისტრი კი არ ჰგავდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი დრამის გულგრილ პერსონაჟს. დრამა ლოგიკურად მომწიფდა: წლების განმავლობაში ფსევდოპრაგმატული თეორიის ქადაგება, თითქოს სახელმწიფოს უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება სჭირდება, ხოლო ადამიანის ცნობიერებასა და კულტურას თავისთავად მოევლება, მირიან გოგიაშვილის მოკრძალებულმა ცინიზმმა დაასრულა: "როცა ქვეყანა დეფოლტის წინაშეა, მე თქვენ კინოს ვერ დაგიფინანსებთ".

რასაკვირველია, როდესაც ხელისუფლება მსგავს დამოკიდებულებას ამკვიდრებს ერთ დროს მითოლოგიურად შერაცხული ქართული კინოსადმი, გასაგებია, რომ იგი საბალეტო კლასიკის ანბანს ვერ გააცნობიერებს. იქნებ, არც არის საჭირო. როდესაც საბალეტო ფუფუნებაში მყოფმა საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დროზე ვახტანგ ჭაბუკიანი სანიმუშოდ დასაჯა, რატომ უნდა მოვთხოვოთ ქორეოგრაფიაზე განსაკუთრებული მზრუნველობა საბიუჯეტო კრიზისით მოწამლულ "ეროვნულ" ხელისუფლებას. თუმცა ჩვენთვის ერთი ძალიან კარგად ცნობილი პოლიტიკოსი ამტკიცებდა, რომ კულტურა საქართველოს გადაარჩენსო...

ქორეოგრაფიული სასწავლებელი, რომელიც დღეს დანგრევის პირასაა სწორედ ჭაბუკიანის სახელს ატარებს და ეს არცაა შემთხვევითი. 70-80-იანი წლების თაობა; ნინო ანანიაშვილი, იგორ ზელენსკი თუ ირმა ნიორაძე იმ ეპოქაში სწავლობდნენ, როდესაც ბალეტი საკავშირო მასშტაბით წახალისებული იყო; როდესაც საბჭოთა მითოლოგია "მძინარე მზეთუნახავებით" და "გედის ტბით" იკვებებოდა.

ბოლო წლებში ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ყოფნა - არ ყოფნის საზღვარზე მოუწია ყოფნა. მიზეზი თითქოს გასაგები იყო. ჯერ ეროვნულ ხელისუფლებას ქამარ-ხანჯლით უნდოდა პუანტებიანი პრინცები აეცეკვებინა, შემდეგ კი "დემოკრატიულმა სიცარიელემ" იძულებით მოინდომა, რომ სპექტაკლები დაახლოებით ოთხ წელში ერთხელ დადგმულიყო, ვთქვათ, "სიმფონიური ცეკვები". ავტორი კი, ცნობილი ქორეოგრაფი გოგი ალექსიძე პეტერბურგში გადახვეწილიყო და საცეკვაო სამწყსო უპატრონოდ დაეგდო.

აღზრდა-განათლების პროცესი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიწისძვრის შემდეგ შეიძლება იოლად ჩაიშალოს. საკმარისია ხელმძღვანელობამ ვერ გამოძებნოს შესაბამისი სივრცე, რომ ბავშვები, შესაძლოა, ქუჩაში აღმოჩნდნენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში სასწავლებლის დირექტორმა თამაზ ვაშაკიძემ როგორღაც გამოაცოცხლა პროცესი, ხან აღმა ირბინა, ხანაც დაღმა და სწავლის პროცესი გაყინული წერტილიდან დაძრა.

აპრილის მიწისძვრა თითქოს ბოროტ ხუმრობას ჰგავდა, რომელმაც არა მხოლოდ ჩაშალა სასწავლო პროცესი, არამედ გამოააშკარავა წლობით მიჩქმალული პრობლემა –განვითარებულიყო საბაზო-საბალეტო განათლების სისტემა. თამაზ ვაშაკიძე აღნიშნავს, რომ სექტემბერში, შესაძლოა, სწავლა არც განახლდეს: "მე ვერ ავუხსნი ბავშვებს, რატომ არ შეიძლება სწავლის განახლება, როდესაც სასწავლებელს დირექტორი ჰყავს. არადა, რამდენიმე ბავშვმა რამდენიმეჯერ სინქრონულად რომ გაირბინოს სარეპეტიციო დარბაზში, შეიძლება კედლები ან ჭერი ჩამოინგრეს."

ვაშაკიძემ ლამის ყველა ინსტანცია მოიარა, მაგრამ დახმარება სიტყვიერ დონეს არ გასცდენია. კულტურის მინისტრი თუ ოპერის დირექცია ცდილობენ ნუგეშის ცემას და არა პრაქტიკულ დახმარებას. პრინციპში, სამინისტროს თავისი გასჭირვებია: დაუმთავრებელი ან გაწელილი პროექტები, ქრონიკული უსახსრობა და, რაც მთავარია, სრული გულგრილობა სახელმწიფოს მხრიდან. რაც შეეხება ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციას, დასის სტაგნაციის გამო არ შეუძლია რეალური შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა. მიუხედავად ამისა, ოპერის დირექციას მაინც შეეძლო სასწავლებლისათვის დროებით მაინც დაეთმო სარეპეტიციო დარბაზები, მაგრამ რატომღაც ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა. კულტურის მინისტრი თავადაც აქტიურადაა დაინტერესებული, შენობის გარეშე დარჩენილი მოსწავლეები სხვადასხვა სკოლებში ჩამოარიგოს, მაგრამ ეს მხოლოდ არასისტემატიზებულსა და ქაოტურს გახდის სასწავლო პროცესს. მოკლედ, საშველი არ ჩანს. ქორეოგრაფიული სასწავლებლის ასობით მოსწავლე, მათი მშობლები და დირექტორი კი რომელიმე კერძო "პრინცისა" და სასწაულის იმედად რჩება... სასწავლო ცეკვები ნანგრევებში ჯერ არ დაწყებულა!

# ბზა დაუთმეთ „სმარტფონს“!

თამარ სუხიშვილი

90-იან წლებში მთელ მსოფლიოში მობილური ტელეფონების ბუმი დაიწყო. მაშინ ამ ტელეფონებს შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ მობილური ისეთი უცხო ხილი იყო, სჭირდებოდა თუ არ სჭირდებოდა, ყველა ეშურებოდა ახალი აპარატის შეძენას.

ახალმა საუკუნემ მობილურ ტელეფონებს "ახალი სული შთაბერა". დღეს ბავშვებსაც კი არ ჰყოფნით სასაცილოდ ძველი მოდელები და მათ ლამის სამუზეუმო ექსპონატებივით უყურებენ, ისევე როგორც გრამოფონს ან თუნდაც ფირსაკრავს. თანამედროვე ფიჭურმა ტელეფონმა დღეს უკვე ახალი ფუნქციებიც შეითავსა და ყოველდღიური საქმიანი საუბრებისა თუ ლაზღანდარობის გარდა, ბევრად უფრო სერიოზული დანიშნულება აქვს. თანამედროვე მობილური უკვე აღარ ხუმრობს და ჯიბის კომპიუტერსაც სერიოზულ მეტოქეობას უწევს.

დღეს საკომუნიკაციო სისტემაში ახალი შესაძლებლობა გაჩნდა. ეს არის "სმარტფონი", სპეციალისტთა განმარტებით - სატელეფონო-საკომუნიკაციო სისტემის ავტომატიზაციის პროგრამების სრული პაკეტი. "სმარტფონის" სერვერი უნივერსალური საფოსტო სერვერია, რომელთან დაკავშირებაც შესაძლებელია როგორც ფაქსითა და ტელეფონით, ასევე კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Exchange Client-ისა და Microsoft Outlook-ის საშუალებით.

ახალ მობილურ ტელეფონს – "სმარტფონს" ბევრი რამით შეუძლია დაიტრაბახოს. მას უფრო მეტი ინფორმაციის შენახვის საშუალება და უფრო მეტი გამოთვლითი ძალა აქვს, ვიდრე სხვა მობილურ ტელეფონებს; რაც შეეხება კომუნიკაციას, მან ჯიბის კომპიუტერს, PDA-საც კი გაუსწრო. "სმარტფონი" მალე ყველასათვის სასურველი აპარატი გახდება.

"სმარტფონი", როგორც მისი სარეკლამო კამპანიის წარმომადგენლები გვაცნობებენ, ჯერჯერობით ოპტიმალური საშუალებაა, მასში შერწყმულია კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის დადებითი თვისებები. თუ ფინანსური ან სხვა მოსაზრებების გამო მომხმარებელს მობილურ ტელეფონსა და კომპიუტერს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს, ისიც ალბათ "სმარტფონზე" შეაჩერებს ყურადღებას.

მობილური ტელეფონების მომხმარებელი თანამშრომლებთან კავშირის დაჭერას ყველაზე უკეთ "სმარტფონის" საშუალებით მოახერხებს. ამგვარი "სათამაშოს" წყალობით აღარ დაგჭირდებათ იმაზე ფიქრი, თუ სად შეაერთოთ კომპიუტერი, თბილისის მაცხოვრებლებს კი აღარც იმაზე მოუწევთ მარჩიელობა, გამორთავს თუ არა დენს თელასი.

"სმარტფონის" ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო Nokia Communicator 9100, მაგრამ დღეს ბაზარზე ამგვარ ჰიბრიდთა სხვა თაობა წამოვიდა. ახალი მოდელები, რომლებშიც დამონტაჟებულია კალკულატორი, მაღვიძარა, და ა.შ. და რომლებსაც აქვთ ინტერნეტ-სერვისიც, ძალიან მოხერხებულია – ის ისეთი პატარა და კომპაქტურია, რომ ჯიბეშიც ადვილად ეტევა, კლავიატურაც კომფორტულია და აპარატი ლამაზი დიზაინითაც გამოირჩევა. წლევანდელ მოდურ იასამნისფერ, ცისფერ თუ ლურჯ სათვალესთან ერთად მისი ლაჟვარდისფერი ეკრანი მოდის მიმდევრებსაც დააინტერესებს.

საინტერესოა "სმარტფონის" მენიუც. ეს ტელეფონი თავისუფალ დროს ნამდვილად არ მოგაწყენთ, ყველა მათგანში მინიმუმ ოთხი თამაშია დამონტაჟებული.

მართალია, "სმარტფონებს" ჯერ გარკვეული პრობლემები აქვთ სიჩქარესთან დაკავშირებით, მაგრამ დროთა განმავლობაში ამასაც მოევლება.

როგორც იქნა, გაყიდვაში გამოვიდა Smartphone Samsung SPH-I300. მისი მახსოვრობა 8 მეგაბაიტია. ამ მოდელის შეძენა ევროპის ბაზარზე უკვე შესაძლებელია. ერთი ცალის ფასია 500$.

მოკლედ რომ ვთქვათ, "სმარტფონი" კომუნიკაციის ისეთი საშუალებაა, რომელიც ნებისმიერი თქვენგანის ცხოვრების სტილს მოერგება. ასეთ რეკლამას უკეთებს "სმარტფონს" სარეკლამო კამპანია, მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია: ჯერ გასინჯეთ, მერე განსაჯეთო, ამიტომ სანამ თქვენი თვალით არ ნახავთ, კომპიუტერს მაინც ნუ გადააგდებთ.



# გზა და უფსკრული

*სანქტ-პეტერბურგის გამომცემლობა "აზბუკამ", "აზბუკა კლასიკას" სერიით, გამოსცა ოთარ ჭილაძის რომანი "გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" (მთარგმნელი ელიზბარ ანანიაშვილი). ეს ამ რომანის მესამე რუსული გამოცემაა. წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: "ოთარ ჭილაძე - 1999 წლის ნობელის პრემიის ნომინანტი, პროზაიკოსი და პოეტია. და ეს სიტყვები უბრალო ეპითეტები არ არის. მისი პროზის ფენომენი ძნელად ასახსნელია: ერთნი მას მითოლოგიურ რეალიზმს უწოდებენ, მეორენი - მაგიურს. ასეთი პროზის ქსოვილი მოქსოვილია ცოცხალი, მარადმიმდინარე დროისა და ისტორიის მხურვალე ნაკადისგან, რომელშიც მითი და სინამდვილე, წარსული და მომავალი ერთდროულად თანაარსებობენ. შეიძლება იმის დაზუსტება, რომ ეს პროზა ქართველის დაწერილია სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ის მსოფლიოს ეკუთვნის და დაღდასმულია მარადისობის ბეჭდით. რაც, არსებითად, ნუგეშითა და იმედით გვავსებს ჩვენ".*

*წიგნს ახლავს ცნობილი რუსი კრიტიკოსის ლევ ანინსკის წინასიტყვაობა, რომლის ქართულ თარგმანსაც ამჟამად გთავაზობთ.*

ლევ ანინსკი

*პირუტყვული თავისუფლებით გალაღებული ცხვარი უფსკრულისკენ მიიძოვდა ბალახს.*

ოთარ ჭილაძე,
"გზაზე ერთი კაცი მიდიოდა"

რა გზებით მივიდა თავის პირველ რომანამდე ცნობილი პოეტი-სამოციანელი, რანაირ ბალახებს აგროვებდა, რომელ მინდვრებზე? აი, ამ შეკითხვას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავიდანაც და მერეც, როცა პირველ რომანს მეორე მოჰყვა, ისიც მითოლოგიური ბუნებისა ("ყოველმან ჩემმან მპოვნელმან..."), მეორეს კი - მესამე ("რკინის თეატრი") და ყველასთვის ნათელი გახდა, რომ სწორედ რომანი-მითი (სიმბოლურად მორგებული მიმდინარე რეალობას) იყო მთავარი მიღწევა არა მარტო 70-80-იანი წლების ქართული პროზისა, არამედ, საერთოდ მეოცე საუკუნის დასასრულისა და, იქნებ, მთელი ასწლეულისაც.

ლიტერატურისმცოდნეობაში აღმოჩენასავით გავრცელდა აზრი იმის თაობაზე, თუ რა სწრაფად გამოეხმაურა ქართული პროზა ლათინური ამერიკიდან წამოსულ მოდას... რის პასუხადაც, ლიტერატურულმა პიმენებმაც უმალ დააზუსტეს, რომ კოლუმბიელ რომანისტს ქართველი პოეტი ვერ წაიკითხავდა, თუმცა, გარსია მარკესმა "ასწლიანი სიმარტოვე" ხუთი წლით ადრე დაამთავრა, ვიდრე ოთარ ჭილაძემ - თავისი პირველი რომანი, მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში, როცა ოთარ ჭილაძე თავის რომანს წერდა, გარსია მარკესი ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი... ეტყობა, ქართული სული ლათინოამერიკული სულის კვალდაკვალ კი არ მომწიფდა მითოლოგიური რეალიზმისთვის, არამედ - პარალელურად და დამოუკიდებლად.

კოლუმბიელი ჭილაძეს არ წაუკითხავს, მაგრამ გერმანელი ხომ წაიკითხა! "იოსები და მისი ძმები" სწორედ 70-იანი წლების დასაწყისში ითარგმნა რუსულად. მერე და, რა? თომას მანმა გავლენის ქვეშ კი არ მოიქცია, რწმენა განუმტკიცა, დაარწმუნა, სწორ გზაზე რომ მიდიოდა კაცი - და მართლაც, გარდა ჟანრების წმინდა ნომინალური მსგავსობისა, აქ ხომ ყველაფერი სხვანაირადაა! არაფერს არ ცვლის ის ამბავიც, თუკი არგონავტების მითი სხვა დროსაც გამოუყენებია ვიღაცას. ოთარ ჭილაძესთან, დამატებით, დედალუსი და იკაროსიც არიან მოხმობილნი, და რომანის ფინალში, ფარნაოზის დასჯის სცენა სახარებისეულ ჯვარცმას ეხმიანება, ხოლო, ვანელების თავს დამტყდარი უბედურებები იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებას გვახსენებს უნებურად, და არც დარიაჩანგის ბაღია ბიბლიური ედემის გაუთვალისწინებლად გაშენებული...

მაგრამ მაინც შეუძლებელია, ერთ გვერდზე დატეული მითიდან მილიონობით ბეჭდური ნიშნის შემცველი რომანი ამოიღო! რომანი პირადი გამოცდილებისგან იბადება, ხოლო, მედეას, იაზონისა და აიეტის ძალად ბებიაქალობა, ბიძობა თუ ნათლიობა, მხოლოდ ეხმარება ავტორს, კიდევ უფრო თამამად მოწყდეს საყოველთაოდ ცნობილს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას წერდა ამ თემაზე ევრიპიდე, სენეკა და კორნელი - ოთარ ჭილაძის რომანი იქმნებოდა და მოიაზრებოდა სრულიად სხვა კონტექსტში.

მაინც რომელ კონტექსტში?

უკბილო ხუმრობად თუ არ ჩამითვლით, ის წარმოიქმნა... სოციალისტურ რეალიზმთან კონტექსტში. თავისთავად ამაზრზენი და, ამასთანავე, საკმაოდ საგრძნობი და ფრიად ნაყოფიერი დამოკიდებულების შედეგად. ოთარ ჭილაძე, როგორც პოეტი, ტყუილად როდი ამობრწყინდა ვარსკვლავად "სამოციანელთა" ცის კაბადონზე სწორედ გვიანდელი საბჭოური ყაიდის "სახალხო ეპოპეების" თანამიმდევრული ოპოზიციის ეპოქაში. გადავიდა რა პოეზიიდან პროზაზე (ანუ, ლირიკული, პირადი გულისწყრომიდან ღირებულებათა ფუნდამენტურ გადასინჯვაზე), ოთარ ჭილაძემ ფაქტიურად ზეამოცანა წაართვა თავის ოპონენტებს (ანუ, არა უბრალოდ სულის ცხოვრების, არამედ ყველა შესაძლებელი სიმდიდრით გამოვლენილი - ხალხის ცხოვრების გადმოცემა დაისახა მიზნად). ამასთანავე, ზეამოცანის გადაწყვეტისას, ის უპირველეს ყოვლისა, საყოველთაოდ დადგენილს დაუპირისპირდა: შემოწმებული სოციალური ტიპები ფოლკლორულმა მითოლოგემებმა შეცვალა, დროის კონკრეტულ-ისტორიული ნიშნები - დემონსტრატიულად დროებითმა კატეგორიებმა, ზუსტი და რეალისტურად გაწონასწორებული ნაწერი - ნებაზე მიშვებული თვალით დანახულმა, ერთმანეთში აღრეული წვრილმანების ნიაღვარმა, მსუყე ფუნჯით დახატული, კიდევ უფრო გამომწვევად რომ დაუპირისპირდა ოდესღაც "ომი და მშვიდობიდან" სოციალისტური რეალიზმის მიერ ამოხაპულ სქემებს.







ამ თვალსაზრისით, ოთარ ჭილაძის პირველი რომანი 70-იან წლებში აღიქმებოდა მოწიფული საბჭოური კულტურის ფუფუნებად, ჭარბ სიმდიდრედ (თუკი მხედველობაში მივიღებთ სიტყვიერი ქსოვილის სიკაშკაშეს, სიუხვესა და "თავშეუკავებლობას") პროზაიკოსის პალიტრისა, რაც თავის მხრივ, პოეტური სიშლეგითა და თვითნებურობით მუხტავდა რომანს. ხოლო 80-იან წლებში ოთარ ჭილაძის პროზა (უკვე მთელი ტრილოგია და არა მარტო პირველი რომანი) აღიქმებოდა უაღრესად ეროვნულ და წმინდა ქართული გამოცდილების ჯერ კიდევ გამოუყენებელ მარაგად, რომელსაც შეეძლო ბაზისად დასდებოდა დამოუკიდებელ სულიერ კულტურასა და სუვერენულ სახელმწიფოებრიობას... თუმცა, რაიმე გამოყენებითი "პოლიტიკის" გამოტანა ჭილაძის ტექსტებიდან ყოვლად შეუძლებელია - მაშინაც და ახლაც.

მით უფრო საინტერესოა მისი რომანის გადაკითხვა დღეს, ახალი ასწლეულის წინ, როცა ქართველთა სულიერმა დამოუკიდებლობამ უკვე განვლო რომანტიული ცდუნება ზვიადიზმისა და ამ დამაბრმავებელი გაფრენის შემდეგ, დამამწუხრებლად მიწიერი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ არც ეს არის მთავარი. მთავარია, რომ უახლესი დროის ქართული მითოლოგიური ეპოსი შემოგვიბრუნდა არა როგორც თავისთავად უნიკალური სიგიჟის ეპიზოდი (რომანის ნამდვილი სიუჟეტი ხომ სიგიჟის ისტორიაა ფრიქსედან ფარნაოზამდე), არამედ - როგორც პრეისტორიული ჭეშმარიტებების მომლოცველი კაცობრიობის ნაბიჯი - ინდუსტრიული სიგიჟისგან გადასარჩენად. ამ მომლოცველობის გლობალურობა გვაფიქრებინებს, რომ მსოფლიო "მონდეალისტურ" დრამას ვერანაირ ნაციონალურ "გამოქვაბულში" ვერ დაემალები.

ოთარ ჭილაძეს შეუძლია გვიპასუხოს: ფიქრი სხვაა, ცხოვრება კი - სხვაო. ფიქრში ინახება ის, რაც სინამდვილეში დიდი ხანია აღარ არსებობსო...

სრული სიმართლეა - მყარად რეტროსპექტული ეპოქისთვის. მაგრამ იქამდე, გაფრენებისა და პერსპექტივების ეპოქაში, ფიქრი სწორედ იმას ცნობდა და ელოლიავებოდა, რაც ჯერ კიდევ არ არსებობდა.

უფსკრულის პირას შემდგარი, ოთარ ჭილაძის საყვარელი გმირის ვაჟიშვილი (იგივე საყვარელი ვაჟიშვილი ბერძენი დედალუსისა) ცდილობს, მოწყდეს მიწას და გაფრინდეს. მამა კი ეჩურჩულება, ჯერ ადრეა გაფრენაო, ჯერ ქვეყანა ასეთი უნდა გახდესო.

- მაგრამ ის ხომ ახლაც ასეთია - ეუბნება ვაჟიშვილი.

- ხო, ასეთია და ასეთი იქნება ყოველთვის.

ამთავრებს რა ამ ფრაზით რომანს, ოთარ ჭილაძე ნეიტრალურ წერტილში აფიქსირებს სულიერი სეისმოგრაფის ისარს, იმის გაურკვევლად, თუ რა არის იქ, გამკვრივებულ ნალექში: მფრინავი ფიქრი თუ მყარი მიწა. რისკი თუ გარანტია. გზა თუ სახლი. შეიძლება, ასეც ვთქვათ: ბედი თუ ბუნება? სწორედ ერთმნიშვნელოვანი პასუხის არარსებობა გვაიძულებს, კვალდაკვალ მივყვეთ ტანჯვის გზაზე მიმავალ კაცს.

საიდან მოდის ის კაცი - აი, პირველი, რის გაცნობიერებასაც გვთავაზობენ თავიდანვე.

ის კაცი ვანიდან მოდის.

ლეგენდარული კოლხების დედაქალაქი, თუკი ბერძნულ მითში ყოჩაღი იაზონის შესაძლებლობათა გამოსავლენად ჩნდება, აქ - ათვლის წერტილია. მიუხედავად მთელი თავისი მითოლოგიურობისა, ამ ხატში რეალური კოლხეთის ნაკვთები და სურნელებაც შეიცნობა, ქართული შეგნებით აღდგენილი, როგორც მარადიული ეროვნული ფასეულობა. ეს არის დაუდგრომელი ხალხის ქვეყანა, სადაც ყველანი ერთმანეთთან ურთიერთობის სიხარულით ცხოვრობენ; სადაც კარი არ იკეტება; ჭორიკნები ენებს იფხანენ და მეზობლები განუწყვეტლივ ქირდავენ ერთმანეთს. ვანელები ბოროტებიც არიან და კეთილებიც, მშვიდებიც და ბრაზიანებიც, თავგანწირულნიც და ცბიერნიც, როგორც მთელი ადამის მოდგმა, ოღონდ იუმორის განსაკუთრებული გრძნობით დაჯილდოებულნი, უფრო სწორად კი, მარად მზად მყოფნი გულიანად გადასახარხარებლად, სულერთია - ვისზე და რაზე, საკუთარი თავის ჩათვლით. უხარიათ, როცა ზღვა ეტლაშუნება მათ ნავსადგურში უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ გემებს, და ოხუნჯობენ, როცა ზღვა უკან იხევს და ამყრალებულ ჭაობს უტოვებს ქალაქს. როგორც პოსეიდონს მოეპრიანება, ისე იქნება. ღმერთები წყვეტენ ყველაფერს, ადამიანი კი ითმენს და იმედოვნებს. ასე იყო ყოველთვის და ყოველთვის ასე იქნება. ვანელები დროს ვერ ამჩნევენ, გნებავთ, არ აღნიშნავენ, რადგან მათ სამყაროში დრო არც რამის საზომია და არც საფუძველი თანამიმდევრული შემთხვევებისა, თუმცა ყოველი წამი და ყოველი შემთხვევა დასაბამიერი გარდუვალობაა ყველასთვის.

თქვენ ამ ქვეყანას გაცილებით ნათლად ხედავთ, რადგან ყველა მისი ნიშანი უცვლელია და ყველა მისი პერსონაჟი სამუდამოდ შესისხლხორცებული თვისებით გვევლინება, როგორც ფოლკლორულ სიმღერაში. თუკი მალალო "შავთვალებაა", მხოლოდ ამ ნიშნით შეუძლია ტექსტში გამოჩენა, მხოლოდ თანშეზრდილ ეპითეტთან ერთად. ღვინის ვაჭარი ბახა, როგორც თხრობის დასაწყისშივე ზის თავის საყვარელ სკამზე, მუხლებს შორის ჩადგმული ჯოხის მომრგვალებულ თავზე ხელებდაწყობილი, ასე იჯდება უკანასკნელ გამოსვლამდე. ბურბუშელის სურნელით გაჟღენთილ ბოჩიასაც ბოლო გვერდამდე უშიშრად დაასხდებიან მკერდზე კოდალები. ხოლო ბედია, სულ ასე, მხარზე თოკის გორგალგადაგდებული ივლის. კუსა კი, თავისი აჟღრიალებული ტომრით... თუმცა, კუსას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ჯერ კი, ისევ ვანისა და ვანელების შესახებ.

ისტორიული დრო არ არსებობს, არ არსებობს თავი და ბოლო ცხოვრებისა, ისევე როგორც წარსული და მომავალი; ყველაფერი წრეშია მოქცეული; ბავშვები შეუმჩნევლად იზრდებიან; უფროსები ჩუმად იხოცებიან და ახალგაზრდებს უთმობენ ადგილებსა და როლებს. თუმცა, ჩუმად კი არა, ზოგჯერ, ფრიად ხმაურიანადაც: სიკვდილი და სიცოცხლე იმდენად ჩვეულებრივად ენაცვლება ერთმანეთს, მათ შორის არსებითად მცირე სხვაობაა, ღვინის ვაჭარი ბახას სიკვდილიც ისევე ამხიარულებს ვანელებს, როგორც ვილაც ფარნაოზის უცნაური ახირებები, გამოქვაბულში რომ აპირებს ცხოვრებას... ანდა გაფრენას... ანდა კიდევ, რაღაც ამგვარი სისულელით ცდილობს მყარად უძრავი სამყაროს დარღვევას.

გვახსენდება თომას მანი: კაცი ზღვის პირას მიდის და ხედავს, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ჩნდებიან კონცხები ჰორიზონტზე - ეს ისეთი ისტორიული ჰორიზონტია, როცა ძნელი გასარკვევია, რომელი პერსონაა ამოფარებული ლეგენდარულ სახელს: ის შეიძლება პაპის პაპაც იყოს და შვილთაშვილიც...

ოთარ ჭილაძეც, დიდი გერმანელივით, მაცდური სიმშვიდით აცოცხლებს ამგვარ მითოლოგემებს; ერთთანაც და მეორესთანაც სიმშვიდე ვერაგულია.

**ნამდვილი და მარადიული ცხოვრება სწორედ ასეთი მარტივი ხმებისა და საგნებისგან შედგებოდა, როგორიც ნაჯახის ხმა, მამლის ყივილი თუ ჭერზე გარინდული მორიელის ჩრდილია...**

მკითხველს, რომელმაც იცის ემოციური კრიპტოგრაფიის ფასი, განსაკუთრებით კი ისეთი პოეტური სტილისტისა, როგორიც ოთარ ჭილაძეა, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩება ეს ჩრდილი, ანუ, ეს მომაკვდინებლად შხამიანი გაიძვერა, თითქოს შემთხვევით შემოფრენილი მარადიულ სამოთხეში. რასაკვირველია, ეს "სუფთა რეალისტური" დეტალია სუბტროპიკული ყოფისა, მაგრამ, სინამდვილეში, ჩვენს წინაშე "სუფთა" რეალიზმი კი არა, მითოლოგიური რეალიზმია, თანაც პოეტის ხელით ხორცშესხმული. როცა მეფის ასულს (არადა, მეფის ასულებს ამ ქვეყანაში ტაშტით დააქვთ თეთრეული მდინარეზე გასარეცხად და აბსოლუტიზმის დროინდელი მეფეების ყაიდაზე კი არ იწყობენ თავიანთ ეზოებს, არამედ ყველა დროის ჩვეულებრივი გლეხებივით), ჰოდა, როცა მეფის ასულს ეშინია, მის ღობეს ვინმემ წნელი არ შეატეხოს, თქვენ ამას წმინდა პოეტურ სახედ აღიქვამთ. წნელი იმ ჩიტს ერითმება, რომელიც თავის ფარღალალა ბუდეს **ოცნების ლერწმისგან** იშენებს და **ცოდვის ტალახით** ლესავს... შეიგრძენით ლეიტმოტივი: წნელი ტყდება, ბაღი ქრება; ზუსტად ასეა - ერთი მოტეხილი ტოტის გამო დარიაჩანგის მთელი ბაღი კვდება, უდაბურდება - ეს არის ცენტრალური პოეტური სახე რომანისა, საბაზისო მითოლოგემა, ეროვნული სამოთხე, უფსკრულის პირას გაშენებული: თითს დააკარებ და ყველაფერი დაინგრევა.

თუკი ყველაფერს აქვს თავისი მარადიული, მისთვის განკუთვნილი ადგილი... მაშინ **საკმარისია ოდნავ შეარხიო, გადაადგილო, ანდა შეცვალო რომელიმე, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ნაწილი ამ ქვეყნისა და ყველაფერი აირევა, აფორიაქდება და ირგვლივ ქაოსი დაისადგურებს.**

იგრძენით?

ქვეყანაა თუ მირაჟი?

მირაჟი ნებისმიერ შინაგან ბიძგისგან ქრება.

პირველი ბუნებრივი საფრთხე ამ თვითკმაყოფილი ქვეყნისთვის, უცხოს გამოცხადებაა. უცხო გაუბედავად მოდის, ჯერ მორიდებულად უჭირავს თავი, თავშესაფარს თხოულობს და მადლობელია შეფარებისთვის. მერე, ცოტას რომ გაშინაურდება, გამხიარულდება კიდეც, ლაღია და ხაზგასმულად უზრუნველი, ამაყად თავაწეული დადის და ნადირივით აკვესებს თვალებს: მარჯვე, სწრაფი, იღბლიანი... მართალია, ბეწვის ხიდზე მიდის, ყოველ წამს შეიძლება ჩაინთქას უფსკრულში, მაგრამ მაინც საფუძვლიანად მკვიდრდება.

ყველა ეს თვისება, გნებავთ, ყველა ეს სტადია უცხო გარემოში შემოჭრისა, შეგვიძლია ამა თუ იმ გმირის სახეს შევუფარდოთ, ვთქვათ, ფრიქსეს, ანდა იაზონს. ასევე შეგვიძლია შევუფარდოთ კოლხეთისკენ "სამარადისოდ" დაძრულ "ტალღებსაც", "უსასრულობიდან" რომ ამოზრდილან იმავე თომას მანის კონცხების მსგავსად... ოთარ ჭილაძე იმდენადაა მიჯაჭვული ამ საბედისწერო საფრთხეს, შეუძლებელია არ ვიკითხოთ: საიდან მოდის ის?

როგორ თუ საიდან! - საბერძნეთიდან.

იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც რომანის მხატვრული რეალობა არგონავტების მითის მატრიცზე იგება და იმიგრანტის როლსაც ბერძენი ასრულებს, - ამ უბედურების სათავეც კუნძულ კრეტაზე მოიაზრება, სადაც "მეფეთა მეფე" მინოსი ზის და თავის ვერაგულ ქსელებს აბამს... მისი ხრიკების სივერაგე მართლაც გააკვირვებდა კაცს, თუკი უახლესი ისტორია არ ეცოდინებოდა: მინოსი ფრიქსეს დამპყრობლად კი არ აგზავნის კოლხეთში, ანდა მზვერავად, არამედ ... საბრალო ობლად, გადასარჩენ კრავად, ნაშვილებ და მარად მადლიერ ნათესავად... მოკლედ, მინოსის სურვილია, ბერძნებს კოლხეთში თავიანთი ბუდე და საფლავი ჰქონდეთ. ახალი ისტორიის მცოდნე იოლად აღმოაჩენს პარალელებს: გერმანიის იმპერიას ფოლკსდოიჩები ჭირდება ევროპის ყველა კუთხეში, რუსეთის იმპერიას - რუსული დასახლებები. ნახევარი საუკუნის წინ, კოსოვოს მხარეში ალბანელების მიერ შექმნილმა "ბუდეებმა და საფლავებმა" კიდევ ერთ მინოსს მისცა საბაბი ბელგრადში დაებომბა სერბები... როგორც ათასი წლის წინ, კრეტელმა მინოსმა დაძრა კოლხეთისკენ თავისი არმადა.

წარმომიდგენია, რამდენი გეოპოლიტიკური ბომბი იქნებოდა დეტონირებული ამ სიუჟეტში, მართლა რომ ხიბლავდეს ოთარ ჭილაძეს ამგვარი ალუზიები. მე მგონი, მას სხვა დონის პრობლემები აინტერესებს. უცხოს ხატიც, განუწყვეტლივ რომ აკაკუნებს კოლხეთის კარზე, იმიტომ არ დაუყუდებია ამ კართან, მხატვრულად რომ დაიცვას თავისი, ანდა საკუთარ უმწეობაზე იღრიალოს საქვეყნოდ; აქ გაცილებით საინტერესო ფილოსოფიური აზრია ჩადებული.

ჯერ ერთი, უცხოებად მხოლოდ კოლხეთში დამკვიდრებული ბერძნები კი არ გვევლინებიან, არამედ კოლხებიც, თანამემამულეთა მიერ განდევნილნი ანდა შიდა ომს გარიდებულნი და საკუთარი სურვილით გახიზნულნი კრეტაზე, რათა იქ, მინოსის ფრთის ქვეშ, მონატრებულ სამშობლოზე სევდა-წუხილით ლოღონ ემიგრანტული პური.

მეორეც ერთი, ოთარ ჭილაძისთვის ამ უბედურების სათავეში მხოლოდ იმპერატორი მინოსი კი არ დგას, არამედ მთელი ხალხი, კრეტელები, უბრალო ადამიანები, რომლებიც სიხარულით ეგებებიან მორიგი ლაშქრობიდან ნადავლით დაბრუნებულ თავიანთ ხომალდებს და გული წყდებათ, როცა ხელცარიელნი ბრუნდებიან ისინი. ეს ხალხი აძლევს ჭერსა და კერას ("ბუდეებსა და საფლავებს") მრავალრიცხოვან პოლიტემიგრანტებს, ლტოლვილებსა და იძულებით გადმოსახლებულებს.

როგორც ჩანს, ხალხი კოლხეთშიც და კრეტაზეც ხალხია - ძალები გათანაბრებულია.

და მესამეც ერთი, დავუბრუნდეთ არგონავტების მითს და თავს შევეკითხოთ: მაინც როგორ შეძლო იაზონმა თავისი ყალთაბანდობის გატანა? როგორ მოახერხა ამ მომხიბვლელმა არამზადამ, ჯერ აიეტის სასახლეში შეჭრომა და ოქროს ვერძის აწაპვნა, მერე კი, შინ ღირსებით დაბრუნება და, რაც მთავარია, "მეფეთა მეფის" გაცურება, რომელსაც ეჭვიც არ ეპარებოდა, მის წარგზავნილს ნაწილ-ნაწილ რომ გაგლეჯდნენ კოლხები, რაც მშვენიერი საბაბი იქნებოდა მისთვის, შეზღუდული კონტინგენტის იქ გადასასროლად.

როგორ და, მხედველობიდან გამორჩათ მედეა, რომელსაც იაზონი შეუყვარდა.

ეს არის არსებითი თავისებურება ჭილაძისეული სტილისა, რაც ისევ და ისევ ჭეშმარიტ პოეტად წარმოაჩენს ავტორს. ეპიკური სიუჟეტი ერთ მხარეს ვითარდება

# ლიტერატურული ქრონიკა



(დავარქვათ ამ მხარეს გეოპოლიტიკური), ხოლო, ინტონაციურ ლეიტმოტივებს, ლირიკულ ობერტონებს, სიტყვების ამოუწურავ აზრობრივ შარავანდებს საპირისპირო მხარეს გადააქვთ თქვენი შთაბეჭდილება, ანუ, ანტიჟღერადობას ქმნიან, მართალია, უხმოსა და უხილავს, მაგრამ ბედისწერასავით გარდუვალს.

ამგვარ უკუდინებებშია ოთარ ჭილაძის პროზის მხატვრული საიდუმლო. ვიღას არ ამასხარავებენ თავისშესაქცევად მხიარული ვანელები, მაგრამ მათ სიცილში ცრემლი გამოსჭვივის ყოველთვის. უბედურება ღრუბელივით ადგათ თავზე, სიგიჟე უჭამთ სულებს, დახოცილთა ძვლები სამოთხის ბაღის ხეებზე დაკიდულ ტომრებში ჩხრიალებენ - და ყველაფერი ეს ერთი სიტყვით, "სიყვარულითაა" ახსნილი და გასპეტაკებული.

თავად ეს სიტყვა რომანის აზრობრივ ველზე უბედურების აღმნიშვნელ ცნებებთანაა შეუღლებული. სიყვარული - დამღუპველი ცოდნაა მარადისობისა და უსაზღვროების წყვდიადს გამოგლეჯილი საიდუმლოებისა და სასწაულებისა. სიყვარული - მუხანათობაა, გზაა აღსასრულისკენ. სიყვარული - დამცირებაა, გათელვაა, გახელებაა, მრისხანებაა, დაბნეულობაა. ეს არის ცოდვა, ვნება, ტანჯვა, განსაცდელი... სიბრიყვე, ბოლოს და ბოლოს. ეს არის სიძულვილი, სიყვარულისგან ძნელად გასარჩევი. და კიდევ - სიკვდილია! შეყვარებული გმირი ქალი "სარკის წინ კეკლუცობს" და "ერთსა და იმავეს" მღერის, მღერის იმას, რაც "ემღერება", და კაცმა რომ თქვას, ამისთვის ვერც გაამტყუნებ. მაგრამ მაინც რას მღერის ამისთანას?

მე და შენის სიყვარულსა

რა გაჰყრის სიკვდილის მეტიიი...

მაგრამ, მიუხედავად იმისა, შეყვარებულ ადამიანს ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი, ტკივილი და უბედურება რომ უსაფრდება, მან მაინც საკუთარ თავზე უნდა იწვნიოს ყველაფერი. რატომ?

იმიტომ, რომ ესაა სიყვარული.

მაგრამ ოთარ ჭილაძის ეს საკვანძო ცნება სიღრმისეულად არც სიძულვილთან არის დაკავშირებული, არც სიბრიყვესთან და არც დაღუპვასთან. მისთვის სიღრმისეულია, რომ “მან დაკარგა ოცნების უფლება - ოცნებისა და სიყვარულისა”.

თქვენ გგონიათ, "ოცნება" ტივტივაა და "სიყვარულს" მიეხმარება ამოყვინთვაში?

სრულებითაც არა. "ოცნება" საწაფია, რომელიც სიყვარულს ძირავს. სიზიფეს ლოდია, რომელიც უნდა ათრიო. ჯვარია, რომელსაც არათუ საკუთარი ნებით ეზიდება ადამიანი, არამედ დაეძებს კიდეც.

კი მაგრამ, რატომ?

იმიტომ, რომ ოცნებაა.

სიყვარული, ოცნება და საიდუმლო - აი ცნებები, რომელთა წმინდა მომხიბვლელობაც შეუმჩნევლად შემოატრიალებს ადამიანს საიმედო, მიჩვეული, ტრადიციული ცხოვრებიდან გაურკვევლობისკენ. და ის იწყებს თავის გზას, მიდის გზაზე, მირბის უფსკრულის თავზე გაბმულ ბეწვის ხიდზე...

ალბათ სწორედ იმ უფსკრულის თავზე გარბის, რომლისკენაც ძოვა-ძოვით მიიწევს უზრუნველი, მხიარული ცხვრების ფარა...

“გრძნობს, მთავარი ამ საიდუმლოში შეღწევაა...”

ამას გმირი გრძნობს. ხოლო ავტორი-მთხრობელი, რომელმაც "ყველაფერი" იცის თავისი გმირისა, ასევე გრძნობს აუცილებლობას, ერთხელ კიდევ შეუტრიალოს სიტყვას თვალის ბროლი:

**მისი სული მშვიდია, რადგან არ იცის სიმართლე.**

პირველი ფრაზა ფარნაოზს ეხება, ჭკუიდან გადამცდარ განდეგილს (რომელიც, სხვათა შორის, სწორედ სიყვარულმა შეშალა), მეორე კი - აიეტს, კოლხეთის ყოვლისშემძლე მეფეს, რომლის ლომისებური ბუხუნი ერთნაირად ათრთოლებდა სასახლის კედლებსაც და ქვეშევრდომთა გულებსაც.

ერთ-ერთი ლაიტმოტივი რომანისა - ყოვლისშემძლის უმწეობაა. აიეტი, მრისხანე მბრძანებელი, განუზომელი ძალითა და მქუხარე ხმით, თავად ომის ღმერთის სადარი, რომანის ფინალში, საკუთარი დაცვისგან ნაღალატევი, თოკით გაკოჭილი და ბავშვივით აღნავლებული მიჰყავთ გაურკვეველი მიმართულებით... უხეირო, დიდი მეომარი, ურიცხვი მტრის განმგმირავი თავისი უტყუარი შუბით, სიცოცხლის მიწურულს, ფეხებგადამტვრეული წევს ლოგინში და ყაისნაღით ქარგავს აფრისხელა ტილოზე თავისი ძველი გმირობების საგას. ფარნაოზი... თუმცა, ის თავიდანვე განწირულია სიყვარულისთვის, ანუ დასაღუპად, და მთელი მისი ძალ-ღონე მხოლოდ იმისთვისაა თავმოყრილი, რათა გაუძლოს. მისი ძლევამოსილი უმწეობა ხომ დანარჩენთა უმწეო ძლევამოსილების ანარეკლია.

"აიეტი", "უხეირო" და "ფარნაოზი" - რომანის ამ სამ ნაწილშია განწოვილი დრამის მოქმედება, რომლის არსიც სათაურშივეა განცხადებული... ეს სათაური შეიძლება ცოტა მძიმე მოგვეჩვენოს, მაგრამ, ამავე დროს, თავისებურად სათნო ჟღერადობაც აქვს. ყოველ შემთხვევაში, ასეა რუსულ თარგმანში (საერთოდ, ელიზბარ ანანიაშვილმა, როგორც თარგმანის კლასიკოსს ეკადრება, ვირტუოზულად გადმოარუსულა ქართული ორიგინალი). მოვუსმინოთ ამ კეთილხმოვან ჟღერადობას:

"გზაზე ერთი კაცი მიდიოდა"...

რატომ მიდიოდა? რა დაჰკარგვოდა? რას ეძებდა? თანაც, იმ გარემოში, სადაც ის ცხოვრობს, გზა კი არა, ამგვარი ცნებაც არ უნდა არსებობდეს. უაზრობაა ვიკითხოთ, საიდან გაჩნდაო, რადგან იქ რომ "სიმართლე იცოდნენ", დრამა აღარ იქნებოდა. არ იქნებოდა მთელი ეს ისტორია. არ იქნებოდა, სწორედ ასეთი რომანი.

და მაინც: რატომ უნდა გაუჩნდეს ბალახის ძოვით გართულ ფარას (ანდა ყოჩს, ფარის მცველად რომ მოაქვს თავი), უფსკრულში ჩახედვის სურვილი? დედალი ცხვრები მაკდებიან და მრავლდებიან, მათთვის მთავარია, არ ამოვარდნენ დადგენილი წრებრუნვიდან. ყველაფერი ცალკეული ინდივიდის ჩარევის გარეშე ხდება თითქოს. უფრო სწორად, ინდივიდიც ბევრს აკეთებს: აჩენს, აშენებს, კლავს, ანგრევს, მაგრამ თავს არ იტკიებს იმის გარკვევით, სად არის სათავე არსებული წესრიგისა და მოელება თუ არა როდისმე ამ წესრიგს ბოლო. დიდი-დიდი, თავისთვის თქვას: “თავი იგივე ბოლოა, ბოლო - იგივე თავიო.”

მაგრამ ვინ წარმართავს დროის გარეთ არსებულ ქვეყანას?

"რა თქმა უნდა, ღმერთები - გიპასუხებთ ნებისმიერი ვანელი - თუკი რამ ხდება, მხოლოდ ღმერთების სურვილითო". ხოლო, სხვებზე ჭკვიანი დაამატებს: "ყველა ღმერთი ერთნაირია, ძლევამოსილიც და დამარცხებულიც და, სინამდვილეში, ერთი და იგივე არსება განასახიერებს ყველასო"...

წამიც და, ჭკვიანი ვანელი უფსკრულშიც ჩაიხედავს. ამიტომ, ბრძენი ავტორი თავად იღებს ინიციატივას. ის ასეთ ფორმულას გვთავაზობს: "ღმერთები და ბუნება", რის მერეც მყარად დგას ბუნების, ამ უნივერსალური განსაზღვრების მხარეზე. ბუნებაც საკვანძო სიტყვაა. განსაზღვრება კი არა, შედედებული ენერგიაა. ენერგიის ლეკერტი. ნაპერწკლებს ისვრის. **ვერავითარი ძალა ვერ აღუდგება წინ ბუნების ჩანაფიქრს... ჯიუტი ბუნება სიკვდილს ვერ ეგუება... ბუნებამ კუსა ფარნაოზის ჯალათად შექმნა...** და კიდევ: **ბუნების საიდუმლოებათა ცოდნა მამაკაცის ხელში იგივეა, რაც გიჟის ხელში ხანჯალი.** მთავარი გიჟი რომანში, შეგახსენებთ, ისევ ის ფარნაოზია.

ამ პოლუსების (ნაპერწკლების მფრქვეველი ამ კონტაქტების) შეერთებისას, ჩვენ ერთდროულად ვადევნებთ თვალს მოძრაობის ლოგიკასაც და სიტყვის მუსიკასაც, მაგრამ უფრო დაჟინებით მაინც იმ კონტრაპუნქტსა ვართ მიჩერებულნი, სადაც ლოგიკა და მუსიკა ელექტროწრედს ქმნიან, თითქოს ერთმანეთის უარყოფის ნიშნად.

როგორც კი პირველ ნაბიჯს გადადგამს ინდივიდი საიდუმლოს ამოსახსნელად, მაშინვე სიგიჟის გზას დაადგება. და მაინც ამ გზაზე მიდის, რადგან ადამიანია.

რა აიძულებს ადამიანს, წაჰყვეს გზას?

ოცნება... ფიქრი... ბედი... - უკვე მოვსინჯეთ. ნებისმიერ პასუხზე სიტყვები მზესუმზირებივით ტრიალდებიან რომელიღაც საერთო აზრის სათავისკენ, რაზეც მხოლოდ ერთი რამ შეიძლება გარკვევით ითქვას: ამ გზაზე ადამიანი **იფერფლება**, მაგრამ სხვანაირად ვერ იგრძნობს თავს ადამიანად.

და მაინც, რა ამოძრავებს ადამიანს?

ღმერთების ნებაო - ამბობს ადამიანი თავისთვის. ავტორი კი - ბუნებაო. მაგრამ მხატვრული შთაგონების მთელი სისტემა გვანიშნებს, რომ ადამიანს **არაფერი** ამოძრავებს, ანდა ამოძრავებს **რაღაც** - რაღაც გაურკვეველი, რაც სჯობს არ გაირკვას (ანუ არ ჩაიხედო უფსკრულში). ესეც ბედისწერაა. უბრალოდ იბადება "ბედისწერა", რაც იგივე დაპირისპირებაა უფერულ-უზრუნველ არსებობასთან.

თუკი ვანელების ქვეყანაში დრო უთავბოლოდ-უგრძნობლად-უსასრულოდ მიედინება, მაშინ ვიღაცა მაინც უნდა მოსწყდეს ამ წრიულ დროს და გადასახლდეს პირადულსა და გამოზომილ დროში. აი, ამგვარი დროის შეგრძნება უჩნდება ფარნაოზსაც, ინოს საბედისწერო, უიმედო და მომაკვდინებლად სახიფათო სიყვარულით განგმირულს, იმ ჭორფლიანი და კიკინებიანი გოგოს სიყვარულით, **რომელსაც ერთი სული აქვს, როდის გაიქცევა მშობლიური სახლიდან, რათა ბრმად და განუკითხავად მიენდოს შეყვარებულს, თუმცა, მხოლოდ ერთხელ ჰყავს ნანახი და წესიერად არც დალაპარაკებია.**

ანუ, არ იცნობს იმას. აბა, რა უბიძგებს იმისკენ? იგივე, რაც იმას - მისკენ, **რაღაცა...** ანდა **არაფერი.** უკეთესი იქნება, თუკი ვიტყვით: თავად სისტემა, რომელშიც ის **რაღაც** არ არის.

თუკი ვანელების გუნდური ყოფისთვის ორი ფორმაა დამახასიათებელი: მხიარული ბრბო და მაძღარი ფარა (ვარიაციით: დაწიოკებული ბრბო და მშიერი ფარა), ბუნებრივია, სწორედ ქვეყნის ამგვარ მდგომარეობასთან დასაპირისპირებლად ეთიშებოდეს "გუნდს" ცალკეული პიროვნება, თავისი ინდივიდუალური ტრაექტორიის შემოსახაზად. ეს უკვე ზღურბლია, რომელსაც უკან ვეღარ გადმოაბიჯებს, სისტემა არ მიიღებს, იმიტომ, რომ ის - სისტემის უარყოფაა. სისტემას უარყოფს ამ ფაქტით და ამ ნაბიჯით, ანდა, კიდევ უფრო უკეთესად თუ ვიტყვით - სირბილით. რადგან იმ კაცის დანახვა ყოველთვის სიცილის გუნებაზე აყენებს ნორმალურ ვანელებს, თუმცა, ღმერთმა იცის, საით დაუღერებია თავი, საით გარბის უგზოუკვლოდ და უკანმოუხედავად. საძოვარი საიმედო წიაღია, გზა კი - ნაბიჯების ჯაჭვია და ყოველი მათგანი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს; გაურკვევლობაში ჩამავალი კიბეა - ჩატყდება ბოლო საფეხური და მერე აღარაფერია სიმარტოვის, წყვდიადისა და სიცივის გარდა.

"ღმერთმა იცის, საით" და "არაფერი" - საკვანძო სიტყვებია ამ გზის აღსაწერად. თუკი ბრბოში, ხალხში, სახლში თბილა და სინათლეა, მაშინ რა ძალა უბიძგებს ადამიანს, დაადგეს იმ გზას, სადაც ერთი არასწორი ნაბიჯი ბედს ცვლის და ერთი მოტეხილი წკნელი საერთოდ ცხოვრების ბაღის დაღუპვას ნიშნავს?

ბედისწერის ბრძანება. ბედის წერილი. დანიშნული სასჯელი. დანაშაული. შემთხვევითობა... ოთარ ჭილაძე სიტყვებს არჩევს და ყველაზე ხშირად სიტყვა **თავისუფლებას** აწყდება.

თავისუფლებისა ხალხს არაფერი გაეგება, როცა ყველანი ერთნაირად თავისუფლები არიან.

- ბიძაჩემო - (ეუბნება კუსა ფარნაოზს) - აი, ერთ დღეს, ვინმემ რომ დაიძახოს, ვანელებო, გვეყოფა მონობაო... ამის დამძახებელს ვანელები თავს გაუჩეჩქვავდნენ (და გაუჩეჩქვეს კიდეც! - როგორც ოთარ ჭილაძე აღწერს თავის მომდევნო რომანებში).

ჯერ კი, კუსა გამომწვევად "უკუსავს" თვალებს ფარნაოზს და ამართლებს თავის სახელს:

- მართლა რომ გაბედოს და დაიძახოს ვიღაცამ, ყველანი მონები ვართ, მაგრამ მე აღარ მინდა მონობა და, კეთილი ინებეთ, ცოლშვილიანად გაწყდით ჩემს გასათავისუფლებლადო, შენ როგორ მოიქცეოდი, ბიძაჩემო?

ეს, ალბათ, ერთადერთი ადგილია ოთარ ჭილაძის პირველ რომანში, როცა თავს უფლებას აძლევს, აშკარად გამოეხმაუროს რევოლუციურ-პროკლამაციურ ეპოქას საბჭოეთის ისტორიაში. ჯერ 1973 წელიც არ ჩამოთავებულა, როცა ეს ყველაფერი იწერება.*

ფარნაოზმა არ იცის, რა უპასუხოს კუსას გადაკრულ სიტყვას, თუმცა, სწორედ თვითონაა ის "ვიღაცა", აქეთკენ "მოწოდებაა" მთელი მისი არსება, საქციელი... მაგრამ განა მე ვიცი, მკითხველმა? არა, უნდა ვაღიარო, ავტორისა არ იყოს, მეც "არ ვიცი". არ ვიცი, რა არის მიზეზი და რა არის შედეგი. ან ფარნაოზის განწირულობაა იმის მიზეზი, სურვილი რომ გიჩნდება "წმინდა" ეროვნული შეგნების პრეისტორიულ სიღრმეებში ჩაშვებისა, ან არქაული შეგნების განწირულობა აიძულებს ავტორს იმ უფსკრულში ჩახედვას, რომლის გასწვრივაც ფარნაოზი დაეხეტება.

თუმცა, სიტყვა "განწირულობას" ოთარ ჭილაძე მაინცდამაინც არ ეტანება.

შემოხაზავს რა აზრობრივ წრეს შეშლილი ინტელიგენტის ირგვლივ, სრულ განკარგულებაში უტოვებს (მასაც და ჩვენც) სიტყვა "ბედს", ზუსტად ისევე, როგორც მონური ფარის შემომხაზველი აზრობრივი წრეა შეკრული სიტყვა "ბუნებით".

ვიდრე ვარკვევთ, რომელია "უკეთესი": ბუნება თუ ბედი, - ჩვენც, გმირთან ერთად, ჯვრის ამ ტოლ ფრთებზე ვართ გაკრულნი, ამოცანის ამოხსნა კი გრძნობებისთვის შეგვიტოვებია. ნებისმიერი სიტყვა, ნიშანსვეტად რომ აღმართულა გზაზე, რომელზედაც კაცი მიდის, ვნებებითა და წინათგრძნობებითაა გაჟღენთილი და ამ ვნებებსა და წინათგრძნობებშია ჩამარხული მთავარი არსი.

ოცნება? ფიქრი?

ოცნება - უძლიერესი ემოციურ-აზრობრივი შენადედია. აიეტს არ მოსწონს, მეოცნებედ რომ იზრდება მისი ნაშიერი. ხმამაღლა ოცნება - ბოდვაა. არყოფნის უფსკრულიდან და წყვდიადიდან ევლინება ამ ქვეყანას შეშლილი დედაკაცის საშოს ნაყოფი - მისი ოცნების ქმნილება. კიკინებიანი გოგონა მხოლოდ ოცნებაა შეურაცხყოფილი, გაუბედურებული ბიჭისა. ურჩევნია თავი მოიკლას, ვიდრე თავი გადასჭამოს ხალხს ტყუილი ლაპარაკით, რის შედეგადაც მსმენელთა გულებში ოცნება იბადება. ადამიანს უფლება არა აქვს საკუთარ ფიქრსა და ოცნებაზე...

მიხვდით? აქ გადის ხიდი, რომლითაც "ოცნება" გადარბის "ფიქრში". ჩვენც ერთხელ კიდევ გადავიდეთ ამ ხიდზე:

**მამის სიახლოვე** (ესე იგი, ფარნაოზისა. შვილსაც ინდივიდუალიზმის მოურჩენელი სენი აქვს შეყრილი - ლ.ა.) **ამ დამალულ, ეშმაკურად გატრუნულ ფიქრს ოცნების იერს აძლევდა...**

იგრძენით ურთიერთმიზიდულობა? ოცნებითაა შენიღბული ფიქრის სიეშმაკე და ფიქრითაა განმტკიცებული სიგიჟე ოცნებისა... ფიქრი, ისევე როგორც ოცნება, პარაფრაზია სიგიჟისა, რომლითაც გმირია შეპყრობილი, და თუ რომანის ტექსტში ფხიზლად მივადევნებთ თვალს სიტყვა "ფიქრის" გამონაშუქს (ყველა ამგვარი სიტყვა ოთარ ჭილაძესთან შეკუმშულ ენერგიას ჰგავს), არანაკლებ გამყინავი წინათგრძნობა დაგვეუფლება, ვიდრე სიტყვა "ოცნებასთან" დაკავშირებით გვეუფლებოდა. თავის ფიქრებში დანთქმული კუსა, კედლის ბზარში ჩარჩენილსა და ყინვისაგან დამზრალ ჭრიჭინას ემსგავსება... პატარა უხეირო, ფარნაოზის შვილი (პაპის სეხნია) ბუნდოვნად გრძნობს, რომ მისი ფიქრი გამონაზარდია, განშტოებაა ვრცელი, ყველაფრის მომცველი ფიქრისა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცა მამისგან...




გამონაზარდი. შტო. წკნელი... საცაა, ტკაცანს გაიღებს.

ჭკუა და გონება ნიშანთვისებებია დანაწევრებული ყოფისა. ამიტომაც, ოთარ ჭილაძე, "გულსაა" ამოფარებული.

გულს, ცეცხლზე გამთბარ დოლივით გაუდის ბაგა-ბუგი; გული უტყდებათ; გული ჩერდება; გული გრძნობს უბედურებას; გული გაგიწევს მეგზურობას იქ, სადაც გონება უმწეოა. საკვანძო ფორმულაა: ფარნაოზი ნამდვილ სახლსა და ცხოვრების ნამდვილ მეგობარს გაურბის, გულის არარსებული, წარმოდგენელი მეგობრის მოსაძებნად.

ეს თითქოს ფინალია - სასწორის ერთ პინაზეა სახლი, მეგობრები, ბუნება, ხალხი, ღმერთები. მეორეზე - გზა, ბედი, ბედისწერა, გული... და - სიყვარული. რომელიც, რამდენადაც გვახსოვს, სიკვდილის ტოლფარდია.

- სიკვდილი მინდა, დაო, სიკვდილი - უნდოდა ეყვირა, რადგან მართლა უნდოდა სიკვდილი, ფიქრობდა კიდეც, ალბათ ესაა სწორედ სიყვარული, სიკვდილი რომ გინდაო...

მედეა - გადამრჩენელი პარაშუტია ბერძნული სიუჟეტისა. ხოლო წმინდა ქართული სიუჟეტი უფსკრულებში ხტომა და ფრენაა, ანუ, თავგადასავალი განდეგილი, შეშლილი ფარნაოზისა, რომელსაც ოცნება, ფიქრი და სიყვარული აღსასრულისკენ მიაქანებს.

ვის მხარეზეა ოთარ ჭილაძე?

ორივესი...

იმის თქმა, რომ მისი რომანი აპოლოგიაა პრეისტორიული ეროვნული ნიადაგისა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუქსაქსავს ცივილიზაციის დამღუპველ გზებს - იგივე იქნება, არაფრად ჩავაგდოთ მისი გულის სატკივარი, რადგან მისი გული - გული ინტელიგენტისა - მთლიანად ეკუთვნის ოცნებასა და ფიქრს, სიყვარულსა და თავისუფლებას.

ხოლო, თუ ვიტყვით, ეს იმ გმირული პიროვნების აპოლოგიააო, რომელიც ბნელ მასას უპირისპირდება, - ესე იგი, ვერ მივგიკვლევია იმ მთავარი გრძნობისთვის, რომლითაც მწერალია განმსჭვალული, ნამდვილ, განუყოფელ სამყაროზე ფიქრისას. ეს გრძნობა სამყაროს დაუცველობის გრძნობაა.

ეს სამყაროც, აუცილებლად, გზისა და რისკის, ბედისა და ინდივიდუალური არსებობის, სიყვარულის და დაღუპვის წერა გახდება ბოლოს.

ასევე ვერ გადარჩება გზაზე მიმავალი კაციც...

როგორც მათესთანაა: "ვაი წუთისოფელს ცდუნებებისგან, ვინაიდან ცდუნებები უნდა მოვიდეს, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება"...

ინდივიდუალური გამოცდილების ცდუნება გარდუვალია. აუცილებლად "უნდა მოვიდეს" და აუცილებლად უნდა შეაღწიოს უდარდელი ვანელების სულებშიც.

აი, სწორედ ამ დროს გამოდის ასპარეზზე კუსა, მხარზე ტომარაგადაკიდული.

ფარნაოზი სხვებს არ ჰგავს.

კუსა - სხვებისნაირია.

მას კარგად ესმის, რომ იმ ტიპის გამოთქმებს, როგორიცაა "კანონიერი" და "უკანონო", რეალური აზრი არ გააჩნია, რადგან ადამიანები განურჩევლად გვანან ერთმანეთს. ჩემია თუ შენია - საერთოა. ესე იგი, რაც შენი იყო გუშინ, ხვალ შეიძლება ჩემი გახდეს. მგელთან მაცხოვრებელი მგელივით უნდა ყმუოდეს. სადაც ცხვარია, იქ მგელიცაა, მისი დამატება და მისი წარმონაქმნი. "საზრიანობის", "საქმიანობის" და "უტყუარი ალღოს" მობილიზაცია უხანგრძლივებს კუსას არსებობას. ფარნაოზს კი მხოლოდ ღიმილს ჰგვრის თავისი პრაქტიკული დისშვილის უხამსი "სიბრძნეების" მოსმენა, მაგრამ ჯერ მთავარი არ მოუსმენია: **კუსას შემქმნელმა ბუნებამ თავიდანვე ფარნაოზის ჯალათად განამწესა ის.**

ასე იხსნება კვანძი. მხიარული ვანელები არასოდეს აღმართავდნენ ხელს უბედურ შეშლილზე, რომელიც მღვიმეს აფარებდა თავს და სიყვარულს ქადაგებდა, მაგრამ არც მის დაცინვას შეეშვებოდნენ, პირიქით, სათუთად გაუფრთხილდებოდნენ მის უცნაურობებს, რადგან მისი უცნაურობებიც ისევე იყო მათთვის სტაბილურობის ნიშანი, როგორც, ვთქვათ, ბედიას კისერზე ჩამოცმული თოკის გორგალი, ანდა ბოჩიას მხარზე დამჯდარი კოდალა. მაგრამ როცა კოლექტიური ფსიქოლოგია კონცენტრირდება იმ პიროვნებაში, რომელსაც მიზნად დაუსახავს იქცეს ამ ფსიქოლოგიის თანამიმდევრულ და მებრძოლ განსახიერებად, ანუ, როცა ფარის სათავეში გაქნილი და ენერგიული ბელადი დგება - ქოჩორგადაგლესილი მოღვაწე (ენაზე გვადგას: ყურებდაცქვეტილი ნადირი) - ჯვარცმა გარდუვალია.

ფარნაოზი ჯვარცმულია. კუსა ცხოვრების გზას აგრძელებს, მიდის, მიაჟღრიალებს თავის განუყრელ ტომარას, რკინეულობით სავსეს.

რკინის გზა ქვეყანას ოთარ ჭილაძის შემდეგ რომანში გააპობს; მეორე რომანის სათაური პირველის სათნო ჟღერადობას ჯაგნარივით გაკაფავს: "ყოველმან ჩემმან მპოვნელმან..." - გააგრძელეთ კაენის ეს ფრაზა და მიხვდებით, სად გაქრა სათნოება.

რკინის თეატრი - ეს თავისთავად მძაფრი სახე - დაედება სათაურად მესამე რომანს.

ერთი წკნელის მოტეხვა, ტოტის ერთი გატკაცუნება, ერთი გასროლა სარაევოში - ანგრევს მსოფლიო წესრიგს, ანგრევს სწორედ იმ თეატრს, სადაც ყველანი მსახიობები ვართ.

პირველი რომანი "ნეიტრალურად" მთავრდება: როდის იქნება ქვეყანა ისეთი, ფრენა რომ შეიძლებოდეს? - მაგრამ ის ხომ ახლაც ასეთია - და ასეთი იქნება ყოველთვის.

მშვენიერია, ვინც ფრინავს. მშვენიერია ისიც, ვინც გიჟური ფრენის საშიშროებებზე აფრთხილებს სხვებს. იქაც "ბუნებაა" და აქაც. მშვენიერია სახლი, მშვენიერია გზა. მშვენიერება გვეხმარება გაძლებაში...

კი, მაგრამ რას ვუძლებთ?

რას და, იმ "მარადიულს", რაც ბაღის ტოტებითაა დაფარული და რაც სისხლიანი კვანძის გახსნითაა ნაწინასწარმეტყველები ოთარ ჭილაძის პირველ რომანში.

განდეგილი დასჯილია: სნეული ცხვარივით გამოარიდეს ცხოვრებას; ხოლო, დანარჩენი ფარა ისევ მშვიდად მიიძოვს ბალახს უფსკრულისკენ.

*** რედაქცია სავსებით იზიარებს ბატონ ანინსკის მოსაზრებებს და, ამავე დროს, თავს ვალდებულად თვლის მეტი სიზუსტე შეიტანოს ზოგიერთ საკითხში. ოთარ ჭილაძის ეს რომანი 1973 წელს უკვე ცალკე წიგნად გამოვიდა, იქამდე კი, ჟურნალ "მნათობში" იბეჭდებოდა, 1971 წლის ნოემბრიდან 1972 წლის აპრილამდე.**

# ფერიცვალება

## „დინამო“ უჩას იტოვებს

ჯუპე უჩა 22 წლის ნიგერიელი შემტევი ნახევარმცველია. თავის დროზე ის ნიგერიული "ლაგოსა" და გერმანული "ვოლფსბურგის" ღირსებას იცავდა. უჩა ივო შუშაკს მოეწონა და გუნდში გასინჯვაზე მყოფი ლეგიონერებიდან ხორვატმაც მხოლოდ აფრიკელი დაიტოვა.

უჩასთან ოფიციალური კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ, თუ ნიგერიელი კლუბში დარჩება, მაშინ "დინამოს" თავის რიგებში ორი შავკანიანი ფეხბურთელი ეყოლება. ეს კი, შუშაკის ვარაუდით, გუნდში ჯანსაღ კონკურენციას გაზრდის და ამგვარი ფერიცვალება მხოლოდ საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს გამოადგება.

საქართველოს ათგზის ჩემპიონი კი ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს და საწვრთნელ შეკრებაზე გერმანიაში იმყოფება. თბილისელებმა მეორე ტესტ-მატჩი გამართეს და ამჯერადაც გაიმარჯვეს. ქართველების მეტოქე პირველი ბუნდესლიგის მკვიდრი "შტუტგარტერ კიკერსი" იყო.

ივო შუშაკის შეგირდების მონაგარი ამჯერად უფრო მოკრძალებული გამოდგა. შეხვედრის 82-ე წუთზე ერთადერთი გოლი ლადო ბურდულმა გაიტანა. შუშაკმა გუნდი ორი განსხვავებული შემადგენლობით ათამაშა. პირველ ტაიმში მინდორზე რეზერვისტები და გუნდის უცხოელი ახალწვეულები გავიდნენ: გვარამაძე, მაზიაშვილი, შავგულიძე, კანდელაკი, ახალაია, სამხარაძე, კვირკველია, ვალტერი, უჩა, რეირი.

მეორე ნახევარში კი ძალები მოსინჯეს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებმაც: ზოიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ვაშაკიძე, გოგობერიშვილი, კარლოსი, ბურდული, სახვაძე, ანჩაბაძე, მიქაძე და, როგორც მოსალოდნელი იყო, უკეთ გაისარჯნენ.

შუშაკის თქმით, მეორე ტაიმში სწორედ ამან განაპირობა გუნდის უკეთესი თამაში და გამარჯვება. **"მოხარული ვარ, რომ საკმაოდ მძიმე დატვირთვის შემდეგ, ფეხბურთელები კარგად გამოიყურებიან. ჩვენი მეტოქე, ქართული გუნდებისგან განსხვავებით, აბსოლუტურად სხვაგვარ ფეხბურთს თამაშობდა – აგრესიულს, ხისტს, ძალისმიერს. საქართველოში ასე არ თამაშობენ. ამიტომ გუნდის გამოცდა მაინტერესებდა. მეორე ტაიმი განსაკუთრებით უკეთ ჩავატარეთ. ეს იმან განაპირობა, რომ მოედანზე უფრო შეთამაშებული შემადგენლობა გამოვიდა. სამწუხაროდ, ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ მოგებამ ძალიან გამახარა. უმთავრესი კი ის არის, რომ ბიჭები საქმეს პროფესიულად მოეკიდნენ და მონდომებაც არ აკლდათ,"** – განაცხადა ივო შუშაკმა.

# ლევან კობიაშვილი „ფრაიბურგში" რჩება

ხანგრძლივი მითქმა-მოთქმა ლევან კობიაშვილის შესაძლო ტრანსფერის შესახებ დამთავრდა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი "ფრაიბურგში" კიდევ ერთ სეზონს გაატარებს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ბუნდესლიგაში თამაში მოუწევს. "კაიზერსლაუტერნმა" და ლევერკუზენის "ბაიერმა" ქართველი ფეხბურთელის შეძენაზე უარი განაცხადეს.

მიზეზი მარტივია: "ფრაიბურგმა" კობიაშვილის სანაცვლოდ უსაშველო თანხა მოითხოვა. "ფრაიბურგის" კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერის ზაზა ზამთარაძის თქმით, გუნდის ხელმძღვანელობამ კობიაშვილის ფასი შეგნებულად გაზარდა, იმ მიზნით, რომ ლევანის შეძენის მსურველები დაეფრთხო.

ზამთარაძის მტკიცებით, ლევანმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. მას, უბრალოდ, ატყუებდნენ, რომ კლუბიდან გაათავისუფლებდნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღარ გაუშვეს. ლევან კობიაშვილი იძულებული გახდა, პორტუგალიაში, შეკრებაზე მყოფ გუნდს შეერთებოდა.

ფოლკერ ფინკემ საწადელს მიაღწია. მან გუნდის ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და იმედი აქვს, რომ მისი დახმარებით პირველ ბუნდესლიგას დაუბრუნდება. ფინკე ხომ ამტკიცებდა, "ფრაიბურგის" დაქვეითება უბრალო შემთხვევის ბრალიაო.

*დაიჯესტი*

# ჩემპიონთა ლიგის ფორმატი იცვლება

დიმიტრი ობოლაძე

დასრულებულმა მსოფლიო ჩემპიონატმა საფეხბურთო წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფეხბურთელთა უმრავლესობამ - ეს განსაკუთრებით ევროპული კლუბების ლიდერებს ეხებათ - თავისი სუსტი თამაში გადაღლილობას დააბრალა. გადაღლილობის მთავარ მიზეზად კი ჩემპიონთა ლიგის მომქანცველ სეზონს ასახელებენ. პორტუგალიელმა ფიგუმ, რომელიც, ალბათ, ყველაზე დაქანცული ჩანდა კორეელებთან შეხვედრის შესვენებაზე, მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს სიფრთხილისკენ მოუწოდა. ამ აჟიოტაჟს უეფაც გამოეხმაურა. პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა, რომ უკვე განიხილება ფორმატის შეცვლის საკითხი. იუჰანსონის განცხადებით, ცვლილებები 2003-2004 წლის სეზონშია დაგეგმილი. უეფას გადაწყვეტილებით, აღარ იარსებებს მეორე ეტაპი. პირველის დასრულების შემდეგ კი დაიწყება პლეი-ოფები. მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დროს არაერთხელ განიხილეს ეს საკითხი. საუბარი იყო ეროვნული ჩემპიონატების შეხვედრების რაოდენობის შემცირებასა და ევროტურნირების "დამოკლების" შესახებ. იუჰანსონმა საფრანგეთისა და პორტუგალიის ნაკრებების მარცხი სწორედ ვარსკვლავების გადაღლილობას დააბრალა. იმავე ფიგუმ სეზონში, მსოფლიო ჩემოპიონატის დაწყებამდე, 88 თამაში ჩაატარა. უეფას გადაწყვეტილება გასაგებია. თუმცა, დეტალები ცნობილი არ არის. არაფერია ნათქვამი გუნდების რაოდენობის შემცირების ან გაზრდის შესახებ. ერთი რამ ცხადია - უეფა არ არის ის ორგანიზაცია, რომ უარი თქვას უდიდეს შემოსავალზე, რომელიც ჩემპიონთა ლიგის 32-გუნდიანი პროექტიდან შედიოდა.

# ერთგული არგენტინელები

2001-02 წლების სეზონის ბოლოს, როცა უკვე ცხადი იყო, რომ რომის "ლაციოს" ძალიან გაუჭირდებოდა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, "ბიანკოჩელესტეთა" ჭირვეული ვარსკვლავები – არგენტინელები ერნან კრესპო და კლაუდიო ლოპესი, ასევე იტალიის საუკეთესო მცველად აღიარებული ალესანდრო ნესტა, გუნდიდან წასვლით იმუქრებოდნენ.

ზაფხულში ყველა ელოდა, რომ ლოპეს-კრესპოს დუეტი საშემოდგომო სეზონს ესპანეთში ან ინგლისში დაიწყებდა – კრესპოს შეძენა "რეალსა" და "ბარსელონას" სურდა, ლოპესისა კი - "ატლეტიკოსა" და "ჩელსის", მაგრამ მოხდა ისე, რომ ორივე არგენტინელი ისევ "ლაციოში" დარჩა. კრესპო აცხადებს, რომ არც სურს "ლაციოდან" წასვლა, ლოპესიც ამავე აზრისაა. ერთადერთი მხოლოდ ალესანდრო ნესტას ვერ გაურკვევია, დატოვებს თუ არა რომაულ კლუბს.

# „უდინეზე" თავის ვარსკვლავებს ვერ ჰყიდის

თურმე, ნუ იტყვით და, სერია ა-ს კლუბები ფინანსურ კრიზისს განიცდიან, ამიტომაც ვერ ახერხებენ ძვირადღირებული ფეხბურთელების შეძენას, - განაცხადა "უდინეზეს" სპორტულმა დირექტორმა პიერპაოლო მარინომ.

უდინური კლუბი ორი ლიდერის – დანიელი მარტენ იორგენსენის და იტალიელი რობერტო მუცის გაყიდვას აპირებდა, მაგრამ ზემოთ ნახსენები კრიზისის გამო განზრახული ტრანსფერები არ შედგა. იორგენსენის შეძენა "ინტერს" უნდოდა, მუცისა კი - "იუვენტუსს", მაგრამ საბოლოოდ ორივე "უდინეზეში" დარჩა. "იორგენსენი ნამდვილი ვარსკვლავია. ჩვენ მას თუ გავყიდით, მაშინ მის სანაცვლოდ სერიოზულ თანხასაც მოვითხოვთ. სხვა შემთხვევაში, დანიელი ფეხბურთელი ისევ ჩვენთან დარჩება," - თქვა მარინომ.

# ნიკა კობალავა: „ფედერაცია 30 ათას ლარს ვერ მიიღებს"



ნიკა კობალავა, აკაკი სიხარულიძე, ავთანდილ კოკაია

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

9 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას - თბილისის ფეხბურთის ფედერაციის, საფეხბურთო კლუბების თბილისის "დინამოსა" და ზესტაფონის "მეტალურგის" ხელმძღვანელების 10-10 ათასი ლარით დაჯარიმების თაობაზე, მეორე მხარის წარმომადგენლები პრესკონფერენციით გამოეხმაურნენ. ჟურნალისტთა სახლში პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს უმასპინძლეს "დინამოს" იურისტმა ნიკა კობალავამ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ავთო კოკაიამ. ფედერაციის მიერ დასჯილი მხარის წარმომადგენლები უკანონოდ მიიჩნევენ საგანგებო კომიტეტის (მერაბ ჟორდანია, ალექსანდრე ჩივაძე, ვალერი ჩოლარია) გადაწყვეტილებას და თვლიან, რომ ფედერაციის წესდება არ დარღვეულა. კობალავას აზრით, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში სამი სუბიექტის მიერ შეტანილი სარჩელი არასაფეხბურთო გახლავთ და, შესაბამისად, ფედერაციის წესდებასთან არანაირი შეხება არ აქვს. თბილისის ფედერაცია, "მეტალურგი" და "დინამო", გარდამავალი პერიოდისათვის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სამი პიროვნების - ვლადიმერ გოგიაშვილის, გიორგი ჯაოშვილისა და ნიკა კობალავას გაწევრიანებას ითხოვდნენ. მოსამართლემ ამის შესახებ აცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. მათ კი აღნიშნული ქმედება, ანუ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანა, ფედერაციის წესდების მუხლის, აგრეთვე ფიფასა და უეფა-ს კანონების დარღვევად და საკუთარი უფლებების შელახვად აღიქვეს. სწორედ ამას მოჰყვა ფულადი ჯარიმის დაკისრება. კობალავა, რომელიც იურისტია, ამტკიცებს, რომ მისი ქმედება კანონიერია და ფედერაციის წესდება არ კრძალავს სასამართლოში განცხადებით შესვლას. "ყველაფერი ეს მხოლოდ პირადულია და მეტი არაფერი. კანონი არ დარღვეულა. ჩვენ, უბრალოდ, გვინდოდა აღმასკომის გაძლიერება და ამისათვის სამი ადამიანის დამატება ვითხოვეთ. ეს კი იმიტომ გავაკეთეთ, რომ ფედერაციაში ბევრი სერიოზული პრობლემაა და საქმის მცოდნე სამი ადამიანი აღმასკომს ნამდვილად არ აწყენდა. საქმე კი ისაა, რომ ჟორდანიას, ალბათ, უბრალოდ, პიროვნულად არ მოსწონს კობალავა და მის მოსაშორებლად ყველა ხერხს მიმართავს. მე მას არ მოვწონვარ და მთვლის პირად მოწინააღმდეგედ. კატეგორიულად ვაცხადებ - თანხა არ იქნება გადახდილი. მერაბ ჟორდანიას, არჩევნების წინ, იოლად სურს 30 ათასის შოვნა. ეს აბსურდია. ფედერაცია ერთ თეთრსაც ვერ მიიღებს. ჩვენ კი ყველა კანონიერ ბერკეტს გამოვიყენებთ. აღნიშნული საკითხი გასაჩივრდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის სხდომაზე, სადაც, ალბათ, კვლავ იქნება ზეწოლა და შედეგს ვერ მივაღწევთ. ამის შემდეგ იმავე სახის სარჩელით მივცემთ დელეგირებას საფეხბურთო კლუბ "დინამოს", რომელიც საკითხს უეფას კლუბების ფორუმზე განიხილავს. ბოლოს კი მზად ვართ, ჩვენც ვიჩივლოთ უეფა-სა და ფიფა-ს შესაბამის ინსტანციებში. მხოლოდ ამ პროცედურების ამოწურვის შემდეგ შეიძლება საუბარი თანხის გადახდა-არგადახდის შესახებ," – ამბობს კობალავა. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ავთო კოკაიამ კი გაიხსენა საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციების ურთიერთობის ისტორია. თბილისის ფედერაციამ 4 წლის წინათ მერაბ ჟორდანიას დაუჭირა მხარი. კოკაიას განცხადებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ფედერაციას მათთვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევია. "მინდა, პირდაპირ დავუსვა შეკითხვა გენერალურ მდივანს, ვალერი ჩოლარიას - რა გაუკეთა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თბილისის ფედერაციას? უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სრულიად უყურადღებოდ ვიყავით. დღეს კი გვსჯიან და მთხოვენ 10 ათასის გადახდას. ჩვენი დასჯის იურიდიული უფლება არ არსებობს. კიდევ ერთი ნიუანსი - ჩვენ ვტოვებთ იამანიძის ხუთ ნომერში მდებარე ოფისს, რომელიც, როცა ჩვენ იქ შევედით, სავალალო მდგომარეობაში იყო. ქალაქის ფეხბურთის ფედერაციამ კი საკუთარი ძალებით მოახერხა ამ შენობის გალამაზება. რამდენიმე დღეში შენობას დავცლით და ჩოლარიას შეუძლია, ისარგებლოს. ჩვენ ცილს გვწამებენ იმაში, რომ პეტრიაშვილს მხარს ვუჭერთ რაღაც ანგარებისა და ფულის გამო. ეს სისულელეა. რატომ არ იყო ანალოგიური საუბარი 4 წლის წინათ, როდესაც ჟორდანიას დავუჭირეთ მხარი. ეს ბინძური ცილისწამება, რომელიც სწორედ არჩევნებისკენაა მიმართული. პეტრიაშვილი კი სუფთა კაცია, ფეხბურთში გარკვეული და შეუძლია, ქართულ ფეხბურთს დიდი სამსახური გაუწიოს. ჟორდანიას გუნდის დამოკიდებულება პირადად ჩემს და თბილისის ფედერაციის მიმართ მას შემდეგ შეიცვალა, რაც ჩვენ პრეზიდენტობის კანდიდატად დავით პეტრიაშვილი წარვადგინეთ. აქ მეტი კომენტარი საჭიროდ არ მიმაჩნია. პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მინდა, განვაცხადო - ვალერი ჩოლარიასთან ერთი ერთზე საუბარი მსურს და ნებისმიერ დროს შევხვდები. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასარკვევი. კობალავამ პრესკონფერენცია საინტერესო ამბით დაასრულა. ჟურნალისტთა სახლის წინ, პრესკონფერენციაზე მიმავალ დინამოელთა იურისტს მანქანა გადაეღობა და იქიდან, როგორც თავად განაცხადეს, ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილების ორი თანამშრომელი გადმოვიდა. კობალავასა და ამ ორ ადამიანს შორის ხანგრძლივი საუბარი წარიმართა და იურისტის "გათავისუფლებით" დასრულდა. ნიკა კობალავა ამ ფაქტს პროვოკაციად მიიჩნევს.

*ოლიმპიზმი*

# ოლიმპიური ფონდი იწყებს და ...

12 ივლისს, სასტუმრო "სიმპათიის" საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა, რომლის დასრულების შემდეგ სეოკ-ის (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, - რედ.) პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა და გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

სეოკ-ის აღმასკომის განსახილველი მთავარი საკითხი იყო 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ზოგადი პროგრამის შემუშავება.

აღმასკომმა მოისმინა ძიუდოს და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციების წლიური ანგარიშები და საოლიმპიადო პროგნოზი. ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობის ოპტიმისტური პროგნოზით, ქართველ ძიუდოისტებს 2 წლის შემდეგ ათენში შეეძლებათ ერთი ოქროს და 3-4 სხვა სინჯის მედლის მოპოვება. ოღონდ, იმ პირობის დაცვით, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს, მოსამზადებელი ეტაპების გავლისას, ფინანსური პრობლემები არ შეექმნებათ. შეგახსენებთ, რომ ძიუდოისტთა ოლიმპიურ ტურნირში მედლები 7 წონით კატეგორიაში თამაშდება. სეოკ-ის ხელმძღვანელობის თქმით, ჩვენს გუნდს ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვებაში, წესით, ვერაფერმა უნდა შეუშალოს ხელი და ათენში ძიუდოისტები სრული გუნდით გამოვლენ. ეს ნამდვილად არ იქნება მოულოდნელი, რადგან ჩვენებმა ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც ძიუდოში სრული გუნდი გამოიყვანეს და, მართალია, სიდნეის ოლიმპიურ ტატამზე მხოლოდ 6-კაციანი გუნდით წარსდგნენ, მაგრამ ეს ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. კერძოდ, ბოლო ლიცენზიის მოპოვებაში, ჩვენებს იმ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა იმ ტურნირების ნახევარშიც ვერ მიიღო მონაწილეობა, რომლებშიც ოლიმპიური ლიცენზიები თამაშდებოდა.

გაცილებით მოკრძალებული მიზნები აქვს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას. ამჟამად სპორტის ეს სახეობა საქართველოში უფრო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებებით უფრო არსებობს, ვიდრე ადგილობრივი დაფინანსებით. ის, რომ სპორტში გლობალურად წარმატებებს ვერ ვაღწევთ, უმეტესწილად ქართულ მძლეოსნობაში განვითარებული კრიზისის ბრალია, რადგან, მოგეხსენებათ, სწორედ მძლეოსნობაა სპორტის ყველა სახეობის საფუძველთა საფუძველი. შექმნილი მდგომარეობის გამო, თუ ქართველმა მძლეოსნებმა ათენის ოლიმპიადის 3-4 ლიცენზია მაინც მოიპოვეს, უკვე დიდი წარმატება იქნება.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ემზარ ზენაიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ელგუჯა ბერიშვილი

Tour de France

# ფრთხილად, ლანს!

ლუჩანო ტაიოლი

სუასონ-რუანი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ტურ დე ფრანსის ჩვიდმეტი ფინიში მეტისმეტი ფუფუნებაა ერთი ქალაქისთვის, თუნდაც ის რუანი იყოს. სწორედ აქ, სუასონიდან 198 კილომეტრის ნიშნულზე, მოეწყო წლევანდელი ტურის მეხუთე ეტაპის ფინიში. წინა, 1997 წელს გამართული კი, ბრიტანელი კრის ბორდმენის გამარჯვებით დასრულდა.

სუასონ-რუანიც ვაკე-ეტაპებს განეკუთვნება. გორაკი რაა, გორაკსაც ვერ ნახავ ამ გზაზე. მინდვრები, მინდვრები და გაუსაძლისი მონწყენილობა, ეს დალოცვილი ამრევები რომ არა. სხვათა შორის, პელოტონიდან გაქცევისთვის მარტო სურვილი და რისკის სიყვარული არ კმარა. გამქცევმა ცოტა ჭკუასაც უნდა დაატანოს ძალა. საქმე ის არის, რომ ამ მართლაც სარისკო საქმის წამოწყება ნებისმიერ მსურველთან ერთად არ შეიძლება. ისევე, როგორც არ შეიძლება მთებში შემთხვევით ადამიანებთან წასვლა. მე პირადად არც ერთი მწვერვალი არ დამიპყრია და საკუთარ თავზე არ გამომიცდია ეს ყველაფერი, მაგრამ საკმაოდ ბევრი მაქვს წამიკითხავს. რაც შეეხება ველოსპორტს, იმდენი მაქვს ნანახი იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და ბელგიის გზებზე, რომ დასკვნების გასაკეთებლად ბიბლიოთეკებში სიარული და ამ თემაზე შრომების წაკითხვა ნამდვილად არ მჭირდება. შეტევის განხორციელება მხოლოდ სანდო, ამ საქმეში უკვე გამოცდილ ველომრბოლებთან ერთად არის შესაძლებელი. დარწმუნებული ვარ, არცთუ იშვიათად გინახავთ: ვთქვათ, ოთხი გაქცეულიდან სამი როგორ ენაცვლება ერთიმეორეს, მეოთხე კი ერთთავად უკან ზის იმ ვარაუდით, რომ, დასვენებული, ფინიშზე იოლად გაუმკლავდება სამივეს. აი, ამ მუქთამჭამლებს კარგად იცნობენ ველოსამყაროში. ასე რომ, ერთი თუ წაგიცდა ფეხი, მეორედ შენთან ერთად წამომსვლელი კაცი არ არის.

ახლა, იმის თაობაზე, თუ რატომ დავხარჯე ამდენი სიტყვა და მელანი.

მეხუთე ეტაპი სწორედ რომ სამაგალითო იყო თანამზრახველთა შერჩევის თვალსაზრისით. როცა ფინიშამდე ოთხმოცდაათი კილომეტრი რჩებოდა, ხუთმა კაცმა ხელთათმანი გადაუგდო პელოტონს. ხუთეულში ორი სპრინტერი იყო, დანარჩენებიც მაინცდამაინც არ წყვეტენ ვარსკვლავებს ციდან და ძირითადმა ჯგუფმაც, - გაიფაფხურებენ და გაჩერდებიანო, - გაიფიქრა და გამოკიდება არც კი უცდია.

მოიერიშეებსა და პელოტონს შორის სხვაობა ყოველ ათ კილომეტრზე წუთით იზრდება. და როცა განსხვავება ოთხ წუთს გადასცდა, მდევარს ნერვიულობა დაეტყო. მერე და მერე, მართალია, სხვაობა თანდათან შემცირდა, მაგრამ ეს კლება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ პელოტონის სათავეში მომუშავე ათკაციან ჯგუფს ერთი მაგდენიც მიემატა. მდევარმა შესამჩნევად უმატა სიჩქარეს.

აი, ამ წუთებში უნდა გარკვეულიყო, ვინ ვინ იყო. რას წარმოადგენდა ეს ხუთეული, ვისი იმედით დაადგა ამხელა გზას - ხუთი ას ოთხმოცის წინააღმდეგ... კაცმა რომ თქვას, დიდს არც არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ იმედი კი, როგორც გამოჩნდა, ერთმანეთისა ჰქონდათ: ესტონელ კირსიპუუს - დანიელი სანდსტოდისა, სანდსტოდს - ბელგიელი დირქსენსისა, დირქსენსს - იტალიელი კასაგრანდასი, ამას კი - ფრანგი ედალეინესი... ოხერი და მამაძაღლი ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ესენი, უბრალოდ, კაი ბიჭები გამოდგნენ, იქამდე კაი, რომ, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდნენ, მდევარი ველარ მოგვწვდებაო, კეთილსინდისიერად ატრიალებდნენ პედლებს. ფინიშიც პატიოსნად გაითამაშეს. გამარჯვება კი მათ შორის ყველაზე პატარა ქვეყნის წარმომადგენელს - ესტონელს დარჩა. პელოტონის ჩრდილში მონებივრე ჩინიანი სპრინტერები იძულებული გახდნენ, ნასუფრალით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ეტაპი საინტერესო გამოდგა, ერთი უსიამო ფაქტი რომ არა. ფინიშამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა, როცა პელოტონის ბოლოში ავარიის შედეგად ასფალტზე ერთბაშად ოციოდე სპორტსმენი აღმოჩნდა. თითქმის ყველა მათგანი უმნიშვნელოდ დაზიანდა და მალევე განაგრძეს რბოლა, გარდა იტალიელი მარკო პინოტისა, რომელიც საკმაოდ მძიმედ დაშავდა. პელოტონს ჩამორჩენილი ნაავარიები ჯგუფი ვეღარ მისწვდა წინ წასულებს და საბოლოოდ რვა წუთი წააგო. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდნენ ბასკი დავიდ ეჩებარია და ფრანგი ლორან დიუფო. ორივე ველომრბოლი თავ-თავისი გუნდის ლიდერია.

რადგან ლიდერებზე ჩამოვარდა სიტყვა, ყვითელი მაისურის ბედზეც ვთქვათ. ის კვლავ ბასკ იგორ გონზალეს გალდეანოს ამშვენებს. თუმცა, ბარიერი, რომელიც მას ხოსება ბელოკისა და ლანს არმსტრონგისგან ჰყოფს, მეტისმეტად მყიფეა საიმისოდ, რომ ხანგრძლივ გარანტიად გამოდგეს.

და ბოლოს, ტურ დე ფრანსის ხუთგზის ჩემპიონის, დიდი მიგელ ინდურაინის მცირე რეპლიკა, რომელიც ტურში შექმნილ დღევანდელ ვითარებას ეხება:

"ამ წუთისთვის ლანს არმსტრონგი საკმაოდ ძლიერად გამოიყურება, გუნდიც მშვენიერი ჰყავს, მაგრამ არაფრით არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ტურ დე ფრანსზე ნებისმიერ, ძალზე ძლიერ სპორტსმენსაც კი, აუცილებლად დაუდგება ხოლმე თუნდაც ერთი მძიმე მომენტი".


იან კირსიპუუ და მიხაელ სანდსტოდი საფინიშო სპურტზე REUTERS

### მეექვსე ეტაპი ცაბელმა მოიგო

გერმანული გუნდის "ტელეკომის" ლიდერის, ერიკ ცაბელის გამარჯვებით დასრულდა ველობროლა "ტურ დე ფრანსის" მეექვსე ეტაპი. ფორჟ ლე ზოდან ალასონამდე 199,5 კილომეტრი გერმანელმა 4 საათსა 23 წუთში და 7 წამში გაიარა. მეორე ადგილზე გავიდა ესპანელი ფრეირე, მესამეზე კი ავსტრალიელი მაკიუენი. საერთო ჩათვლაში კი კვლავ ესპანელი გალდეანო ლიდერობს, თანაგუნდელი ბელოკი მას 4 მეასედით ჩამორჩება. მესამეზეა წინა "ტურ დე ფრანსის" გამარჯვებული, ლენს არმსტრონგი.

სხვადასხვა

## დაბრუნდება თუ არა საბონისი

ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბის "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერისიდან" ერთი წლის წინათ წავიდა და მას შემდეგ არსად უთამაშია. მიუხედავად ამ პაუზისა, ესპანეთში კარგად იციან საბონისის ძალა. აქედან გამომდინარე, მისი შეძენა კლუბ "უნიკახას" და მადრიდის "რეალს" სურთ. სამეფო კლუბის შანსი გაცილებით მაღალია. ლიტველი რამდენიმე წლის წინათ სწორედ "რეალში" თამაშობდა და წარმატებასაც მიაღწია. თუმცა, მასზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ საბონისი მიიღებს გადაწყვეტილებას. პორტლენდიდან წასვლის შემდეგ, საბონისი "ჟალგირისის" შემადგენლობაში გამოჩნდა. თუმცა, ყოველთვის სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

## ULEB-ი პატარა კლუბებს ჩაგრავს

გრძელდება fiba-სა და ULEB-ის დაპირისპირება. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული კონფედერაციის პრეზიდენტმა გეორგიოს ვასილიკოპოლუსმა ათენში საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც შეუტია ULEB-ის ხელმძღვანელობას. ვასილიკოპოლუსმა დეტალურად აუხსნა ჟურნალისტებს ULEB-თან კომპრომისზე წასვლის შეუძლებლობის მიზეზებზე. ბერზენმა განაცხადა, რომ "ამ ლიგას აქვს ევროლიგის წამყვანი კლუბების დიდი ვალი, რომელსაც ვერ ან არ იხდის." ფინანსური პრობლემების მქონე ორგანიზაციასთან fiba-ს კონტაქტი და თანამშრომლობა, უბრალოდ, გამორიცხულია. თანაც ULEB-ი არასწორ, სადამსჯელო და მუქარაზე აწყობილ პოლიტიკას ატარებს. "გუნდები, რომლებიც უარს იტყვიან ULEB-ის ეგიდით გამართულ ტურნირში მონაწილეობაზე და ითამაშებენ სხვა ტურნირებში, მოკვეთილნი იქნებიან." ამ განცახდებამ ძალიან გააღიზიანა fiba-ს მესვეურები. ვასილიკოპოლუსი თვლის, რომ პატარა კლუბების დაჩაგვრა მხოლოდ ULEB-ის უსუსურობასა და არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს.

## დანლივი „გოლდენ-სტეიტში"

ახალი სეზონიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი დანლივი იქნება. მწვრთნელ მიკ დანლივის, საკუთარი ვაჟი, ახალგაზრდა კალათბურთელი, დრაფტის მესამე ნომერი მაიკ დანლივი შეუერთდა. "გოლდენ სტეიტ უორიორზმა" მასთან დადო სამწლიანი კონტრაქტი, რომლის პირობებსაც ორივე მხარე საიდუმლოდ ინახავს. თუმცა, ჟურნალისტები საკუთარ ვარაუდს გამოთქვამენ. შარშანდელი დრაფტის მესამე ნომერი იყო პო გაზოლი, რომლის სამწლიანი კონტრაქტი 9 მილიონ 600 ათასი დოლარის გადახდას ითვალისწინებდა. პრესის ვარაუდი ასეთია - რადგან "უორიორზი" თანხას მალავს, კონტრაქტი გაცილებით უფრო "ძვირიანი" უნდა იყოს. საინტერესოა, რომ "გოლდენ სტეიტს " ჯერჯერობით არ ჰყავს მთავარი მწვრთნელი. ერთ-ერთი კანდიდატი კი უფროსი დანლივია.

რაგბი

# დაიწყო დიდი სამეულის შერკინება

პაატა თოიძე

ძნელად მოიძებნება სპორტის სახეობა, რომელშიც ევროპელებს სხვა სამყარო ჩაგრავდეს. ეს "სხვა სამყარო" ამ შემთხვევაში სამხრეთი ნახევარსფეროა. ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებისთვის კი ვერაფერი ნუგეშია ის, რომ რაგბი ინგლისური თამაშია.

ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე. სამხრეთული ჰეგემონიის დასამხობად წარჩინებულმა ევროპელებმა - ინგლისელებმა და ფრანგებმა ერთობლივი წვრთნებიც კი ჩაატარეს, თუმცა, ამას შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. გასულ თვეში გამართულ ტესტმატჩებში ავსტრალიელებმა ორჯერ დაამარცხეს ფრანგები, ზელანდიელებმა კი ირლანდიელებს, რომ იტყვიან, გადაურბინეს. წარმატებით ითამაშა სამხრეთული და მსოფლიო რაგბის მესამე ბობოლამ, სამხრეთ აფრიკის ნაკრებმაც, თუმცა, აფრიკელებმა ევროპელებთან გაჯიბრებას თავისივე ნახევარსფეროს წარმომადგენელთა რბევა არჩიეს.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, დღეს დასაწყები სამი ერის პირველობა მცირე მსოფლიო ჩემიონატად რომ მონათლეს. დღეიდან, ექვსი კვირის განმავლობაში, სარაგბო სამყაროს სამი უდიდესი გუნდი ერთმანეთში გაარკვევს სამხრეთ ნახევარსფეროს პირველი გუნდის ვინაობას.

გათამაშების ჩატარება პირველად 1996 წელს გახდა შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც სამხრეთ აფრიკას საერთაშორისო შეჯიბრებებში თამაშის ნება დართეს. სწორედ სამხრეთაფრიკელებმა დაამხეს ახალზელანდიელთა ჰეგემონია 1998 წელს და კივთა 17-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტეს. მიუხედავად ამისა, "ოლ ბლექსი" იმ გუნდად რჩება, რომელსაც ყველაზე მეტჯერ - სამჯერ აქვს ტურნირი მოგებული. კივებმა ეს 1996, 1997 და 1999 წლებში მოახერხეს. აფრიკელებზე უკვე ვთქვით. რაც შეეხება მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ავსტრალიის "ვოლაბიზს", ეს გუნდი ბოლო ორი წელია პირველობს და წლეულს ზელანდიელთა შედეგის გამეორებას აპირებს.

### ოქროს ხანის დასასრული?

არც კი ვიცი, ვის შევადარო ჯონ ილზი, რომ რაგბიში ჩაუხედავი კაცისთვის მისი მნიშვნელობა გასაგები გახდეს. ის უდიდესი მორაგბეა, რომელიც კი ავსტრალიელებს ოდესმე ჰყოლიათ. ყოლით კი, დამერწმუნეთ, მართლაც, ბევრი და დიდები ჰყავდათ. ის იყო იმ დიდი გუნდის კაპიტანი და ლიდერი, რომელმაც ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ილზის ეპოქა დასრულდა შარშან, ახალ ზელანდიასთან მატჩში, რომელშიც ავსტრალიელებმა 29:26 გაიმარჯვეს. გამარჯვების ლელო იმ დღეს ტონგელ რაკეტად წოდებულმა ტოუტაი კეფუმ გაიტანა. "მისი უზომოდ მადლიერი ვარ. ძალიან სამწუხარო იქნებოდა, აქტიური სპორტისთვის დამარცხებულს დამენებებინა თავი", - აცხადებს ილზი. ოზებს ძალიან გაუჭირდებათ ილზის გარეშე, იმ კაცის გარეშე, რომელიც "ვოლაბიზის" ოქროს ხანის შემოქმედი იყო. მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ავსტრალიელებსაც ილზის გარეშე და ახალი კაპიტნის მეთაურობით მოუწევთ თამაში. წარმატებული იქნება თუ წარუმატებელი, ამას მომავალი გვიჩვენებს. "ილზი გუნდის ლიდერი, მისი სული და გული იყო. მეორე ჯონ ილზი ჩვენ აღარ გვეყოლება, მაგრამ სწორედ მის პატივსაცემად უნდა მოვიგოთ წლევანდელი ტურნირი და ყველას დავუმტკიცოთ, რომ ავსტრალია არ არის დიდი მორაგბეებით ღარიბი ქვეყანა". ავსტრალიელთა ახალი დამრიგებლის ედი ჯოუნზის ეს სიტყვები ბევრს იმედის საფუძველს აძლევს, რომ მათი საყვარელი გუნდი, წინა წლების მსგავსად, წლეულსაც მოიგებს ტურნირს და დაუძინებელ მტერთან - ახალი ზელანდიის ნაკრებთან ჭიდილში ბლედისლოუს თასსაც შეინარჩუნებს.

### "შავი ჯვაროსნები"

რა მოხდება დღეს? შეძლებს კი ერთგვარად გადახალისებული ავსტრალიის ნაკრები მეტოქის დამარცხებას, თუ "ვოლაბიზის" ოქროს ხანა დასრულდა? აი, კითხვები, რომლის პასუხი ცოტა ხანში გვეცოდინება.

ამ სამეულის პაექრობისას ძნელია, რომელიმე მათგანი ფავორიტად მიიჩნიო, თუმცა, როგორც ყველა შეჯიბრების წინ, პროგნოზები აქაც უხვად კეთდება. 2000 წლის 15 ივლისი იყო ბოლო დღე, როცა "ოლ ბლექსმა" "ვოლაბიზის" დამარცხება შეძლო. იმ დღიდან მოყოლებული, ოზები ჯაბნიან კივებს. იმ ერისთვის კი, რომელიც სარაგბო სამყაროში პირველობას იჩემებს, ეს, უბრალოდ, შეურაცხყოფაა. პროგნოზებს თუ ვენდობით, დღეს ავსტრალიელებმა უნდა გაიმარჯვონ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, სპეციალისტთა თქმით, "ვოლაბიზი" უკეთ ორგანიზებული გუნდია, შეტევაც კარგად ეხერხება და დაცვაში ხომ ბადალი არა ჰყავს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღეს, სავარაუდოდ, ვერც ლომუ დაეხმარება თანაგუნდელებს და ვერც ტანა უმაგა. მართალია, 26-კაციან შემადგენლობაში ორივე მათგანია, მაგრამ, მწვრთნელის თქმით, ავსტრალიელებთან სათამაშოდ არც ერთი არ არის მზად. მოკლედ, ყველა ფაქტორი სტუმართა სასარგებლოდ მეტყველებს. მიუხედავად ამისა, მასპინძელი გულშემატკივრები იმედიანად არიან. ამის საფუძველს ის აძლევთ, რომ ზე-12-ის გათამაშებაში გაიმარჯვა სწორედ ახალზელანდიურმა კლუბმა "კრაისტჩერჩის ჯვაროსნებმა", რომელმაც ფინალში ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, ავსტრალიური "ბრამბიზი" დაამარცხა. "თუკი ჩვენმა უპირველესმა გუნდმა შეძლო ავსტრალიის პირველი კლუბის დამარცხება, ნაკრებმა რატომ ვერ უნდა მოახერხოს ავსტრალიელთა დამარცხება?" - უკვირთ ზელანდიელებს. ამ ლოგიკის თანახმად, მასპინძლებმა, მართლაც, უნდა მოიგონ. ნაკრებში ხომ რამდენიმე "ჯვაროსანი" თამაშობს.

### ჩვენ "ქურციკები" ვართ

როგორი იქნება გათამაშების შედეგი? ისევ პროგნოზებს დავუბრუნდეთ. ამ პროგნოზების თანახმად, სამეულში ყველაზე სუსტად აფრიკელებს მიიჩნევენ. "ქურციკებმა" შარშანაც ბოლო ადგილი დაიკავეს, მაგრამ არც ისაა დასავიწყებელი, რომ ავსტრალიელთა დამარცხება არა ზელანდიელებმა, არამედ მათ შეძლეს. ასე რომ, აფრიკელებს ერთი ხელის მოსმით ვერ ჩამოწერ. ისიც სათქმელია, რომ მათ კალენდარიც უწყობს ხელს. პირველი ორი მატჩის სტუმრად გამართვის შემდეგ, შეჯიბრების დასკვნით მატჩებში, მასპინძლის როლში იქნებიან. ჯერჯერობით ძნელია აფრიკელთა შანსებზე საუბარი. მართალია, მოსამზადებელ მატჩებში, ასე თუ ისე, ჩანს გუნდის სახე, მაგრამ ტურნირი მაინც სხვაა. თანაც, "უკან დახევა და წაგება რას გვიქვია. ჩვენ "ქურციკები" ვართ და, დროა, ოთხი წლის წინანდელი ნახტომი გავაკეთოთ", - ოპტიმისტურადაა განწყობილი აფრიკელთა მწვრთნელი ჰარი ვილჰოენი.

**გათამაშების კალენდარი:**

**13 ივლისი.**
ახალი ზელანდია – ავსტრალია

**20 ივლისი.**
ახალი ზელანდია – სამხრეთ აფრიკა

**27 ივლისი.**
ავსტრალია – სამხრეთ აფრიკა

**3 აგვისტო.**
ავსტრალია – ახალი ზელანდია

**10 აგვისტო.**
სამხრეთ აფრიკა – ახალი ზელანდია

**17 აგვისტო.**
სამხრეთ აფრიკა - ავსტრალია



# უფასო გაკვეთილები პავაროტისგან

ლუჩანო პავაროტიმ ზუსტად იცის, თუ რას გააკეთებს სცენიდან წასვლის შემდეგ. ის მასწავლებლობას დაიწყებს და ამაში ფულსაც არ აიღებს. ოპერის მსოფლიო დონის ვარსკვლავი პენსიაში გასვლას 2005 წლის 12 ივლისს, თავის 70 წლის იუბილეზე აპირებს. მისი ხუმრობა, რომ ამ დღის შემდეგ ის საშხაპეშიც კი აღარ იღიღინებს, უკვე მთელმა მსოფლიომ აიტაცა. რამდენიმე ხნის წინ, ასი მილიონზე მეტი ალბომის გაყიდვისთვის პავაროტი ბრიუსელში ხმის ჩამწერმა ინდუსტრიამ სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. საზეიმო ცერემონიაზე ვარსკვლავმა განაცხადა: “ახალბედა მომღერლებს გაკვეთილებს ჩავუტარებ. შევეცდები, წინსვლაში დავეხმარო და იმედი მაქვს, რომ ამაში ხელფასის აღება არ დამჭირდება. თავიდან ორი წლის განმავლობაში ასეთ გაკვეთილებს მეც მიტარებდნენ, მაგრამ ფული არც მე გადამიხდია, რადგან ჩემი მასწავლებელი ტენორი იყო. მსურს, მას მივბაძო”, - დასძინა პავაროტიმ. ბუნებრივია, ვირტუოზი ტენორის პენსიაში გასვლას ოპერის დამწყები მომღერლები სულმოუთქმელად დაელოდებიან.

სხვათა შორის, გუშინ პავაროტიმ დაბადების დღე იზეიმა. დიდი ტენორი 67 წლის გახდა.



სამი ტენორი: ხოსე კარერასი, ლუჩანო პავაროტი და პლასიდო დომინგო REUTERS

# მადონა - ჯეიმს ბონდის ახალი პარტნიორი

ალბათ, გახსოვთ, ჯეიმს ბონდის მეოცე ფილმის Die Another Day-ისთვის თემატური სიმღერა მადონამ ჩაწერა. თუმცა, 43 წლის მომღერალი აქ არ შეჩერებულა. ის ფილმში ეპიზოდურ როლსაც შეასრულებს. მადონა ლონდონში მიმდინარე გადაღებებს ამ კვირაში შეუერთდა. ლონდონის გაზეთის Evening Standard-ის ცნობით, მომღერალი ახალ ფილმში ფარიკაობის მასწავლებლად მოგვევლინება. ფარიკაობის ოსტატობას თავად პირს ბროსნანიც გამოავლენს. ერთ-ერთ ეპიზოდში ის ლონდონის ჯენტლმენთა კლუბში მეტოქეს, გუსტავ გრეივსს ეფარიკავება. მომავალ კვირას მადონა ლოს ანჯელესში გაფრინდება, სადაც Die Another Day-ის თემატური კლიპის გადაღებები იწყება. მადონასთან ერთად, პირს ბროსნანს აქვს პატივი, პარტნიორობა გაუწიოს წლევანდელი ოსკარის მფლობელ შავკანიან მსახიობს, ჰოლი ბერის. ფილმის პრემიერა ნოემბერშია დაგეგმილი. ავტორთა განცხადებით, ის ბონდიანას ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ფილმი იქნება, რომელშიც აგენტი 007 ჩრდილოეთ კორეელ გენერალს უპირისპირდება.



მადონა გაი რიჩისთან ერთად REUTERS

# ჩე გევარადან ფლორიდელ მეთევზემდე

მსახიობი ბენისიო დელ ტორო, ჰემინგუეის სიყვარულით, ახალ პროექტს შეეჭიდა. ის აპირებს, მონაწილეობა მიიღოს თრილერში To Have and Have Not, რომელსაც ჰემინგუეის რომანის მიხედვით გადაიღებენ. დელ ტორო ფილმის პროდიუსერიც იქნება. მსახიობის თქმით, მან ამ პროექტზე თანხმობა იმიტომ განაცხადა, რომ ჰემინგუეის დიდი თაყვანისმცემელია. ფილმის სცენარის ავტორი ტოდ ვილიამსი იქნება, ფილმის გადაღებას კი Universal-ი კისრულობს. ბენისიო დელ ტორო აპირებს, ჰემინგუეის ნაწარმოები გაათანამედროვოს და მისგან ჩვენი დროის მძაფრსიუჟეტიანი ფილმი გამოიყვანოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთლიანად დაიკარგება ჰემინგუეის ძირითადი ხაზი. დელ ტორო შეასრულებს ფლორიდელი მეთევზის როლს, რომელსაც ოჯახის რჩენა უჭირს და შემოსავლის დამატებითი წყაროს საშოვნელად ბედს ყაჩაღებს დაუკავშირებს. ცხადია, მძარცველების მოქმედების მთავარი სცენა კარიბის კუნძულები იქნება. ბენისიო დელ ტოროსთან ერთად ფილმს პროდიუსერობას ანა ბიკფორდიც გაუწევს (მისი ნახელავია ფილმი “ტრეფიკიც”). თუმცა, დელ ტოროცა და ბიკფორდიც ჰემინგუეიმდე ჯერ ჩე გევარას ბიოგრაფიულ ფილმზე მუშაობენ. რეჟისორ სტივენ სოდერბერგის ამ პროექტში მთავარ როლსაც დელ ტორო ასრულებს.



რეჟისორი სტივენ სოდერბერგი, მსახიობები: ბობ ჩადლი და ბენისიო დელ ტორო REUTERS

# უილ სმიტი სტოკჰოლმში

ახლახან, სტოკჰოლმის ცენტრი უილ სმიტის ათასობით ფანს ძლივს იტევდა. ამერიკელი მსახიობი შვედეთის დედაქალაქში თავისი ახალი ფილმის “ადამიანები შავებში-2” პროპაგანდისთვის ჩავიდა. თუმცა, პრემიერამდე სტოკჰოლმის ცენტრში 10-წუთიანი შოუ მოაწყო. სმიტმა შვედ ფანებს ახალი ფილმის წამყვანი სიმღერა Black Suits Comin’ და რამდენიმე ძველი ჰიტი შეუსრულა. ახალგაზრდა პუბლიკის ემოციებს პოლიცია აკავებდა. რამდენიმე ფანი სცენიდან ძლივს ჩამოხსნეს. თუმცა, სერიოზულად არავინ დაშავებულა და უილ სმიტის პერფორმანსმაც, ასე თუ ისე, მშვიდობიანად ჩაიარა. მოგვიანებით სმიტი რამდენიმე ასეულ სტუმართან ერთად ფილმის წინასწარ ჩვენებას დაესწრო. “ადამიანები შავებში-2”-ის პრემიერა კი სტოკჰოლმში 31 ივლისს შედგება.



უილ სმიტი “ადამიანები შავებში-2”-ის პრემიერაზე REUTERS

## TV პროგრამა 12 ივლისი

### რუსთავი - 2

**შაბათი 13.07**

- 08.00 მუსიკა
- 09.00 კურიერი
- 10.00 მულტსერიალი
- 11.30 სერიალი “ნიკიტა”
- 12.30 მხ.ფილმი
- 14.50 სიმფსონები
- 15.20 მხ. ფილმი
- 17.00 ჯაზი
- 18.00, 00.00 კურიერი
- 18.20 რუსული ფილმი
- 20.00 ჯეოპოპი
- 21.00 კურიერი PS
- 22.00 ფსიქო. მხ.ფ. “კოლექციონერი”
- 00.15 მხ.ფ. “არმაგედონი”. მთ.როლებში: ბრიუს უილისი, ლივ ტაილერი
- 02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

- 08.00, 15.00, 00.00 მოამბე
- 08.15 მულტსერიალი “სიმბა ფეხბურთელი”
- 08.40 მხიარული კარუსელი
- 09.05 “მსოფლიოს ველური ბუნება”
- 10.00 საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ცერემონიის ტრანსლაცია რესპუბლიკის მოედნიდან
- 11.00 “დილის პაემანი”
- 12.25 ბავშვები უპირველეს ყოვლისა
- 12.40 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა
- 13.05 კვალი
- 13.40 საწინდარი
- 14.15 ბელკანტო
- 14.35 50-50
- 15.15 თქვენი უფლებები
- 15.40 ტელე-სინე-ვიდეო
- 16.15 მხ. ფილმი “ელზა”
- 18.00 ვიცი
- 18.30 საქართველო და გარესამყარო
- 19.00 “ვესტნიკი”
- 19.40 ტელეზღაპარი
- 20.00 ტაიმაუტი
- 20.55 ფრანგული პროგრამა
- 22.15 ქიმერიონი
- 23.00 მელომანია
- 23.35 დოკ.სერიალი “მეოცე საუკუნე”
- 00.15 მხ. ფილმი “აიდა”

### მეორე არხი

- 19.00, 22.00 “მოამბე” მეორე არხზე
- 19.10 იყო და არა იყო რა
- 19.30 მხ. ფილმი “ბურატინოს თავგადასავალი”
- 21.30 მიზანი
- 22.10 მხ. ფილმი “მგელი”

### ევრიკა

- 10.00 მხ. ფილმი “მაიმუნის ქვალი”
- 12.00 პროგრამა “სალონი”
- 13.30 ექიმი გვირჩევს
- 14.30 მუსიკა
- 15.00, 21.00 ვესტი
- 15.30 მულტფილმი
- 16.00 ლაბირინთი
- 16.30 სერიალი “მოქალაქე უფროსი”
- 17.30 თქვენი ადვოკატი
- 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
- 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
- 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
- 20.00 თინეიჯერი
- 21.25 ზერკალო
- 22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
- 22.40 თეატრალური შეხვედრები
- 23.40 მსოფლიო სპორტი
- 0.40 მხ. ფილმი “ბრილიანტის ხელი”

### იბერია

- მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
- 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
- 08.15, 20.15 აღსავალი
- 08.20, 09.55, 11.55, 20.20, 21.55, 23.55 მუსიკა
- 08.25 მხ.ფ. “უკანასკნელ მომენტში”
- 10.05 მხ.ფ. “ჰადსაკერის ხელქვეითი”
- 20.25 მხ.ფ. “პეპლების ენა”
- 22.05 მხ.ფ. “კარიერა”

### პირველი სტერეო

- 07.30 “ცხოვრება სიტყვაში”
- 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა “ტოროლა”
- 13.00 “ცენტრი” განმეორებით
- 14.00 “მუსიკალური ათეული” განმეორებით
- 14.45 “მო” განმეორებით
- 15.40 “სწ.მედია” მხ.ფ. “ბურატინო”
- 18.00 “სველი ხაზი” განმეორებით
- 19.00 მუსიკა
- 20.00 ჩაძირობანა
- 22.00 “პაპარაცები” განმეორებით
- 23.00 პრეს-პრესი
- 00.00 “ბრავო” მხ.ფ. “ვარსკვლავური ომები - 2”, “შურისძიების ანგელოსი”, “წინაღობა”
- 02.00 “ღამურა” მხ.ფ. “სახალისო თამაშები”. მთ. როლში სიუზან ლოტარი
- 03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

- 12.00 მხ. ფილმი “ფორესტ გამპი”
- 14.15 მულტფილმი “კაპიტან ვრუნგელის თავგადასავალი”
- 16.30 მხ. ფილმი “იურული პერიოდის პარკი”
- 18.30 მუსიკა
- 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა “დღეს”
- 19.20 რივერდასი
- 21.00 სერიალი “ჩრდილოეთი და სამხრეთი”
- 22.00 მხ.ფ. “ადამიანი რკინის ნიღაბში”
- 00.20 მხ.ფ. “მკვლელებად დაბადებულნი”

### მეცხრე არხი

- 09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 “დღის ამბები”
- 09.20 ლიმონი და ლიმონათი
- 09.35 მულტფილმი “შეჰრაზადი” მე-4 სერია
- 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა “დილა”
- 11.20 საბავშვო სერიალი “ალ. მაკის სამყარო” მე-4 სერია
- 11.45, 18.50, 20.15, 00.20 მუსიკა
- 12.00 მხ. ფილმი “გრინჩი შობის გამტაცებელი” მთ. როლში ჯიმ ქერი
- 14.00 მუსიკალური გადაცემა “ბელისიმო”
- 14.45 მულტფილმი “აბა დამაცადე”
- 16.20 მთავარი თემა
- 17.00, 19.40 დისქავერი
- 17.45 დოკ. ფილმი “100 კინოდარბაზი - პოლონეთი”
- 19.00 მხ. ფილმი “აფონია”. მთ. როლში ე. კურავლიოვი
- 21.10 მხ.სერიალი “ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური”
- 22.10 მხ. ფილმი “ვოცნებობდი აფრიკაზე”. მთ. როლში კიმ ბესინჯერი
- 00.40 მხ.ფ. “ჩვენ ანგელოზები არა ვართ” მთ. როლებში რობერტ დე ნირო, შონ პენი

### აჭარის ტელევიზია

- 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
- 09.30 სათავგადასავლო ფილმი “ოთხფეხა პატარა”
- 11.00 “მზე აქ შემიჩერებია”
- 11.10 მსოფლიო ხელოვნების დიდოსტატები “ნაბოკოვი”
- 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
- 12.15 ქართული მოკლემეტრჟიანი ფილმი “კაცები”
- 12.35 “ექსკლუზივი”
- 13.05 თრილერი “ლეონი”
- 15.15 დოკუმენტური ფილმი
- 16.15 მულტფილმი “ახალი ბრემენელები”
- 17.10 კომედია “მკვლელობა გროს-პოინტში”
- 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება “ნოვოსტი”
- 19.30 “პრესდაიჯესტი”
- 19.40 “ყველანი ვართ პატარები”
- 19.50 მელოდრამა “არასოდეს არ სტირის ჯარისკაცის ქალიშვილი”
- 22.50 “პერსონა”
- 23.20 “Улово”
- 00.50 მხატვრული ფილმი “სპეციალისტი”
- 03.30 დრამა “დღის მიწურულს”

### VII არხი

- 18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი
- 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
- 18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
- 18.30 “სახლიდან გაუსვლელად”
- 19.00 “აჩიკუდა”
- 19.25 “ბედნიერი ერი” ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
- 19.30 რაგბი. ზელანდია-ავსტრალია.
- 21.15 “ღამის კაპრიზი”
- 22.15 “სახლიდან გაუსვლელად”
- 22.45 “საყვარელი ფილმი” - “ჟანდარმი და უცხოპლანეტელი” საფრანგეთი. 1995 წელი. კომედია. რეჟისორი - ჟან გიურო. როლებში: ლუი დე ფიუნესი, მიშელ გალაბრიუ.
- 00.15 პრესის მიმოხილვა
- 00.25 “სახლიდან გაუსვლელად”
- 00.55 მხ.ფ.ჟანრებში: - “სერჟანტი ბილკო” ა.შ.შ. 1996 წელი. კომედია. რეჟისორი - ჯონათან ლინი. როლებში: სტივ მარტინი, დენ ეიკროიდი.
- 02.25 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

- 07.45 х.ф. “ТЕТЯ МАРУСЯ”
- 09.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости.
- 09.10 Следствие ведет Колобков
- 09.30 Ералаш
- 09.45 Слово пастыря.
- 10.00 сериал “СОБАЧЬЕ ДЕЛО”
- 11.10 Смехопанорама Евгения Петросяна
- 11.45 Смак
- 12.05 «Кумиры»
- 12.35 “ДЕЛО БЫЛО В ПЕНЬКОВЕ”
- 14.30 Дисней-клуб
- 15.10 “папина гармонь”
- 15.35 «ОДИН И БЕЗ ОРУЖИЯ»
- 17.05 “БЕГЛЕЦ”
- 18.05, 19.20 Песня года. Лето
- 20.05 “Мы чьеб дурачье...”
- 21.00 “Кто хочет стать милионером?”
- 22.00 Время
- 22.30 х.ф. “БУРНАЯ РЕКА”
- 00.35 х.ф. “ А КАК ЖЕ БОБ?”
- 02.30 Рефльная музыка

### РТР

- 07.30 х.ф. “ПРОБКА В КОСМОСЕ”
- 08.45 “ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ”
- 09.40 Здоровье и жизнь
- 10.15 Военная программа.
- 10.30 Золотой ключ.
- 10.50 Доброе утро, страна!
- 11.25 “КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО”
- 11.50 Телеигра “Сто к одному”
- 12.45 “ЗОРРО”
- 14.25 “КОМЕДИЙНЫЙ КОКТЕЙЛЬ”
- 15.00, 21.00 Вести
- 15.20 “МЕДОВЫЙ МЕСЯЦ”
- 17.00 Музыкальный бал П. Овсянникова и Президентского оркестра РФ.
- 18.30 Вести - Москва.
- 19.00 Моя семья
- 19.55 Аншлаг
- 21.25 Зеркало
- 22.00 х.ф. “ТЕСТЫ ДЛЯ НАСТОЯЩИХ МУЖЧИН”
- 23.30 “ТАЙНА БОРТА 25-16”
- 01.20 х.ф. “ЧУЖОЙ”

### НТВ

- 07.05 Сериал “ГОЛУБОЕ ДЕРЕВО”
- 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
- 09.15 фильм “ДОКТОР АЙБОЛИТ”.
- 10.30 Ох уж эти дети
- 11.20 х.ф. “УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ”
- 12.20 “комната Алисы”
- 13.25 фильм “АННА КАРЕНИНА”
- 15.30 Путешествия натуралиста.
- 16.05 Своя игра.
- 17.30 “Прдолжение следует...”
- 18.25 Чистосердечное признание
- 18.50 “Женский взгляд”
- 19.25 Вы будете смияться
- 20.35 фильм “ОХОТА НА ЗОЛУШКУ”.
- 21.45 фильм “ЧЕК”
- 23.55 Бокс
- 00.55 фильм “ИСТОРИЯ ВЕРШИТСЯ НОЧЬЮ”

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

# "ვარაზი ჩემთვის იგივეა, რაც თბილისი"

ალბერტ დილბარიანი



კადრი ფილმიდან "ფიროსმანი"

კონტექსტი

# ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის განმარტებითი ბარათი

**შესავალი**

***ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია ერთდროულად კულმინაციაც არის და ამოსავალი წერტილიც. იგი არის იურიდიული დასტური ოცი წლის ევროპული თანამშრომლობისა არქიტექტურული მემკვიდრეობის დარგში და ამავე დროს წარმოადგენს ახალ ჩარჩოებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოების თანამშრომლობისათვის.***

### კონვენციის საფუძვლები ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამის კონტექსტში

1963 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ წამოაყენა ინიციატივა ძეგლებისა და ზონების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების დარგში ევროპული თანამშრომლობის შესახებ. 1969 წლის 25-27 ნოემბერს ბრიუსელში ამ სექტორის მესვეურ მინისტრთა პირველი ევროპული კონფერენციის ჩატარებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 589 (1970), რომელიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღებას მიაპყრობდა მიზანშეწონილებაზე, შექმნილიყო თანამშრომლობის მუდმივი კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებდა ევროპულ ქარტიას, მასში ჩამოყალიბდებოდა მემკვიდრეობის "დაცვისა და რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები", ხოლო შემდეგ ამ ქარტიის შუქზე მომზადდებოდა ევროპული კონვენცია.

სამუშაოს დიდი ნაწილი შესრულდა 1970-იან წლებში ორგანიზაციის ხელშეწყობით და დაგვირგვინდა 1975 წლის სექტემბერში მინისტრთა კომიტეტის მიერ არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპის ქარტიის მიღებით. ქარტიის პრინციპები, რომლებიც შესულია ამსტერდამის კონგრესის ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის წლის (1975) დამაგვირგვინებელი ღონისძიების დეკლარაციაში, წარმოადგენს ნაშენი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ევროპული აზროვნების ერთ-ერთ ნიშნულს. მას შემდეგ ფართოდ მიღებულია ზრუნვა ქალაქის დაგეგმარებაში კონსერვაციის "ინტეგრირებაზე", ისტორიული შენობების ჯგუფებისა და მათი გარემოცვის შენარჩუნებაზე და მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ნაწილის, მიჩნევაზე.

ევროპის საბჭოს სამთავრობათაშორისო პროგრამამ 1975 წლიდან თანამშრომლობა გააფართოვა. 1976 წელს მინისტრთა კომიტეტმა რეზოლუციაში (76) 28 მისცა რეკომენდაცია წევრ მთავრობებს, რათა მათ მისადაგებინათ კანონებისა და წესების ეროვნული სისტემები "ინტეგრირებული კონსერვაციის" მოთხოვნილებებისათვის. კონვენციის იდეა, რომელსაც მეტი ძალა ექნებოდა, ვიდრე დეკლარაციას ან რეკომენდაციას და სახელმწიფოების დაუმუშავებლობა საერთაშორისო კანონმდებლობაში, კვლავ წამოიჭრა 1982 წელს CLRAE-ს რეზოლუციაში № 127. იგი მიიღეს ისტორიული ქალაქების მე-4 ევროპულ სიმპოზიუმზე.

სწორედ ამ კონტექსტში, 1981 წლის სექტემბერში, მინისტრთა კომიტეტმა დაავალა საქმიანობის სამთავრობათაშორისო პროგრამის (ურბანისტული პოლიტიკისა და არქიტექტურული მემკვიდრეობის კომიტეტი, CDUP) მემკვიდრეობის სექტორის პასუხისმგებელ კომიტეტს, წინასწარ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩამოეყალიბებინა აზრი ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე.

1983 წლის პლენარულ სხდომაზე CDUP-მ მიიღო დასრულებულად წინასწარი სამუშაოები, რომლებიც, სამდივნოს თხოვნით, 1982 წელს ჩაატარა ნანსის ევროპულმა საუნივერსიტეტო ცენტრმა და მხარი დაუჭირა კონვენციის პრინციპს. CDUP-ს წინადადებით, მინისტრთა კომიტეტმა 1983 წლის თავის 360-ე სხდომაზე გადაწყვიტა შექმნა ნამდვილი ექსპერტების კომიტეტი, რომელსაც საგანგებოდ დაევალა ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის პროექტის მომზადება საქმიანობის სამთავრობათაშორისო პროგრამის ჩარჩოში.

იმავე დროს, როცა იწერებოდა კონვენცია, უფროს ოფიციალურ პირთა კომიტეტმა ეთხოვა, 1984 წელს, მოემზადებინა არქიტექტურული მემკვიდრეობის მესვეურ მინისტრთა მეორე ევროპული კონფერენცია, რომლის ჩატარება ითავა ესპანეთის მთავრობამ გრენადაში 1985 წელს; მას ორმაგი მიზანი ჰქონდა - განეხილა ევროპული თანამშრომლობის მდგომარეობა პირველი კონფერენციის შემდეგ 1969 წლის და ამავე დროს დაესახა თანამშრომლობის ახალი მიმართულებები. იმისათვის, რომ აღენიშნათ განახლებული იმპულსი, რომელიც მიეცა ევროპულ მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკურ წონას, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ კონვენცია ხელმისაწვდომი გახსნილიყო გრენადის მინისტრთა კონფერენციასთან დაკავშირებით.

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 1985 წლის 3 ოქტომბერს, არქიტექტურული მემკვიდრეობის მესვეურ მინისტრთა მეორე ევროპულ კონფერენციაზე გრენადაში.

### კონვენციის მიზნები და სტრუქტურა

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობა უსაზღვროდ მდიდარია და მრავალფეროვანი. ამ მემკვიდრეობის ხასიათი, მის კონსერვაციასთან და მისდამი ოფიციალურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემები საგრძნობლად განსხვავდება ევროპის სხვადასხვა რეგიონში. კონვენცია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამ სირთულეს; ასევე, მას უნდა გამოეხატა ევროპის ძირეული ერთიანობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ მის კულტურულ ტრადიციებში, არამედ აგრეთვე იმ პრობლემათა და ამოცანათა მსგავსებაში, რომელთა წინ იგი დგას დღეს.

მემკვიდრეობის დაცვა მიზანშეწონილია ორი ძირითადი მიზეზით:

- მემკვიდრეობის დაცვას გააჩნია ამაღლებული კულტურული მიზანი.

1982 წლის მექსიკო სიტის მსოფლიო კონფერენციამ კულტურის პოლიტიკებზე აღნიშნა, რომ "ერის კულტურული მემკვიდრეობა შეიცავს მისი მხატვრების, არქიტექტორების, მუსიკოსების, მწერლებისა და მეცნიერების ნაშრომებს, და აგრეთვე უცნობ ხელოვანთა ნაშრომს, გამოხატულებას ერის სულიერებისა და ღირებულებათა სისტემისა, რომელიც აზრს ანიჭებს ცხოვრებას. იგი შეიცავს ხელშესახებ და დაუნახავ ნაშრომებს, რომელთა საშუალებით ხდება ამ ერის შემოქმედების გამოხატვა: ენები, რიტუალები, რწმენები, ისტორიული ადგილები და ძეგლები, ლიტერატურა, ხელოვნება, არქივები და ბიბლიოთეკები".

**არქიტექტურული მემკვიდრეობა ყველაზე ადვილად შესაცნობი ნაწილია კულტურული მემკვიდრეობისა. ევროპის მრავალსახა და ხშირად უსაზღვრო კულტურების აღიარება, დაცვა და განვითარება** - აი, საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ ევროპელებმა შემოქმედებითად იცხოვრონ და იმეცნონ ერთად. მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ კონვენციას ხაზი გაესვა, სადაც კი ეს საჭირო იყო, მისი როლისთვის, რომელიც უნდა ითამაშოს არქიტექტურულმა მემკვიდრეობამ კულტურულ განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე.

მემკვიდრეობის ინტეგრირებული დაცვა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კონვენცია არსებითად ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან მიღწევას, რომელიც ეხება მემკვიდრეობის ჩართვას ქალაქის დაგეგმარებისა და განვითარების პოლიტიკაში. **იგი სამართლიანად უსვამს ხაზს ურბანისტებს, მეცნიერებსა და კონსერვატორებს შორის ყველა დონეზე თანამშრომლობის და საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობას.**

გარდა ამისა, მემკვიდრეობის დაცვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას.

მემკვიდრეობის მომავლისათვის საუკეთესო იქნება, რომ იგი სარგებლობაში იყოს. მართალია, უძრავის კონსერვაცია ფულის ღირს, მაგრამ იგი, ამავე დროს, შემოსავლის წყაროა და ქმნის სამუშაო ადგილებს. კონვენცია უნდა ნათლად აესახა ინვესტიციების საზოგადო და კერძო ფინანსური ხელშეკრულებებისა და პროფესიონალების მომზადების მნიშვნელობა.

ამ კონტექსტში კონვენცია უნდა ემსახურებოდეს ორმაგ მიზანს:

- მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე დაცვისა და წარმოჩენის პოლიტიკის გაძლიერება და პროპაგანდა;
- ევროპული სოლიდარობის განვითარება მემკვიდრეობის დაცვისა და სახელმწიფოების და რეგიონების პრაქტიკული თანამშრომლობის დარგში.

პირველი ნაწილი ეხება დაცვის მინიმალურ ზომებს და კონსერვაციის პოლიტიკას, რომელიც უნდა გატარდეს ევროპის საბჭოს და სხვა სპეციალიზებული საერთაშორისო ინსტიტუტების წინა დოკუმენტების გათვალისწინებით.

მეორე ნაწილის მიზანია ხელი შეუწყოს ევრო მჭიდრო ევროპულ თანამშრომლობას მემკვიდრეობის დაცვაში. იგი ასახელებს "კონსერვაციის პოლიტიკის ევროპულ პოლიტიკას" პრინციპებს, რომელიც მოიცავს მხარეთა კონსულტაციებს პოლიტიკების თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, აგრეთვე გამოცდილებას და სპეციალისტების გაცვლას. კონვენციის ევოლუციური ხასიათი ელინდება დებულებაში, რომელიც ეხება კომიტეტის შექმნას მისი ცხოვრებაში გატარების სამეთვალყურეოდ და იმ ფაქტში, რომ ამ კომიტეტს შეუძლია არა მხოლოდ კონვენციის შესწორებების შეთავაზება, არამედ რეკომენდაციების გაკეთება მდგომარეობისა და მოთხოვნილებების შეცვლასთან დაკავშირებით.

ტექსტი მთავრდება დასკვნითი დებულებებით, რომლებიც ეყრდნობა ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ კონვენციებში ჩვეულებრივ გამოყენებულ დებულებებს.

გარდა ამისა, კონვენციის სათაური შეიცავს გამოთქმას "ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობა" იმისათვის, რათა დადასტურდეს, რომ კონვენციის მონაწილე მხარეების მიზანია ყველასათვის საერთო ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ მხრივ ტექსტი არ ეხება ევროპული კულტურის გამოხატულებას, რომელიც სხვა კონტინენტებზეა შექმნილი.

ჩვენთან, თბილისში

# მოსახლეობა მერიაზე იმარჯვებს

## ვერაზე სახლი გადარჩა

**"აუცილებელი საჭიროებაა, რომ ძველი ტფილისის ნაშთებს ახლავე სათანადო ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეს ნაშთები ახლავე შესწავლილი იქნეს, მით უმეტეს, რომ ზოგი შენობა სიძველისაგან ძლივსღა სულს ღაფავს, და შორს არ არის ის დრო, როდესაც რომელიმე ვერაგული ხელი მას დაანგრევს, რომ მის ნანგრევებზე ააგოს ახლანდელი სარგებლიანი შენობა. თუკი ჩვენ ძველი ტფილისის სიძველეების შენარჩუნებას ახლავე ხელი არ მოვკიდეთ, მერმე უკვე გვიან იქნება."**

*დავით კაკაბაძე*

*ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მეტად იცვლება ქალაქის ძველი უბნები - იცვლება უარესისკენ, რადგან აქ სრული განუკითხაობა სუფევს. ფასეულ არქიტექტურულ ანსამბლებს ჩვენს თვალწინ ანგრევენ და მათ ადგილას სარფიან, მახინჯ კორპუსებს აშენებენ.*

*თუმცა, ამას წინათ, ერთი ასეთი ისტორია, ყველასთვის მოულოდნელად, სკანდალითა და სასიკეთოდ დამთავრდა.*

*ეს ამბავი ვერაზე მოხდა, შანიძის ქუჩაზე, ცამეტ ნომერში. შარშან, შემოდგომაზე, ეს სახლი დაიცალა - ძველი მობინადრეები სადღაც წავიდნენ. მერე სახლის გარშემო უცხო ადამიანებმა დაიწყეს ფუსფუსი. მეზობლები შეშფოთდნენ, და როცა შეიტყვეს, რომ სახლს დანგრევას უპირებდნენ, ქუჩის აქციაც კი მოაწყვეს. მერე ყველაფერი რაღაც საეჭვოდ მიყუჩდა. დაცლილი სახლის გარშემო ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა. ასოციაცია "ვერის უბნის ერთობლივი რეაბილიტაციის" წევრებმა და მეზობლებმა - ლალი ენუქიძემ, მანანა გედევანიშვილმა, ვახტანგ ლოლაძემ და სხვებმა გადაწყვიტეს, კარგად გარკვეულიყვნენ ამ საქმეში. აღმოჩნდა, რომ ამ სახლის ადგილას დასადგმელი შენობის პროექტი უკვე გამზადებული ჰქონიათ, რომ ის სიწყნარე მართლაც საეჭვო ყოფილა და რომ სინამდვილეში ახალი პატრონები საკმაოდ აქტიურად აგვარებდნენ დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაშინ ასოციაციის წევრებმა გადაწყვიტეს, ამ საქმეში ჩახედული, კომპეტენტური ადამიანებისთვის მიემართათ რჩევისთვის და არქიტექტორებს - ვაჟა კუხიანიძესა და ვახტანგ ლეჟავას და ადვოკატ სოსო ბარათაშვილს სთხოვეს დახმარება. მათი შემწეობით გაირკვა, რომ ახალი სახლის პროექტში დარღვეული იყო რეგლამენტით გათვალისწინებული რამდენიმე პუნქტი - თუნდაც ის, რომ რეგლამენტი ითვალისწინებს კონკრეტულ ტერიტორიაზე ნაგებობას არაუმეტეს სამსართულიანისა; ახალი შენობის პროექტით კი შვიდი სართული იყო დაგეგმილი. შემდეგ ამ საკითხზე იმსჯელეს ძეგლთა დაცვის სამმართველოს საბჭოზე და საბჭო იძულებული გახდა, დაედგინა, რომ სახლი ფონური განაშენიანების ნიმუშია და რომ მისი დანგრევა არ შეიძლება.*

*სახლი გადარჩა. რასაკვირველია, ეს არც ისე იოლად მოხდა; ამ საქმეს ადამიანების დიდი ძალისხმევა და შეუპოვრობა დასჭირდა. თუმცა სჯობს, თვითონ ამ ამბის მონაწილეებს მოვუსმინოთ.*

**თემურ რეხვიაშვილი** *(ასოციაცია "ვერის უბნის ერთობლივი რეაბილიტაციის" წევრი):* - ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ვერაფერს გავაწყობდით ამ სახლის გარშემო მცხოვრები ადამიანების - მეზობლების აქტიური ჩარევის გარეშე, დღეს ცენტრალურ უბნებში უამრავი რამ ინგრევა, ნადგურდება და მათ ადგილას ყოვლად შეუსაბამო ნაგებობები იდგმება; მაგრამ ხმამაღლა, საჯაროდ არავინ გამოხატავს აღშფოთებას თითო-ოროლა კაცის გარდა. იმავე ვერის უბანში ამის ბევრი მაგალითია - თუნდაც შანიძის ქუჩიდან ორი ნაბიჯით დაშორებული შენობები ბარნოვზე, ან ჯანაშიას ქუჩის ზემოთ; ბოლო დროს რაღაც საეჭვო მოძრაობაა პეტრიაშვილის ქუჩაზე, სკოლის უკან - აი, იქ კი აუცილებლად გვინდა ჩავერიოთ და უბანს ბალი შევუნარჩუნოთ... უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. შენობები სოკოებივით იზრდება. ვისაც ეს არ მოსწონს, ხელი აქვს ჩაქნეული, ფიქრობს, მაინც არაფერი გამოვაო. მაგრამ ჩვენი მაგალითი დასტურია იმისა, რომ საზოგადოების აქტიურ ქმედებას აუცილებლად ექნება შედეგი. სხვათა შორის, ჩვენ ბედმა გაგვიღიმა - ძეგლთა დაცვის სამმართველოს საბჭომ უპრეცედენტო დასკვნა გამოიტანა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ადამიანებმა, ვინც საბჭოს სხდომაზე ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევდა საკითხის ასე გადაწყვეტას, კენჭისყრისას პოზიცია შეიცვალეს. სახლის პატრონებიც, ასე თუ ისე, გაგებით მოეკიდნენ ამ საქმეს. ჩემთვის საინტერესო იყო ერთი რამ: აღმოჩნდა, რომ ის, ვინც კანონს არღვევს, მაინცდამაინც დიდ წინააღმდეგობას აღარ უწევს კანონის დაცვის მოთხოვნას, სულერთია, ეს ჩინოვნიკი იქნება, შემკვეთი თუ შემსრულებელი. ასე რომ, თუ საზოგადოება მტკიცედ აღუდგა წინ, ამ ქალაქში შეიძლება ლამაზი ადგილების გადარჩენა.

**ვახტანგ ლეჟავა** *(არქიტექტორი-ურბანისტი):* - პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს საზოგადოების სამოქალაქო, პატარა გმირობა. მათ შეძლეს, ყოფილიყვნენ თანმიმდევრულები, პრინციპულები, გამოიჩინეს თვითორგანიზების უნარი. გარდა ამისა, საზოგადოების მეცადინეობას განამტკიცებდა სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფა - კონსულტანტად ჰყავდათ კვალიფიციური იურისტი, და ამავდროულად, ეხმარებოდნენ პროფესიონალები. ეს ძალიან კარგი მაგალითია, თუმცა, სამწუხაროდ, ძალზე იშვიათი. როგორც ჩანს, კანონიერების დაცვა შესაძლებელია, თუ ვიქნებით თამამები, თანმიმდევრულები და არ ვიქნებით გულგრილები. შეიძლება განზოგადება - მოხერხდება თუ არა ამ გზით მთელი ქალაქის დაცვა? ალბათ, ვერა. სხვაგვარად საჭირო აღარ იქნებოდა ადგილობრივი ხელისუფლების არსებობა. დღევანდელი ვითარება თვალსაჩინოდ მიგვითითებს, რომ დედაქალაქი გადაქცეულია რამდენიმე პირის კერძო საწარმოდ, სადაც ყოველ ქმედებას მუშტრის თვალით უყურებენ და მხოლოდ ის აღელვებთ, ესა თუ ის ქმედება სარგებელს მოიტანს თუ არა. მოსახლეობას და დედაქალაქის ხელისუფლებას შორის იზრდება ნაპრალი, რომელმაც, გარკვეულ ეტაპზე, შეიძლება, სახიფათო სახე მიიღოს. ჩემი დაკვირვებით, ადამიანებს უკვე კონკრეტული, უგვანი შენობა კი არ აღელვებთ, არამედ ის, რომ შეურაცხყოფილია მათი მოქალაქეობრივი უფლებები, მათი ღირსება. ხელისუფლების მიერ ყოველ ნაბიჯზე წარმოთქმული რიტორიკული სიტყვების მიუხედავად, ვერ ვხედავთ ქალაქის ურბანული განვითარებისა და მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის ფორმირების თუნდაც სუსტ მცდელობას. თუ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ქალაქის ისტორიულ ნაწილს არა აქვს ღირებულება, ეს პირდაპირ უნდა განაცხადოს, დაასაბუთოს და მაშინ ექნება იურიდიული და მორალური საფუძველი, იმოქმედოს ისე, როგორც მოქმედებს. გამუდმებით მიმდინარეობს ფასეულობათა საერთაშორისო ნორმების შესაბამისი დეკლარირება და ამავე დროს, მეორე ხელით კეთდება ზუსტად საწინააღმდეგო საქმეები; და ამ საქმეებს სჩადიან მეთოდურად. ეს აღარ არის რაღაც სპონტანური ტალღა, ეს არის მეთოდური, დესტრუქციული ქმედება. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად საუკეთესო გზაა სამეზობლო ჯგუფებისა და საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება, რაც მიმართული იქნება იქით, რომ დედაქალაქში განხორციელდეს სრული თვითმმართველობა და ჩამოყალიბდეს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც არ იმოქმედებენ მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ.



**ვაჟა კუხიანიძე** *(არქიტექტორი):* - სამწუხაროდ, ჩვენში არქიტექტორს არა აქვს კონსულტანტის ფუნქცია. ალბათ საზოგადოებაშიც უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება არქიტექტურული საქმიანობის მიმართ. ხშირად ვამბობთ, რომ ძველ უბნებში კორპუსების ჩადგმა არ შეიძლება, მაგრამ ვინც ამ კორპუსს აშენებს, ის ბიზნესმენია და სწორედ მრავალსართულიანი სახლი სჭირდება მოგებისთვის, რათა იმ ადგილას მცხოვრები ოჯახებიც დააკმაყოფილოს და მერე რაც შეიძლება, მეტი ბინა გაყიდოს. მაგრამ ხშირად ყველას ავიწყდება ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი - ქალაქის ისტორიულ ზონაში კორპუსების აშენება თავისთავად იწვევს ამ უბნებში ქონებრივ ინფლაციას.

**ნუნუ დუღაშვილი** *(საპროტესტო აქციის მონაწილე):* - როცა გაირკვა, რომ შანიძის 13 უნდა დანგრეულიყო, ძალიან შევშფოთდით, რადგან ჩვენს გარშემო სივრცე უკვე აივსო დიდი სახლებით. იქ თუ კიდევ ერთი გრანდიოზული შენობა ჩადგებოდა, ჩვენს სახლს აღარ ექნებოდა აღარც ეზო, აღარც ჰაერი. სასიხარულოა, რომ ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, პროტესტმა გაჭრა და კიდევ ერთი უკანონობა აღიკვეთა. მე ამ ბრძოლის ერთ-ერთ ჯარისკაცად ვგრძნობ თავს. თავსმოხვეულ უკანონობასა და ძალადობას მოქალაქეებმა საკუთარი ნება უნდა დაუპირისპირონ.

**სოსო ბარათაშვილი** *(ადვოკატი):* - ძველ უბნებში დღეს სწორედ ის ვითარებაა, რაც ჩვენს ქვეყანაში - აქაც ისეთივე განუკითხაობაა და კორუფცია, როგორც ყველა სხვა სფეროში. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც შეიძლება, ამ პროცესს წინ აღუდგეს საზოგადოება. თუ საწყის ეტაპზევე გავუწევთ წინააღმდეგობას, როგორც ეს მოხდა შანიძის 13-ის გამო, საქმე უფრო ადვილად მოგვარდება. უკვე აგებული შენობების დანგრევა რთულია, მაგრამ მაინც რეალურია - თუ საზოგადოება მოინდომებს და ხელისუფლების ნება იქნება. შანიძის 13-ის გამო საქმე სასამართლომდე არ მისულა, თუმცა ჩვენ ვაპირებდით, თუ საჭირო გახდებოდა, სასამართლოსთვის მიგვემართა.

**რამაზ რეხვიაშვილი** *(ასოციაცია "ვერის უბნის ერთობლივი რეაბილიტაციის" წევრი):* - მე ვფიქრობ, რომ ყველამ თავის უბანს უნდა მოუაროს. უკვე ითქვა ამ საქმეში მეზობლების დიდი წვლილის შესახებ. სხვათა შორის, ისინი დღესაც ფხიზლად არიან და გამუდმებით თვალს ადევნებენ ამ სახლს. სამწუხაროდ, სხვა გზა აღარ არის. თუ ყველა თავის უბანს მიხედავს, იქნებ მაშინ მაინც ეშველოს ქალაქს.

*ასე გადარჩა თბილისში ერთი ლამაზი სახლი. გადარჩა, ფაქტიურად, იმ უბნის მკვიდრთა წყალობით. მაგრამ ეს ამბავი მრავალმხრივაა საგულისხმო. ესაა თვალსაჩინო დასტური იმისა, რომ უწყებები, რომლებსაც ქალაქის მოვლა ევალება, საკუთარი სარგებლისთვის შეგნებულად უგულებელყოფენ კანონებს და ქალაქის მკვიდრნი იძულებულნი არიან, თვითონ გამოიღონ ხელი თბილისის იერსახის გადასარჩენად.*

*თუმცა, ჩვენთან, თბილისში, ყველაფერი ხდება...*

რეპლიკა

ქალაქ თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახური
თბილისი, 380002, დავით აღმაშენებლის გამზ. 89/24
ტელ.: 95 31 26, ფაქსი: 95 32 29
TBILISI ARCHITECTURE AND TOWN PLANING SERVICE
Tbilisi, 380002, David Agmashenebeli ave. 89/24
Tel.: 95 31 26 Fax: 95 32 29

თქვენს წინაშეა თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის სატიტულო ფურცელი. აქ უწყების დასახელება ინგლისურად ცოტა უცნაურადაა თარგმნილი: Tbilisi Architecture and Town Planing Service. როგორც ჩანს, ნაგულისხმევია, რომ სიტყვა planing უნდა აღნიშნავდეს დაგეგმარებას. მაგრამ დაგეგმარება ინგლისურად არის planning, ხოლო ფურცელზე დაბეჭდილი სიტყვა (planing) ნიშნავს: 1. გარანდვას, გაფხეკას; 2. გაბრტყელებას, მოსწორებას.

ძნელი გასარკვევია, რა გახდა ამ კურიოზული შეცდომის მიზეზი - ინგლისური ენის უცოდინრობა თუ შემთხვევით გაპარული კორექტურა, ტექნიკური ლაფსუსი. რასაკვირველია, ამაზე არავინ გაამახვილებდა ყურადღებას, რომ არა ერთი გარემოება: სადაც სამართალია, ამ უწყებას სწორედ ქალაქის გაბრტყელება-მოსწორების სამსახური უნდა ერქვას. ასე რომ, ქვეყნად შემთხვევითი არაფერია, ეს შეცდომაც, უდავოდ, სიმბოლურია და ვითარებას ზედმიწევნით ზუსტად ასახავს.

არტ-კლუბი

# კულტურას ფსევდოცივილიზაცია ანადგურებს

## საუბრობენ დათო მაღრაძე და გიორგი შენგელაია

*დათო მაღრაძე:* ***- დედაქალაქის დღევანდელი მდგომარეობა ერთმნიშვნელოვნად საგანგაშოა; მით უფრო არტისტული საზოგადოებისთვის, რომელიც პირუთვნელი შემფასებელია და უფრო ფაქიზად აღიქვამს შექმნილ ვითარებას. ეს ალბათ თქვენთვისაც ძალზე მტკივნეულია, რადგან თქვენი შემოქმედება მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული ამ ქალაქთან - ვგულისხმობ თქვენს ფილმებს: "ფიროსმანი", "ვერის უბნის მელოდიები".***

*გიორგი შენგელაია:* - მე უფრო განვაზოგადებდი ამ პრობლემას. ჩვენ ამ გარემოში ვცხოვრობთ, ჩვენი ქალაქი ყოველდღიური აღქმის საგანია და, რასაკვირველია, რაც ხდება, ფიზიკურად გვტკივა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ უფრო დიდი, ზოგადი პრობლემა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ბერდიაევმა შექმნა, ჩემი აზრით, ტრაგიკული ნაწარმოები - "კულტურა და ცივილიზაცია", სადაც ამბობდა, რომ ცივილიზაცია გამორიცხავს კულტურას. იგი გულისხმობს, რომ ცივილიზაცია ესწრაფვის, ყველას შეუქმნას ყოფის თანაბარი პირობები, დაამკვიდროს დემოკრატია, დაბალ ფენებს გააუმჯობესოს ცხოვრება; გარდა ამისა, ტექნოლოგიურმა პროგრესმა კულტურის დარგში მოიტანა მასობრივი კულტურის ფორმა. ასე რომ, დღეს ვხედავთ იმას, რასაც ბერდიაევი წინასწარმეტყველებდა. მნიშვნელოვანია მეორე მომენტიც - ის, რასაც ჩვენ კულტურულ ფასეულობას ვუწოდებთ, იქმნებოდა ბუნებრივ პირობებში, ლოკალურ გარემოში; ძველი თბილისის არქიტექტურა, რომელიც ასე გვიყვარს, არის აბსოლუტურად ლოკალურ გარემოში შექმნილი მატერიალური კულტურა. ჩვენმა არეულმა დრომ მოიტანა, რომ ადამიანები ფიქრობენ მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე; ჩვენი მოსახლეობა, სამწუხაროდ, ისწრაფვის ერთი პრიმიტიული მიზნისკენ - რომ ჰქონდეს რიგიანი კომუნალური პირობები. ჩვენი დუხჭირი ცხოვრება არ იძლევა იმის იმპულსებს, რომ რაღაც შევცვალოთ ჩვენი გარემოს კულტურისა და ტრადიციების შესაბამისად. ეს ძალიან ძნელია სახელმწიფოში, სადაც ასეთი დაბალი ეკონომიური დონეა და ასე ჰყვავის კორუფცია. არის კიდევ ერთი პრობლემა - ქალაქს დღეს უგემოვნო ხალხი აშენებს. ეს, რა თქმა უნდა, გამაღიზიანებელია, მაგრამ ვერსად გაექცევი - ყველაფერი გამიზნულია პლებსის დასაკმაყოფილებლად. ამას წინათ ელიაზე ვიყავი, იქიდან გამოვხედე მამადავითს და სახტად დავრჩი. ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ იმ არქიტექტორებს, ვინც ვეება ნაგებობები წამოჭიმეს, გაეთვალისწინებინათ ლანდშაფტი. მთა თითქოს დაბლა ჩამოვიდა, ფუნიკულიორი დაპატარავდა... რასაკვირველია, საზოგადოებამ, მისი კულტურული წრეების წარმომადგენლებმა უნდა ვიბრძოლოთ, ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ, თუმცა ძალიან ძნელია გაუმკლავდე ამ ნუვორიშული ტალღის მოზღვავებას.

**- ბერდიაევის სენტენციას იმის შესახებ, რომ ცივილიზაცია გამორიცხავს კულტურას, მთლიანად ვერა, მაგრამ ნაწილობრივ ვეთანხმები. კულტურას ფსევდოცივილიზაცია ანადგურებს. ერთ ლექსში ნათქვამი მაქვს, რომ ცივილიზაცია არის რომი, კულტურა - იესო, მერე მისი ჯვარცმა ხდება, მაგრამ ამას ხომ აღდგომა მოსდევს. მე ვფიქრობ, რომ არტისტული საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს, მაგრამ კულტურული ფასეულობები მისი დასაცავი არ უნდა გახდეს, ამას კანონმდებლობა უნდა იცავდეს.**

- საქმე ისაა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ აბსოლუტურად უფორმო სახელმწიფოში. ის პროცესები, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, ევროპაშიც მიდის, მაგრამ იქ ტრადიციიდან გამომდინარეობს და ასეთი უხეში დარღვევები არ ხდება. თუმცა ამისგან არც იქ არიან დაზღვეულები. პარიზში, ლუვრის ეზოში რომ პირამიდა აშენდა, ეს ნონსენსი იყო, მაგრამ რომელიღაც პოლიტიკოსმა მოინდომა და დაუშვა. თუმცა იქ ძველი უბნები უფრო მასშტაბურია და ასე ადვილად ვერ ირღვევა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ გაურკვეველი სახელმწიფო გვაქვს, ფულიანი ხალხის ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადი კანონები, რომლებიც საზოგადოებას აკმაყოფილებს. არავითარი იმედი გამოსწორებისა არ შეიძლება გვქონდეს, სანამ სახელმწიფო არ გაჯანსაღდება. თქვენ სავსებით სწორი ბრძანდებით - კანონი უნდა კანონობდეს, მაგრამ ღარიბ და სუსტ სახელმწიფოში ეს ძალიან ძნელია, რადგან აქ ყოველთვის არის საშუალება, მოხელემ მატერიალური დაინტერესების გამო გვერდი აუაროს კანონს. ჩვენთან მოხდება რაღაც ისეთი, რაც გააღიზიანებს საზოგადოებას, მერე იწელება ამ საქმეზე რეაგირება, მერე ხალხს ბეზრდება ამაზე ლაპარაკი, მერე სხვა რამ მოხდება და ამ, პირველ გამაღიზიანებელს, ივიწყებენ. შედეგად კი უხვად გვაქვს ასეთი საძაგელი შენობები. ეს პრობლემა საბჭოთა პერიოდიდან მოდის. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ლანდშაფტი უკვე დამახინჯებული იყო. "ფიროსმანი" თავიდან ბოლომდე დეკორაციებითაა გადაღებული. ყველა ხელოვანი წარსულსა და მომავალს შორის არსებობს. ჩვენი თვისება წარსულის ტრფობაა და ეს სავსებით ნორმალურია. გამუდმებით ვეძებთ იდეალს და მას წარსულში ვპოულობთ. ერთხელ მთაში ვიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად. დიდი უღელტეხილიდან ჩამოვდიოდით და შორს, ქვემოთ, მდინარესთან, რაღაც წითელი წერტილი შევნიშნეთ. ვერაფრით ვერ მივხვდით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ნახევარი დღე ვიარეთ, მდინარესთან ჩავაღწიეთ და ვნახეთ - თურმე ხევსური ქალი რაღაცას ენდროთი წითლად ღებავდა და ქვაზე ჰქონდა გაშლილი. იმ ფერს ისეთი სიკაშკაშე ჰქონდა, რომ მთის წვერიდან ჩანდა. ეს იყო ბუნებრიობის თვალსაჩინო განაცხადი. ცივილიზაციამ სინთეტურობა მოიტანა. ჩვენთვის კი ის ძველი სამყარო უფრო ძვირფასია. ეს ჩვენს შვილებსაც გენეტიკურად გამოჰყვათ, მათ ამ სინთეტურ ეპოქაშიც აქვთ დიდი, ორგანული კულტურის შეგრძნება. მაგრამ სინთეტურობა ჭარბობს, გინდ ტელევიზიის სახით, გინდ - მუსიკაში. კლასიკურმა მუსიკამ ლამის სამუზეუმო ფორმა მიიღო. ეს ყველაფერი დამანგრეველია...

**- ეს ფსევდოცივილიზაცია ხომ არ არის? ამგვარი ტენდენციები უფრო მძლავრადაა შეჭრილი ევროპის ქვეყნებში - ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ნორვეგიაში, მაგრამ იქ ხალხი ინარჩუნებს კულტურულ მემკვიდრეობას, რადგან სახელმწიფო ისეა მოწყობილი, რომ ცივილიზაციის შესვლასთან ერთად, კულტურა არ წაიშალოს, არ აღიგავოს პირისაგან მიწისა. რა თქმა უნდა, ცივილიზაციას თავისი კრიტერიუმები მოაქვს, თავისი ავი და კარგი მოაქვს, მაგრამ არა წარსულის წაშლის ხარჯზე. წარსულის მემკვიდრეობას ინარჩუნებს ყველა ცივილური ქვეყანა (დღევანდელ გენერაციას ვგულისხმობ) და ცივილიზაციას კულტურულ ასპარეზს უქმნის, რათა არ უმტროს, არ დაუპირისპირდეს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ, ადამიანებისთვის უკვე მშობლიურ კულტურულ გარემოს.**

- ევროპაში ამ გარემოს ძალიან უფრთხილდებიან, მაგრამ სამწუხაროდ, იქ ახალგაზრდობა აღარ არის დაინტერესებული კლასიკური კულტურით. იაპონიაში რამდენჯერმე ვიყავი ერთი ძალზე ცნობილი გამომცემლის ოჯახში. როცა მათ დავუახლოვდი, აღმოვაჩინე, რომ ახალ თაობას მაინცდამაინც აღარ აინტერესებს იაპონური ტრადიციული თეატრი, ტრადიციული კულტურა. მასპინძელმა შემომჩივლა, ტრაგედიაა, რომ ეს მხოლოდ ტურისტების ინტერესის საგანიაო. ამასვე წავაწყდი საფრანგეთში, სადაც ვნახე, რომ ახალგაზრდებს ტელევიზორი და ჟურნალ-გაზეთები ურჩევნიათ "კომედი-ფრანსეზს". ოთარ იოსელიანმა მიამბო, საფრანგეთში პირველად რომ დავიწყე გადაღება, საუკეთესო სტუდენტები მყავდა, მაგრამ ნანახი არ ჰქონდათ რენე კლერისა და მარსელ კარნეს ფილმები; როცა ვკითხე, კინოსკოლები ხომ დაამთავრეთ, ეს როგორ არ გინახავთ-მეთქი, მიპასუხეს, აღარ არის საჭიროო. ეს ძალიან დასანანია და სამწუხარო, მაგრამ წინ ვერ აღუდგები. კაცობრიობა ცდილობს ფიზიკურად გადარჩენას, ცივილიზაცია, ტექნიკა, მეცნიერება არსებობის გადარჩენას ესწრაფვის. კულტურა კი უნდა იყოს ორგანული იმ ბუნებასთან, იმ ლანდშაფტთან, სადაც ეთნოსი ცხოვრობს. პარადოქსია, მაგრამ მაღალი რანგის ხელოვნება კლასობრივი საზოგადოების დროს უფრო ვითარდებოდა. იყო ერთი შემკვეთი - არა პლებსი, არა ხალხი, არამედ არისტოკრატია; პიროვნებები, ვისაც შეიძლება, არ ჰქონდათ ხელოვნების ნიჭი, მაგრამ სჭირდებოდათ მაღალი რანგის გართობა. კურფიურსტის გარეშე არ იქნებოდა მოცარტი, რადგან მოცარტის ამოცნობა უფრო კურფიურსტს შეეძლო, ვიდრე მდაბიოს. პოპულარიზაცია მერე იწყება... მაგრამ ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ყველაფერს განაგებს მატერიალური ღირებულებები, ის, რასაც პლებსი აღიარებს; მათთან მაღალ მატერიალებზე საუბარი მგლის თავზე სახარების კითხვაა. რამდენჯერაც არ უნდა უთხრა, ნაბოკოვი და ბროდსკი იკითხეთო, მაინც ტელევიზორს მიუსხდებიან.

**- ეგ ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, მაგრამ მე მგონია, რომ საქართველოში სხვა პრობლემა გვაქვს. ყველგან, სადაც ცივილიზაცია შედის, კულტურულ ფასეულობებს ინარჩუნებენ, ჩვენთან კი ცივილიზაციის შემოსვლა ამ ფასეულობებს ანადგურებს. აქ ცივილიზაცია კი არ შემოვიდა, არამედ აღებ-მიცემობა და ქალაქიც, ქვეყანაც კორუფციის ასპარეზად იქცა.**

- იმიტომ, რომ ჩვენთან სახელმწიფო არ არის ჩამოყალიბებული. ევროპელებს ასეთი ისტორიული კოლიზიები არ გადაუტანიათ. მე მიმაჩნია, რომ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - სოციალიზმის დროს მოისპო ნომენკლატურა ამ სიტყვის კარგი გაგებით. ადრე საზოგადოებაში ყველას თავისი ადგილი ჰქონდა - ვექილს, მეცნიერს, ხელოვანს, მუშას... ახლა სრულად ერთსახოვანი ადამიანები მონაწილეობენ სხვადასხვა სფეროში. ცენზი აღარ არსებობს.

**- არადა, საქართველო არ არის ისეთი პატარა ქვეყანა, რომ სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდეს. ერის კულტურა ლექსში, მხატვრობაში შეიძლება ნაკლებად იკვეთებოდეს, ვიდრე სახელმწიფოს შენებაში. ჩვენ ამის ტრადიცია გვაქვს. როგორც კი მინიმალური საშუალება გაჩნდებოდა, ქართველი კაცი მაშინვე იწყებდა სახელმწიფოს შენებას.**

- სახელმწიფოს შენებას იწყებდა ხალხი, ვინც საამისოდ მოწოდებული იყო - არისტოკრატია. აზნაურად დაბადებულმა კაცმა იცოდა, რომ უნდა მოევლო ქვეყნისთვის, უაზნოებისთვის. ეს ეპოქაც წავიდა. ახლა არავის არა აქვს კვალიფიკაცია, რომელიც ევროპელს სჭირდება ქვეყნის შენებისთვის.

**- ეს პროცესი ბოლშევიზმის შემოსვლისას დაიწყო.**

- რა თქმა უნდა. გადავედით ეპოქაში, სადაც ყველაფერი დასაშვებია. მაგრამ განათლებულმა და კულტურულმა ხალხმა ეს ვერ გამოიყენა, რადგან ისინი ზნეობრივი ღირებულების ერთგულები რჩებიან. ამიტომაცაა მომძლავრებული პლებსი. კარგად რომ გაიკითხოთ, ვინ აშენებს დღეს სახლებს, ნახავთ, რომ ამ ხალხს წარმომავლობაც კი არა აქვს.

**- ვინ აშენებს, ეგ ერთი პრობლემაა; მეორე პრობლემა, უფრო სწორად, უბედურება ისაა, თუ ვის აბარია ამ საქმის წარმართვა, უბედურებაა ქვეყნის პირველი პირის მიერ დანერგილი ტენდენცია - ხელისუფლება კომპლექტდება არაკვალიფიციური, უპროფესიო ადამიანებით. უპროფესიო კაცი ხომ სხვის პროფესიასაც არ სცემს პატივს.**

- იმიტომ, რომ არ იცის ამის ფასი.

**- არ იცის პროფესიის მადლი. წინდაწინ აგდებულად, აგრესიულადაა განწყობილი ნებისმიერი დარგის პროფესიონალის მიმართ.**

- სწორი ბრძანდებით. აგრესია იბადება. გამუდმებით ვგრძნობ, რომ იმ ადამიანებს, ვინც მართავს, აგრესია უჩნდებათ იმ ადამიანებისადმი, ვინც მიუთითებს, რომ ესა თუ ის გადაწყვეტილება მცდარია. სამწუხაროდ, გადაწყვეტილებას ჩინოვნიკები იღებენ.

**- ჩვენთან შეიქმნა ხელმძღვანელი მუშაკის ტიპი. ესაა უპროფესიო კაცი, რომელსაც საყველაფრო აქვს დამთავრებული, რომელიც მზადაა სამუშაოდ ნებისმიერ დარგში, სადაც არ უნდა გაუშვან. ამ ტენდენციას პირველი პირი ამკვიდრებს. ეს მსოფლმხედველობა გარშემო იკრებს ასეთ ადამიანებს, კვალიფიკაციას მოკლებულ ხალხს, და ხდება მასობრივი პროფანირება, სახელისუფლო პროფანირება.**

- იმიტომ, რომ არაპროფესიონალებთან ეადვილებათ ურთიერთობა. სახელისუფლებო წრეებში მოხვედრილი პროფესიონალი პერსონა ნონ გრატა ხდება.

**- წიგნიერი კაცი ამ გარემოში დისონანსს ქმნის და ათასნაირი ხრიკებით სწრაფად და ეფექტურად იშორებენ.**

- არც კი ვიცი, ამას როგორ უნდა ვებრძოლოთ. მდიდარ საზოგადოებაში კულტურით დაინტერესებულმა ადამიანებმა შეიძლება კასტა შექმნან და ერთობლივი ძალისხმევით რაღაც არ დაუშვან. საქართველოში ამის პრეცედენტიც არ არის. მწერლებთან, მხატვრებთან კონტაქტიც აღარ მაქვს. ხანდახან სტიქიურად გამოვაცხადებთ მორიგი უმსგავსობის გამო პროტესტს, მაგრამ ამას სახელმწიფოზე არავითარი ზეწოლა არა აქვს, ასეთი ფორმები არ გაგვაჩნია.

**- ახლა იძულებული ვართ, ეს ფორმები შევქმნათ. ამას წინათ სწორედ იმისთვის ჩამოვაყალიბეთ კავშირი "ძველი თბილისი", რომ გვქონოდა ურთიერთობისა და აზრთა შეჯერების საშუალება; რომ ზეწოლა მოვახდინოთ ხელისუფლებაზე, რომ ძველი თბილისი გადარჩეს. წესიერ ქვეყანაში ეს არ უნდა სჭირდებოდეს არც რეჟისორს, არც მხატვარს, არც მწერალს. ხელოვანი თავის სადარდებელს და საფიქრალს, თავის შემოქმედებით მუხტს, თავის ვარსკვლავს უნდა მისდევდეს. მაგრამ ვარსკვლავის დევნაში შეიძლება მამაპაპისეული სახლი თავზე დაგვამხონ.**

- ამას მერია, კულტურის სამინისტრო უნდა აგვარებდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. ამბობენ, რომ არქიტექტურა ყველაზე კარგად გამოხატავს საზოგადოების სახეს. დღევანდელი შენობები ზუსტად ასახავს დღევანდელ ხელისუფლებას, დღევანდელ ნუვორიშებს.

**- ცნობილი გამონათქვამია: ყველა საზოგადოება იმსახურებს თავის ხელისუფლებას, შეიძლება, 10-20 წლის წინათ ასე იყო, მაგრამ ჩვენი დღევანდელი საზოგადოება ნამდვილად იმსახურებს უკეთეს ხელისუფლებას.**

- გეთანხმებით. რაკი დღეს გამოჩნდა ხალხი, ვინც აღშფოთებულია შექმნილი მდგომარეობით, ესე იგი, ვიმსახურებთ კიდეც ისეთ ხელისუფლებას, რომელიც უკეთეს ტენდენციებს დანერგავს და ეს უთუოდ ქალაქის იერსახესაც შეეტყობა.

**- თქვენში, როგორც ფილმ "ალავერდობის" ავტორში, რა ემოციას იწვევს ის ფაქტი, რომ თბილისში სამშენებლო კომპანიების მესვეურებმა თავიანთი მკრეხელური საქმიანობის ფარზე აიტანეს გურამ რჩეულიშვილის სიტყვები: "ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში"? არადა, ეს სიტყვები განპირობებულია იმ სურათით, როცა რჩეულიშვილმა, იმ ჰარმონიის ნაცვლად, რაც ალავერდობა იყო, ნახა ამ დღესასწაულის სუროგატი. ღრეობად გადაქცეულმა ჰარმონიამ ათქმევინა ხელოვანს ეს სიტყვები, რომლებიც ზუსტად მიესადაგება ძველი თბილისის ჰარმონიის კორპუსების ღრეობით შეცვლას.**

- რასაკვირველია, იქ სულ სხვა შენებაზეა საუბარი, სწორედ იმ ჰარმონიის შენებაზე, რომელიც ხელოვანისთვის უმთავრესი ფასეულობაა. გურამს ალავერდობის დღესასწაულზე სწორედ ის ქაოსი დახვდა, რაც ამ ქალაქში გაბატონდა.

**- როგორც ჩანს, საქმე ისაა, ვის რას ეუბნება ალავერდის სამრეკლოს ზარი...**



კადრი ფილმიდან "ალავერდობა"

## პერსონაჟები რომანისთვის



ოდესაზე ბევრი წერდა, ბევრი და კარგი მწერალი...

მათი ნაწერები დასახლებული იყო პოეტობის მოსურნე გიმნაზისტებით, ყისმათიანი მებადურებით, ფაშფაშა დიასახლისებით, ჯიბიდან მსროლელი "შავებით", თითებდაჩხვლეტილი თერძებით და კითხვის დროს წაბლის ყვავილის, ზღვისა და მოხალული მზესუმზირის სურნელი გიღიტინებდა ცხვირში...

"ზღვისპირა მარგალიტის" არისტოკრატულ საბუდართა აღწერათაგან მხოლოდ ვალენტინ კატაევისა შემორჩენია მეხსიერებას - ვრცელი და ნათელი ბინა, სადაც მუხის იატაკზე სპარსული ნოხებია დაფენილი, სადაც ბროლის მაღალყელიან გრაფინებში ლალისფერი ღვინო ლიცლიცებს, სადაც ჰიაცინტების "ხუჭუჭა" თაიგულებს აწყობენ ლარნაკებში, აცვიათ ატლასებით გაწყობილი გრძელი ხალათები, ეწევიან პორტსიგარებიდან ამოღებულ ინგლისურ პაპიროსებს და ეფერებიან ნაზად აკრუტუნებულ სიამის ფისოებს...

ამ სამყაროს ბინადარნი არიან ფოტოზე აღბეჭდილი დები - ვილჰელმინა (რომ ზის) და ანა (რომ დგას) დიტრიხ-ტალლა-შერცინჰერები. მათი დიდი პაპა, ბავარიელი გერმანელი, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის - ალექსანდრეს კარის კაპელმაისტერი იყო.

ამავე სამყაროს ბინადარი გახლდათ თავადი იოსებ ციციშვილი, ოდესის უნივერსიტეტში იურისპრუდენციის შესასწავლად ჩასული.

შეხვდნენ ერთმანეთს კალმით ნახატი ვილჰელმინა და სტუდენტი იოსები, დაიპყრო სიყვარულმა მათი გულები და ცოტა ხანში იქორწინეს. იქვე, ოდესაში, 1907 წელს გაუჩნდათ შვილი, რომელსაც სახელად თამარი დაარქვეს.

ვილჰელმინამ მთელი თავისი ცხოვრება ქმრის სამშობლოში გაატარა, ჯერ ციციშვილების საგვარეულო მამულში, სოფელ ხვედურეთში, შემდეგ თბილისში. ქართველების რძალი გახდა ანაც. ის ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ გაბაშვილს, შემდგომში ცნობილ მეწარმეს, სარაჯიშვილის კომპანიონს. ვილჰელმინა დიტრიხ-ტალლა-შერცინჰერ-ციციშვილისა 1957 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ოდესის შესახებ ბევრი კარგი მწერალი წერდა. ერთ-ერთი მათგანი ისააკ ბაბელი იყო, ვინც ამ ქალაქიდან "რუსი მოპასანის" მოვლინებას წინასწარმეტყველებდა. ახდა თუ არა მისი წინასწარმეტყველება, ლიტერატორებმა იკვლიონ, ქართველებს კი 1907 წელს მომავალი კინოვარსკვლავი მოგვევლინა - უბადლო და ლეგენდარული თამარ ციციშვილი.

## ქალაქური პოეზია

გიორგი მირზაშვილი

### Prospero's Books

ჟასმინის ჩაი, გვიმრა ქოთანში,
"როთმანსის" ქოლგა, პროსპეროს კაფე,
პატარა ეზო, სალონი "ნიმა", ზაფხულის წვიმა,
კაქტუსი ჯამში.

შავი სადარბაზო, შავი კვიპაროსი,
ლურჯი ღრუბელი ზემელის თავზე.
კაცი-ფიტული თაღის კუთხეში.
დუქანი "ნალი" - გზაგასაყარზე.
შავი სათვალე,
შავი გუმბათი,
მძიმე სურათი;
ალიაქოთი მთავრობის სახლთან,
ქაშვეთი, ბული, ბრმა მეფანდურე.
"ზუსტი სასწორი", ნაყინი "სამგორი".
თეთრი ღრუბელი ოპერის თავზე.

მოსჩანს ყაზბეგი. მტვერი,
ტაქსები,
შპს ფირმა "ტორეადორი".
მუსიკა,
მეტრო,
მუსიკა - რეტრო,
სასტუმრო - ბუდე,
ჩუქურთმა - ზღუდე,
ლურჯი მონასტერი,
მაგთი, ჯეოსელი,
ბურნუთი კოლოფში,
უბნელი ლომკებში,
უცნობი ნაცნობი
ძნელია ლოდინი...
ბზიკი - ფუტკარი,
ჯორი - მერანი,
ოზონის ხვრელი,
თეთრი წინდები
- წაიღე ლარში.
ლტოლვილი ქარში,
შავი ღრუბელი ბაზრობის თავზე.
გ ა მ ო ი დ ა რ ე ბ ს . . .

### აწმყო

ნადირის ალღო,
მზერა - პირუტყვის,
სიფათი - დაზგა,
ხელები - ბამბის.
გამძლარი თახვი,
ფიგურა - ცვილის,
გაგება - ვირის,
ყისმათი - ძაღლის,
პანოპტიკუმი
ნუვორიშების,
თავზეით - კრიშა,
ტრაკქვეით - ხალხი.
ტაძარი - შირმა,
ზარი ზემოდან,
ერთგული ტანდემი.
მშიერი ამდენი...
პენსია რამდენი?
აიტანს ხალხი.
დონორი ქვეყნები
ლღვებიან თოვლივით,
მოხელე ვირთხები
მარიფათს იჩენენ.

### წარსული

უცხო სუნელი, უცხო სურნელი,
კაკლის მაგიდა,
მუხის ბუფეტი,
ჭრელი ფარდაგი,
შავი სკივრები,
ხის აივანი,
ალოე, წიწაკა,
ქოთნები, კალათა,
ქილები, ბოთლები,
გეტრები, შორტები,
მასტიკა, პარაფინი,
ხის წებო, ნაფტალინი,
ხის მაცივარი,
ქაღალდის გრაგნილები,
ფუნჯები, მუყაო,
ვანილი, კაკაო,
ფანქრები, საღებავი,
ბანი, ალვები,
თეთრი "პობედა",
თეთრი სანდლები,
თეთრი პომადა,
ჭექა-ქუხილი.
სველი სარეცხი,
სველი კედები,
ძველი კედლები,
წყნეთის მაწონი,
მცხეთის ღვეზელი,
ვასილ პავლეს ძე,
სვეტიცხოველი,
მტკვრის სანაპირო,
მყარი მეტეხი,
ქვის მოაჯირი,
მწვანე გაზონი,
"ბავშვთა სამყარო",
ცირკი, პესკები,
გაზ-21,
წითელი ბუშტი,
ალმები წითელი,
ქვემეხი, ტანკები,
სამხედრო აღლუმი,
ვეტერანები,
"სოფლის საათი",
"ოქროპირი",
ვერცხლის ორდენი,
ოქროს მედალი,
"მაღვიძარა",
ტრანსპარანტები,
სამხრეულები,
ფარაჯა, ჩაჩქანი,
სალმის მიცემა,
მტრედების ფონზე
- თუჯის ვარსკვლავი,
ლოზუნგი, ჰიმნი, მარში, ორკესტრი,
არსენალის მთა,
კუკია, ნავთლუღი,
ლილო, აფრიკა,
მაუდ-კამვოლის ფაბრიკა,
ფოსტალიონი შალიკო,
მეზობლის ძაღლი "მარსიკა".

დურბინდში მოსჩანს რადიოანძა,
- ახშობენ ბგერებს,
ახშობენ ნოტებს,
ახშობენ ტალღებს.

### მარშრუტი №48

"ვიღებთ შეკვეთებს კუბდარზე, ლობიანზე".
სვლას ანელებს, - აქ შემიჩერეთ.
მძიმე ჰაერი, გამჭოლი ქარი.
- ჩაბრძანდით, ხურდას მოგართმევთ, ... ინებეთ.
"ბინების ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება".
"ბიგ ბენის" კუთხეში უკრავს მუსიკოსი.
ტაქსები, ჯიხურები, სიგარეტი ღერებით, წყვილი 15 თეთრი.
მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის!
- გადის "თავისუფლებაზე"?!
- მეტრომდე გამოგყვები..?
კაფე "ალბატროსი", "პრობკა" სახანძროსთან, "ლეჩკომბინატი", "ავრორა".
"ქართული კერძები", მენიუ: ხინკალი,
ოჯახური,
კუჭმაჭი,
შქმერული,
"ოსტრი".
ვარაზისხევი, შეშლილი ბოშა. კაფე "ექსცესი", I კორპუსი.
- ჩადის აქ ვინმე?
- "სპასიბა", ძია.
სასტუმრო "საქართველო", აფთიაქი "ავერსი", ყველაზე დაბალი ფასები.
პრეზერვატივი "სიკო".
შემდეგი გაჩერება ლაღიძის წყლებთან.
მეტრო "რუსთაველი", ძეგლი რუსთაველის, "მაკდონალდსი".
ჰოთ-დოგი,
ხაჭაპური,
ღვეზელი სოკოთი,
ბორჯომი,
სპრაიტი,
ფანტა და პეპსი.
ოტელი "მერანი", არაყი "გომი", "ნოტები", "სონი".
მთავრობის სახლი.
- არის ადგილი?
- მობრძანდით, ბოლოში არის.
მერია, შადრევანი, შენდება სასტუმრო.
კაცი ყვავილებით, ლოთი პარაპეტზე, დაცვა ავტომატით,
ბირჟა ხელოსნების.
რადიოში: სტეფანე, ლელა წურწუმია.
- თქვენი გადახდილია.
- რატომ შეწუხდით?
- არაფერია, კარგად იყავით.

მინიმარკეტი, კონკა, "ფილიპსი",
სიონი, ქარვასლა, მეჩეთი, ჩაიხანა, აბანოები.
- მიდის ციხეებთან? - ქალი სანოვაგით.
- მიდის. ჯახუნი კარის.

ქალაქური პროზა

აკა მორჩილაძე

# ძირს
# სიმინდის რესპუბლიკა!

*რომანის გაგრძელება. დასაწყისი იხ. "ქომაგი" NN9-10, 2002, „24 საათი" N0, 13, 27*

ჯონათან სმოლი

ის საღამოს პირზე დაბრუნდა, ხელში პატარა, პლასტმასის ჩანთა ეჭირა, ლანჩბოქსი რომ ჰქვია და მეორე საუზმის რამერუმეებისთვის რომაა განკუთვნილი.

მისტერ სმოლს სოფაზე გაეწვინა თავისი უვარგისი ფეხი და ტელევიზორს მიშტერებოდა.

- აი, ლანჩბოქსი მოვიტანე, - ყუთი დაუდო წინ ახალგაზრდა კაცმა - ახლა წასვლაც დროულია. ეგ ქურთუკიც თქვენი იყოს.

- კარგი, Jonny, კარგი, - ჭრიალით წამოიჭრა მისტერ სმოლი - აღარ შეგაწუხებ. ოღონდ ერთსაც გთხოვ, ერთი-ორი სენდვიჩი მისაგზალე და ამ ყუთში ჩამიდე. ყუთს დავკეტავ და ვეღარასოდეს მნახავ.

ახალგაზრდა კაცი სამზარეულოში გავიდა და მალე გაოცებული შემობრუნდა იქიდან:

- კი მაგრამ, ის სადაა?

- ისა, ის შენი თანამემამულე? შენი მეგობარი, ასე ვთქვათ? - ჩაიხითხითა მისტერ სმოლმა - მგონი, იარაღის საშოვნად წავიდა. არ ჰქონდა იარაღი, ისე კი ვერ მომერია. მოგეხსენება, ათასი ეგეთი მინახავს უდაბნოში მხოხავი.

- იჩხუბეთ?

- საფერფლე გამოვწიე და ეწყინა. აიტივიზე გადავრთე და ეწყინა. თანაც ვერაფერს ამბობს. მე ტელევიზორს ვუყურებ, ის მე მიყურებს. ავდექი და ვუთხარი, FUCK OFF-მეთქი. გადაირია. რაღაც საშინელ ბგერებს გამოსცემდა. მე სიცოცხლე ცოტაღა დამრჩენია, Jonny, ერთი სურვილიღა მქონდა და იმასაც ავისრულებ. აი, მაგ ლანჩბოქსს ტემზაში მოვისვრი და მორჩა. განა მე კაცი ჩხუბს დამიწყებს? მომიწია და ვცემე. აი, იმ სკამით. მერე წავიდა, ეტყობა, იარაღი უნდა მოიტანოს. ეგ არაფერი. მე ამ ლეიბორისტებისა გამკვირვებია. ლამის არის მივიდე დაუნინგ სტრიტის ღობესთან და ვიყვირო, ტონი, ამერიკის პრეზიდენტობა გინდა? ნახე ერთი, რა ხდება... ქაშმირზე კი მაინც არაფერს ამბობენ. ...ნუ დამაგვიანებ Jonny, გამიკეთე ორი უბრალო სენდვიჩი და წავალ...

და ახალგაზრდა კაცმა ვეღარ მოითმინა:

- დასი თქვენ მოჰკალით?

ჯონათან სმოლი ფანჯარასთან მივიდა და ფორთოხლისფრად გადანათებულ ქუჩას გახედა.

- მე შენ გენდე, ჩვენ ლუდი ვსვით ერთად, - უთხრა მასპინძელს - შენ კი რაები დაგიწყია. რა ეშმაკად გინდა ეს ყველაფერი?

- დასთან უნდა მივსულიყავი. თქვენ რომ გუშინწინ ელაპარაკეთ, ვიფიქრე, ყველაფერი გაარკვიესმეთქი. ფული მინდოდა გამომერთმია და აი, ეს ჯეელი, ახლა რომ იარაღით დაბრუნდება, თავიდან მომეცილებინა. იქ კი ვინ დამხვდა? ორი დეტექტივი, რომლებმაც ნამდვილი დაკითხვა მომიწყვეს. ტელეფონი გამომართვეს და თქვენი გარეგნობა ამიღწერეს. ისინი გეძებენ. თურმე, ღამით მისულხართ იქ და დასი დაგხვედრიათ... როდის გაიპარეთ, მე რომ მეძინა?

- ასეა, - გამომშრალი ხელები გაშალა სმოლმა, - ოღონდ, იქ არ დამხვედრია, მე დავხვდი. უხერხული გამოვიდა, მაგრამ რევოლვერის ქნევას მოჰყვა... ასე იყო, Jonny... შენ რა უთხარი?

- მე ვუთხარი, რომ ფული უნდა გამომერთმია. მათ კი ტელეფონის ნომერი გამომართვეს და გამომიშვეს. ერთი განსაკუთრებით ჭკვიანი იყო, მისტერ ჰარმსი.

- ჰო. აბა, დროზე, მეოთხე ავღანური პოლკის სახელით, მოთავე ჩედერი, - თვალებში რაღაცამ გაურბინა ჯონათან სმოლს - მიდი, მიდი...

- ახლა ჩემს მოკვლას დააპირებთ? - გაფითრდა ახალგაზრდა კაცი.

- შენი მოკვლა რაში მჭირდება? მე მაინც მალე მოვკვდები და, - ამ დროს კვლავ ახმაურდა ტელეფონი მასპინძლის ჯიბეში.

- დასი ხომ არ რეკავს სამოთხიდან? - ჩაიცინა სმოლმა.

- არა, - ნომერს დახედა ახალგაზრდა კაცმა - მეორედ რეკავს დღეს... Hallo?

- გამარჯობათ, მე დალი შანკარი ვარ...

- დიახ...

- ალბათ იცით, რომ დასი მოუკლავთ.

- დიახ.

- ამასთან დაკავშირებით, ერთი წინადადება მექნებოდა. ალბათ იცით "თალაჯი და ვაჟიშვილები"... ძალიან სოლიდური დაწესებულებაა. მისტერ თალაჯს დიდი ხანია თქვენთან საუბარი სურს და მე მომანდო ეს საქმე. ჩვენ ვიცით, რომ დასთან მეტად საჭირო საქმეს ასრულებდით. ადრევე გვინდოდა "თალაჯის" დაწესებულებაში თქვენი მოწვევა...

- მისტერ...

- შანკარ.

- მისტერ შანკარ. ახლა ძალიან რთულ კერძო საუბარში ვარ ჩართული. მეორედ დარეკეთ და იმიტომ გიპასუხეთ. ეგებ მოგვიანებით გვესაუბრა... ასე, ერთ საათში. კარგით. By-By... Wellcome.

- ვინ იყო? - ჩაეკითხა სმოლი.

- აჰ, - ხელი ჩაიქნია ახალგაზრდა კაცმა, - ერთი ჰედ ჰანტერი. (ერთი სამსახურიდან მეორეში გადამბირებელი კაცები. სიტყვა სიტყვით, საკებზე მონადირენი.)

- უყურე, - გაოცდა მისტერ სმოლი, - ეგეთი მაგარი ხარ?

ახალგაზრდა კაცი კი კვლავ მობილურის ღილაკებს აჭერდა თითს.

- მესიჯიც ყოფილა... აჰა...

- წერილიც მოგწერეს?

- ჰო. "კართან გელით. ეგებ გააღოთ. თქვენი ჰ."

შუბლიდან ოფლის წვეთი დაიძრა.

- რა მოხდა? - ჩაეკითხა დადარაჯებული სმოლი.

- დედა გარდამეცვალა, - თქვა უცებ ახალგაზრდა კაცმა და მოწყვეტით ჩაჯდა ტელევიზორთან.

მისტერ სმოლი ერთხანს ზემოდან დასცქეროდა, მერე კი სამზარეულოსკენ წაფრატუნდა ფეხის თრევით.

იქიდან მალეღა გამობრუნდა, კარი გამოაღო და დერეფანში გაჩერდა.

- ნახვამდის, Jonny. რას ვიზამთ?

ახალგაზრდა კაცმა გაიგონა სადარბაზო კარის საკეტის ხმა და შეძახილი:

- ხელები, ხელები მისტერ სმოლ...

- ვინა ხარ? - სმოლის ხმა იყო.

- თქვენ ბრალი გედებათ სიკუნდრა დასის, ვექილის მკვლელობაში, - ისმოდა დერეფნიდან, - მე დეტექტივ სუპერ ინტენდანტი ჰარმსი ვარ. ახლა ჩვენ პოლიციაში წავალთ...

- იქამდე ალბათ ვერც ვიცოცხლებ, - ჩაიცინა სმოლმა, - ეგრე ნუ მქაჩავს ეს თქვენი თანაშემწე. ფილტვის კიბო მაქვს, თვე დაგრჩაო, ორი თვის წინ მითხრა ერთმა ექიმმა.

- ვწუხვარ, სერ, - უელსონი თუ იქნებოდა.

- ბიჭს დედა მოუკვდა... მგონი, ბიჭმა მოგასწავლათ ჩემი სამალავი, არა?

- არა, ის ღირსეულად იქცეოდა.

- არ იცოდა, რომ მე და დასს შეხვედრა მოგვიხდა.

- ვიცი. მე ვუთხარი.

- დასი სამოთხეში მოხვდებოდა. უკვე დაფერფლეს? თუმცა, მაგათ არა აქვთ სამოთხე და ჯოჯოხეთი. მე მალე მოვკვდები, სერ. დღეების ამბავია.

- მანამდე ყველაფერი უნდა მიამბოთ...

- ბიჭს დედის სიკვდილი შეატყობინეს...

კარში მხოლოდ წამით გამოჩნდა მისტერ ჰარმსის მღელვარე სახე:

- ჰეი, შემოვივლი...

მერე კარი გაიჯახუნეს.

ის წამოდგა და დერეფანში გავიდა.

კართან ლანჩბოქსი ეგდო. იმ არეულობაში ვინღა შეხედავდა. აიღო და შინ შემოიტანა. ქვედა სახურავი არ აუხდია, ზედა ორ საკეტს აჰკრა თითი. მისტერ სმოლს ერთი ბანანი და ერთი მდოგვიანი სენდვიჩი ესაგზლა.

მერე კიდევ, ჯამბულა მოვიდა.

წარბი კარგა მაგრად გაბერვოდა. დანის ღილაკს დააჭირა ცერი და ოთახში შევარდა.

- სად არი ეგ ახვარი? ის ახვარი ბებერი? ახლა ავხსნი შუაზე...

- დაჯე ერთი, დაჯე... - უთხრა მასპინძელმა, - მაგარი გადარჩენილები ვართ, შენც და მეც... პოლიციამ წაიყვანა.

ჯამბულას დანა შეაცივდა ხელში.

- ეგ პრისტუპნიკი იყო? ეგ ჩემისა? უკნიდან დამარტყა სკამი...

- მითხრა, ვიჩხუბეთო. შენც კაი მოგირტყამს...

ჯამბულამ დანა დაკეცა და სოფაზე მიეგდო:

- სიგარეტი მომე, რა... მაინც ვნახავ, ავფატრავ... ფული იშოვე?

- ვერა...

- ახლა ეს ძაღლობა, შენც დაპროსები და რამეები?

- არა, უკვე დამკითხეს.

- და ფული რაო, უარი გითხრა?

- არა, ტო. ვისთანაც მივედი, იყო ერთი, ამას დაუბრედია გუშინ.

- ამას?

- ხო.

ჯამბულამ მოიწყინა.

ნუ გეშინია, ხვალ მივალ, ერთს ვნახავ. ხუთასს კი მასესხებს ხელში.

- ძაან მაგარ პონტში მინდა, - დაიწყო ჯამბულამ - ძმურად გეტყვი. ერთ გოგოზე გავედი, იმას უნდა დავახარჯო და ვითრიო ის გოგო... აზრზე ხარ? მერე იკაიფე, ვარდები ხელში და... მაგრა უნდა მოვწველო. ოქროული აქ, ბაბუების და იმათი დანატოვი... აუ, როგორ მშია, ტო. კაცის დასაბრედათ მოვდიოდი...

ამ დროს ტელეფონმაც ამოიღო ხმა.

- ჰალო, ისევ დიდი შანკარი ვარ...

- შენა, შენა, ფიროსმანები რა არი? - ტუჩებზე თითი მიიდო და ისე ჩააჩუმა ჯამბულა, რომელმაც ოდნავ მოგუდულად მაინც განაგრძო, - მაგარია, ხო, ფიროსმანები...

## სექსი
## თავი IX

მართლაც, ზუსტად ორ საათზე მოვიდა, როგორც დათომ მითხრა, ისე. დიდი ხნის უნახავები ვყავდით. ძველ სახლში უფრო შემოივლიდა ხოლმე, აქ კი ნამყოფიც არ იყო. ესე იგი, წელიწადი ხდებოდა, არ ვენახეთ. დათოს კი შეხვედროდა ერთი-ორჯერ, სადღაც, მაგრამ ჩვენ აღარ გვენახა.

მოვიდა, შემოალაჯა თავისი ფართო ნაბიჯით. ესპანური წვერი რომ ჰქვია, ისეთი დაეყენებინა. თმა გრძელი, ყურებს უფარავდა. გამხდარი, თითქოს გამაღლებული.

- სად დაგვეკარგე?

- ეე, თქვენ აღარ გვკადრულობთ დევონშირ ტერასის ხალხს, მოქირავნეებს, ბეისმენტის (ბეისმენტი - მიწისქვეშა სართული იქაურ სახლებში.) სასტავს. ჩვენ ვართ ბეისმენტ სთაFF. თქვენ ფეხებს ვუყურებთ. აი, ამ ჩემ ფეხებსო, რომ იტყვი ხოლმე, გაგახსენდეს, რო მაგ შენ ფეხებს ჩვენ ვუყურებთ... აი, რა სისულელე გამომივიდა. შენ ფეხებს კი არ ვუყურებ... ხო, is Alex here?

ალექსანდრე სკოლაში იყო.

- უკვე სკოლა?

- კი, პირველი ქრისთმასია სკოლაში. ცამეტში წარმოდგენა აქვს. იესოს შობა. თრეიდათრეველას თამაშობს...

- და მღერის? ჯინქლ ბელზ... ჯინქლ ბელზ...

- არა. ლონგ ლონგ ეგო, Fარ Fარ ევეი...

- შენ თუ გიჭამია წაბლით გატენილი ინდაური.

- არა, მე საშობაო ნამცხვარი მიჭამია.

- მაშინ მიღებული ხარ მრწყეველების კლუბში, გამგეობაში თუ გინდა, ქრომბერი სოუსი უნდა გქონდეს ნაჭამი.

- ეგ რომელია?

- პავიდლო როა და ტყემალი რო გონიათ...

- რა კარებში მელაპარაკები? მეც ვერ მოვიფიქრე. ყავას ხო დალევ?

- ვერ დავლევ. სახლში გიჟი მელოდება. გიჟი გზაზე უნდა დავაყენო.

- ვინ გიჟი?

- მომადგა ერთი... ხოდა, ახლა ფული არა მაქ. ვაგროვე, ვაგროვე და რაღაცა უნდა გამოვიდეს. ცოტა მაგრამ... ხოდა... გამოვიტანე და მივეცი.

- აკოცე ალექსს... მაგან მაინც ითამაშოს ფეხბურთი. გავრბივარ, რა, ხათ. Tრენქზ, Tრენქზ ე ლოთ... გავიქეცი.

- იუ ველქამ. კარგი იყო, რო მოდიოდი.

თორმეტი არ იყო, რომ ბანკში გავიქეცი და ნაღდი ჩამოვაყრევინე მანქანას. დათომ დარეკა, მე მაგასთან შესახვედრად დღეს ვერ მოვიცლი, მოვა და ხუთასი ფუნტი გაატანეო. ცხადია, ასესხა. არ ვიცი, რა და როგორ უთხრა დათოს, მაგრამ ის რომ შინ დაბრუნდა, პირველი ეგ მკითხა, თუ იყოო. დათო შემცბარი ჩანდა, ფული - დაკარგული. უფრო სწორად, განუსაზღვრელი დროით გასესხებული. ხუთასი ფუნტი არ არის პატარა ამბავი. ხუთასი ფუნტით მთელი ოჯახის ჭამს თვეს და მეტსაც. ასე ხდება ხოლმე. საერთოდ, მაგან არ იცოდა ეგეთი რაღაცები. მოკვდებოდა და ლუკმას არ შეჭამდა შენთან. უბინაო რომ იყო, მაშინაც. სად ცხოვრობდნენ? მიტოვებულ სახლში.

თუ იცი, რა არის ყველაზე საშიში? დათო ხომ მუშაობს, არა? ხომ ვწვალობთ, არა? ამ სახლის ფული ხომ ოც წელიწადს უნდა ვიხადოთ, არა? მანქანა ხომ... ყველაფერი... ყველაფერი... დათო რომ მოდის სამსახურიდან და ძლივს რომ ლაპარაკობს, წასვლის დროს რო ღამეა და მოსვლის დროსაც რო ღამეა, ესეც ხომ? და მთელი ამ ამბების მერე შემოივლის ვიღაც ქართველი და გთხოვს ფულს, რომელსაც არასოდეს დაგიბრუნებს. არა, ეს კი არ არი ვიღაც. მაგრამ შემოივლის ვიღაც. ღმერთმა ქნას, წესიერმა შემოიაროს. ისიც არ დაგიბრუნებს, მაგრამ წესიერია და აღარ გამოჩნდება, რახან ვალი აქვს. ეს საშიში არ არის. საშიშია, რომ ვიღაც ოხერი, ყაჩაღი, დებილი, მოგადგება და ფულს გთხოვს. ჯერ არავინ მოსულა. მაგრამ სხვებთან ყოფილან. ყველაზე დასანანი კი ის არის, რომ მაგარი ვინმე კი არ არის, უბრალო ქუჩის ბიჭია, ამ ლონდონში ჩამოყუდებულა და ამბებს იგებს, ვინ როგორ ცხოვრობს, ვის რა შეუძლია, ვის რა შეგიძლია უქნა... ინგლისური მაგან არ იცის, ფული მაგას არა აქვს, ლტოლვილი ეგ არ არი. მაინც აქ გდია და ამწარებს ხალხს. მერე ესენიც ხო ენას ვერ გააჩერებენ. ყვებიან და ყვებიან. მიდის ამ ქართველების ყურამდე და ისინიც მოდიან. გეშინია, მოერიდები. მაგათ კი არა, შინაურს ერიდები და ანგარიშს უწევ, იმიტომ, რომ რაღაცას მიაღწიე და თუ ატლიკინდა, დაგესევიან.

აი, ამის მეშინია.

მეშინია და ასეც იყო.

დათო მოვიდა. უგემურად ჭამა. იჩხუბა, საფერფლეში რატოა ნამწვავებიო, გადაყარე ხოლმეო. მე მივხვდი, რომ რაღაცა არ ესიამოვნა. ვის ესიამოვნება, ხუთას ფუნტს რომააცლიან? ჩვენია, ნაპოვნი ხომ არა. მოკლედ, ამას კი ძალიან მორიდებით დაურეკია, როგორც იცის ხოლმე, ისე და დათოც უარს ვერ ეტყოდა, იმიტომ, რომ ამან ჩვენი ყველაფერი იცოდა და ყოველთვის ადამიანურად გვექცეოდა, მაგრამ დათო უფრო იმას გადაურევია, რომ ამას ერთი ვიღაც პლეხანოველი ძველი ბიჭი დადგომია და სასესხებლად უთხოვია ფული. ნასესხების ნასესხები რაღა იქნება. ამას დათო კი არ უხსენებია, მაგრამ დათოსთვის მაინც მოუყოლია, დამადგაო და ვერსად ვერ ვიპოვე და შენ იმიტომ გთხოვო.

ეს პლეხანოველი კიდე, ხომ ხვდებით ვინც არის?

დიახ. ყოჩაღ ჩემს მულს. ყოჩაღ! ფრიადი. ექსელენთ. ბრილლიანთ!

ყოჩაღ. გოიმების დედოფალი. გოიმების უძლური დედოფალი.

ჯამბულა.

ლონდონში ვცხოვრობთ და თვითონაც ლონდონში აპირებს ცხოვრებას, თავის ვარდისფერ ლოქოსთან ერთად. აპირებს ალბათ. თავზე ხომ უსვამდა მალამოს? მეტროში რომ გაიტეხა. ასეთი რამე არ მინახავს. ქმრის საყვარელს შეხვდა და გამართა მთელი ამბავი. ავღანეთის ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს ჰაიდ პარკში სერპანთინის პირას. მეტი რაღა გინდა. გაარკვიეს ყველაფერი. ამის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ იმას ვიღაც უშოვნია და ამ ჩვენი ზაზას თავიდან მოშორება უნდა, ოღონდ ისე, რომ ზაზა დამნაშავე იყოს. ამიტომ, ცდილობს, ვიღაც გოგო გამოიგონოს. ამას კიდევ ეს თავისი ვარდისფერი და ფუმფულა თაღლითი ყველაფერს ურჩევნია და ჩემი დათოც კი უსმენს. სექსი აქვთ, თუ არა და რა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, ამას ოღონდ სახლში ჰყავდეს; მაგრამ მთავარი ხომ ზაზაა. ზაზა უნდა გააბითურონ ისე, რომ იმას მოშორდეს და ამას დარჩეს. ანუ იმას შერჩეს, ზაზამ რაც ფული დააყარა და წავიდეს ვიღაც სხვასთან, ამას კი იმ ფულის დარდიც არ ჰქონდეს და შერჩეს ზაზა, რომელსაც იმასთან უნდა, მაგრამ არის ამასთანაც, რადგან ლონდონში უნდა და ერთ წელიწადს მაინც, ჩვენთან უნდა იცხოვროს.

მოკლედ, ის თამუნა ტყდება.

და აი, ქაჯები და გოიმები ასპარეზზე გამოდიან. ის თამუნა და ჩვენი თამუნა ეძებენ ადამიანს, რომელსაც ჩვენმა თამუნამ მგონი, ფულიც კი მისცა იმ თამუნას ხელით. ეს ადამიანი ვითომ იმ თამუნას ნათესავია და თან შავი, რომელიც ზაზას დაიბარებს და მაგრად შეაშინებს, ცოლის დატოვება რომ გიჭირდა, მესმოდა და ცოტას ვითმენდი, მაგრამ ახლა ვიღაც გოგო კიდევ გაგიჩენია და ჭკუაზე მოდი, ან ცოლი მიატოვე და ეს თამუნა შეირთე, ან ამ თამუნას თავი დაანებე და ის მესამე ვიღაცა რომ გყავს, იმასთან იყავი, ჩემი ნათესავი ბოზი კი არ გახლავსო.

აი, შტერები.

და დაიწყო ამან თბილისში რეკვა, რომ გაიგოს, ვინ არის ლონდონში ეგეთი, მის ქმარს რომ შეაშინებს. დარწმუნებულია, რომ ზაზა ჩვენთან მოცუხცუხდება. ასეც მოხდა, სხვათა შორის. მაგრამ ეს სხვა ისტორიაა. ამას თამრიკო ყვება ისეთი აღტაცებით, რომ შეუძლებელია არ შეგეცოდოს. თამუნა, რა თქმა უნდა. ამას თბილისიდან უთხრეს, რომ არის ვიღაც ჯამბულა, რომელიც ახლა ლონდონშია და რომელსაც, თუ დაელაპარაკება ვინმე ბიჭი, შეიძლება ზაზას შეშინება გამოუვიდეს. გოგოს ეს ჯამბულა არ მოუსმენს. და საერთოდ, თურმე, ჯამბულა შავურ კანონებს დაარღვევს, თუ ქალთან დაკავშირებულ საქმეში გაერევა. მაგრამ, თურმე, დაარღვევს, რადგან აქ ლონდონია და ერთი ორასი ფუნტი თუ აჩუქე და ცოტაც კოკაინი, რადგან კოკაინი ყვარებია, გამკეთებელია. აი, რამხელა იდიოტობა შეიტყო თბილისიდან და აენთო. და მე რა დღეში ვარ? კინაღამ კოკაინზე გამაგზავნა. იმ თამუნამაც გამოძებნა ვიღაც ქართველი, ოღონდ ბირმინგემში მცხოვრები, ქუთაისელი, ჩაბარებული და როგორც ამ თამუნამ მითხრა, გაბოზებული, გამოქცეული, და საერთოდაც, ყველაფრის მკადრებელი. მგონი, არარსებული. რას იტყვით?

ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ჰაიდ პარკში. ეტყობა, კარგად დაცადეს. ითათბირეს. დათო, რა დღეში ვართ? გადაწყვიტეს ჯამბულა. ბიჭი არ ჰყავდათ. ვის უნდა მოეძებნა. ამიტომ, ისევ იმ თამუნამ ითავა. ჩვენ ორთა შორის კაცი მე ვიქნებიო. რეკავდა. ესეც ეჩურჩულებოდა, ტუჩებს არც კი ამოძრავებდა, ისე. მერე კიდევ შეხვდა. ეს ჰაიდ პარკი დაცადეს.

და ერთხელ მოვიდა ეს ჩვენი ზაზა კოლეჯიდან და შევარდა საპირფარეშოში. გამოვიდა და აქეთ არც გამოუხედავს, პირდაპირ საწოლ ოთახში შეეთრა და შეიხურა კარი. ერთ თხუთმეტ წუთში ეძახის:

- თამო!.. თამო...

ესეც შევიდა. გამოვიდა, შუბლი აქვს აქლეთილი და კოპიც აზისო. ამბობს, მეტროში უცებ მოვბრუნდი და თავი მივარტყიო. ალბათ, ის ბიჭი დაუხვდაო. ერთი სული აქვს, ის აშარაშკა როდის დარეკავს. მეგობრობენ უკვე. მეტი რაღა გინდა? მალამო მივეცი. ერთი შეგეხედა, როგორ უსმევდა. გველობაა და მეტი არაფერი. იმას კი გული აუფრიალდა. ცუდად არის. შეეშინდა.

ერთი კვირა არ გასულა მას შემდეგ და ისევ ჯამბულა. რა მიქნა ამ გოგომ? ჯამბულა გვინდოდა? რა ფრანკენშტეინი გამიკეთა?

დათო, შე საწყალო, ხომ გეუბნებოდი, არ დაგვაცლიან-მეთქი... კარგად ხარ და იმიტომ. თუ ეს კარგად ყოფნაა. ვინც ცუდად არის, ის ეძებს, ვინც კარგადაა იმას და იქიდან ისრუტავს. კი. ასეა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

საპატიო თბილისელები

# ავთო ვარაზი

*როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, დედაქალაქის ხელმძღვანელობამ, კარგა ხნის წინ, საპატიო თბილისელის წოდება დააწესა.*

*მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...*

*იყვნენ ღირსეული ლაურეატები და რაღა თქმა უნდა, იყო ბევრი კონიუნქტურა.*

*ჩვენ რუბრიკით - "საპატიო თბილისელი", შევეცდებით საზოგადოებას შევახსენოთ ის ადამიანები, ვინც არასოდეს გაახსენდებოდა და გაახსენდება ძველსა თუ "ახალ" ხელისუფლებას.*

*ამ ადამიანებს ჩვენ აღარაფერში ვჭირდებით, ისინი კი, ჩვენი ფიქრით, წყალივით სჭირდება ჩვენი საზოგადოების ფორმირებას, ხვალინდელ დღეს...*

■ ■ ■

ავთოს ბიძები - ივანე, ისიდორე და გიორგი ვარაზიშვილები საქართველოში ცნობილი ადამიანები იყვნენ. ივანემ და ისიდორემ გიორგი, ნიკოლაძესთან ერთად, ჩამოაყალიბეს "ჭიათურის მარგანეცის მომპოვებელი საზოგადოება". გიორგი იყო თბილისში პირველი წყალსადენის პროექტის ავტორი. გიორგიმ და ისიდორემ გერმანიაში, კერძოდ ჰამბურგში, პირველ რუსთაველის საზოგადოებას ჩაუყარეს საფუძველი. ისინი ცნობილი იყვნენ აგრეთვე როგორც მეცენატები. ბევრი ქართველი სტუდენტი, მათ შორის ვანო სარაჯიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, მათი საზოგადოების სტიპენდიით სწავლობდნენ საზღვარგარეთ.

ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ: ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი, ჯოტო გრიგორიანი, კოჩარი, ელენე ახვლედიანი, ლეონიდ პოტაპოვი, ვასილ შუხაევი და სხვები.

*ვასიკო ვარაზი*

## ახალი სიტყვა ექსპოზიციის ხელოვნებაში

ავთო ვარაზის მიერ შექმნილი არქეოლოგიური გამოფენა ნამდვილი ხელოვნების, მხატვრის ინდივიდუალური თვალთახედვის, ალღოს და დახვეწილი გემოვნების ნაყოფია და ამიტომ მისი მიბაძვის ყოველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. არქეოლოგიური გამოფენა რომ თვით მხატვრისათვისაც განუმეორებელი იყო, მასთან მის მიერ შექმნილი სხვა გამოფენების შედარებაც მოწმობს. ი. გრიშაშვილის მუზეუმის მასალებმა საშუალება მისცა ა. ვარაზს შეექმნა განუმეორებელი ქალაქური კოლორიტის აღმოსავლურ-ევროპული ნატურმორტები, ხოლო შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე - სავსებით თანამედროვე, მკაცრი, მაგრამ ამავე დროს ადამიანური საზეიმო განწყობილება.

ა. ვარაზის შემოქმედების ეს მხარე სრულიად შეუსწავლელია და თუ დროზე არავინ მიხედა ამ საქმეს, მალე ალბათ ვეღარც შეისწავლება - გამოფენები ბოლოს და ბოლოს ძველდება და იშლება, მათგან, უკეთეს შემთხვევაში, ბევრი არაფრისმთქმელი ფოტოები რჩება ხოლმე. სამწუხაროა, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, თავის დროზე ავთო ვარაზმა ახალი სიტყვა თქვა ექსპოზიციის ხელოვნებაში და მას ეს არ უნდა დაეკარგოს.

*ალექსანდრე ჯავახიშვილი*

## მხატვარი, რომელიც არავის ჰგავდა

ვარაზმა იცოდა, ვინც იყო და რა ადგილიც ეკავა მხატვრულ სამყაროში, ოღონდ ამით არასოდეს კეკლუცობდა. მან იცოდა: როგორ დამჯდარიყო, როგორ გაეღიმა, როგორ გაეხედა, როგორ ელაპარაკა, როგორ ჩაეცვა, როგორ მოქცეულიყო შინ, სტუმრად და ქუჩაში.

გაგანია ზაფხულში იგი მოულოდნელად შეიძლებოდა გენახათ რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე, შავი ბაფთით, თოვლივით თეთრ პერანგსა და ხავერდის შავ პიჯაკში გამოწყობილი. სხვისი ამგვარი ჩაცმულობა ერთგვარ ახირებად მოგეჩვენებოდათ, მაგრამ ვარაზს ესეც უხდებოდა.

ერთხელ დავინახე, როგორ მოაბოტებდა პეროვსკაიას ქუჩაზე ფეხშიშველი, თავსხმა წვიმაში, მხარზე გადაკიდებული თასმაშეკრული ფეხსაცმელებით.

არც ასეთი ვარაზი აკვირვებდა მნახველს.

მისი მომცრო ბინა ერთდროულად საცხოვრებელი ოთახიც იყო და სახელოსნოც, ხშირად კი - დროსტარების ადგილი. ახლა რომ ვფიქრობ, ამ ოთახს უფრო ლიტერატურულ-მხატვრული სალონის სტატუსი შეეფერებოდა. ყველა კამათობდა, მაგრამ არავინ ჩხუბობდა. არც ის აკვირვებდა ვინმეს, სტუმრები ხელმოკლე მასპინძლის ოჯახში სასმელებითა და სანოვაგით ხელდამშვენებულნი რომ მოდიოდნენ. სხვანაირად ამდენი სტუმრის გამასპინძლებას თბილისში იმხანად ცნობილი მილიონერებიც ვერ აუვიდოდნენ.

იყო თრობაც, ოღონდ ორგიები - არა. რამდენი ცოცხალი და ორიგინალური აზრი გამოითქმოდა, რამდენ ნიჭიერ, მაგრამ მიზეზთა გამო ხელმოცარულ ადამიანს ნახავდით აქ. მოდიოდნენ ოპტიმისტებიც, მოდიოდნენ პესიმისტებიც, რომლებსაც ყველაფერზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული.

ალბათ, ვარაზს ყველაზე მეტად შეეფერებოდა ფლობერის გამონათქვამი, რომ სტილი - ეს არის ადამიანი. იგი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ქმნიდა ამ სტილს და არ იმეორებდა არავის. მე მისი ხასიათის სტილურ გამოხატულებად აღვიქვამდი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ცალკეული წიგნებისა და ავტორებისადმი. ეს იყო იმ ადამიანის თვისება, რომელსაც არ შეუძლია ყველა და ყველაფერი უყვარდეს და მოსწონდეს. ამგვარი ადამიანები განსაკუთრებული სისათუთით არჩევენ თავიანთი სიყვარულის ობიექტებს. მაგალითად, ვარაზის ერთ-ერთი სამაგიდო წიგნი იყო ვან გოგის ცნობილი წერილები ძმისადმი. იგი თითქოს ამ წიგნში პოულობდა იმას, რასაც სხვაგან ვერ აღმოაჩენდა.

მის ნახატებს, რამდენადაც მახსოვს, არასოდეს გამოუწვევია სნობების კოლექტიური აღტაცება-აჟიოტაჟი. სამაგიეროდ, მის შემოქმედებას მუდამ დიდად აფასებდნენ და აფასებენ მხატვრობის ჭეშმარიტი მცოდნენი. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, დადგება ჟამი მისი ნამდვილი აღიარებისა. ჯერჯერობით კი უდროოდ გარდაცვლილი მხატვრის შემოქმედება თავის ჭეშმარიტ დამფასებელს ელის.

მუდამ მაკვირვებდა ვარაზის უნარი, ჩასწვდომოდა ადამიანის სულის უღრმეს პლასტებს და ტილოზე გადაეტანა ის სულიერი მოძრაობა, რომელიც უცხო თვალისა და თვით მოდელისთვისაც კი ზოგჯერ უცნობი იყო. ბევრ მის შედევრში ადამიანები გარეგნულად თითქოს ნაკლებად გვანან საკუთარ თავს. და მაინც, მათი უკეთ დახატვა წარმოუდგენელია, რადგანაც ადამიანი, უწინარესად, სულით შეიცნობა.

ამ ხელოვნებას ვარაზი შეუდარებლად ფლობდა.

*არჩილ გოგელია*

## ვარაზი ჩემთვის იგივეა, რაც თბილისი

ყველაფერი, რაც ახალგაზრდობას მახსენებს, ავთოსთან არის დაკავშირებული. ჭირსა თუ ლხინში ერთად ვიყავით. თუკი ადამიანში რაიმე სიკეთე არსებობს, ავთოში იყო თავმოყრილი. ვარაზი ჩემთვის იგივეა, რაც თბილისი, უბანი, რომელშიც გავიზარდე, ხალხი, რომელიც მიყვარს. არ მეგულება კაცი, რომელმაც ისე იცოდეს თბილისის ქუჩები, სახლები და თუნდაც ეზოები, როგორც მან იცოდა. ჩვენს ახალგაზრდობაში ძველ უბნებს ინტენსიურად ანგრევდნენ... ერთი "ცოდვა" აქვს ჩემს მიმართ ჩადენილი; ისე შემაყვარა თბილისი, ალბათ, მკვდარიც ვერ მოვისვენებ, თუ ამ მიწამ არ მიმიბარა. კითხვებზე ქართულად იმიტომ ვპასუხობ, ასე მგონია, ავთოს სახელს სხვანაირად არ შეეფერება. ავთომ ისე გაალარიბა თავისი წასვლით ჩემი სული, როგორც სიცოცხლეში ოდნავ დამცინავი, მაგრამ მაინც საოცრად კეთილი ღიმილით ამდიდრებდა. ვარაზმა დროს გაუსწრო. მასზე, როგორც მხატვარზე, უფრო და უფრო მეტს ილაპარაკებენ. მე ვთვლი, რომ იგი თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

*ალბერტ დილბარიანი*

## ჩემთან დარჩება მარად...

ის იყო ლამაზი ადამიანი ყველანაირად - გარეგნულად და შინაგანად. ესთეტიზმის ნიშანი და ის იშვიათი ღირსება, რომელსაც შეიძლება სულიერი არისტოკრატიზმი ვუწოდოთ, ემჩნეოდა მას და ყველაფერს, რასაც ის აკეთებდა და როგორც აკეთებდა. ყოველივე ეს კი პარადოქსულად ერწყმოდა მის ყოფით სიღატაკეს. გიორგი შენგელაია მოულოდნელად, მაგრამ ბრძნულად მოიქცა, როცა ავთანდილ ვარაზს ფილმში მთავარი როლი შესთავაზა. ის არ იყო მსახიობი და, რა თქმა უნდა, არაფერს არ "თამაშობდა". მაგრამ თვით არსებობა არაჩვეულებრივი და მომხიბვლელი პიროვნებისა, რომელიც ადამიანების იმავე მოდგმას ეკუთვნოდა (ამაში დარწმუნებული ვარ), რომელსაც გენიალური ფიროსმანაშვილი - მაღალი იდეალიზმი, უხეშ, უხამს სინამდვილესთან შეუთავსებელი - შენარჩუნებული იყო ეკრანზე და თვით მისი შებორკილობა კინოკამერის წინ ჰგავდა იმ ადამიანის თავშეკავებას, რომელიც მტკიცედ იცავს თავის შინაგან სამყაროს.

ალბათ, სწორედ ამ პიროვნულმა თვისებებმა, გარდა ფერწერული ნიჭისა, განაპირობა მისი თავისებური ადგილი ხელოვნებაში. ის მშვენიერი ფერმწერი იყო - დახვეწილი და სერიოზული, ეს უსიტყვოდ ცხადია ყველასათვის, ვისაც დანახვის უნარი აქვს.

ამავე დროს შემთხვევითი არაა, რომ სწორედ მან შეძლო სრულიად ძალდაუტანებლად, მხოლოდ თავისი არსებობით, თავისი პიროვნული მაგნეტიზმის წყალობით, შეეკრიბა სხვადასხვა ასაკისა და ნიჭის მქონე მხატვრები - თანატოლები, რომლებიც ეჯიბრებოდნენ, და ახალგაზრდა თაყვანისმცემლები. თანამედროვე ხელოვნების მომავალი ისტორიკოსები ალბათ მიმართავენ მცნებას "ვარაზის წრე" - ეს იქნება მხატვრის ღირსეული ძეგლი და სამართლიანობის აქტიც.

მე მეჩვენება, რომ მისეული ტრაგედიის არსი მდგომარეობდა იმ გადაუწყვეტელ კონფლიქტში, რომელსაც ჰქმნიდა უაღრესად მაღალი წარმოდგენა ხელოვნების უფლებასა და მოვალეობაზე - და საკუთარ შესაძლებლობათა შეზღუდულობა, რაც მას, ღრმად განცდის უნარის მქონეს, არ შეიძლებოდა რომ არ ჰქონოდა გააზრებული, და რასაც კიდევ უფრო აზვიადებდა, ვინაიდან ამაყი და თავმოყვარე იყო.

უკანასკნელი წლების მძიმე ამბები, რომლებსაც მოჰყვა უდროო და გარდაუვალი დასასრული, ჩემთვის არ იყო უცნობი. მძიმე სანახავი იყო ნამუშევრებით მთლიანად მოფენილი სახელოსნოს კედლების თანდათან დაცარიელება. მძიმე იყო მისი - სნეულისა და ღონემიხდილის დანახვაც. ბედმა დამინდო და არ გამხადა მოწმე იმ სამწუხარო მდგომარეობისა, რომელმაც ესოდენ დაამძიმა მისი და მის მახლობელთა სიცოცხლე. მისი იერი სრულიად ნათლად და აუმღვრევლად შემომრჩა, ხოლო მისი მორიდებული და ოდნავ უმწეო ღიმილი ჩემთან დარჩება მარად.

*ერასტ კუზნეცოვი*

**Портрет гения**

Утесом лоб,
Каскад морщин,
И пара детских глаз.

*შოთა დედაბრიშვილი*

■ ■ ■

ლევ ტოლსტოის პასუხი შვეციის მხატვართა და მეცნიერთა საზოგადოებას: "ის, რომ ნობელის პრემია მე არ მერგო, ორმაგად მსიამოვნებს: ერთი ის, რომ ამცდა ფულის მოხმარებაზე იძულებითი ზრუნვა, რაც მე, სხვებისაგან განსხვავებით, ყველა ბოროტების წყაროდ მიმაჩნია; და მეორე ის, რომ მომეცა საბაბი... ჩემთვის საპატივცემულო ადამიანებისათვის წრფელი მადლიერება გამომეხატა". 1902 წლითაა დათარიღებული.

ამ ამბიდან 30-35 წლის შემდეგ ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის ქართველი ბიოლოგი ვასილ ვარაზიშვილიც დასახელდა (მეცნიერმა შვეციიდან ოფიციალური წერილი მიიღო).

ვასილ ვარაზიშვილმა მრავალთათვის საოცნებო შანსი არაფრად ჩააგდო, არც წერილზე გაუცია პასუხი და არც უცნობი დამფასებლისათვის გადაუხდია მადლობა.

ტოლსტოის არ იყოს, მეცნიერსაც პრემიის იგნორირებისათვის ორი საბაბი ჰქონდა: ერთი ის, რომ იგი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო და სასიკვდილო იარაღის წარმოებით გაკეთებულ ფულს ვერ აიღებდა; და მეორეც ის, რომ ნობელის პრემია სისხლიან საბჭოთა რეჟიმს ესაჭიროებოდა, გაუგონარ დანაშაულებათა შესანიღბად.

ცხადია, ავთო ვარაზს ნონკონფორმიზმი ოჯახიდან მოსდგამდა როგორც ბუნებრივი თვისება, და იგი არასოდეს ყოფილა დეკლარაციული. ავთო თავდადებით ემსახურა ხელოვნებას.

მისი ტალანტი, კულტურა, ფერწერის, ხატვის გარდა, უსაზღვრო ცნობისმოყვარეობაშიც მჟღავნდებოდა. ავთოს ცნობისმოყვარეობა აშკარად რენესანსული იყო: ნასწავლი ჰქონდა ფერწერის ტექნოლოგიის მრავალი საიდუმლო, შეეძლო ზეთების, ლაქების, პიგმენტების, გრუნტების, გამხსნელების დამზადება. იცოდა ნიდერლანდური (ვან ეიკი) მეთოდით ემულგირებული საღებავის დამზადება; დაზგური, კედლის ფერწერის, რესტავრაციის ტექნოლოგია; გატაცებული იყო ისტორიით, არქეოლოგიით.

ავთო განათლებით არქიტექტორი იყო, თუმცა არქიტექტორად არ უმუშავია. არ უყვარდა ახალი დროის არქიტექტურა. საბჭოთა არქიტექტურას "რკინა-ბეტონის ჯოჯოხეთს" უწოდებდა. განიცდიდა ნალდი თბილისის უმოწყალო ნგრევას.

*ვახტანგ რურუა*



ავთო ვარაზის მშობლები. 1915.





ერთი სახლის ისტორია

# მელიქიშვილის ქუჩა, №9

ზაურ ქუჩეიშელი

ახლანდელი ვაკის რაიონში, იმ დროს ქალაქგარეთ, ვარაზის ხევის გაღმა, სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობისათვის, მისი გამგე-კომიტეტის ხელმძღვანელმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა ნ.ცხვედაძემ, 1898 წელს შეიძინა 6 დესეტინა მიწა, 21002 მანეთად. ამ ნაკვეთის შეძენისათვის, მას თბილისელები დასცინოდნენ : "ვერის მელიების და ტურებისთვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელი ელიბუა მენახშირე და მეშეშეებისთვის უნდა გარეკოსო".

1900 წლის 14 სექტემბერს საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის, იგი 1907 წელს დამთავრდა, ამ შენობის ხუროთმოძღვრად და შემდგომ მშენებლობის მეთვალყურედ მოწვეული იქნა ს.კლდიაშვილი.

1918 წლის 26 იანვარს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , სწორედ ამ შენობის ახლოს, 1900 წელს დაიწყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ერთმა თბილისელმა გერმანელმა, მრავალ მოქალაქეს უკვირდა კიდეც, ქალაქის განაპირას რატომ აშენებენ ასეთ დიდ საცხოვრებელ სახლსო (იმ დროს ამ ქუჩაზე უნივერსიტეტის შენობამდე აქაიქ მცირეოდენი მიწური სახლები იყო), ვარაზის ხევზე გადებული ხიდი აკავშირებდა ქალაქსა და გარეუბნის სოფლებს.

ჩვენი სახლის მშენებლობა თითქმის ორი წელი გრძელდებოდა და იმ დროისათვის სააღმშენებლო მეცნიერების და ტექნიკის უმაღლეს დონეზე იყო შესრულებული (რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციების ფართო გამოყენება, რაც ამ დროს თბილისის სამშენებლო პრაქტიკაში იშვიათობას წარმოადგენდა).

1905 წლისათვის ამ სახლში მობინადრეებიც გამოჩნდნენ: მთელი III სართული დაიჭირა საქართველოში ცნობილი თავადის-გიორგი მაყაშვილის ოჯახმა.

გიორგი მაყაშვილი პროფესიონალი სამხედრო მოღვაწე - გენერალი, რომელმაც მთელი სამხედრო იერარქია გაიარა: კადეტობიდან გენერლობამდე. გიორგის მამა-ვლადიმერი (1839-1911), პროფესიონალი სამხედრო პიროვნება იყო, იგი მსახურობდა რუსეთის არმიაში და დიდ თანამდებობასაც მიაღწია, იყო დაღესტნის მხარის გუბერნატორი, მისი მეუღლე - ივდით (1855- 1910) ჭავჭავაძეთა ასული, თავისი გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი, მათ შეეძინათ 3 ქალიშვილი: ელენე (1877-1969), მარიამი (1889-1960): დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არმიის მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის მეუღლე, თამარ (1881-1972), და 2 ვაჟი გიორგი (1871-1946), ივანე (1893-1937).

გიორგი მაყაშვილს და მის მეუღლეს - ბარბალე საგინაშვილს (1876-1955) შეეძინათ: 2 ქალიშვილი - ანასტასია (1896-1899), ელენე (1899-1988) და 2 ვაჟი - ალექსანდრე (1895-1920), ვლადიმერი (1905-1986).

გიორგის უფროსმა ვაჟმა - ალექსანდრემ სამხედრო განათლება მიიღო და ერთ-ერთი პირველი ქართველი სამხედრო მფრინავი იყო, რომელმაც უმაღლესი თანრიგით დაამთავრა გატჩინოს სამხედრო მფრინავთა სკოლა, ყველა წარჩინებული მფრინავი, მათ შორის ალექსანდრეც მიიწვიეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს წვეულებაზე, სადაც ალექსანდრესთან საუბარში იმპერატორმა განაცხადა, რომ ქართველები მებრძოლი და მამაცი ხალხია და საჭიროა მათი ისტორიული ტრადიციების შენარჩუნება და გაღრმავება. ალექსანდრე ნიკოლოზ II-ემ ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვა. ალექსანდრე საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის ჯარშიც მსახურობდა, 1918 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ, იგი საფრანგეთში გაგზავნა საფრენოსნო-საინჟინრო საქმეში დახელოვნებისათვის, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ავადმყოფობის გამო მოუხდა დაბრუნება თბილისში, სადაც 1920 წელს გარდაიცვალა.

ელენე - გიორგის მეორე ქალიშვილი, რომელმაც სამედიცინო მოღვაწეობა აირჩია, ერთ-ერთი მოთავე იყო გამოჩენილ კანადელ ბაქტერიოლოგ ფელიქს დერელთან და გამოჩენილ ქართველ ბაქტერიოლოგ გოგი ელიავასთან ერთად, ვინც საფუძველი ჩაუყარეს ბაქტერიოფაგის გამოშვებას და გამოყენებას გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, არამარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

ვლადიმერმა - გიორგის მეორე ვაჟმა, რომელმაც დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება, დამთავრებისთანავე პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ამავე ფაკულტეტზე, შემდეგ კი სხვა ინსტიტუტებში.

ვლადიმერი მეცნიერ-კრიმინალისტად სტუდენტობის დროიდანვე ყალიბდება, გამოჩენილი ქართველი იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, რომლის მიერ შექმნილ ე.წ. მაღალი ტიპის სემინარში მონაწილეობით, იგი კითხულობდა მოხსენებებს, რომლებიც შემდეგში საფუძვლად დაედო მის სამეცნიერო გამოკვლევებს სისხლის სამართლის სფეროში.

ვლადიმერი 1966 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქართული ენციკლოპედიის სამართლის რედაქციის ხელმძღვანელად, რითაც დიდი ამაგი დასდო ენციკლოპედიის საერთო მეთოდიკური საკითხების დამუშავებას და სამართლის დარგის ღირსეულად წარმოჩენას.

ჩვენს სახლში ცხოვრობდა თინათინ წერეთელი (1903-1980) - ვლადიმერის მეუღლე, გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-იურისტი, მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი, იგი იკვლევდა სისხლის სამართლის ზოგად თეორიის პრობლემებს: დანაშაულის ცნება, მიზნობრივი კავშირი, ბრალი და სხვა. დიდი წვლილი შეიტანა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში, იყო მრავალი საერთაშორისო კონგრესებისა და სიმპოზიუმების მონაწილე.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი თინათინის და ვლადიმერის მასწავლებელი იყო, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ ივიწყებდნენ ლუარსაბს, როგორც გამოჩენილ იურისტსა და ადამიანს, თინათინის მიერ 1976 წელს გამოცემულ იქნა წიგნი : " ლუარსაბ ანდრონიკაშვილი-რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა დამცველი", სადაც ძალიან საინტერესოდაა გადმოცემული ამ დიდი ქართველის პროგრესული მოღვაწეობა რუსეთის იმპერიაში.

გიორგი მაყაშვილის ოჯახი იყო ერთ-ერთი დიდი ცენტრი ინტელიგენციის შეხვედრებისა, სადაც იყო მსჯელობა, გულთბილი საუბარი და ხშირად კამათიც, ქვეყნის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე.

ამ ოჯახში ხშირად სტუმრობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-იურისტი: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (თინათინის და ვლადიმერის მასწავლებელი და მეგობარი), ეს მეგობრობა შემდგომ თაობაზეც გადავიდა, სამამულო ომის დროს მრავალი მოსკოველი ევაკუირებულ იყო თბილისში და მათ შორის ლუარსაბის შვილებიც : ირაკლი (გამოჩენილი ლიტერატურული მკვლევარი, მწერალი და თავისივე შექმნილი ზეპირი მოთხრობების უბადლო შემსრულებელი), ელეფთერი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში.

მაყაშვილების ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ აგრეთვე ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები: აკაკი ხორავა და კომპოზიტორი იონა ტუსკია, რომლებიც ამ დიდი ოჯახის ახლო ნათესავები იყვნენ.

1924 წლის აგვისტოში საქართველოში იფეთქა საყოველთაო შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა საზოგადოების ყველა ფენა, მას შესაბამისად მოჰყვა საყოველთაო ტერორი, რაც განსაკუთრებით იწვნიეს საქართველოს თავად-აზნაურობამ და ინტელიგენციამ.

ერთ-ერთი ასეთი ტერორის მაგალითია ქსნის ერისთავის მიხეილის და მისი შვილის - რევაზის დახვრეტა კარალეთის ე.წ. " წითელრაზმელების", მიერ, თვითნებურად, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე.

მიხეილის მეუღლე ელენე საგინაშვილი-ერისთავი იყო გიორგი მაყაშვილის მეუღლის - ბარბალეს და , ასეთი უბედურების ჟამს მან თავისი და, ელენე და დარჩენილი ოჯახის წევრები რუსუდანი, ნინო და ეკატერინე გადმოიყვანა თავის ბინაში, (წყნეთის ქ. N13, ახლანდელი მელიქიშვილის ქ. N9), ასევე მაყაშვილების ბინაში გადმოიყვანეს მიხეილის ერთ-ერთი და - ანასტასია ერისთავი-ამილახვარისა, რომელიც ასევე გამოძევებული იყო თავის მამულიდან-კასპიდან. ასე ცხოვრობდნენ ერთჭერქვეშ დიდ ოჯახად, საქართველოს დიდი გვარის წარმომადგენლები .

მიხეილ რევაზის ძე ერისთავი დაიბადა სოფელ კარალეთში, 1862 წელს, მამამისი რევაზ ერისთავი იყო მეფე ერეკლე II-ის ქალიშვილის ანასტასია ბატონიშვილის ქალიშვილის შვილიშვილი. მიხეილმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო კერძო პანსიონატში, რის შემდეგ დაამთავრა უმანის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი (რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი ცნობილი სასწავლებელი). მიიღო აგრონომიის დარგში I თანრიგის ატესტატი და დაუბრუნდა თავის მამულს.

მიხეილ ერისთავმა ამ დროიდან დაიწყო ერთ-ერთმა პირველმა საქართველოში სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანა და დანერგვა.

მიხეილ ერისთავის მეუღლე-ელენე, ივანე საგინაშვილის ქალიშვილი ღრმად განსწავლული იყო როგორც მუსიკალურ ასევე ლიტერატურულ დარგში, კარალეთსა და გორში ერისთავების სახლში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, რომელთა მოთავე იყო ელენე. თბილისიდან ჩამოდიოდნენ იმ დროისათვის ცნობილი პოეტები, მწერლები, მხატვრები, მომღერლები . თვითონ ელენე გახლდათ კარგი მუსიკოსი.

ქმრისა და შვილის დახვრეტის შემდეგ მის თვალზე ცრემლი არავის არ უნახავს. ეს ძლიერი პიროვნება ოჯახს ამხნევებდა თავისი თავდაჭერით, მაგრამ უჩუმრად მარტო მიდიოდა კოჯრის გზაზე და იქ ტირილით იოხებდა გულს. ამ სცენას შემთხვევით წააწყდა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი, იცნო უბედური ქალი და ამცნო ოჯახს.

მიხეილის უფროსი ქალიშვილი ეკატერინე იყო ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიტოპათოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. მთელი თავისი ცხოვრება ეკატერინემ მიუძღვნა ქველმოქმედებას, თავის დის - ნინოს მეუღლის - ივანე მაყაშვილის 1937 წელს რეპრესირების შემდეგ, ეკატერინემ იკისრა ნინოს ოჯახის, მათი ბავშვების მოვლა-პატრონობა და განათლება. მიხეილის უმცროსი ქალიშვილი - რუსუდანი იყო არქიტექტორი, მუშაობდა გ.ჩუბინიშვილთან ძეგლების აღდგენაზე.

მიხეილის ქალიშვილი - ნინო 1924 წელს გათხოვდა ივანე მაყაშვილზე (გიორგი მაყაშვილის ძმა), მათ 2 შვილი შეეძინათ: ივდითი (1927) და რევაზი (1930), ისინი განაგრძობენ ამ დიდი ოჯახების ტრადიციებს.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგიმ და ბარბალემ მიხეილის ოჯახის გარდა შეიკედლა აგრეთვე მისი და-ანასტასია, გათხოვილი დიმიტრი ამილახვარზე, რომლებიც ცხოვრობდნენ კასპში. დიმიტრი იყო თიხის საოჯახო ჭურჭლის გამომშვები ქარხნის პირველი დამაარსებელი და მეპატრონე. ანასტასია იყო ძალიან განათლებული ქალი. ჟურნალ "ჯეჯილსა" და "ნაკადულში" ხშირად იბეჭდებოდა მისი საბავშო მოთხრობები. ანასტასიას მიერ არის მომზადებული რუსულ ენაზე "ვეფხისტყაოსნის" პწკარედი , რომლის მეშვეობით ბალმონტმა თარგმნა "ვეფხისტყაოსანი".

აი, მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება "ჩვენს სახლში" აისახოს ერის ყოფა, მისი განვითარება XIX -XX საუკუნეებში.





გიორგი და ივანე მაყაშვილები; სხედან – ვლადიმერ მაყაშვილი, ბარბალე საგინაშვილი-მაყაშვილისა, გიორგი და ალექსანდრე მაყაშვილები, მაგიდაზე ზის ელენე მაყაშვილი, დგას ივანე მაყაშვილი.



ვლადიმერ მაყაშვილი და მისი მეუღლე ივდითი, სხედან – ვლადიმერის ქალიშვილი ელენე და რძალი – ბარბალე საგინაშვილი-მაყაშვილისა. დგანან – მარიამ მაყაშვილი-კვინიტაძისა, თამარ და გიორგი მაყაშვილები.

ტროტუარებო, წერეთ თქვენი მემუარები

# ხიდი

გიო ახვლედიანი


ვერის ხიდი. 1900-იანი წლების დასაწყისი.

ადრე, გარბაჩოვიანთ დროში, როცა უნივერსიტეტში ვსწავლობდით და ხშირად ვიდექით ხოლმე პირველი კორპუსის წინ, ანუ უნივერსიტეტის ბაღის კიდეზე, იქ ხშირად ჩამოივლიდა ერთი მოხუცი, მხარბეჭიანი და დაბნეული კაცი, რომელსაც ძველებური ბუკლეს პიჯაკი ეცვა და ძალიან შემცბარი აცეცებდა თვალებს.

ეს კაცი იმდენად დამამახსოვრდა, რომ ლამის ყოველ მეორე წიგნში, თუ მოთხრობაში მოვიხსენიე, ისიცა და მისი ერთადერთი შეკითხვაც, რომელსაც ვერავინ პასუხობდა.

კეთილშობილი იერის კაცი იყო, მოგვადგებოდა და გვკითხავდა:

შვილო, ვერის ხიდი სად არის აქა?

აბა, ჩვენ რა ვიცოდით, სად არის ვერის ხიდი. ჩვენ იმ ხიდს არც მოვსწრებივართ. არც კი ვიცოდით, თუ არსებობდა საერთოდ. ჩვენ იმასაც არ მოვსწრებივართ, რომ უნივერსიტეტის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა ლუდის ბორბლებიანი კასრი იდგა, ტრამვაი კი მეცხრე საავადმყოფოსთან უხვევდა. იმ მოსახვევს დღესაც ეძახიან აქა-იქ კრუგს.

სხვისი არ ვიცი და მე ვერის ხიდი ელბაქიძის ხიდი მეგონა. დიდად არც შევმცდარვარ, ამ ხიდსაც უწოდებდნენ ვერის ხიდს, მაგრამ იმ მოხუცს ვერ ვეუბნებოდი, რადგან ვფიქრობდი, რომ სანამ მელიქიშვილის ქუჩას გაივლიდა და ელბაქიძის ხიდამდე ჩააღწევდა, გზა დაებნეოდა.

არადა, როგორც ახლა ვხვდები, სწორად იყო მოსული. იდუმალებით სავსე კაცი იყო, ეტყობა კარგა ხანს არ ყოფილიყო ამ უბანში, მისახვედრია, სადაც იქნებოდა, მაგრამ ახლა ზუსტად შეიძლება გამოთვლა, რამდენ ხანს არ ჩაევლო ვარაზის ხევში. ჩაივლიდა ამ ხმაურიან, მოგუგუნე ვარაზის ხევს, მიადგებოდა გმირთა მოედნის კიდეს, უყურებდა თერთმეტსართულიან სახლს, ამობრუნდებოდა ისევ უნივერსიტეტის ბაღის კიდეზე და ბირჟის ბიჭებს მიადგებოდა:

შვილო, ვერის ხიდი სად არის აქა?

ძველებმა ასჯერ უკეთ იციან, რომ იქ, სადაც ახლა გმირთა მოედანია, მდინარე ვერე ჩამოდიოდა და დაბლა უერთდებოდა მტკვარს. სწორედ ზედ იდო ეს ვერის ხიდი, რომელმაც დაახლოებით ორმოცდაათ წელიწადს იცოცხლა. ეს ხიდი პირველი ხუთწლედის პირმშო იყო, მაგრამ, ხიდი, რომელსაც ეს მოხუცი ეძებდა ხოლმე და რომელიც მის არყოფნაში აიღეს, მაინც არ იყო ის ძველი ვერის ხიდი. იმ ძველმა ვერის ხიდმა იარსება ხოსრო მირზას დროიდან და სწორედ რომ პირველ ხუთწლედამდე.

ხოსრო მირზას დროიდან! ამ ბაგრატიონის და გლეხის ქალის მუსლიმი ვაჟის დროიდან, შაჰების გამდელ-ძმაკაცი-მრჩევლის დროიდან ამხანაგ ბერიას გაცეკასმდივნებამდინ ხიდმა იარსება და მერე გაქრა. მოხუცი კი ეძებდა. მთლად იმ ხიდს არა, მაგრამ მის გვერდით რომ გადეს, იმას.

სამას წელიწადს, გიორგი სააკაძის სიკვდილის დროიდან, ზურაბ ერისთავის წახდენის დროიდან, მეფე თეიმურაზის გამწარების დროიდან მდინარე მორაკრაკებდა და ზედ ხიდი იდო, მერე კი აღარ გვინდა ძველი ხიდიო, ახალი გვინდაო, მერე კი აღარც მდინარე გვინდაო. ქალაქს ორი მდინარე ჰქონდეს და ერთს მალავდეს არც გამიგია, ვერა-რეჩკა პატარა მდინარეა, მაგრამ დარდებს მაინც გაატანს კაცი, ასე რომ არ რცხვენოდეს ქალაქში ჩამოვლა. ხევ-ხევ მოდის მაღლიდან და არ უნდა ყოფილიყო მთლად ურიგო, უსახელო და უვარგისი მდინარე, რახან მის გარშემო უბანი შენდებოდა, ხალხი სახლდებოდა და ბაღებიც ჩაეყარათ. ადრე გაბაონთ მიწები ყოფილა.

ახლა რომ ქვემო ვერას ეტყვიან, ის იყო ნამდვილი ვერის უბანი ძველათ. ზემოთ ხომ სოფლები იყო და ბევრი ასკილი, იმდენი ასკილი იყო, რომ ვარდისუბანს ეძახდნენ იქაურობას.

ძველათ, ძველათო, დიდი რამე თუ ძველათ იყოო, ძველათ რაც იყო, აღარ იქნებაო, ამბობენ ხოლმე. აღარ იქნება, მაგრამ კომუნისტები ისე ექცეოდნენ ამ ქალაქს, ერთი ავი მოწაფე რომ მიუჯდება თავის ახალთახალ მერხს და ფხაჭნის დანით. ფხაჭნის და ფხაჭნის, სანამ სკოლას არ დაამთავრებს.

რაც მარტო იმ ვერის ხიდზე ფეხი დადგმულა და რაც მის ქვეშ წყალს გაუვლია. სამწუხაროდ არავის უთქვამს, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ხიდები დარჩებიანო. ხიდიც გააქრეს და წყალიც. ამის მეტი რაღა უნდა ექნათ.

ამ ადგილას კი გააკეთეს მოედანი, რომელსაც მანქანები უვლიან წრეს და მიდიან ოთხ მხარეს. შორიახლო მეძავებიც დგანან, ღმერთმა უშველოთ. შოფერ ხალხს არ უყვარს გმირთა მოედანი, გასავლელად უხერხული ადგილიაო. მილეთის მანქანა იქ გადი-გამოდის. მცოდნენი ამბობენ, ეს ადგილი რომ არ იყოს, შუა ქალაქში მანქანით სიარული მეტად გაჭირდებოდაო. რა ვიცი, ვერისკენ ავლა მეტად ჭირს. შუა მოედანში კი ბალახი ბიბინებს. ადრე არ ბიბინებდა, თეთრი წრე, შემოეხაზათ. ბალახი რომ აბიბინდა, ხალხმა გაიცინა ამ ადგილის გამო, მცირე მიწა გახლავსო. მაშინ ხომ ბრეჟნევის მოგონებათა წიგნი იყო ყველაზე ძლიერი ლიტერატურული ნაწარმოები და ერთ-ერთ მოგონებას მცირე მიწა ერქვა.

ეგრე შეგვრჩა მცირე მიწა, როცა მდინარე გვქონდა.

ვერე კი მოჰყვება მორიდებულად ხევებს. არც ნაპირი აქვს, არც სხვა რამ. გადახედავ საიდანმე და თვალს ვერ ჩააწვდენ, ძაღლების ყმუილი თუ გესმის დაბლიდან და ესაა. ვაკის ხევებს ჩამოუდის და იკარგება. არ ვიცი, აბა, თბილისი მაინც ვერ გახდა თანამედროვე ქალაქი და ის ძველი სიხარულებიც დაეკარგა.

ხოსრო მირზა ჭკვიანი კაცი იყო. იმას თბილისში ეჯდა ზარაფების უფროსად დიდვაჭარი და კაი მდიდარი კაცი, ჰაჯი ბეჰბუდა, ჰაჯი, თუ ხოჯა, ახლა რაღას გაიგებ. მთელი ქალაქის ფულები ამ კაცის ხელში გადიოდა. ძაან კაცი იქნებოდა, იმიტომ, რომ დღეს თბილისის რუკიდან გადარეცხილი მისი სახელი ადრე დაახლოებით იმ სიხშირით შეგვხვდებოდა, როგორც ლენინისა და კომუნისტების დროში.

ამ ხოჯა ბეჰბუდას ბევრი რამ უკეთებია თბილისში და იმათ შორის კი ვერის ხიდიც. სწორედ ის ძველი ვერის ხიდი, პირველ ხუთწლედამდის რომ მოჰყვა. ამ ხიდით ქალაქში შემოსვლა და გასვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ლამაზი ხიდი იყოო, გადმოგვცემენ ძველები. ანუ, ლამაზი უნდა ყოფილიყო, როგორცა ვხვდებით. მაგრამ როცა მდინარე აღარ გჭირდება, ხიდი რაღა მოსატანია?

ეგრე თანდათან და თანდათან აღარ გვჭირდებოდა რაღაცები. ერთხელაც გადატრიალდა ქვეყანა და თურმე გვჭირდებოდა, მაგრამ რაღას იპოვი, წაიღო ვერა-რეჩკას წყალმა.ის ხოჯას ხიდიც და ის რამე-რუმეებიც, რასაც თბილისი ერქვა.

მოხუცი კაცი კი დადიოდა და გვეკითხებოდა, ვერის ხიდი სად არის აქაო. ის პირველი ხუთწლედის ვერის ხიდს ეძებდა, ხოჯასას მოსწრებული კი იქნებოდა, მაგრამ არ უთქვამს, ერთხანს ორი ხიდი იყო გვერდიგვერდო.

რაღას იპოვი, ფესვიანად თხრიდნენ.


"ბეთანია - სახლი სათნოებისა და სახლი მორჩილებისა და სახლი დიდებისა" (საბა)


მერია - სახლი უანგარობისა და სახლი დიდებისა და შადრევნობისა

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# მეორე სიცოცხლე პატარა გუდაუთელი პაციენტებისათვის

*გუდაუთაში მცხოვრებ 3 წლის მიშა ცუგბასა და 11 წლის გულია სიჭინავას მშობლები სიხარულით აღნიშნავენ, რომ მათი შვილები მეორედ დილომში, ჯო ენის სახელობის კარდიოქირურგიის ცენტრში დაიბადნენ. რამდენიმე დღის წინათ სწორედ აქ გაიკეთეს მათ გულის მანკის ურთულესი ოპერაციები. მიშა და გულია პირველი მერცხლები არიან იმ ბავშვებს შორის, რომლებიც აფხაზეთიდან რიგრიგობით უნდა ჩამოიყვანონ და ძვირადღირებული ოპერაციები სრულიად უფასოდ "ბავშვთა კარდიოქირურგიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის" ხარჯზე გაუკეთონ. ამ საქმეში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საერთაშორისო წითელი ჯვარიც ეხმარება, რომელიც ანაზღაურებს მძიმე ავადმყოფთა უსაფრთხო ტრანსპორტირებისა და წინასაოპერაციო გამოკვლევების იმ ხარჯებს, რაც სახელმწიფო პროგრამაში არ შედის.*


*მიშა და...*

## დასაწყისი

ყველაფერი ჯერ კიდევ ავთანდილ ჯორბენაძის ჯანდაცვის მინისტრობის დროს დაიწყო, როცა დიდმა ბიძიებმა, როგორც იქნა, ომისშემდგომი პათოლოგიური მშვიდობის ჭირვეული ხასიათი არაფრად ჩააგდეს და პატარა გულების გადასარჩენად დაირაზმნენ.

ჯორბენაძის ამ ინიციატივას საქართველოს დედაქალაქში არძინბას ჯანდაცვის მინისტრის ლუდმილა ავიძბას პირველი ვიზიტი მოჰყვა. ავიძბამ თავისი თვალით ნახა ჯო ენის თანამედროვე კლინიკა, მისი დიდი შესაძლებლობები და დარწმუნდა, რომ აფხაზეთში მომაკვდავი ბავშვების სიცოცხლის გასაღები თბილისში იდო.

ავიძბამ სოხუმში დაბრუნებისთანავე დაურეკა აღრიცხვაზე მყოფი ყველა ბავშვის მშობელს და დაამშვიდა, ბავშვებს მალე თბილისში ვუმკურნალებთო.

## გულია და გულის მანკი

პატარა გულია და გულის მანკი ამ ქვეყანას ტყუპებივით მოევლინენ, მაგრამ ამის შესახებ თავიდან არავინ არაფერი იცოდა. მოგვიანებით მამამისი გენა მიხვდა ყველაფერს. აი რა გვითხრა მან ამის შესახებ: **"ერთხელ ბავშვის ჩახუტებისას ვიგრძენი, რომ გულს მუშაობა ძალიან უჭირდა. სამწუხაროდ, ეჭვი გამართლდა და ჩემს პატარა გოგონას თანდაყოლილი უმძიმესი ფორმის გულის მანკი აღმოაჩნდა. მოგვიანებით კიდევ უფრო სამწუხარო ამბავი შევიტყვე, იმის შესახებ, რომ მედიცინა ასეთი ფორმის მანკების დროს, თურმე, უძლური ყოფილა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, მდგომარეობის გაუმჯობესება და სიცოცხლის 30-40 წლით გახანგრძლივება იყო, მაგრამ დღემდე ამის საშუალებაც არ გამოჩენილა. ბავშვთან ერთად მთელი ოჯახი ყოველდღე ვიტანჯებოდით. საჭმელს ჭამდა, მაგრამ მაინც ძალიან სუსტად იყო – ძვალი და ტყავი. ვერ სუნთქავდა, ტუჩები და თითები მუდამ გალურჯებული ჰქონდა, ფეხზე დგომა ნახევარი საათითაც არ შეეძლო, ჩაცუცქდებოდა "კვატასავით" და იჯდა. ვერ თამაშობდა, სკოლაში თავისით ვერ დადიოდა და ასე თანდათან გვეცლებოდა ხელიდან.**

**თავიდან ლენინგრადში ვიყავით. იქ მითხრეს, პერიოდულად ჩამოიყვანე, რომ ბავშვი საოპერაციო ასაკამდე მივიყვანოთო, მაგრამ ომი დაიწყო და რაღას ჩავიდოდით.**

**ომის მერე სიტუაცია შეიცვალა. ქვეყნიდან გასვლა ისე ადვილი აღარ იყო, არც ფინანსურად და არც უსაფრთხოების მხრივ. ამიტომ ველოდებოდი იმ დროს, როცა სახელმწიფო გარანტიები მექნებოდა. ამ ლოდინში 10 წელი გავიდა.**

**მერე ჯანდაცვის მინისტრი ლუდმილა ავიძბა გახდა, რომელიც ჩვენს მდგომარეობას ძალიან განიცდიდა და უცებ... სახლში დამირეკეს და მითხრეს, ბავშვი გაამზადეთ, არის ერთობლივი პროგრამა, მალე თბილისში წავიყვანთ საოპერაციოდო.**

**ქართველი ექიმების ნიჭიერებისა და სიძლიერის ისე მჯერა, რომ მათ ბოლომდე ვენდობი და ერთი წამითაც არ მიყოყმანია (მარტო ბოკერიას სახელი რად ღირს, პუტინის შემდეგ მეორე კაცია მოსკოვში). თბილისის ვარიანტი ჩემთვის უფრო მისაღები იყო, ვიდრე ლენინგრადში ან, თუნდაც, საფრანგეთში წასვლა.**

**გუდაუთიდან წითელმა ჯვარმა ვერტმფრენით წამოგვიყვანა, შემდეგ თვითმფრინავით ვიმგზავრეთ. წითელი ჯვრის ექიმი მთელი გზა ბავშვის გვერდით იყო. აქ ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს წევრები დაგვხვდნენ და მაშინვე ყურადღების ცენტრში მოვექეცით. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საბჭოს წევრს ქეთი გიორგაძეს იმ დიდი ყურადღებისთვის, რასაც იგი ჩვენს მიმართ იჩენს."**

გულიას გლანდების ოპერაციის გაკეთებაც დასჭირდა, რაც იქვე თსსუ-ს პედიატრიულ კლინიკაში გაუკეთეს. მიშა საოპერაციოდ გაამზადეს.

## კლინიკაში

ამ პერიოდში თბილისს მეორედ ესტუმრა ლუდმილა ავიძბა, რომელმაც მიშა და გულია მოინახულა. მიშას ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა და კარგად იყო, გულია კი გლანდების ჭრილობებს იშუშებდა. ავიძბა სოხუმში დიდი იმედითა და კმაყოფილების გრძნობით დაბრუნდა. მეორე დღეს კარდიოქირურგიულ ცენტრს "24 საათიც" ესტუმრა. პალატიდან გენა სიჭინავა გამოგვეგება, მობრძანდითო, დავიწყებული ქართულით გვითხრა და აპარატზე შეერთებულ, ლოგინზე მისავათებულ კნაჭა გოგონასკენ მიგვითითა.

**"კაკ ტი სებია ჩუსტვუეშ, პაპულია, სმატრი კ წებე კაკოი ძიაძია პრიეხალ, ვსია გრუზია უზნაეტ პრა წებია; სკაჟი ძიაძე, როგორა ხარ, სკაჟი პაპა, კარგად ვარ, ტი ჟე ზნაეშ ნიმნოშკა გრუზინსკი, ია ჟე უჩილ, სკაჟი, კარგად ვარ!"** – შეჭაღარავებული კაცი თავისი ღვიძლი შვილის "ლანდს" ისე ეფერებოდა და ევედრებოდა ქართული სიტყვის წარმოთქმას, თითქოს ეს იყო გადარჩენის ერთადერთი შანსი. თან ჩვენ გვეუბნებოდა, გლანდების ოპერაცია გაუკეთეს და ძალიან დასუსტებულიაო.

**"კარგად!"** – გაისმა მოულოდნელად და მამას თვალები გაუბრწყინდა, - **"ვოტ, მალადეც პაპულია, ხაროშაია დევაჩკა, ატდახნი წეპერ დაჩურკა!".**

## მიშა

მეორე დღეს მიშასთვის ძაფები უნდა ამოეღოთ. რამდენადაც უფროსები იყვნენ გახარებულნი, იმდენად მიშა იყო სერიოზული და ხმა არ გაგვცა.

მიშას დედა: **"გულის მანკი დაბადებიდან სამი თვის შემდეგ აღმოაჩნდა. მაშინ გვითხრეს, ოპერაციის გაკეთება სამ წლამდე არ შეიძლებაო. ველოდებოდით სამი წლის გასვლას, მაგრამ არ ვიცოდით, ოპერაციას სად გავუკეთებდით. შარ-**


*... გულია ოპერაციის შემდეგ*

ზაზა ფარუაშვილის ფოტოები

**ზაზა ფარუაშვილი:** "მეორე სიცოცხლე პატარა გუდაუთელი პაციენტებისთვის", "გაფანტული სკლეროზი - სიკვდილიდან სიცოცხლემდე", "ნარკვევები სამედიცინო რეფორმის ბიოგრაფიიდან", "პირველი ოპერაცია ახალი მეთოდით".
**მაკა ჭაიანი:** "ოჯახის ექიმები დადებულ პირობას ვერ შეასრულებენ", "დაემალეთ შუადღის მზეს".
**ნანა ქადაგიშვილი:** "რადიაცია და პრაქტიკული ქართველები", "საბჭოური მაცივრები დედამიწას საფრთხეს უქმნის", "ნევროლოგიურში შესახლებულ დაზარალებულებს თავზე აწვიმთ".
**ეკა ბახუტაშვილი:** "ბავშვთა სიკვდილიანობით საქართველო მსოფლიოში 81-ე ადგილზეა", "პოლიომელიტის სერტიფიკატი ევროპას", "უფულო ავადმყოფებმა ბერძნულ პოლიკლინიკას მიაკითხეთ".
**ეთერ მამულაშვილი:** "ამერიკელები შხაპის მიღებას ერიდებიან", "ტიმოქსიფენის უკუეფექტი", "არაყი წამლის ნაცვლად".
**ირმა კახურაშვილი:** "მსოფლიოში ჯანმრთელი ბავშვები აღარ იბადებიან", "აუზში გრძელი თმით ბანაობა არ შეიძლება", "რისი ლექვით ვიქცევთ და ვიტყუებთ თავს", "რამდენი პამპერსი დასჭირდება "ბრწყინვალე ექვსეულს?", "გზა მშვიდობისა".
**ნინო სვანიძე:** "სამედიცინო დაზღვევა უცხოეთში", "ბრიტანული აფთიაქები".
**თიკო ცომაია:** "აბრძანდით სავარძლიდან", "დილემა", "საუბრები პაციენტის უფლებების შესახებ".

# მეორე სიცოცხლე პატარა გუდაუთელი პაციენტებისათვის

**შან გვითხრეს, რომ აქ არის საშუალება და ძალიან გაგვეხარდა. მადლობის სათქმელად სიტყვები არ მყოფნის. ყველას დიდი მადლობა!"**

ბებია: **"ჩვენ ვლოცულობთ ამ ექიმებზე და ყველაზე, ვინც დაგვეხმარა. მადლობთ, მადლობთ, მადლობთ!"**

## "აი, რა სიხარული მაქვს"

ერთი კვირის შემდეგ ცენტრს ისევ ვესტუმრეთ. გულიას ოპერაცია გაეკეთებინა და გაწერილიყო, თუმცა იმ დღეს ძაფების ამოსაღებად უნდა მოეყვანათ. უცებ კარები გაიღო და კლინიკაში გულია შემოფრინდა, მერე ტორტით დამძიმებული დედამისისკენ მიბზრიალდა და ექიმების ოთახისკენ გასწია. ბოლოს ქეთი გიორგაძე და გენა სიჭინავაც გამოჩდნენ.

გენა სიჭინავა: **"ააა, გამარჯობათ! ხედავთ, რა ბედნიერი დღეა, როგორი სიხარული მაქვს. ბავშვი უკეთესად არის. ტუჩები და თითები გაუწითლდა, თავისუფლად სუნთქავს, დადის. სიარული კი არა, დგომა არ შეეძლო.**

**იცით, რას გეტყვით? ბავშვის ჯანმრთელობაზე ძვირფასი არაფერია. მოუთმენლად გველოდებიან გუდაუთაში, ჩავალთ და ყველას გავახარებთ. მიშას დედამ დარეკა, მთელი დღე ბავშვებში დარბისო.**

**კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ყველას – ორგანიზატორებს, ექიმებს, დონორებს და გულშემატკივრებს."**

რვა თვის შემდეგ გულიას კიდევ ერთი, ძირითადი ოპერაცია ელოდება. მანამდე კი ცენტრი სხვა ბვშვებს მიიღებს.

ქეთი გიორგაძე: **"ორშაბათს სხვა ბავშვებსაც ჩამოვიყვანთ. დიაგნოზები გადამოწმდება და ოპერაციებიც გაკეთდება. შემდეგ სხვების ჯერიც დადგება."**

## ლირიკული გადახვევა

**"იცით, რაშია საქმე? ხალხი დაიღალა ამდენი დაძაბულობისგან. ხანდახან ერთმანეთს ვეუბნებით, მოდი ერთი ძველებურად შემოვძახოთო და ქართულად ვმღერით, ზოგჯერ ვცეკვავთ კიდეც..."-** ერთხელ თავადაც მიხვდით, ამას ვინ იტყოდა.

# ძუძუთი კვების როლი "მოზრდილთა" ასაკში



ზაზა ფარუაშვილის ფოტო

3253 დანიელი ქალისა და მამაკაცის გამოკვლევის შედეგად, რომლებიც ბავშვობაში ძუძუს 9 თვის განმავლობაში წოვდნენ, დადგინდა, რომ ძუძუთი კვებასა და გონიერებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა. გამოკვლევებმა აგრეთვე ცხადყვეს, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც 7-9 თვის განმავლობაში წოვდნენ ძუძუს, ინტელექტუალობის მაჩვენებელი 6 ერთეულით მაღალი ჰქონდათ, ვიდრე იმათ, ვინც ძუძუს მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში წოვდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ქალის რძეში მრავლადაა ტვინის განვითარებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ელემენტები. ამასთან ქალები, რომლებიც ძუძუს აჭმევენ ბავშვებს, მეტ ხანს აყოვნებენ მათთან, რაც დადებითად მოქმედებს ბავშვის ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე.

ამერიკის პედიატრიული აკადემიის რეკომენდაციით, დედის რძე შეუცვლელი და საუკეთესო საშუალებაა ბავშვის საკვებად. დედის რძით კვება ამცირებს ინფექციების განვითარების რიცხვს და ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ განვითარებას.

# გაფანტული სკლეროზი - სიკვდილიდან სიცოცხლემდე

## გაფანტული სკლეროზის უძლეველობის მითი ნელ-ნელა ინგრევა

*სიტყვა "სკლეროზი" ანეკდოტურ ასოციაციას იმიტომ იწვევს, რომ ფართო საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი მისი მწვავე ფორმის "გაფანტული სკლეროზის" შესახებ, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებს ერჩის და საბოლოოდ აინვალიდებს კიდეც მათ. ეს დაავადება მეცნიერებისთვის დღემდე ამოუცნობია. მისი გამომწვევი მიზეზები და განკურნების საშუალებები ჯერჯერობით არ არსებობს. სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის მაქსიმალურად შენარჩუნებას კი ძვირადღირებული წამლების ყოველდღიური მიღება სჭირდება. ამიტომ ასეთი ავადმყოფების პრობლემა მწვავედ დგას საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, სადაც წამლის ფული არც ავადმყოფს აქვს და არც - სახელმწიფოს. თავის დროზე ანალოგიური სიტუაცია იყო აწ განვითარებულ ქვეყნებშიც, რომელთა მოქალაქენი დღეს უკვე უზრუნველყოფილნი არიან.*

### "გაფანტული სკლეროზის საქართველოს საზოგადოება"

"გაფანტული სკლეროზის საქართველოს საზოგადოება" ახლახან დაფუძნდა და საზოგადოების წინაშე 28 ივნისს წარსდგა. მისი მიზანია გაფანტული სკლეროზით დაავადებულთა მაქსიმალური დახმარება და მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. საზოგადოების სტრუქტურა მთლიანად პასუხობს "გაფანტული სკლეროზის მსოფლიო ფედერაციის" მოთხოვნებს, რომლის თანახმად დამფუძნებლებს პრეზიდენტად უნდა აერჩიათ ქვეყანაში ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნება, არა ექიმი (ასეთად თი-ბი-სი ჯგუფის ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე მოგვევლინა), ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად - ერთი ნევროლოგი და ერთი პაციენტი. საზოგადოება ორი კომიტეტისგან შედგება: ნევროლოგთა და პაციენტთა. მასში გაერთიანება შეუძლია ყველა კეთილი ნების ადამიანს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზოგადოება უკვე გახდა მსოფლიო ფედერაციის წევრი, რომლის შტაბბინა ლონდონში მდებარეობს.

პირველ შეხვედრას ესწრებოდნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, ექიმები, პაციენტები და მათი ოჯახის წევრები. პრეზიდენტის მისასალმებელი სიტყვისა და ორიოდე გამომსვლელის შემდეგ პრობლემის სიმწვავე მთელი სიცხადით წარმოჩინდა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში გაფანტული სკლეროზით დაავადებულთა რეგისტრაცია არ გაკეთებულა და მათი რიცხვი ცნობილი არ არის. როგორც ექიმები ამბობენ, ყოველ წელს სავარაუდოდ 300-400 ადამიანი ავადდება. ძირითადი პრობლემა მაინც ძვირადღირებული პრეპარატებია, რომელთა გარეშე ავადმყოფები ნორმალურ მდგომარეობას ვერ ინარჩუნებენ და სრულიად უუნარონი ხდებიან. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის განცხადებით, სახელმწიფოს ჯერჯერობით არ შეუძლია თუნდაც 100 ავადმყოფის წამლებით უზრუნველყოფა, თუმცა მომავალი წლის ბიუჯეტში რაღაც სეგმენტი საამისოდ გათვალისწინებული იქნება.

ყველა ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ საზოგადოების შექმნას არსებულ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პირველ რიგში იმიტომ, რომ მისი ავტორიტეტული წევრები ფართო მასების გაერთიანებას შეძლებენ, რაც პრობლემის მოგვარების უახლოესი გზაა.

### დაავადება - გაფანტული სკლეროზი

გაფანტული სკლეროზი, ანუ, სხვანაირად, მრავალმხრივი სკლეროზი ცენტრალური ნერვული სისტემის ქრონიკული და ხშირად პროგრესირებადი დაავადებაა. იგი აზიანებს თავისა და ზურგის ტვინს და მხედველობის ცენტრს, რაც ორგანიზმის შესაბამისი ფუნქციების დაქვეითებას იწვევს. დაავადების დროს, რაღაც უცნობი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, ზიანდება ტვინის ნერვული ბოჭკოს ცილოვანი გარსი - მიელინი და წარმოიქმნება დაზიანების მრავალი გაფანტული კერა. ამის შედეგად ნაწილობრივ ფერხდება ან მთლიანად წყდება იმპულსების გადაცემა ცენტრალური ნერვული სისტემიდან სხვადასხვა ორგანოს მიმართულებით. დაავადების სიმპტომები დამოკიდებულია იმაზე, თუ ტვინის რომელი ნაწილია დაზიანებული. ყველაზე ხშირად ქვედა კიდურების ფუნქციის მოშლა შეინიშნება; უფრო ნაკლებად ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია, მეტყველების უნარი და მხედველობა.

### პირველი მკვლევარები

1835 წლამდე დაავადების შესახებ ცნობილი არაფერი იყო. შემდეგ კი ფრანგმა ექიმმა კრუველიემ პირველი შემთხვევა აღწერა. 2 წლის შემდეგ ანალოგიური შემთხვევა ლონდონელი ექიმის კარსველის პრაქტიკაშიც მოხდა. მომდევნო წლების განმავლობაში დაავადების შემთხვევათა რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ 1868 წელს ფრანგმა ექიმმა შარკომ თავი მოუყარა გაფანტული სკლეროზის პათომორფოლოგიურ ნიშნებს და გარკვეული დიაგნოსტიკური კრიტერიუმებიც შეიმუშავა.



*მინისტრი ამირან გამყრელიძე და აკადემიკოსი ლადო ბახუტაშვილი*

### ავადობა

გაფანტული სკლეროზით ჩვეულებრივ ახალგაზრდები ავადდებიან, თუმცა მისი გამოვლენა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ პერიოდში 15-დან 60 წლამდე. ქალები მამაკაცებზე 2-3-ჯერ უფრო ხშირად ავადდები-

# გაფანტული სკლეროზი - სიკვდილიდან სიცოცხლემდე

ან. ავადობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი მოდის 20-დან 40 წლამდე თეთრი რასის ადამიანებში, რომლებიც ზომიერი კლიმატის პირობებში ცხოვრობენ. დაავადება ინფექციური არ არის და მისი მემკვიდრეობით გადაცემა არ ხდება.

აშშ-ში გაფანტული სკლეროზით 300 ათასი ადამიანია ავად. ინვალიდობის მიზეზთა შორის გაფანტული სკლეროზი მესამე ადგილზე დგას ტრავმებისა და რევმატიული დაავადებების შემდეგ.

## მიზეზი

გაფანტული სკლეროზის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ არსებობს ვერსიები იმის შესახებ, რომ შეიძლება იყოს ორგანიზმის იმუნური სისტემის შესუსტების ფაქტი სხვადასხვა დაავადების დროს (ვირუსული ინფექციები, ანთებითი პროცესები და სხვა). ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე ძალიან დიდად მოქმედებს, აგრეთვე, დაავადებული კბილები, ჯირკვლების ქრონიკული ანთება, ჰაიმორიტი. განსაკუთრებით სახიფათოა ზომაზე მეტად გარუჯვა.

დაავადების გამწვავების დროს ტვინში ანთებითი პროცესები იწყება, რაც ნერვული ბოჭკოს მიელინის გარსის გასიებას იწვევს. რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ ანთებითი პროცესი ქრება და გასიებაც ცხრება, მაგრამ ტვინის მოცემული ნაწილი საბოლოოდ ზიანდება.

## რემისიები

დაავადების დასაწყისში შეინიშნება ხანგრძლივი რემისიული პერიოდები და ამ დროს ორგანიზმის დაკარგული ფუნქციების აღდგენა თითქმის მთლიანად ხდება. ამ ფაქტს თავად ნერვული სისტემის სტრუქტურა და დიდი შესაძლებლობები განაპირობებს. ნერვული სისტემის თვისება, აღიდგინოს დაზიანებული ნაწილები, ჯერ კიდევ პავლოვმა გამოავლინა. მან ძაღლს ზურგის ტვინი ხელოვნურად დაუზიანა (დანით ჩაუჭრა) და დააავადა. ძაღლებმა მოძრაობის უნარი მხოლოდ დროებით დაკარგეს. რამდენიმე ხნის შემდეგ წამოდგნენ, სიარული დაიწყეს და ბოლოს სირბილზეც გადავიდნენ.

ასე ხდება გაფანტული სკლეროზის დროსაც. მცირეოდენი დაზიანების შემთხვევაში მწყობრიდან გამოსული ნერვული ქსოვილის ფუნქციებს მეზობელი ქსოვილები კისრულობენ, ამიტომ ორგანიზმი ფუნქციას არ კარგავს იქამდე, სანამ არ დაზიანდება მრავალი ნერვული ქსოვილი. ამით აიხსნება ის მოვლენა, რითიც ხასიათდება გაფანტული სკლეროზი - რემისიებისა და რეციდივების მონაცვლეობა.

## ინდივიდუალურობა

გაფანტული სკლეროზი ძალიან ინდივიდუალური დაავადებაა. მოძრაობის შეზღუდვა ავადმყოფთა 40 პროცენტს აღენიშნება. მხედველობის დარღვევა - 20 პროცენტს, დანარჩენებს უვითარდებათ უნებლიე შარდვის პათოლოგია, დაღლილობა, სქესობრივი ფუნქციის მოშლა და სხვა. ზოგს უქვეითდება ინტელექტი. ზოგჯერ მწვავე შეტევები ხშირად მეორდება. ასეთ შემთხვევებში ავადმყოფი ძალიან ჩქარა ინვალიდდება. ძირითადად კი გაფანტული სკლეროზი ვითარდება მშვიდად, ზომიერად, იშვიათი გამწვავებებით წლების განმავლობაში. ისეთი შემთხვევებიც არის, როცა პირველი შეტევების შემდეგ ხანგრძლივი რემისიის პერიოდი დგება და ადამიანი თავს ჯანმრთელად გრძნობს.

დაავადების დაწყებიდან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 35 წელია.



*ჩემ შვილს 2000 ლარის წამალი სჭირდება თვეში*



*საზოგადოების პირველი საჩუქარი ავადმყოფებს*

ზაზა ფარუაშვილის ფოტოები

## მკურნალობა

დღეისთვის არ არსებობს გაფანტული სკლეროზის მკურნალობის არც ერთი ისეთი მეთოდი, რომლის ეფექტურობა მეცნიერულად დამტკიცებულია. ამის მიუხედავად, ავადმყოფები სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდნენ და გაფანტული სკლეროზის დიაგნოზი განაჩენივით არ უნდა მიიღონ. დაავადებასთან ბრძოლა სავსებით შესაძლებელია და აუცილებელიცაა. ამიტომ ავადმყოფის ფსიქოლოგიურ განწყობილებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

დაავადების დასაწყისში გამოიყენება ჰორმონული პრეპარატები, რომელთა ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით შეტევის სიმწვავე ცხრება. თუმცა, ეს განკურნებას არ ნიშნავს.

## რეკომენდაციები

კუნთების დასუსტების შემთხვევაში საჭიროა სიარული. ეს ძნელია, მაგრამ - აუცილებელი. თუმცა, გადაღლა არ შეიძლება. კარგია ვარჯიში, როცა ადამიანს სხეულის სიმძიმე გადააქვს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ამის გაკეთება შეიძლება მჯდომარე მდგომარეობაშიც, ოღონდ სკამი მაგარი უნდა იყოს, თავი - ვერტიკალურ მდგომარეობაში, ზურგი - გამართული.

თეძოებს შორის მოთავსებული კუნთების გამაგრებისთვის დაჯექით სკამზე და ისეთი მოძრაობები გააკეთეთ, თითქოს გაზების და შარდის შეკავებას ცდილობთ. თავიდან ეს ვარჯიში გააკეთეთ საათში 2-3-ჯერ. თანდათან მოუხშირეთ ისე, რომ საათში 10-ჯერ კუნთები 10 წამის განმავლობაში დაჭიმოთ. შედეგი მოაქვს მხოლოდ რეგულარულ ვარჯიშს. ისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

ვარჯიშთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კვებასაც. აუცილებლად მიიღეთ ხახვი, ნიორი, ხილი და ბოსტნეული. ძალიან სასარგებლოა სტაფილო, ღვიძლი, თევზი და, განსაკუთრებით, მოცხარი. საკვები დაამზადეთ მცენარეულ არარაფინირებულ ზეთებზე. ზეთი გადაწურეთ და მაცივარში შეინახეთ. ასეთი ზეთი შეიცავს ამინომჟავებს, რომლებიც თავის ტვინში ანთებითი პროცესების განვითარებას ხელს უშლიან. რაციონში შეიტანეთ ზღვის თევზი, რომელიც ისეთ მიკროელემენტებს შეიცავს, რაც არ არის ზეთში.

არ მიიღოთ ცხოველური ცხიმები.

## სიფრთხილის ზონა

**"Метод доктора Авакяна"**

ინტერნეტში გაჩნდა სენსაციური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხარკოველი ექიმი გაგიკ ავაკიანი, რომელიც ფარმაცევტული ფირმის "ფარმ-აგის" ხელმძღვანელი ყოფილა, კურნავს გაფანტულ სკლეროზს. ეს არის ღმერთისგან ბოძებული ნიჭი და 12-წლიანი დაუღალავი შრომის შედეგიო, ნათქვამია ინფორმაციაში. ჯერ მოკლედ შემოგთავაზებთ ინტერნეტის ინფორმაციას, ხოლო შემდეგ ჩვენი სპეციალისტის კომენტარს, რომელიც ფიქრობს, რომ ასეთ ინფორმაციებს ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ.

ინტერნეტის ინფორმაცია: "ნევროლოგიური დაავადებების მკურნალობაში დოქტორ ავაკიანის მეთოდი სრულიად უნიკალური და ალტერნატიულია, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი ჯერჯერობით არ მოეძებნება. მკურნალობა მიმდინარეობს ცნობილი და გავრცელებული წამლებით, ოღონდ ხდება მათი სპეციალური შერჩევა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს წამლების მიღების განსაკუთრებულ წესს, რომლებიც ორგანიზმში ინექციის სახით შეჰყავთ.

ეს მეთოდი შემუშავებულ იქნა სპეციალურად გაფანტული სკლეროზისთვის, მაგრამ მისი ეფექტურობა ისეთი დაავადებების დროსაც დამტკიცდა, როგორებიცაა: ბავშვთა ცერებრალური დამბლა, კუნთების დისტროფია, კოკსართროზი, მიოპათია, პოლიართრიტი, ნევრიტი.

ჰორმონული პრეპარატებისგან განსხვავებით, რომელთა საშუალებით მხოლოდ რეციდივების შემცირება ხერხდება, აღნიშნული მეთოდი სპობს დაავადების მიზეზს და ხელს უწყობს ტვინის თეთრი ნივთიერების მიელინის გარსის აღდგენას.

აქვე უნდა ითქვას, რომ დემიელინიზაციის პროცესის ალკვეთა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მთლიან განკურნებას და ორგანიზმის დაკარგული ფუნქციების აღდგენას. ამისთვის საჭიროა კომპლექსური სარეაბილიტაციო პროცედურების ჩატარება.

ისეთი ავადმყოფები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმოძრაოდ იყვნენ, მკურნალობის შემდეგ ვერ დგანან და ვერც დადიან, მაგრამ აშკარა უკეთესობას გრძნობენ. მათ ნერვული სისტემის აღდგენას დამატებით სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი სჭირდება."

აკადემიკოს ლადო ბახუტაშვილის კომენტარი: "ასეთი ინფორმაციები ბევრი ვრცელდება, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი არ გამართლებულა. გაფანტული სკლეროზის დროს ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ რემისიაზე და არა დაავადების სრულ განკურნებაზე".

ჩვენ ხარკოვში იმეილი გავაგზავნეთ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია და, იმის მიუხედავად, რომ ასეთი ინფორმაციების მაინცდამაინც არც ჩვენ გვჯერა, ხარკოვის მისამართს და ტელეფონს ვაქვეყნებთ. იქნებ ვინმეს მოუნდეს დოქტორ ავაკიანთან გასაუბრება.

Украина, 61034, г. Харьков, ул. Полтавский шлях, 1/3.
Тел/факс: (057) 712-42-45, (0572) 19-19-90
info@ avakyan-gs.com

# ნარკვევები სამედიცინო რეფორმის ბიოგრაფიიდან

ოფიციალური მონაცემებით სამედიცინო რეფორმად წოდებული ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი 1995 წელს დაიწყო და 2001 წელს დამთავრდა. აქ იგულისხმება ჯანდაცვის ახალი სისტემის დანერგვა, ანუ დარგის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაცია, პროფილური სამსახურების ოპტიმიზაცია, საქმიანობის ლიცენზირება, მედპერსონალის სერტიფიცირება, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა, სახელმწიფო დაზღვევის შემოღება, ფარმაციისა და სტომატოლოგიისთვის საბაზრო თავისუფლების მინიჭება და სხვა.



ლევან კიკალიშვილის ნახატი

**1994**

სამედიცინო რეფორმა 1994 წელს ჩაისახა. მაშინ სსრკ 4 წლის დაშლილი იყო, რაც თავისთავად ნიშნავდა ცენტრალიზებული მმართველობისა და პაციენტისთვის უფასო სამედიცინო მომსახურების მოშლას. ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების გულებში ეს ფაქტი აუცილებელ გულისწყრომას გამოიწვევდა, მაგრამ იმის გაცნობიერების დრო, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში, საზიზღარმა სეპარატიზმმა არ მოგვცა. სულ მალე შინაური ომებით დამარცხებულ ქვეყანაში განვითარებული დასავლეთის ულტიმატუმების პერიოდი დადგა. მოგვიანებით მთავრობის სხდომაზე კატეგორიულად თითშემართული შევარდნაძე ამას დაადასტურებს და განაცხადებს, სამედიცინო რეფორმა რომ არ დაგვეწყო, დასავლეთი ყოველგვარ ჰუმანიტარულ და ფულად დახმარებას შეგვიწყვეტდაო.

**1995**

ცვლილებების გარდაუვალობის შესახებ 1994 წლის გვიან შემოდგომაზე დაწყებული ახსნა – განმარტებითი საუბრები 1995 წლის 10 აგვისტოს დამთავრდა ფრაზით – (დღეს დაიწყო სამედიცინო რეფორმა!) ამრიგად, რეფორმის ჩანასახის განვითარებას სრული 9 თვე დასჭირდა, მაგრამ მომავალში ბედის ანაბარა მიტოვებულმა მაინც შეიძინა დღენაკლულის თვისებები. რეფორმატორების ბეჯითი დანაპირები უმუშევრად დარჩენილი ექიმების კომპენსაციებისა და გადამზადების, უფულო პაციენტების სახელმწიფო დაზღვევის შესახებ ისე ნაწილობრივ სრულდებოდა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი უხერხული იყო.

**1996**

კრიტიკის პირველი ტალღა რეფორმის დაწყების მეორე წელს აზვირთდა. მაშინდელმა ჯანდაცვის სამინისტრომ სამედიცინო დაწესებულებებისთვის შეიმუშავა კალკულაცია, რომლითაც განსაზღვრა მთელი რიგი დაავადებების მკურნალობის ფასები, საწოლ-დღეების რაოდენობა და მედიკამენტების დოზები. პოსტსაბჭოთა პრაქტიკოსი ექიმები ამბობდნენ, რომ სახელმწიფო კალკულაციით განკურნება შეუძლებელი იყო, მაგრამ ევროპული სტანდარტების მომშველიებელი სამინისტრო ასეთ განცხადებებს უვიცობას უკავშირებდა. საბოლოო ჯამში ევროპული სტანდარტებისა და საბჭოური მეთოდების შეჯახებამ ექიმთა გაკრიმინალება, პაციენტთა გატყავება და რეფორმის დისკრედიტაცია გამოიწვია.

**1997**

პარლამენტმა მიიღო ჯანდაცვის კანონი, რომლის თანახმად პაციენტს მიენიჭა ექიმის არჩევისა და ჯანმრთელობის განკარგვის სრული თავისუფლება. იმ დღიდან უსახსრო პაციენტებს გაუჩნდათ იმის შანსი, რომ ეამაყათ კანონიერი უფლებით; თუმცა, ამ მხრივ ექიმები აშკარად დაიჩაგრნენ. სასწრაფო და გადაუდებელ შემთხვევებში პაციენტის დაუყოვნებლივი მომსახურება მათ კანონით დაეკისრათ.

ამ წელსვე შეიქმნა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია. იმის მიუხედავად, რომ კომპანიის მიერ გაცემული და დაუფინანსებელი პოლისები ექიმებზე ტორეადორის ალამივით მოქმედებდა, სახელმწიფო დაზღვევის პრეცედენტი მაინც შედგა.

**1998**

მედპერსონალის სერტიფიცირება დაიწყო და დაახლოებით 29000 პრაქტიკოს ექიმსა და 6000 ფარმაცევტს პულსი აუჩქარდა. არასერტიფიცირებულ ექიმებს კერძო პრაქტიკა აეკრძალათ. მათი მუშაობა შეიძლებოდა მხოლოდ სასწრაფოში, მიმღებში, პოლიკლინიკაში და ამბულატორიაში. ტესტკითხვარების მისამართით გამოთქმული პრეტენზიების გარდა, სერტიფიცირების პროცესს წინააღმდეგობა არ შეხვედრია და იგი უწყვეტი გახდა. დღეისათვის სერტიფიცირებულია 21000 – ზე მეტი მედიკოსი.

**1999**

ევროსაბჭოში გავერთიანდით და გაჩნდა იმედი, რომ რეფორმისადმი მიდგომა შეიცვლებოდა და მისი დაფინანსება 50 პროცენტს ბოლოსდაბოლოს გასცდებოდა, მაგრამ საამისოდ დახარჯული საშინაო და საგარეო ენერგია უნაყოფო აღმოჩნდა. რეფორმის დაუფინანსებლობას პრეზიდენტის ორი სპეციალური განკარგულება, ერთი საერთაშორისო მემორანდუმი და დონორი ორგანიზაციების ქრონიკული მუქარა შეეწირა.

**2000**

ჰორიზონტზე ზურაბ ნოღაიდელი გამოჩნდა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე პირიანი მინისტრი აღმოჩნდა. მან თქვა, პენსიების, შემწეობების და მასწავლებელთა ხელფასების შემდეგ ჯანდაცვას, როგორც პრიორიტეტულ მიმართულებას, პირველ რიგში დავაფინანსებო და სიტყვა ყოველგვარი მემორანდუმის გარეშე შეასრულა. ამის შედეგად 2000 წლის მეორე ნახევარში ჯანდაცვის სიტემა ისე დაფინანსდა, რომ წლის პირველი ნახევრის ჩავარდნის მიუხედავად წლიურ 80 - პროცენტიან ზღვარს გადააჭარბა.

**2001**

ნოღაიდელის საქციელით დაიმედებული აწ უკვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახელმწიფო დაზღვევის პრესტიჟის აღდგენას შეუდგა. მან ერთი - ორამდე დაიყვანა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებათა რიცხვი და მაქსიმალურად შეზღუდა პროგრამის მომსახურე მედპერსონალის კონტიგენტი. ამრიგად, მოხდა სახელმწიფო თანხების ვიწრო წრეში თავმოყრა და რჩეულ ექიმთა ხელფასების საშუალო არითმეტიკული 600 – 700 ლარს გაუტოლდა. პოლისიანი პაციენტიც მაქსიმალურად დაცული გახდა. სახელმწიფოს პარტნიორ კლინიკებში სამედიცინო სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლობები გაიხსნა. საჭიროების შემთხვევაში ყოველ პოლისიან პაციენტს შეუძლია მიმართოს კომპანიის აგენტს, რომელიც მის ყველა სამართლიან მოთხოვნას დააკმაყოფილებს. 2001 წელს ჯანდაცვის სისტემა 92 პროცენტით დაფინანსდა და დაფიქსირდა პირველი შემთხვევები იმისა, რომ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე მედპერსონალმა ჰონორარზე უარი თქვა. თუმცა, ფულის აღების ფაქტებიც იყო, რის გამოც დამნაშავენი სამსახურებიდან დაითხოვეს.

**2002**

წელს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარების 9 წლიანი ეტაპი დაიწყო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის განხორციელება. მისი ძირითადი მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დაფინანსება და პროპაგანდა, პრევენციული და პროფილაქტიკური მედიცინის განვითარება, სასწრაფო და გადაუდებელი მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა.

**2010** წლის შემდეგ სისტემაში, როგორც ამბობენ, განვითარების მორიგი ეტაპი დაიწყება, ვინაიდან რეფორმა მარადიული ყოფილა.

# პირველი ოპერაცია ახალი მეთოდით

*ძვლოვანი სისტემის კეთილთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობა, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში ორგვარად ხორციელდება: პათოლოგიური კერის მოცილების შემდეგ დარჩენილი ღრუს პლომბირება ხდება ძვლოვანი ტრანსპლანტატებით - ან აუტოტრანსპლანტატით (საკუთარი ძვლით), ან ალოტრანსპლანტატით (დონორის კონსერვირებული ძვლით). ორივე მეთოდს ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეები.*

*საქართველოში აქამდე მხოლოდ აუტოტრანსპლანტატებს იყენებდნენ, აღებულს პაციენტისავე წვივის დიდი ძვლის ბორცვიდან, იდაყვის ძვლის მორჩიდან ან თეძოს ფრთიდან, რაც დამატებით მინიოპერაციას მოითხოვდა.*

## ოპერაცია

ალოძვლის (დონორის ძვლის) გამოყენებით მტევანში კეთილთვისებიანი სიმსივნის ქირურგიული ოპერაცია საქართველოში პირველად 2 თვის წინათ გააკეთა ღუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ს/კ ცენტრის ქირურგმა-ორთოპედმა მტევნის სპეციალისტმა პაატა ღუდუშაურმა.

14 წლის პაციენტს ვლადიმერს ჩივილები რამდენიმე თვის წინათ დაეწყო. მარჯვენა მტევნის მეორე თითის ძირითადი ფალანგი ნელ-ნელა და უმტკივნეულოდ გამსხვილდა. ბავშვი სხვადასხვა სპეციალობის ექიმთან მიიყვანეს, მაგრამ დიაგნოზი ვერავინ დასვა.

ერთხელაც ბავშვმა თითი მოიტეხა და აღნიშნულ ცენტრში მოხვდა. ამჯერად დიაგნოზის დასმა არავის გასჭირვებია – მარჯვენა მტევნის მეორე თითის ძირითადი ფალანგის ენქოდრომა.

თავდაპირველად საჭირო გახდა მოტეხილობის შეხორცება, რის შემდეგაც პაატა ღუდუშაურმა ოპერაცია ალოტრანსპლანტაციის მეთოდით გააკეთა. მოხდა კიდოვანი რეზექცია, პათოლოგიური შიგთავსის ამოღება, ღრუს დამუშავება და ჩანაცვლება ალოტრანსპლანტატით (დონორის ძვლით).



ოპერაციამდე

## რეაბილიტაცია

რეაბილიტაციის პროცესში გამოყენებულ იქნა ვარჯიშების სპეციალური პროგრამა მტევნისთვის: კონტროლირებადი აქტიური მოძრაობა. თითების მოძრაობის ამპლიტუდები იზომებოდა თითების გონიომეტრით (PADGETT P-690), ხოლო აღრიცხვა ხდებოდა სპეციალურ ფორმაზე. აღნიშნული მეთოდი მოწოდებულია მსოფლიოში, ალბათ, მტევნის ქირურგიაში ყველაზე ძლიერი სკოლის - შვედური სკოლის მიერ. კურსის ბოლოს თითის სრული მოძრაობის ამპლიტუდა იყო 230 0, რაც საკმაოდ ნორმალურია თითის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის.

*აქვე ორიოდე კითხვით მივმართავთ ოპერაციის ავტორს პაატა ღუდუშაურს.*

**- ბატონო პაატა, სად შეისწავლეთ ოპერირების და რეაბილიტაციის ეს მეთოდი?**

- 2 თვით სტაჟირებაზე ვიმყოფებოდი შვედეთის ქალაქ მალმოში მტევნის ქირურგიის კლინიკაში, რომელსაც ევროპაში ანალოგი არ მოეძებნება. რეაბილიტაციის ეს მეთოდიც იქ შეიმუშავეს.

**- ხშირია თუ არა ასეთი შემთხვევები საქართველოში?**

- თანამედროვე მონაცემებით ენქოდრომები მტევნის კეთილთვისებიანი სიმსივნეების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ამის მიზეზი ცნობილი არ არის, მაგრამ მკურნალობა ეფექტურია. რეციდივები მხოლოდ არასწორი და არასრულყოფილი მკურნალობის დროს შეინიშნება.

**- ჩვენთან რამდენად სწორად და სრულყოფილად მკურნალობენ?**

- არსებობს მკურნალობის ორი მეთოდი. ერთი, როდესაც ავადმყოფს საკუთარ ძვალს უნერგავენ. მეორე, როდესაც ხდება კონსერვირებული ძვლის (დონორის ძვალი) გადანერგვა. დასავლეთში მტევნის ქირურგების აბსოლუტური უმრავლესობა უპირატესობას მეორე მეთოდს ანიჭებს და მეც ვიზიარებ მათ აზრს.



ოპერაციის შემდეგ

**P.S.** ბავშვთა ასაკში ძვლის სიმსივნეებს ზემოაღნიშნული მეთოდით უკვე საკმაოდ დიდი ხანია და დიდი წარმატებითაც მკურნალობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მარინა ღუდუშაური. ძირითადად გრძელ ლულოვან ძვლებზე ხდებოდა ჩარევები. ამ მეთოდის დადებითი თვისებებიდან აღსანიშნავია:

1. ნაკლებტრავმულობა;
2. აბლასტიურობის დაცვა (სიმსივნური უჯრედების დისიმინირება ნაკლებად ხდება).

# ბავშვთა სიკვდილიანობით საქართველო მსოფლიოში 81-ე ადგილზეა

## სიტუაციის გასაუმჯობესებლად გაეროს ბავშვთა ფონდის პროექტი იწყება

მკვდრადშობადობა და ჩვილთა სიკვდილიანობა ყველა ქვეყნისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებელია. საქართველოში ეს მაჩვენებლები 1993 წლიდან იზრდება და ყველაზე მაღალ ციფრს 1996 წელს აღწევს, თუმცა ამბობენ, რომ ეს ამ პერიოდში შედარებით მოწესრიგებული აღრიცხვიანობის შედეგია. იგი 1992-93 წწ-ში გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. **1995-2000 წწ-ში კი ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 81-ე ადგილზეა.**

ჩვილთა სიკვდილობის ძირითად მიზეზად პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობები რჩება. ეს პერიოდი ორსულობის 28 კვირიდან ახალდაბადებულის სიცოცხლის მეშვიდე დღემდე გრძელდება. ბოლო მონაცემებით, პერინატალური მოკვდაობა 1989 წელთან შედარებით 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. 2000 წლის მდგომარეობით, ყოველ 100 000 მოსახლეზე ბიჭებში სიკვდილიანობა შეადგენდა 1848-ს, ხოლო გოგონებში – 1279-ს. ამავე წელს 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების კოეფიციენტი 22-ის ტოლი იყო.

ბოლო წლების მონაცემების მიხედვით, ზრდის ტენდენცია ახასიათებს მკვდრადშობადობასაც. მკვდრადშობილად ითვლება ნაყოფი, რომელიც იბადება 28 კვირის ორსულობის შემდეგ. მკვდრადშობადობა ყველაზე ხშირია ქრონიკული ინფექციებით დაავადებულ ქალებში ან იმ ქალებში, რომლებმაც ორსულობის პერიოდში მწვავე ინფექციური დაავადებები გადაიტანეს. მკვდრადშობადობას ასევე ადგილი აქვს ორსულთა ტოქსიკოზის, გულსისხლ-ძარღვთა დაავადებების, რეზუს შეუთავსებლობის დროს, გართულებული მშობიარობისას და სხვა. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 1995-2000 წწ-ში მკვდრადშობადობა 11,6-დან 17,8-მდე გაიზარდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გარკვეული კლება ახასიათებს. 1998 წელს ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე იგი 22,5 იყო. მკვდრადშობილთა რიცხვის ზრდა გამოწვეულია ფეხმძიმე ქალთა ჯანმრთელობის და ასევე კვების მდგომარეობის გაუარესებით, რასაც თავის მხრივ ზოგადი სოციალ-ეკონომიკური პირობები განაპირობებს. ერთ-ერთი მიზეზია ასევე ფეხმძიმობის პერიოდში ჯანმრთელობის დაცვისათვის არასათანადო ყურადღების მიქცევა. დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ანალიზით, დაბალ დონეზეა ფეხმძიმობის მონიტორინგი, ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, ფეხმძიმე ქალთა ინფორმირება.

ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით რეგიონებს შორის თბილისი და აჭარა გამოირჩევა. სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლებით - ფოთი, კახეთი, მცხეთა-თიანეთი. ზემო სვანეთში და ცხინვალში ჩვილთა გარდაცვალების შემთხვევა რეგისტრირებული არ იყო, თუმცა, სავარაუდოა, რომ ჯანდაცვის სამინისტრომდე ინფორმაცია არ მივიდა.

ორსულთა სამედიცინო განათლების, ბავშვთა სიკვდილიანობის და ავადობის შემცირების მიზნით, საქველმოქმედო ფონდი “ორთოსი” გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით თბილისში, გორსა და ხულოში 10 თვის განმავლობაში პილოტურ პროექტს განახორციელებს. იგი ითვალისწინებს ორსულთა და ჩვილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიების შემუშავებას. მეთოდოლოგიების შექმნაზე “ორთოსთან” ერთად 8 კონსულტანტი მუშაობს. ესენი არიან ცნობილი პედიატრები, გინეკოლოგები, ენდოკრინოლოგი და ორსულთა ფსიქოლოგი. მეთოდოლოგიების შექმნას 2 თვე დასჭირდება, რის შემდეგაც მოხდება ზემოთ აღნიშნული სამი ცენტრის სამედიცინო პერსონალის სწავლება-მომზადება, რათა მათ თავიანთი ცოდნა ცენტრში მისულ დედებს და ორსულებს მიაწოდონ. კაბინეტები სექტემბერში გაიხსნება. მანამდე ისინი საჭირო ტექნიკით, ბიბლიოთეკითა და ავეჯით აღიჭურვებიან. “ორთოსის” პრეზიდენტის ეკა ტაბატაძის თქმით, მათი პროექტი ჯანდაცვის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა. პილოტური პროექტის გამართლების შემთხვევაში გაეროს ბავშვთა ფონდი ამ პროექტს გააგრძელებს.

# აბრძანდით სავარძლებიდან!

"აბრძანდით სავარძლიდან!" - ეს არის ამერიკის ჯანდაცვის მინისტრის ტომი ტომპსონის მოთხოვნა. იგი შეაშფოთა უკანასკნელი კვირის სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლის თანახმად ამერიკელებში სიმსუქნისა და დიაბეტის დრამატული ზრდა აღინიშნება.

ტომი ტომპსონი ამბობს, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება ჯგუფები და საზოგადოებები, რომლებიც თავიანთი მოქმედებებით უზრუნველყოფენ ფიზიკური აქტივობის გაუმჯობესებას ბავშვებში და სტიმულს მისცემენ სამუშაო მაგიდას მიჯაჭვულ თანამშრომლებს აქტიური ფიზიკური მოქმედებებისთვის.

ამ საქმეში ამერიკელების მიბაძვა მართლაც უპრიანი იქნებოდა.

# რადიაცია და „პრაქტიკული„ ქართველები



9-25 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის 60-მა თანამშრომელმა 2 რადიაციული სადგურის ძებნაში თითქმის მთელი ენგურის ხეობა ფეხით შემოიარა. შეუმოწმებელი მხოლოდ აფხაზეთის საზღვართან მდებარე პატარა ტერიტორია დარჩათ. ფორმიანმა ძალოვანებმა ამ ადგილთან მიახლოება ვეღარ გაბედეს. გარემოს დამცველები ვარაუდობენ, რომ რადიაციული წყაროები ამ შეუმოწმებელ ადგილას უნდა იყოს. თუმცა, არც იმას გამორიცხავენ, რომ ეს წყაროები მოსახლეობის სახლებში აღმოჩნდეს. ამის გამოცდილება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უკვე აქვს.

რადიაციული სადგური პირველად 3 წლის წინათ სვანეთში, კერძოდ, სოფ. ხაიში აღმოაჩინეს. სამინისტრომ რუსი ექსპერტისგან შეიტყო, რომ საქართველოში ასეთი 8 სადგური უნდა ყოფილიყო. თუმცა, ეს ცნობა არაოფიციალურია. გარემოს დამცველთა არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლება დაზუსტებულ ინფორმაციას არ გვაწვდის. ეს რადიოსარელეო სადგურები 1984 წელს მაშინდელ კავშირგაბმულობის სამინისტროს ენგურჰესის დირექციის დაკვეთით დაუმონტაჟებია მუდმივი რადიოსარელეო კავშირისთვის. გარემოს დამცველებმა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელშეწყობით, ექვსი მათგანი უკვე იპოვეს, ოთხი, 1998-99 წლებში ხაიშიდან ამოიღეს და ორი კი – წელს წალენჯიხის რაიონიდან. მოსახლეობას ეს სადგურები გაეძარცვა, რადიაციული წყაროები უზარმაზარი კონტეინერებიდან ამოეღო და სახლში წაეღო. ხაიშელები მათ წყლის გამაცხელებლად იყენებდნენ, ერთ მათგანს კი საბნის ქვეშაც ამოედო ზამთარში გასათბობად. საბედნიეროდ, რადიაციულმა წყაროებმა სვანებს ვერაფერი დააკლო, მათი ჯანმრთელობის შემოწმებამ გაუგონარი შედეგი აჩვენა, არც ერთ მათგანს სისხლში რაიმე ცვლილებაც კი არ აღმოჩენია, რასაც წალენჯიხელებზე ვერ ვიტყვით. გასული წლის 22 დეკემბერს ამ რაიონის სოფ. ლიადან თბილისის ჰემატოლოგიის ინსტიტუტში მოათავსეს სამი მოქალაქე, რომელთაც ძლიერი რადიაციული დამწვრობა აღმოაჩნდათ. მათ რადიაცული წყაროების გამაცხელებლად გამოყენება არ დასცალდათ, სანამ ამ წყაროებს სახლში მიიტანდნენ, მანამდე დაავადდნენ და ამჟამად მოსკოვისა და საფრანგეთის საავადმყოფოებში მკურნალობენ.

ასეთი ფაქტების შემდეგ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ გამორიცხავს, რომ დარჩენილ რადიაციულ წყაროებს კვლავ მოსახლეობის ბინებში მიაგნონ. სხვათა შორის, მსგავსი შემთხვევა თბილისშიც ყოფილა. საბურთალოს რაიონში მცხოვრები ერთი მოქალაქე რადიაციულ წყაროს ჰანტელად იყენებდა. ამიტომ გარემოს დამცველები მოსახლეობას სთხოვენ, თუკი რაიმე ნივთზე რადიაციის ნიშანს შენიშნავთ, არადანიშნულებისამებრ ნუ გამოიყენებთ და სასწრაფოდ ჩვენ მოგვმართეთო.

# ოჯახის ექიმები დადებულ პირობას ვერ შეასრულებენ

30 აპრილს საზეიმოდ გახსნილი ოჯახის ექიმების განყოფილებები სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან. ბრიტანეთის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 1.300.300 ფუნტი სტერლინგის ფარგლებში მომზადებული 55 ოჯახის ექიმი და 8 ზოგადი პრაქტიკის ექთანი, გარემონტებულ და საჭირო აღჭურვილობით შეიარაღებულ თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში, მოზრდილთა ყოფილ №9, №17 და №28, №9 ბავშვთა პოლიკლინიკებში ჯერ ისევ უფუნქციოდ სხედან. მიზეზი ის პირობაა, რომელსაც საქართველოს მხარე, ოფიციალურად გაფორმებული მემორანდუმის მიუხედავად, ვერ ასრულებს. რა თქმა უნდა, საუბარი ისევ ფინანსებზეა.

ოჯახის ექიმების სახელფასო ფონდისთვის თბილისის მერიას 200 ათასი დოლარი უნდა გამოეყო. აპრილის ბოლოს ქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე ნიკა აბსანძე ქალაქის ოჯახის ექიმებს დასაწყისისთვის 100-120-ლარიან ხელფასს ჰპირდებოდა, თუმცა ეჭვი, რომ ეს მხოლოდ საზეიმო განწყობისთვის შესაფერი დაპირება იყო, მაშინვე ჩნდებოდა. **“დაფინანსების საკითხი მერიის დღის წესრიგში დგას. იგი ჩვენს პროგრამაშია შეტანილი. თავიდან ოჯახის ექიმს 100-120, შემდგომ კი - 200-300 ლარი ხელფასი ექნება. ბუნებრივია, ამ პროცესს თავისი ეტაპების გავლა სჭირდება, შემდგომ კი ყველაფერი თავად დაწესებულების შემოსავალზე იქნება დამოკიდებული,”** - აცხადებდა აბსანძე.

ეჭვს თავად ექიმებიც გამოთქვამდნენ. ოჯახის ექიმი ციცინო თოფურია: **“თუ ყველაფერი ისე განხორციელდა, როგორი ჩანაფიქრიც იყო, ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით და პაციენტებიც, მაგრამ, ჯერჯერობით გარკვეული არ არის დაფინანსების საკითხი. ადრე ამბობდნენ, თქვენი მომსახურება პაციენტებისთვის უფასო იქნებაო, ახლა კი საუბარი თანაგადახდაზეა. რა იქნება, არ ვიცით, თუმცა, ძველებურად 40 ლარზე ორმაგი სამუშაოს შესრულება, ნამდვილად ძნელი იქნება.”**

შეიძლება ითქვას, რომ მათ სწორედ 40 ლარზე მოუწევთ მუშაობა, სულ მცირე - სექტემბრამდე. ქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში ოჯახის ექიმების ხელფასების დაფინანსების თაობაზე ძველებურად გაურკვეველ განმარტებებს იძლევიან. **“ქალაქის ბიუჯეტში ამ პროგრამის თანხები, რა თქმა უნდა, არის გათვალისწინებული. გამოყოფილია 300 ათასი ლარი. აქედან 200 ათასი კიდევ ორი ცენტრის რემონტსა და აღჭურვას უნდა მოხმარდეს,”** - აცხადებს სამსახურის პროგრამების სამმართველოს უფროსი ნინო ჩიქოვანი.

მისი ინფორმაციით, 100-120-ლარიან ხელფასებზე საუბარი მხოლოდ სექტემბრიდან შეიძლება, როცა ოჯახის ექიმის განყოფილებები ზემდგომთა წინაშე თავს კონტინგენტის სიმრავლითა და ჩატარებული სამუშაოთი მოიწონებენ. ამ შემთხვევაში, მუნიციპალური სამსახური მათთან ხელშეკრულებას გააფორმებს და ანაზღაურებასაც ახალი წესით დაუნიშნავს. იქამდე “ახალი ექიმების” დაფინანსება ძველებურად მოხდება.

ამ ფონზე ძალას კარგავს მოსახლეობისთვის 30 აპრილს მიცემული ყველა პირობა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ქალაქის სამსახურის მაღალჩინოსნები ხალხს გაუმჯობესებულ სამედიცინო დახმარებას მაშინ მეორე დღიდანვე პირდებოდნენ. პირდებოდნენ იმასაც, რომ მოსახლეობას “ახალი ექიმების” მომსახურებაში თანხის გადახდა არ დასჭირდებოდა. ყველაფერმა ამან, წინასაარჩევნო დაპირებებისა არ იყოს, ჩაილურის წყალი დალია. საქართველოს მოქალაქეს ისევ ისე მოუწევს, ჯიბეზე გაიკრას ხელი, თუკი საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნება უნდა.

# ნევროლოგიურში შესახლებულ დაზარალებულებს თავზე აწვიმთ

ნევროლოგიის ინსტიტუტში მიწისძვრის შედეგად უბინაოდ დარჩენილი უკვე 158 ოჯახი შეასახლეს. თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მათი შენობაში შესვლის მომხრე იყო. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ნევროლოგიური ინსტიტუტის ორთაჭალაში მდებარე თვალის კლინიკასთან შეერთება კარგა ხანია, გადაწყვიტა. ოპტომოზაციის პროცესის დაწყება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ იყო დაგეგმილი, მაგრამ თვალის კლინიკის შენობის გასარემონტებლად მერიამ თანხა დღენდე ვერ გამოყო. მუნიციპალიტეტი ამის მიზეზად უფულობას ასახელებს. ნევროლოგიურ ინსტიტუტს კი უკვე პრობლემები ექმნება. **“ასე თუ დიდხანს გაგრძელდა, მუშაობა ძალიან გაგვიჭირდება. საავადმყოფო საცხოვრებელ სახლად იქცა. ჩვენს გადასვლას საშველი აღარ დაადგა. მერიაში ვერ გვეუბნებიან, თვალის კლინიკის შენობის გასარემონტებლად თანხას როდის გამოყოფენ. ჩვენი ინსტიტუტის შენობაც გასარემონტებელია. მოსახლეობა რომ შემოიყვანეს, მუშებმა შენობას სახურავი გადახადეს, ხელახლა უნდა გადაეხურათ, მაგრამ თავი აღარავის შეუწუხებია და შენობაში წყალი ჩამოდის,”** – ჩივის ინსტიტუტის მთავარი ექიმი. ქალაქის ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ ინსტიტუტში შესახლებულებს თავშესაფარი მაინც აქვთ, მერიამ, უპირველესად, კარვებში მცხოვრებლებზე უნდა იზრუნოს.

# საბჭოური მაცივრები დედამიწას საფრთხეს უქმნის

ოზონის შრეზე დაკვირვება მეცნიერებმა 1970 წლიდან დაიწყეს და დროთა განმავლობაში აღმოაჩინეს, რომ ოზონის რაოდენობა ნელ-ნელა საგრძნობლად მცირდება. მაგალითად, ანტარქტიდის ზოგიერთი რაიონის ზემოთ სექტემბერ-ოქტომბერში მისი საერთო შემცველობა 60 პროცენტით იკლებს, ორივე ნახევარსფეროს საშუალო განედებში კი 4-5 პროცენტით არის შემცირებული.

შეგახსენებთ, რომ ოზონის შრე დედამიწაზე კოსმოსიდან მომავალ სიცოცხლისათვის მავნე ულტრაიისფერ გამოსხივებას შთანთქავს, შთანთქმის პროცესში გამოყოფილი სითბო კი ატმოსფეროს ტემპერატურულ პროფილს განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ოზონის მოცულობის შემცირება დედამიწის კლიმატისა და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ძალზე საშიშია. ოზონის შრის 10 პროცენტით დაშლა დედამიწისპირა ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსივობას 20 პროცენტით ზრდის. ჭარბი ულტრაიისფერი გამოსხივება კანის კიბოსა და თვალის დაავადებებს იწვევს.

1973 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ქლორფტორნახშირწყალბადსა და მეთილბრომს ოზონის შრის დაშლის უნარი აქვს. ამასთან, ატმოსფეროში დღეს გაფრქვეულმა ამ ნივთიერებებმა ოზონის შრეზე შეიძლება, 100 წლის შემდეგაც იმოქმედოს. მოსახლეობა, ვისაც სახლში ჯერ კიდევ საბჭოური წარმოების მაცივარი უდგას, ვერც კი წარმოიდგენს, რომ ეს ძველი მაცივარი ოზონის შრის პირველი მტერია, რადგან მასში ქლორფტორნახშირბადი გამოიყენება და განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ ნივთიერების ატმოსფეროში გაფრქვეული მოლეკულები ოზონის მოცულობას ამცირებს. ქფნ-ს ერთ მოლეკულას ოზონის 10 000-მდე მოლეკულის დაშლა შეუძლია. საქართველოში კი ასეთი “მავნე” მაცივრებით ჯერ კიდევ ბევრი ოჯახი სარგებლობს. რაც შეეხება მეთილბრომს, მებაღეობიაში ნიადაგის ფუმიგაციისა და მალფუჭებადი პროდუქტის დასამუშავებლად, მასაც აქტიურად იყენებენ. ასე რომ, ოზონის მოცულობის შემცირებაში საქართველოსაც გარკვეული წილი მიუძღვის.



1970-იანი წლების აღმოჩენების შემდეგ მეცნიერები ძალზე შეშფოთდნენ და 1985 წელს ვენაში ოზონის შრის დაცვის შესახებ კონვენცია შექმნეს. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებმა გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწიეს. ამერიკული და ევროპული წარმოების მაცივრებს ამშვენებს წარწერა – “ოზონისადმი კეთილგანწყობილი”. ეს კი იმასნიშნავს, რომ ამ მაცივრებში ქლორფტორნახშირწყალბადი აღარ გამოიყენება. ამერიკასა და ევროპაში მეთილბრონის ხმარებაც მნიშვნელოვნად შემცირდა. საქართველო ზემოთ აღნიშნულ კონვენციას 1996 წელს შეუერთდა. ჩვენ, როგორც განვითარებად ქვეყანას, ოზონდამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღების ბოლო ვადად 2010 წელი განგვისაზღვრეს. გარემოს დამცველები იმედოვნებენ, რომ ვენის კონვენციის მოთხოვნას დროულად შეასრულებენ. სამინისტრო 8 დიდი ქართულ საწარმოსთვის მაცივარდანადგარების ქფნ-ს ალტერნატიულ ნივთიერებებზე გადაყვანას უფასოდ უზრუნველყოფს, 29-ს კი ასწავლის, ეს როგორ გააკეთონ. მოსახლეობის კუთვნილი საბჭოური წარმოების მაცივრები კი 10 წლის შემდეგ ისედაც აღარ ივარგებს. როგორც გარემოს დამცველები ვარაუდობენ, არც მეთილბრომის ხმარებიდან ამოღება იქნება ძნელი. ამ ნივთიერების წარმოება მთელს მსოფლიოში მაქსიმალურად შეიზღუდება და ჩვენს იმპორტიორებს მეთილბრომის საქართველოში შემოტანა ძვირი დაუჯდებათ. ამიტომ ისინი მეთილბრომის ალტერნატიული ნივთიერებების შემოტანას არჩევენ.

# „მსოფლიოში ჯანმრთელი ბავშვები აღარ იბადებიან!„

## ამბობს თსსუ-ს პედიატრიული კლინიკის ხელმძღვანელი რამაზ კუტუბიძე

ზუსტად ერთი კვირის წინათ ბავშვთა მეორე საავადმყოფოში 4 წლის რობერტ ზაკუტოვი გარდაიცვალა. ექიმებმა მისი სიცოცხლის გადასარჩენად თითქმის ერთი თვე იბრძოლეს. პატარა პაციენტი თავის დროზე მარტოხელა დედამ ფიზიკური დეფექტების გამო მიატოვა. მას მგლის ხახა და კურდღლის ტუჩი ჰქონდა. ზაკუტოვი საავადმყოფოში წყნეთის ბავშვთა სახლიდან გადაიყვანეს. მან იქ ექვსი თვე დაჰყო. პატარას სიცოცხლისუნარიანობამ ბევრი ექიმის გაოცება გამოიწვია.

წყნეთის ბავშვთა სახლის დირექტორის მანანა წილოსანის თქმით, ზაკუტოვის გარდაცვალებამდე ასეთივე ტრაგედია 1992 წელს დაფიქსირდა. მაშინ ბავშვის დაღუპვის მიზეზი გულის მანკი იყო. **"გვყავდნენ უხელო, კიდურებზე შვიდი თითის მქონე, ეპილეფსიანი ბავშვები. ჩვენთან ასეთი კატეგორია, ძირითადად, ჩვილ ბავშვთა სახლიდან ხვდება. უმეტესობას დიაგნოზად გონებრივი ჩამორჩენილობაც აქვს დასმული"**, - ამბობს წილოსანი. ამიტომ, როცა მგლის ხახისა და კურდღლის ტუჩის მქონე ზაკუტოვი ბავშვთა სახლში მოხვდა, არავის გაჰკვირვებია. თუმცა პატარა ძალიან ნერვიული იყო, იკბინებოდა, თავს კედელს ურტყამდა, საერთოდ ვერ მეტყველებდა. გასულ კვირას, შუადღისას დაიძინა და გაღვიძებისთანავე კრუნჩხვაში ჩავარდა. იგი სასწრაფოდ თბილისში გადმოიყვანეს.

ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან: ზაკუტოვი ჩვილ ბავშვთა სახლში ნევროლოგიურ ჯგუფში იყო. მას თანდაყოლილი განვითარების მანკი ჰქონდა. ბიჭუნა ჰიდროცეფალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ანუ მას თავის ქალის სითხეში მცურავი ტვინი ჰქონდა. ექიმების თქმით, პრაქტიკულად, ეს დაავადება უკურნებელია. ასეთ არაბუნებრივ მდგომარეობაში არსებული ტვინი ნელ-ნელა იფიტება, პაციენტი გონებრივად ჩამორჩება თანატოლებს და მცირე ხანში იღუპება. **"ქირურგიულ ჩარევას გარკვეული შედეგი აქვს. ავადმყოფს თავის ტვინში დრენაჟს უკეთებენ და სითხისაგან ათავისუფლებენ. ოპერაცია მხოლოდ ახანგრძლივებს სიცოცხლეს, მაგრამ პაციენტი ინვალიდდება. თუმცა დროთა განმავლობაში მოგრძო ტვინი, სადაც ჩვენი სასიცოცხლო ჭიშკრებია - გულისა და სუნთქვის ცენტრი - მაინც კვდება"**, - გვითხრა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორმა, ქირურგმა რამაზ რუხაძემ.

ბავშვთა სახლის აღმზრდელების განცხადებით, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, რობერტ ზაკუტოვი წყნეთის სხვა ბავშვებისაგან თითქმის არ გამოირჩეოდა, თუმცა საავადმყოფოში იგი უკვე უმძიმეს კლინიკურ მდგომარეობაში მიიყვანეს. **"ჩვენთვის უცნობია, კრუნჩხვებამდე რამდენი ხანი იყო ბავშვის ტვინი უჟანგბადოდ, რადგან პაციენტი უკვე გართულებული მდგომარეობით შემოვიდა"**, - ამბობს რეანიმაციის ქირურგი რამაზ კუტუბიძე. ლაბორატორიული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვის მოგრძო ტვინი მუშაობდა და ზაკუტოვს მხოლოდ ე.წ. რეფლექსური არსებობა შეეძლო. საინტერესო კი ის იყო, რომ ხელოვნური სუნთქვის შეწყვეტის შემდეგაც ბავშვი საკუთარ სუნთქვაზე გადავიდა და სიცოცხლეს კიდევ სამი დღე ებღაუჭებოდა.

დაიმედებულმა ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს უდედმამო ბავშვის გადასარჩენად, მაგრამ უშედეგოდ. სიკვდილის მიზეზი ურთულესი პათოლოგიების ჯამი გახდა: ვირუსული ენცეფალიტი ჰიდროცეფალიის ფონზე.

4 წლის რობერტ ზაკუტოვის მკურნალობა 5 ათასი ლარი დაჯდა. გამოყენებული იყო ზესტანდარტული პრეპარატები, ბიოპლაზმა, ძვირადღირებული ანტიბიოტიკები. **"საქმე ისაა, რომ მსოფლიოში ჯანმრთელი ბავშვები აღარ იბადებიან, მით უმეტეს საქართველოში, სადაც ამისათვის ყველა სოციალურ-ეკონომიკური პირობა არსებობს. სამედიცინო პრობლემა აქ მეორეხარისხოვანია. ამ პრობლემის ფესვები გენეტიკიდან, ოჯახიდან, ბავშვის ჩასახვის მომენტიდან იწყება"**, - ამბობს ბატონი რამაზი.

რობერტ ზაკუტოვის სიკვდილი ის შემთხვევაა, როცა მედიცინა მიშვებული დაავადების წინაშე უძლური აღმოჩნდა. მედიცინა ადამიანის ფარი შესაძლოა, მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე იყოს. რაც შეეხება საერთო პრობლემებს - კვებას, ეკოლოგიას, ნორმალური ოჯახური პირობების შექმნასა და ოჯახის დაგეგმარების პროპაგანდირებას, ეს არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალი უნდა იყოს, არამედ მის ინტერესში უნდა შედიოდეს.

# აუზში გრძელი თმით ბანაობა არ შეიძლება

დედაქალაქელები ზაფხულის ცხელ დღეებში დასვენების კომპენსირებას აუზებში ბანაობით ცდილობენ. თუმცა შესაძლებელია, ასეთი სახალისო გართობა სავალალო შედეგებით დასრულდეს იმ შემთხვევაში, თუ ჰიგიენის ელემენტარული წესები დაუცველი იქნება, როგორც კონკრეტული პიროვნების, ისე აუზის ადმინისტრაციის მხრიდან.

თბილისის ყველაზე პოპულარული აუზი "ლაგუნა ვერეს" მთავარი ექიმის ლია ბექაურის თქმით, ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს დამსვენებლები ინფექციის საშიშროებისაგან დაიცვას. განსაკუთრებული ყურადღება საბავშვო აუზებს ექცევა. **"12-13 წლის მოზარდებს პოლიკლინიკიდან ჯანმრთელობის შესახებ ცნობას ვთხოვთ, მოზრდილებს კი ტესტურ გამოკითხვას ვუტარებთ. ჩვენთან ბევრი ჯანმრთელობის რეაბილიტაციის მიზნითაც მოდის. ასეთ ადამიანებს ვუმოწმებთ კანს, ვიღებთ ანალიზებს. ასაკოვან დამსვენებლებს ვუკონტროლებთ არტერიულ წნევას, პულსს, სასუნთქ გზებს. თუ ადამიანს ქლორზე ალერგია აღმოაჩნდა, ალერგოლოგთან ვაგზავნით"**, - ამბობს ბექაური.

ალბათ ბევრს აინტერესებს, შეიძლება თუ არა ადამიანი აუზის წყლით A ჰეპატიტით დაავადდეს. ალბათობა მცირეა, თუმცა, ახლახან აშშ-ში დარეგისტრირდა კუჭ-ნაწლავის ინფექცია, რომელიც აუზიდან გავრცელდა. კვლევებმა აჩვენეს, რომ ქლორირებული წყალი ბაქტერიებს სპობს, მაგრამ ადამიანს მიკროორგანიზმებისაგან ვერ იცავს. ბექაურის თქმით, წელს მათთან ინფექციური დაავადებების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. **"საშხაპეების, გასახდელებისა და ბავშვთა ბლოკების დეზინფექცია-სტერილიზაცია ყოველდღიურად კეთდება. წყალი მუდმივად ცირკულირდება, იფილტრება და ქლორირდება"**, - აცხადებს ბექაური.

ასთმიან ადამიანებს ექიმებს ღია აუზებზე სიარულს ურჩევენ, ანუ იქ, სადაც სავენტილაციო სისტემა კარგად არის მოწესრიგებული. ბევრი "ასთმატიკი" ვერ იტანს ქლორამინს, თუმცა ინფექციების გავრცელების მხრივ წყალზე მეტად გარემო არის საშიში – საშხაპეები, გასახდელები, რეზინის ხალიჩები, სკამები. ამიტომ, უპირველესად, აუცილებელია ადამიანს აუზის ტერიტორიაზე ყოფნის დროს ფეხსაცმელები ეცვას. სასურველია იგი მაღალძირიანი იყოს. აუზიდან დაბრუნების მერე, ადამიანმა მისი დეზინფექცირება უნდა მოახდინოს – 25 პროცენტიანი ფორმალინის ხსნარით ან ძმრის მჟავით.

**"რეზინის ქუდების პრობლემა ვერ მოვაგვარეთ. ხალხს არ ესმის, რომ გრძელი თმით აუზში ბანაობა აკრძალულია"**, - გვითხრა ბექაურმა. არადა, სოკოვანი დაავადებები იოლად გადადის. აუცილებელია ადამიანს მოწესრიგებული ჰქონდეს ფრჩხილები. ამიტომ აუზში სტუმრობამდე, სასურველია წავისვათ სოკოს საწინააღმდეგო კრემი (ნებისმიერი საშუალება, რომელიც კლოტრიმაზოლს შეიცავს).

სკამზე აუცილებლად გადააფარეთ პირსახოცი. ამავე პირსახოცის თავზე შემოხვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სახლში მოსვლისას იგი გარეცხეთ ან გააუთოვეთ. გახსოვდეთ, რომ ადამიანთა 70 პროცენტს სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადებები აქვს და ბევრმა ამის შესახებ არც იცის.

# რისი ღეჭვით ვიქცევთ და ვიტყუებთ თავს

მომხმარებელთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ საღეჭ რეზინს პიკანტურ გემოს ანიჭებს ხილის, კენკრის ან პიტნის ორმაგი პორცია. იმისათვის, რომ გავერკვიოთ, რეალურად რას წარმოადგენს მოდური "ჟვაჩკის", ვთქვათ, "კენკროვანი" გემო, მიკროსკოპში ჩავიხედოთ.

გვერწმუნეთ, კენკრას ვერც მიკროსკოპში დაინახავთ. ინგრედიენტების ჩამონათვალში კენკრას მეექვსე ადგილი უკავია. სიით მას C ვიტამინი (300) უსწრებს. საინტერესოა, რომ მისი კონცენტრაცია 2 პროცენტს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საღეჭი რეზინის 14-გრამიანი კოლოფი 28 მილიგრამ C ვიტამინს შეიცავს. რამდენადაც ნატურალური კენკრა მხოლოდ ვიტამინის შემდეგ მოიხსენიება, მისი დოზა არაფრით განსხვავდება 28 მილიგრამისაგან, უფრო კონკრეტულად - ერთ საღეჭ "ბალიშში" დაახლოებით 2,3 მილიგრამი კენკრაა. განსაჯეთ, შეუძლია თუ არა ასეთმა, მართლაც მიკროსკოპულმა დოზამ, რეკლამის სიტყვებით რომ ვთქვათ, "უსასრულო სიამოვნება" მოგვანიჭოს?

სინამდვილეში, რატომ აქვს საღეჭ რეზინას კენკრის ან ხილის გემო. მიაქციეთ ყურადღება კომპონენტებს, რომლებსაც სუნისა და გემოს გამაძლიერებლები ჰქვია. კვების პროდუქტების ტექნოლოგიაში მათ გემოს მიმცემ ტიპურ კომპონენტებს უწოდებენ. სწორედ ისინი აძლევენ საღეჭ რეზინს ნატურალურ გემოს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ყველა არომატიზატორს ქიმიურ ლაბორატორიაში ამუშავებენ და თუ ისინი ნატურალური მცენარის გემოს კარგავენ, მათ იდენტურ-ნატურალურს უწოდებენ. ასეთ კომპონენტებს შეიცავს ჩვენი პირის



*კიდევ ერთი ნაკლი – ტუჩებზე გვეწებება* ბესო გულაშვილის ფოტო

ღრუს "ჰანტელებიც".

ნუ მიეძალებით ფერად საღეჭ რეზინებს. საღეჭი რეზინის ნატურალური საღებავი ყოველთვის ფერმკრთალია. იმისათვის, რომ რაიმე ფერი ჰქონდეს რეზინს, ქიმიურ ან ნატურალურ-იდენტურ საღებავს (171) უმატებენ. სხვათა შორის, ამ ნივთიერებას დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ კოსმეტიკურ საშუალებებში და სამშენებლო მასალაში გამოიყენებდნენ.

საღეჭი რეზინის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ შაქრის შემადგენლობას. პირის ღრუში მჟავური ბალანსის ნორმალიზაციას მხოლოდ უშაქრო რეზინი უწყობს ხელს. შაქრის შემცვლელის როლს კი ქსილიტი, სორბიტი, ასპარტამი ასრულებს. აშშ-ში სახარინის შემცველ ყველა პროდუქტს მითითებული აქვს, რომ სახარინი ცხოველებშიც კი ავთვისებიან სიმსივნეს ავითარებს. ახლა გაიხსენეთ რეკლამა, რომელიც 24 საათის განმავლობაში "კევის" ღეჭვას ქადაგებს.

არც ნამდვილ შაქარს მოაქვს სარგებელი. სტომატოლოგებმა კარგა ხანია დაამტკიცეს, რომ შაქარი კარიესს იწვევს. საღეჭი რეზინი კი ის პროდუქტია, რომელიც შეიძლება საათობით მოვიხმაროთ. რუსეთში ჩატარებული ბოლო კვლევებით დადასტურდა, რომ სახარინის ხანგრძლივი მოხმარება ფაღარათს იწვევს. იგი ორგანიზმში ჰორმონალურ ბალანსს არღვევს. განსაკუთრებით იგი ბავშვებისა და ორსულებისთვის არის საშიში.

# პოლიომიელიტის სერტიფიკატი ევროპას



ევროპის რეგიონი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პოლიომელიტისაგან თავისუფალ ზონად გამოაცხადა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს პოლიომიელიტის აღმოფხვრისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც კოპენჰაგენში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ბიუროში ჩატარდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ევროპისათვის სერტიფიკატის მინიჭება ახალი ათასწლეულისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

**"აღნიშნული მიღწევა პოლიომიელიტის აღმოსაფხვრელად მიმართული გლობალური ძალისხმევის შედეგია. ამის მისაღწევად საჭირო გახდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი 51 ქვეყნის ერთსულოვნება და თანამშრომლობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკების დაულალავი შრომა და საერთაშორისო პარტნიორების მყარი მხარდაჭერა"**, - განაცხადა კონფერენციაზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის დირექტორმა მარკ დანზონმა.

ევროპის რეგიონი უკვე სამი წელია თავისუფალია ადგილობრივი პოლიომიელიტისაგან. ევროპაში ადგილობრივი ველური ვირუსის უკანასკნელი შემთხვევა 1998 წელს აღმოსავლეთ თურქეთში დაფიქსირდა. 2 წლის არავაქცინირებულ ბავშვს ამ ვირუსით დამბლა დაემართა. პოლიომიელიტის ენდემური ქვეყნებიდან იმპორტირებული ვირუსი რეგიონისათვის კვლავ სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. 2001 წელს ბულგარეთში პოლიოს სამი შემთხვევა აღინიშნა. ამავე წელს არაპარალიზებული ფორმის ერთი შემთხვევა ჩვენთანაც დაფიქსირდა. ყველა ისინი ინდოეთიდან შემოტანილმა ვირუსმა გამოიწვია. 10 წლის წინ ნიდერლანდებში ვირუსის შეტანამ ერთ თემში, რომლის წევრებიც აცრებს არ იტარებენ, 71 ადამიანის პარალიზება და 2-ის გარდაცვალება გამოიწვია.

ამდენად, პოლიომიელიტის წინააღმდეგ ბრძოლა სერტიფიკატის მიღებით არ დამთავრდება. ევროპის ყველა ქვეყანაში ვაქცინაციის პროცესი კვლავ გრძელდება, ხოლო ეპიდზედამხედველობის მაღალი დონე შენარჩუნდება. მსოფლიოში ამ დაავადების აღმოფხვრამდე ევროპაში პოლიომიელიტის იმპორტირების რისკი იქნება.

ევროპის პოლიომიელიტისაგან თავისუფალ ზონად გამოცხადებისათვის მუშაობა 1998 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის მიმართვით დაიწყო, რისთვისაც თანამშრომლობა დაიწყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, Rotary International-სა, დაავადების კონტროლისა და პროფილაქტიკის ამერიკის ცენტრსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის. ევროპაში წარმატება მიღწეულ იქნა კარგად ორგანიზებული იმუნიზაციის კამპანიების ჩატარების შედეგად, რომლებიც MEGACARIS-ის სახელწოდებითაა ცნობილი. მასში საქართველოც მონაწილეობდა. აღნიშნული კამპანია 18 პოლიო-ენდემიურ ქვეყანას მოიცავდა. 1995-98 წწ-ში პოლიოვაცვინის დამატებითი დოზა 5 წლამდე ასაკის 60 მლნ-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო. , მაღალი რისკის ქვეყნებში 1997 წლიდან დამატებით მეგაკარის ფარგლებში განხორციელდა მობილური ბრიგადების მიერ კარდაკარ შემოვლებით ვაქცინცია. ამავე ქვეყნებში დამხმარე ვაქცინაცია მიმდინარე წელსაც გრძელდებოდა.

ევროპამდე პოლიომიელიტისაგან თავისუფალ რეგიონებად 1994 წელს ამერიკის კონტინენტი და 2000 წელს წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ აუზის ქვეყნები გამოცხადდა. იმისათვის, რომ პოლიომიელიტის ლიკვიდაცია მოხდეს მსოფლიო მასშტაბით, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ევროპელი ბავშვების რისკს, საჭიროა დამატებით 275 მლნ დოლარის გამონახვა 2005 წლამდე დაგეგმილი ღონისძიე-

# უფულო ავადმყოფებმა „ბერძნულ" პოლიკლინიკას მიაკითხეთ

ნინოშვილის ქუჩაზე 26 ნომერში მდებარე ბერძნული სამედიცინო ჰუმანიტარული ფონდის "ჰიპოკრატეს" მთავარი პოლიკლინიკა ქალაქის სოციალურად დაუცველი და საშუალო ფენებისათვის უკვე კარგა ხანია, ცნობილია და მას მოკლედ ბერძნულ პოლიკლინიკას ეძახიან. რეალურად უფასო სამედიცინო მომსახურება აქ 16 კატეგორიას უტარდება. სხვა პირებისათვის კი უფასო მხოლოდ კონსულტაციაა, თუმცა, არც სამედიცინო მომსახურებაა ძვირი. პოლიკლინიკა საქართველოში "საზღვარგარეთ ბერძენთა კავშირის" მეშვეობით არსებობს და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, საბერძნეთის მთავრობა და კერძო პირები აფინანსებენ.

**"პოლიკლინიკის მომსახურებით 26 ათასზე მეტი ადამიანი სარგებლობს. მათგან დაახლოებით 600 ლტოლვილია, 300 - საპატრიარქოს - წარმომადგენელი, 3000 - ომში მონაწილე და ინვალიდი. აქ დღის განმავლობაში 250-400 ექიმთან ვიზიტი სრულდება, თვეში - 12-16 ათასამდე,"** – გვითხრეს პოლიკლინიკაში. აქ უფასო მომსახურებას უწევენ ნებისმიერი ეროვნების სოციალურად დაუცველ ადამიანს, მარტოხელა პენსიონერებს, მარჩენალის გარეშე დარჩენილ ოჯახებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც შეუძლიათ პოლიკლინიკაში მისვლა, მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ სამზე მეტი 14 წლამდე ასაკის ბავშვები, ორსულ ქალებს, მარტოხელა დედებს, 14 წლამდე ბავშვებს, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებსა და ვეტერანებს, დიაბეტით დაავადებულებს, ობოლ ბავშვებს, კატასტროფების მსხვერპლთ, 16 წლამდე ინვალიდ ბავშვებს, დიალიზზე მყოფ პირებს. ხოლო ტუბერკულოზით, კიბოთი დაავადებულ პირებისათვის მხოლოდ გამოკვლევაა უფასო, დევნილებისათვის –კონსულტაცია. სოციალურად დაუცველმა პირებმა პოლიკლინიკაში უფასო სამედიცინო დახმარების მისაღებად შესაბამისი დოკუმენტაცია ან საკუთარი მკურნალი ექიმის მიმართვა უნდა წარადგინონ. დანარჩენებისთვის კი სამედიცინო მომსახურების ფასები სხვა სამედიცინო დაწესებულებებთან შედარებით, 2-3 ჯერ ნაკლებია. მაგ. 4 ლარად შეგიძლიათ ამოიღოთ კბილი, 2-2 ლარად გაიკეთოთ სისხლის და შარდის ანალიზი, 5-5 ლარად - ეხოსკოპია და რენტგენი, ელექტროკარდიოგრამა - 3 ლარად. თანაც, ექიმთან მისულ პაციენტს თანხის არაოფიციალურად დამატება აღარ სჭირდება. ეს პაციენტებმაც დაგვიდასტურეს.

# დაემალეთ შუადღის მზეს

## ულტრაიისფერი სხივების სიჭარბე კანის სიმსივნეს იწვევს

*ბოლო წლებში, მდიდარ ქვეყნებში სამჯერ გაიზარდა კანის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი. იტალიაში მელანომის დიაგნოზს ყოველწლიურად შვიდი ათასით მეტ ადამიანს უსვამენ. მეცნიერები აცხადებენ, რომ კანის კიბოს განვითარების ძირითადი რისკ-ფაქტორი მზეზე ხანგძრლივი ყოფნაა. მათი დასკვნით, მზით მრავალჯერადი დამწვრობა, როგორც ბავშვურ, ისე მოზრდილ ასაკში, ორჯერ ზრდის კანის კიბოთი დაავადების რისკს. ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრის ექსპერტების მონაცემებით, კიბოს განვითარების ალბათობა იმატებს, თუკი ადამიანი ბავშვობაში მზის დამწვრობას ხშირად იღებდა.*



*საღამოს მზეს არაუშავს*

ამის გათვალისწინებით, ზაფხულის დადგომასთან ერთად, ამერიკის სასწავლო დაწესებულებისთვის სპეციალური დებულება შემუშავდა. ცენტრის ექსპერტები სკოლებს ავალებენ, შეცვალონ შინაგანაწესი, რათა დღის საათებში, როცა მზე განსაკუთრებით მწველია, ბავშვები გარეთ არ იყვნენ. ექსპერტები ასევე ურჩევენ სკოლების ხელმძღვანელებს, არ აუკრძალონ ბავშვებს მეცადინეობისას ქუდებისა და თავსაფრების ტარება. მათი აზრით, ეს შეამცირებს სიმსივნის განვითარების რისკს ყველაზე საშიშ ადგილებში - თავისა და კისრის კანზე. გარდა ამისა, დაავადებათა კონტროლის ცენტრი ეზოებში საჩრდილობლებისა და ხეების რაოდენობის გაზრდისკენ მოუწოდებს.

რამდენიმე რეკომენდაცია საკუთრივ ბავშვებისთვისაც არის შემუშავებული. ექსპერტები მათ გრძელსახელოებიანი პერანგების, გრძელი შარვლების ტარებას, მზისგან დამცავი კრემების გამოყენებას და დღის საათებში მზეზე ყოფნისგან თავის შეკავებას ურჩევენ. მათი მითითებით, განსაკუთრებული სიფრთხილე ღია ფერის კანის მქონე ბავშვებმა უნდა გამოიჩინონ. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ექსპერტები მშობლებს სთხოვენ, შვილების კანზე ნებისმიერი ცვლილების დაფიქსირებისას, ხალის ზომაში, ფორმასა თუ ფერში განსხვავების აღმოჩენისას ექიმს მიმართონ. მათი განცხადებით, ყველაფერი ეს კანის კიბოს განვითარების ნიშანი შეიძლება იყოს. დაავადებათა კონტროლის ცენტრი ამერიკელ ბავშვებს მზისგან თავის დაცვას ღრუბლიან ამინდშიც ურჩევს, რადგან ულტრაიისფერ სხივებს ღრუბელი ვერ აკავებს.

ასეთი კატეგორიულობით არ გამოირჩევა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, თუმცა მზისგან თავის დაცვას მოსახლეობას იქაც ურჩევენ. **"მსგავსი გაფრთხილება იმას შეიძლება მივცეთ, ვისაც განსაკუთრებით უყვარს მზეზე გარუჯვა. დაავადების რისკი მათთვის, რა თქმა უნდა დიდია. ულტრაიისფერი სხივები კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, მის გარეშე კანი D ვიტამინს ვერ გამოიმუშავებს, მაგრამ ჭარბი რაოდენობით დასხივების შემთხვევაში, იგი შეიძლება უჯრედების გენეტიკური აპარატის დაზიანების საფუძველი გახდეს და კანის ონკოლოგიური დაავადებები წარმოშვას,"** - აცხადებს ქართული ცენტრის დირექტორი პაატა იმნაძე.

მისი განმარტებით, ულტრაიისფერი სხივებისადმი კანის მგრძნობელობას თირკმელზედა ჯირკვლების, ღვიძლის მდგომარეობა, ჰიპერტონული დაავადებები და თვალის ფერიც კი განაპირობებს. რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან ის ადამიანებიც, რომელთაც კანზე მრავლობითი პიგმენტური ლაქები და ხალები აქვთ. სინათლისადმი კანის მგრძნობელობის გაზრდა შეუძლია ზოგიერთ მედიკამენტს, კოსმეტიკურ საშუალებას, სუნამოსა და ოდეკოლონს. **"კანის დაავადება, შეიძლება, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებებით დაიწყოს. მაგალითად, სახის, ცხვირის შეწითლებით, გამონაყარით ქვედა ტუჩზე. უყურადღებოდ არც ასეთი სიმპტომების დატოვება შეიძლება. მზის აქტივობა საათზეც არის დამოკიდებული. დილის და საღამოს მზე კარგია, შუადღისა - სახიფათო. ამ დროს გარუჯვას უნდა მოვერიდოთ,"** - გვირჩევს პაატა იმნაძე.

მისი რჩევა მათზეც ვრცელდება, ვისაც კანის ფერის შეცვლა ზღვის გარეშეც უყვარს. საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი აცხადებს, რომ ზომიერება სოლარიუმების სტუმრებმაც უნდა დაიცვან. ხელოვნური გარუჯვის მსურველებმა უნდა იცოდნენ, რომ უმჯობესია, სეანსების სიხშირე, რაოდენობა და ხანგრძლივობა ექიმთან შეათანხმონ.

# სამედიცინო დაზღვევა უცხოეთში

**წერილი მეორე**

*დღეს შესაძლებელია სამი პრინციპულად განსხვავებული ჯანდაცვის სისტემის გამოყოფა:*
*1. უპირატესად სახელმწიფოებრივი (დიდი ბრიტანეთი);*
*2. უპირატესად სადაზღვევო სისტემა, რომელიც ევროპის ისეთ ქვეყნებში გვხვდება, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია, აგრეთვე - ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში, იაპონიაში და სხვ; ამ ქვეყნებში ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს - მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედზე მეტი.*
*3. უპირატესად კერძო (ფასიანი) სისტემა (აშშ).*

არც ერთ საკმაოდ განვითარებულ ქვეყანაში ზემოთ ჩამოთვლილი სისტემები გამოკვეთილი სახით არასოდეს გვხვდება. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ხან ერთი ამ სისტემათაგანი ვითარდება, ხან - მეორე.

აშშ-ს გარდა, ძნელია დაასახელო ქვეყანა, სადაც მხოლოდ კერძო მედიცინა და ნებაყოფლობითი კერძო სამედიცინო დაზღვევაა განვითარებული.

მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემაა, არსებობს ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ნებაყოფლობითი და კერძო სამედიცინო დაზღვევის საქმეს ემსახურებიან.

ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი სისტემა ვითარდებოდა, როგორც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი განხრა, რის შედეგადაც იზრდებოდა სახელმწიფოს გავლენა სამედიცინო და სადაზღვევო სისტემებზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სისტემა საბჭოთა კავშირის გამოცდილების გათვალისწინებით იქმნებოდა. დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი სისტემის ორგანიზაციების გამოცდილება სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი შედარებით მცირე დანახარჯებით, ხელმისაწვდომობისა და მაღალეფექტურობის ნათელი მაგალითია. ძირითადი დაფინანსება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ხდება და ზემოდან ქვევით, სამმართველო ვერტიკალის მიმართულებით ნაწილდება.

ცენტრალიზებული დაფინანსება მკურნალობის ფასის ზრდის შეჩერების საშუალებას იძლევა.

ჯანდაცვის ბიუჯეტური დაფინანსების არსებითი ნაკლია მონოპოლიზმისკენ გადახრა, როგორც წესი, პაციენტების უფლებების იგნორირება - ექიმისა და სამკურნალო დაწესებულებების არჩევისას. მონოპოლიურ სტრუქტურაში, სტრუქტურის წარმომადგენელთა დიქტატის გამო, გარდაუვალია მომსახურების დაბალი ხარისხი, რადგან ამ სისტემაში შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების მომხმარებელთა მხრიდან სამედიცინო დაწესებულებათა გაკონტროლება.

უპირატესად სადაზღვევო სისტემა სოლიდარობის პრინციპებს ემყარება. იგი მჭიდრო კავშირშია სოციალური დაზღვევის მთლიან სისტემასთან და ერთი კანონმდებლობით რეგულირდება. დამზღვევებსაც და დაზღვეულებსაც საშუალება ეძლევათ სადაზღვევო საშუალებები აკონტროლონ, დაზღვეულებს უფლება აქვთ თავად აირჩიონ ექიმიცა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებაც. სადაზღვევო მედიცინაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (მოხუცებულები, ინვალიდები, გაჭირვებულები) სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფასა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, დაზღვეულთა შორის ფინანსური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას.

ასეთი სისტემების დაფინანსების სამი წყარო არსებობს: მეწარმეთა მიერ შემოსავლიდან გამოყოფილი სადაზღვევო შესატანი; მშრომელთა ხელფასებიდან გამოყოფილი თანხა; სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გადარიცხული სახსრები.

ამგვარად ფუნქციონირებს, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სოციალური სამედიცინო სადაზღვევო სისტემა გერმანიაში. ეს სისტემა 1883 წელს ევროპაში ბისმარკმა შემოიღო და ჩვენს დროში იგი უკვე მოსახლეობის 90%-ს მოიცავს (8% - კერძო სადაზღვევო სისტემით სარგებლობს, 2% - გაჭირვებულები - სახელმწიფოს ხარჯზე არიან). ეს სისტემა ავადმყოფობის შემთხვევაში თითოეული დაზღვეულის სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს.

აუცილებელი დაზღვევის სისტემა თავის საქმიანობას არაკომერციული სადაზღვევო ორგანიზაციების - საავადმყოფო სალაროების მეშვეობით ანხორციელებს. ეს დამოუკიდებელი მმართველობის მქონე ორგანიზაციებია, რომელთა სტრუქტურა კანონიერადაა განსაზღვრული. არსებობს რამდენიმე სახის ასეთი სალარო: ადგილობრივი (ძირითადად უმუშევრებისთვის, დაზღვეულთა ოჯახის წევრებისთვის) - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საწარმოო (სამსახურებრივი ადგილის მიხედვით), საზღვაო, სამთო, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. ამ სალაროებს სამთავრობო სააგენტო აკონტროლებს.

სამედიცინო დაზღვევის ფრანგული მოდელი მთლიანი სოციალური სისტემის ეფექტური ინტეგრაციით გამოირჩევა. სოციალური დაზღვევის სისტემაში ოცზე მეტი სხვადასხვა სახის დაზღვევა არსებობს, მათ შორის - სამედიცინო - ავადმყოფობის, დროებითი შეუძლოდ ყოფნის, უბედური შემთხვევის, ფეხმძიმობისა და მშობიარობის შემთხვევებში.

კანონმდებლობით დადგენილია დაზღვევის საერთო წესი, რომელიც მოსახლეობის 80%-ზე ვრცელდება. სადაზღვევო სისტემას, რომელშიც 90-ზე მეტი სადაზღვევო კომპანიაა გაერთიანებული, საყოველთაო ეროვნული ორგანიზაცია აკონტროლებს. ნაციონალურ დონეზე ჩამოყალიბებული სოციალური დაზღვევის ფონდები ჯანმრთელობის დაზღვევის აუცილებელ პროგრამებს აფინანსებენ (სადაზღვევო გადასახადები ფონდის მოცულობის 90%-ს შეადგენს. ამასთან, სადაზღვევო გადასახადი შრომის ანაზღაურების 60%-ია).

აუცილებელი სახელმწიფო დაზღვევის გარდა არსებობს დამატებითი სადაზღვევო ქსელი და სოციალური დახმარების ადგილობრივი ფონდები, რომელთა მეშვეობით სამედიცინო დახმარებით სარგებლობენ დაუზღვეველი ფრანგებიც. მათი რიცხვი ოდნავ აღემატება მოსახლეობის 20%-ს.

ბელგიაში სხვა ქვეყნებზე ადრე შემოიღეს სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო დოტაციით ანაზღაურების პრაქტიკა. სამედიცინო დაზღვევის სისტემაში საყოველთაო ეროვნული კავშირის ექვსი სადაზღვევო ფონდი არსებობს: კათოლიკური (მოსახლეობის 45%), სოციალისტური (26%), ლიბერალური (7%), პროფესიული (15%), დამოუკიდებელი (4%) და დამხმარე (1%). ამრიგად, ბელგიელთა 98% აუცილებელი სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს, კერძოდ დაზღვეულია მოსახლეობის მხოლოდ 1%.

სამედიცინო დაზღვევას ავადმყოფებისა და ინვალიდების დამხმარე ნაციონალური ინსტიტუტი მართავს. კომერციულ სადაზღვევო კომპანიებს სამედიცინო დაზღვევის სისტემაში საკუთარი ნიშა არ გააჩნიათ. სოციალური დაცულობის მაღალმა დონემ, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის ერთპიროვნულმა უპირატესობამ, სამედიცინო მომსახურების დამაკმაყოფილებელმა ხარისხმა, ამ ქვეყანაში დაზღვევის კერძო სისტემის შემოღების აუცილებლობა გამორიცხა.

თანამედროვე იაპონიის საერთო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა: მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა - 80 წელია (რუსეთში 60 წელი) - ყველაზე მაღალი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა შორის. ახალშობილთა სიკვდილიანობა - 4,4

# ამერიკელები შხაპის მიღებას ერიდებიან





ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეულობით ადამიანი ინფიცირებულია ჯერჯერობით დაუდგენელი დაავადებით, - იტყობინება NTV international-ი. ეს ავადმყოფობა ხშირად ექიმებსაც კი ფილტვების ანთებასა და ბრონქიტში ერევათ, რის გამოც მკურნალობის დანიშვნაც არასწორად ხდება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება და ზოგიერთი შემთხვევა სიკვდილითაც მთავრდება. ამოუცნობი დაავადების გამომწვევები, რომელსაც ექიმებმა პირობითად არატუბერკულოზური მიკრობები უწოდეს, ადამიანის ფილტვებს აზიანებს. მეცნიერთა მონაცემებით დღემდე არატუბერკულოზური მიკრობაქტერიები, მხოლოდ წყალსა და ნიადაგში იყო. ახლა კი მიკრობებმა, ადამიანის ფილტვებშიც დაიწყეს შეღწევა.

ექიმებმა ჯერ ზუსტად არ იციან რა გზით ხდება ამ დაავადების გადადება, თუმცა მკვლევართა ერთ-ერთი ვერსია, შემაშფოთებლად ჟღერს: დაავადების გამომწვევი მიკრობები შესაძლოა, ადამიანის ფილტვებში შხაპის მიღების დროს მოხვდეს. ეს დაავადება განსაკუთრებით ადვილად ერევა გამხდარ თეთრ ქალებს.

დაავადებულთა რაოდენობის შესახებ, მკვლევარებს ზუსტი მონაცემები ჯერ არა აქვთ, რადგან ექიმები ხშირად მცდარ დიაგნოზს სვამენ.

სარა ლეიმანმა ამოუცნობი დაავადების სიმპტომები, პირველად 6 წლის წინათ იგრძნო: **"რამდენიმე წუთი შეუწყვეტლივ ვახველებდი, თავს ძალიან სუსტად ვგრძნობდი, ექიმები პნევმონიაზე მმკურნალობდნენ, თუმცა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა,"**- ამბობს სარა. აბები, რომელსაც სარა ყოველდღე ყლაპავდა, შედეგს არ იძლეოდა. ბაქტერიები კი ამ დროს, მის ფილტვებს შლიდნენ. **"სუნთქვა დღითი დღე მიუარესდებოდა, ვგრძნობდი, რომ ჩემს ფილტვებს გასუფთავება სჭირდებოდა."**

დღემდე დაუდგენელ დაავადებას, ექიმებმა ნელი ეპიდემია დაარქვეს. მედიკოსები ამბობენ, რომ ზოგიერთი მოდური სააბაზანო, საუკეთესო საშუალებაა ინფექციის გავრცელებისთვის.

ზილდა როზენტალს გაუმართლა. მას ექიმებმა სწორი დიაგნოზი დაუსვეს და განკურნეს. **"რა თქმა უნდა მე დღესაც ვღებულობ შხაპს, მაგრამ ახლა ვცდილობ სწრაფად მოვრჩე,"**- თქვა ზილდამ. სარა ლეიმანმა კი შხაპის მიღებაზე სამუდამოდ უარი განაცხადა, რადგან მას ინფიცირების განმეორების ეშინია.

# „ტიმოქსიფენის" უკუეფექტი

პრეპარატს, რომელიც მთელს მსოფლიოში აღიარებული იყო, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სარძევე ჯირკვლების კიბოს სამკურნალოდ, უკუეფექტი აღმოაჩნდა. ამერიკელმა და ბრიტანელმა სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ პრეპარატმა ტამოქსიფენმა შესაძლოა, საშვილოსნოს სარკომა განავითაროს. ეს აღმოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქალებისთვის, რომლებიც ტიმოქსიფენს პროფილაქტიკისთვის იყენებენ.

პრეპარატი შიშის გარეშე შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ იმ ქალებმა, რომლებსაც კიბოს დიაგნოზი უკვე დასმული აქვთ. ამ შემთხვევაში დადებითი ეფექტი ეჭვს არ იწვევსო, აცხადებს წამლებზე კონტროლის ინგლისური სააგენტო.

საკვებ პროდუქტებზე და წამლებზე ზედამხედველობის ამერიკული სამმართველო მხარს უჭერს პრეპარატის გამოყენებას განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ქალებში. თუმცა ეს ორგანიზაცია ექიმებს ურჩევს, რომ პაციენტთან ერთად განიხილონ პრეპარატის პოტენციური შესაძლებლობები და რისკის არსებობა.

საერთოდ დადგენილია, რომ ამ პრეპარატის მიღება სამჯერ ამცირებს კიბოს გაჩენის რისკს.

BBC-ს ჟურნალისტებთან საუბარში "ტიმოქსიფენის" მწარმოებელი "Astra Zeneca"-ს კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი რისკის შესახებ, რომელიც პრეპარატის მიღებასთან არის დაკავშირებული და დაიწყეს მუშაობა "ტიმოქსიფენის" შემცვლელზე.

# სამედიცინო დაზღვევა უცხოეთში

შემთხვევა 1000-დან - ყველაზე დაბალი მსოფლიოში. ეს წარმატებები იაპონიაში სამედიცინო დაზღვევის ორგანიზების მაღალი დონითაა განპირობებული. იგი აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის ეროვნულ სისტემას ეფუძნება. ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალმა მაჩვენებელმა ჯანმრთელობის სამინისტროს მესვეურებს გადააწყვეტინა, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მოხუცებულებისათვის სახლის პირობებში გაწეული დახმარებისა და მათი მოვლის პრობლემისათვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ იაპონიაში მოსახლეობის სხვადასხვა წარმომადგენლებს, შემოსავლის დონის განსხვავებულობის მიუხედავად, სამედიცინო დახმარებით, თანაბრად სარგებლობის საშუალება აქვთ. ექიმები გამოწერის გარდა, პაციენტებს წამლებითაც უზრუნველყოფენ. ამის შედეგია, რომ ერთ სულ მოსახლეზე მედიკამენტების გამოყენების თვალსაზრისით, იაპონია მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

სამედიცინო დაზღვევის კერძო სისტემა ყველაზე მეტად აშშ-ია გავრცელებული. აქაურ სისტემას ახასიათებს დეცენტრალიზაცია, სადაზღვევო ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის მაღალი განვითარება და სახელმწიფოებრივი რეგულირების არარსებობა. აშშ-ს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ჯანმრთელობის დაზღვევა თითოეულის პირადი საქმეა. ნებაყოფლობითი, სამედიცინო დაზღვევის კერძო ფორმა მოსახლეობის 80 პროცენტისთვის მისაღებია. აშშ-ში დაახლოებით 1500 კერძო სადაზღვევო კომპანია არსებობს. მათ შორის, ორი ყველაზე დიდი კომპანია მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევითაა დაკავებული. "ლურჯი ჯვარი" და "ლურჯი ფარი" კერძო სადაზღვევო კომპანიებია, რომლებიც ნებაყოფლობითი დაზღვევით არიან დაკავებულები და ეს საქმიანობა მათთვის უზარმაზარი შემოსავლის მომტანია.

სამედიცინო დაზღვევის კერძო სისტემასთან ერთად აშშ-ში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორი სამთავრობო პროგრამა არსებობს. ესენია - "მედიკერი" (მოხუცებულთა სამედიცინო დახმარება 65 წლის შემდეგ) და "მედიკეიდი" (უმუშევრების, გაჭირვებულებისა და ზოგიერთი ჯგუფის ინვალიდებისათვის), თუმცა, დაბალი ანაზღაურების მქონე ამერიკელების მხოლოდ 46 პროცენტმა შეძლო დარეგისტრირება და "მედიკეიდის" პროგრამით დახმარების მიღება. მოხუცთა აუცილებელი სოციალური დაზღვევის პროგრამის ("მედიკერი") დახმარებით 65 წელს გადაცილებული ყველა მოქალაქე სარგებლობს, ამიტომაც იგი უფრო წარმატებულად მიიჩნევა. და მაინც, ღრმად მოხუცებულ პაციენტებს ჰოსპიტალიზაციის პირველი დღის, პოლიკლინიკის ექიმებთან გასინჯვისა და საერთოდ, მედდების გრძელვადიანი დახმარების საკუთარი ხარჯით დაფარვა უწევთ.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აშშ-ში ამუშავებენ და პრაქტიკაში ნერგავენ ახალ-ახალ ეფექტურ სამედიცინო ტექნოლოგიებს, ამ ქვეყანაში წარმატებით ტარდება უამრავი სამეცნიერო გამოკვლევა და ამიტომაც, მაღალი დონის სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილია.

სამედიცინო დახმარების ფორმათა მრავალფეროვნების მიუხედავად, როგორც ჩანს, დღეს მაინც ჭირს ისეთი ქვეყნის დასახელება, რომელიც ბოლომდე დაკმაყოფილებული იქნებოდა საკუთარი ჯანდაცვის სისტემით.



- *კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ?*
- *ასე, ერთი-ორი საუკუნე!*

# დილემა

*ბრიტანეთის საინფორმაციო საშუალებები უკანასკნელი თვეების განმავლობაში ფართოდ აშუქებდნენ ქალბატონ "ბ"-ს ( ის პირობითად ასე მოიხსენიება) ამბავს, რომელმაც სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ექიმებისგან ხელოვნური სუნთქვის აპარატის გამორთვა მოითხოვა იმ შემთხვევაში, თუ ის კომაში აღმოჩნდებოდა.*



**უკომენტაროდ** მარიკა ამურველაშვილის ფოტო

მარტოხელა ქალბატონს ექიმებმა აღმოუჩინეს ზურგის ტვინის სისხლძარღვის დაზიანება, რაც ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. ავადმყოფმა წერილობით მოითხოვა, ექიმებს არ ეზრუნათ მისი სიცოცხლის გადასარჩენად, თუ კომაში ჩავარდებოდა.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ სისხლძარღვის გახეთქვის გამო ქალი კისრის ქვემოთ მოწყდა და ხელოვნური სუნთქვის აპარატიც დასჭირდა.

ქალბატონმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ექიმებს ბრალი დასდო მისი სიცოცხლის გადარჩენისა და წერილობითი თხოვნის უგულებელყოფის გამო.

ექიმები ამტკიცებდნენ, რომ მოთხოვნა ხელოვნური სუნთქვის აპარატის გამორთვის შესახებ მათი პროფესიული ეთიკისთვის მიუღებელია და ეწინააღმდეგება ექიმის დანიშნულებას, გადაარჩინოს სიცოცხლე.

მთელი დღის მსჯელობის შემდეგ მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ქალბატონის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო; მაგრამ იმის გამო, რომ მკურნალმა ექიმებმა ამაზე უარი განაცხადეს ავადმყოფი სხვა კლინიკაში გადაიყვანეს. მოსამართლის ბოლო სიტყვები იყო, ქალბატონს შეუძლია მოკვდეს მშვიდად და სიამაყის გრძნობითო.

რამდენიმე კვირაში ქალბატონი "ბ" კომაში ჩავარდა და მას ხელოვნური სუნთქვის აპარატი გამოურთეს.

# საუბრები პაციენტის უფლებების შესახებ

## როცა პაციენტი უარს ამბობს ინფორმაციის მიღებაზე

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა აღიარებს პაციენტის პიროვნული ღირსების და დამოუკიდებლობის(ავტონომიის) დაცვის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, პაციენტს უფლება აქვს, არ მიიღოს საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ არანაირი ინფორმაცია. თუმცა გამონაკლისიც არსებობს. კერძოდ, თუ საქმე ეხება მაღალ რისკთან დაკავშირებულ სამედიცინო ჩარევას, რისთვისაც პაციენტის თანხმობა აუცილებელია, მაშინ ინფორმაციის მიწოდება გარდაუვალია. ასეთ შემთხვევაში, კანონი პაციენტს იცავს საკუთარი გადაწყვეტილების მიღებისაგან, რომელიც საზიანო იქნება მისი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის.

ინფორმაციის მიუწოდებლობამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სხვა ადამიანებს. თუ პაციენტს დაუდგინდა საშიში გადამდები ინფექცია(მაგალთად აივ-ინფექცია, სქესობრივად გადამდები ინფექციები), პაციენტს აუცილებლად უნდა ეცნობოს ამის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული დაავადების გავრცელება. პაციენტი ინფორმირებული უნდა იყოს დანიშნული წამლის გვერდითი მოვლენების შესახებაც. მაგალითად, თუ პაციენტს, რომელიც მანქანას მართავს დაენიშნა ძილის მომგვრელი წამალი მაშინ, როცა მან ამის შესახებ არაფერი იცის, შესაძლოა უბედურება მოხდეს. ამ შემთხვევაში, გამონაკლისის დაშვება სხვათა უსაფრთხოების დასაცავად არის საჭირო.

## აქვს თუ არა ექიმს უფლება, დაუმალოს პაციენტს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

ექიმი მოვალეა პაციენტს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ. მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როცა ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა არასასურველი რეაქცია გამოიწვიოს პაციენტში, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება მის ჯანმრთელობაზე. ექიმის უპირველესი მოვალეობა ხომ პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. ექიმი მძიმე არჩევანის წინაშე დგება. ერთის მხრივ ის უნდა გაუფრთხილდეს პაციენტის ჯანმრთელობას და დაუმალოს მას სიმართლე, ან პატივი სცეს მის უფლებებს და ამით საფრთხე შეუქმნას მის ჯანმრთელობას.

ეს პრობლემა ხშირად თავს იჩენს ისეთი მძიმე დაავადების შემთხვევაში, როგორიც არის "კიბო", ან სხვა დღემდე უკურნებელი სენი.

პრობლემა რთულია და მასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები არ არის ერთმნიშვნელოვანი.

ხშირად პაციენტი თავად მოითხოვს სრული ინფორმაციის მიწოდებას საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ და შესწევს უნარი ადექვატურად შეაფასოს არსებული რეალობა. ეს ინფორმაცია მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებასთან ერთად მნიშვნელოვანი პირადი საქმეების მოსაგვარებლად სჭირდება, რაც შეიძლება ბიზნესთან, ანდერძის გაფორმებასთან იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევებში სიმართლის დამალვა დაუშვებელია.

ცნობილია, რომ არის შემთხვევები, როცა მძიმე დაავადების შესახებ ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პაციენტს. ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამონაკლისის დაშვება, თუმცა გამონაკლისი წესად არ უნდა იქცეს. ქართული რეალობის გათვალისწინებით, ხშირია შემთხვევები, როცა ექიმი მძიმე დიაგნოზის დასმისას ზოგავს პაციენტს და არ ეუბნება სიმართლეს. მას მხარს უმაგრებს პაციენტის ოჯახის წევრების თხოვნა დიაგნოზის "გაყალბების" შესახებ. ამრიგად, ჩვენში გამონაკლისის წესად ქცევის დიდი ალბათობა არსებობს.

პაციენტის უფლებების შესახებ კანონი ამ პრობლემას შემდეგნაირად აწესრიგებს:

პაციენტს აქვს უფლება, მიიღოს სრული ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ.

ექიმს, გამონაკლისის სახით, აქვს უფლება არ მიაწოდოს პაციენტს ინფორმაცია, თუ ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ პაციენტს ზიანი მიადგება.

ექიმი ვალდებულია სამედიცინო ეთიკის კომისიას ან მეორე ექიმს სთხოვოს დასტური ინფორმაციის დამალვის თაობაზე.

თუ პაციენტი დაჟინებით ითხოვს ინფორმაციას და მას აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ექიმი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ვალდებულია მიაწოდოს მას კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

## ცნობიერებაზე მყოფი პაციენტის უფლებები

ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე, უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურეობაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ პაციენტი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული.

აკრძალულია ქმედუნარიანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტის ნების წინააღმდეგ სამედიცინო მომსახურების განხორციელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლისშემანარჩუნებელი ან პალიატური მკურნალობის ჩატარების შესახებ, თუ მითითებული გარემოებები გამოწვეულია: უკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით, დაავადებით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას.

# ბრიტანული აფთიაქები

*დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა 59 მილიონ ადამიანს აჭარბებს. ბოლო ათი წლის განმავლობაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 73,1-დან 77,5 წლამდე გაიზარდა. ქვეყანაში სიკვდილიანობის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია - სისხლის მიმოქცევის სისტემათა დაავადებები, გულის იშემიური და თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებების ჩათვლით, კიბო და რესპირატორული სისტემის დაავადებები.*

*1948 წლიდან დიდ ბრიტანეთში ფუნქციონირებს ჯანდაცვის ნაციონალური სისტემა, რომელიც ძირითადად სახელმწიფო გადასახადებით, ნაწილობრივ კი - სამედიცინო დაზღვევისთვის განკუთვნილი აკრეფილი თანხით ფინანსდება. ეს სისტემა ქვეყნის ყველა მოქალაქეს სხვადასხვა სამედიცინო დახმარების მიღების უფლებით უზრუნველყოფს. სამედიცინო მომსახურება ძირითადად უფასოა, თუმცა, ბოლო დროს გაჩნდა და შესამჩნევად იზრდება ფარმაცევტული, სტომატოლოგიური და ოფთალმოლოგიური მომსახურების, აგრეთვე ღრმად მოხუცებულთა მოვლის ტარიფები. ახლა ბრიტანული ჯანდაცვის სისტემა რეორგანიზაციას განიცდის. მაღლდება სამედიცინო მომსახურების სტანდარტების ხარისხი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში შემავალი 190 ქვეყნიდან, დიდ ბრიტანეთს ჯანდაცვის ნაციონალური სისტემის განვითარების დონის მიხედვით მე-18 ადგილი ერგო.*

*სამედიცინო პრეპარატები ურეცეპტოდ ერთნახევარჯერ უფრო ძვირი დაგიჯდებათ ბრიტანეთში, ვიდრე, მაგალითად, აშშ-ში. რეცეპტის გამოწერა 6,1 ბრიტანული ფუნტი ღირს (10 დოლარამდე), თუმცა, ადამიანების გარკვეულ ჯგუფზე (ბავშვები, ღრმად მოხუცები, ინვალიდები და სხვ.) ეს თანხა არ ვრცელდება. ამიტომ ბრიტანეთში გამოწერილი რეცეპტების 80 პროცენტი უფასოა. გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებნი სამედიცინო პრეპარატებში წელიწადში 1,5 მილიარდ ფუნტს ხარჯავენ.*


მობრძანდით კმაყოფილი დარჩებით

## აფთიაქები და ფარმაცევტი

დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 12 310 აფთიაქია, რომელთა 25% მსხვილ სააფთიაქო ქსელებს ეკუთვნის, დანარჩენი კი - კერძო მფლობელებს. ხშირად კერძო აფთიაქები, ფრანჩაიზინგის პირობებით, სავაჭრო ქსელების სახელებს ატარებს, მაგალითად - Unichen ან Vantage. ბრიტანეთის თითო აფთიაქი დღეში საშუალოდ 500 კაცს ემსახურება და ექიმების მიერ გამოწერილ 200 პრეპარატს გასცემს.

ბრიტანეთის აფთიაქებში 24 649 დიპლომირებული ფარმაცევტი მუშაობს, მათ შორის, დაახლოებით 38 პროცენტი - მფლობელია და 65 პროცენტი - დაქირავებული მუშაკი. ამ უკანასკნელთა რაოდენობა მუდმივად მატულობს სააფთიაქო ქსელების ზრდასთან ერთად.

## დამხმარე პერსონალი

ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, სულ რამდენი ადამიანი მუშაობს ბრიტანულ აფთიაქებში. ის კი უეჭველია, რომ ბრიტანეთში ბევრად ნაკლები აფთიაქია, ვიდრე ჰოლანდიაში ან სკანდინავიის ქვეყნებში, ამიტომაც თითო აფთიაქს თითო ტექნიკური მუშაკი და სულ ორი ასისტენტი ან დამლაგებელი ჰყავს. ტექნიკური მუშაკები მუდმივად ფარმაცევტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. მათთვის, ისევე როგორც ფარმაცევტებისთვის, სხვადასხვა მოსამზადებელი კურსები არსებობს. მართალია, კურსების გავლა აუცილებელი არ არის, მაგრამ ძალიან პოპულარულია.

## პრეპარატი

ბრიტანეთში ოფიციალურად 2000-მდე პრეპარატია დარეგისტრირებული, თუმცა, სხვადასხვა მოდიფიკაციით მათი რიცხვი 6000-ს უახლოვდება. 2700 პრეპარატი ურეცეპტოდ იყიდება. 51 პროცენტი ამ პრეპარატებისა ოფიციალურადაა ლიცენზირებული ყველა სავაჭრო პუნქტში გასავრცელებლად, 38%-ს მხოლოდ აფთიაქებში გავრცელებული ლიცენზია აქვს, 11 პროცენტს ლიცენზია არ გააჩნია (სხვადასხვა საკვები დამატები და სხვ.). ბოლო 20 წლის მანძილზე 70-მდე პრეპარატი ხელმეორედ დარეგისტრირდა და ახლა აფთიაქებში ურეცეპტოდ გაიცემა. ერთ-ერთი უკანასკნელი მაგალითია უსწრაფესი კონტრაცეფციის ჰორმონალური პრეპარატი, რომელმაც ეს სტატუსი 2001 წლის შუაში მიიღო.

## სად ვიყიდოთ წამლები

კერძო ფარმაცევტები სამედიცინო პრეპარატების გავრცელებაზე მონოპოლიას არ ფლობენ. წამლების გაყიდვა თერაპევტებსაც შეუძლიათ და საავადმყოფოებთან არსებულ აფთიაქებსაც. ბრიტანელ თერაპევტებს შორის ათასი თერაპევტი მაინცაა დაკავებული სამედიცინო პრეპარატების გავრცელებით. ბოლო დროს ბრიტანეთში ინტერნეტ-აფთიაქები გაჩნდა, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ზოგიერთი პრეპარატის შეძენა შესაძლებელია სუპერმარკეტებთან, ბაკალეებთან ან ბენზინგასამართ სადგურებთან არსებულ სააფთიაქო კიოსკებში. სამწუხაროდ ამ პრეპარატების ასორტიმენტი ყველაზე უბრალო წამლებით შემოიფარგლება. 2001 წელს ზოგიერთი სუპერმარკეტის სააფთიაქო განყოფილებებმა ტკივილგამაყუჩებელი წამლებისა და "პარაცეტამოლის" შემცველი პრეპარატების გაიაფება დაიწყეს. ამან ზოგიერთი ფარმაცევტი აღელვა, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს მათ გაკოტრებასა და პატარა აფთიაქების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს. თუმცა, ფარმაცევტების უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ წვრილ-წვრილ აფთიაქებს არაფერი ემუქრება, რადგან მათი შემოსავლის ძირითადი წყარო ურეცეპტოდ გამოშვებული პრეპარატები სულაც არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ცვლილებებით მომხმარებელი მაინც კმაყოფილი დარჩა.

## ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა

თავისი პირდაპირი დანიშნულების - სამედიცინო პრეპარატების გავრცელების გარდა, ბრიტანული აფთიაქები სხვადასხვა უფასო მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს. მაგალითად, ამა თუ იმ პრეპარატის გაცნობა (ზეპირსიტყვიერად, ან დაწვრილებითი ცნობების შემცველი ბუკლეტებით) ან კლიენტებისთვის სხვადასხვა დაავადების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. ზოგიერთი ფარმაცევტი სახლში მომსახურებითაცაა დაკავებული, განსაკუთრებით მოხუცებთან, ზოგჯერ ჯანსაღი ცხოვრების წესის სხვადასხვა სახეობათა პროპაგანდასაც ეწევიან, მაგალითად, ატარებენ მოწევის საწინააღმდეგო აქციებს.

## რას უნდა ველოდოთ

ფარმაცევტიკის სფეროს განვითარების იმედი ჯანდაცვის ნაციონალურ სისტემაში შეტანილ ცვლილებებს უკავშირდება. ახლო მომავლის გენერალური გეგმა უამრავ სიახლეს მოიცავს. მომავალში ბრიტანელი ფარმაცევტები შეძლებენ თავიანთი კონტრაქტების ახლებურ გაფორმებას, რის შედეგადაც ანაზღაურებას მიიღებენ არა მარტო თავიანთი პირდაპირი მოვალეობის, არამედ ზოგიერთი სხვა ფუნქციის შესრულებისთვისაც - გამეორებული რეცეპტების თვალყურის დევნებისთვის, თავიანთი კლიენტების ავადმყოფობის ისტორიის შედგენისთვის, და რამდენიმე წლის შემდეგ პრეპარატების დამოუკიდებლად, თუმცა შეზღუდული რაოდენობის გამოწერისთვისაც. 2004 წლისთვის კი ბრიტანეთში ეცდებიან შემოიღონ რეცეპტების ელექტრონული გაცემის წესი. რეცეპტის დამოუკიდებლად გამოწერის უფლება რომ მიიღონ, ფარმაცევტებს მოუწევთ, აუცილებელი წესით კვალიფიკაციის ასამაღლებლად კურსების გავლა. ეს საკითხი ბოლო დროს სულ უფრო ხშირად განიხილება.

ბრიტანული სააფთიაქო სისტემა ვითარდება და ბოლო დროს აფთიაქის როლის შეცვლის ტენდენციაც შეინიშნება. თუ დღეს აფთიაქი მხოლოდ წამლის გასაყიდი პუნქტია, სამომავლოდ იგი ჯანდაცვის მანქანის კარგად აწყობილ მექანიზმად გადაიქცევა და თითოეულ პაციენტთან ცალკეული მიდგომა ექნება. შესაბამისად, ფარმაცევტების ანაზღაურებაც იმაზე მეტი იქნება, ვიდრე წამლების აღწერასა და გავრცელებაში მიღებული თანხა.

# რამდენი „პამპერსი„ დაჭირდება „ბრწყინვალე ექვსეულს„?



ამერიკის შტატის ალაბამას მკვიდრს, 27 წლის მეღდას დაიმონდ ჰარისს ამ კვირას ორი გოგონა და ოთხი ბიჭი შეეძინა. მისი ორსულობის ვადა მხოლოდ 27 კვირა იყო, შეგახსენებთ, რომ ნორმალური პერიოდი 40-42 კვირას მოიცავს. ახალგაზრდა დედას საკეისრო კვეთა გაუკეთდა. ბავშვები სამწუთიანი ინტერვალით დაიბადნენ.

საინტერესოა, რომ ყველაზე პატარა ახალდაბადებულის წონა 500 გრამი, ყველაზე დიდის კი – 800 გრამი იყო. როგორც საავადმყოფოს წარმომადგენელი ტრეის ბისკოფი აცხადებს, მცირე წონის მიუხედავად, პატარები თავს კარგად გრძნობენ, მათ არც ხელოვნური სუნქვის აპარატი სჭირდებათ. ამჟამად, ისინი ინტენსიური თერაპიის პალატაში იმყოფებიან.

სხვათა შორის, დაიმონდების ოჯახში ადრეც დაბადებულან ტყუპები. აღსანიშნავია, რომ მათ უკვე ჰყავთ 7 წლის ვაჟიშვილი დივეინი, რომელსაც ძალიან აინტერესებს დღეში რამდენჯერ მოუწევს "პამპერსების" გამოცვლა.

ასეთი შემთხვევა აშშ-ში პირველი როდია. 2002 წლის აპრილში შტატ კანზასის მაცხოვრებელს ერთდროულად ექვსი შვილი შეეძინა. სულ მსოფლიოში 97 მსგავსი შემთხვევაა დაფიქსირებული.

# გზა მშვიდობისა!

ბევრი ადამიანი ავტობუსით, თვითმფრინავით ან გემით მგზავრობისას დისკომფორტს განიცდის: აქვს გულისრევის შეგრძნება, თავბრუსხვევა, სისუსტე. მეცნიერულად ამას კინოთეზს უწოდებენ. იგი თითქმის ადამიანთა 90 პროცენტს აქვს.

მგზავრობის დროს ნორმალური განწყობის შესანარჩუნებლად და უსიამოვნებისაგან თავის დასაზღვევად შეგიძლიათ შეიძინოთ სპეციალური პრეპარატები: ავიომარინი, ბონინი, კინეფრილი. მათი შეცვლა დიმედროლითა და სუპრასტინით შეიძლება. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ წამლების მიღების შემდეგ ძილი მოგერევათ. ასევე, გულისრევისგან დამამშვიდებლის "როლი" შეუძლია ჩვეულებრივმა ვალიდოლმა "შეასრულოს". ვისაც ჰომეოპათია იტაცებს, გერმანულ პრეპარატ ვერტიგოფელს ვურჩევდით.

თვითმფრინავში ჩაჯდომამდე, კარგი იქნებოდა, მოტკბომომჟავო საწუწნი კანფეტები მოგემარაგებინათ. თუ გულისრევამ მაინც შეგაწუხათ, უმჯობესია, შუა სალონისკენ გადაინაცვლოთ. ვინც მანქანით სწრაფ მგზავრობას ცუდად იტანს, უმჯობესია მძღოლის გვერდით დაჯდეს და მხოლოდ წინ გაიხედოს. თუ გემით მგზავრობთ, მოერიდეთ სამზარეულოს "სურნელს", თქვენს ოთახში წამოწექით, უკეთესია - გვერდულად.

თუ კინოთეზი გაქვთ, მგზავრობამდე ბევრ საკვებს ნუ მიიღებთ, მაგრამ სახლიდან არც მშიერი გახვიდეთ. არ მოწიოთ და არც ალკოჰოლი დალიოთ, თუმცა თუ ზღვაში გულისრევამ შეგაწუხათ, ურიგო არ იქნებოდა, ცოტაოდენი წითელი ღვინო დაგელიათ. გზაში ნურაფერს წაიკითხავთ და, რაც მთავარია, განაწყვეთ თქვენი თავი პოზიტიურად: "თავს მშვენივრად ვგრძნობ და მგზავრობა სიამოვნებას მანიჭებს!"

# არაყი წამლის ნაცვლად

რუმინეთის ერთ-ერთი ჰოსპიტალის ექიმებმა განაცხადეს, რომ პილოტური პროექტი-პაციენტის მკურნალობა არყით, წარმატებული აღმოჩნდა. ექიმები გულის სხვადასხვა დაავადებების მქონე ავადმყოფებს, წამლის ნაცვლად, ყოველ დილით "თერაპიულ" დოზას, 50 გრამ სპირტიან სასმელს სთავაზობენ. ექიმები ამბობენ, რომ ალკოჰოლის ასეთი დოზა პრაქტიკულად საზიანოდ არ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, სამაგიეროდ, ის მკვეთრად ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. მკურნალობის ეს მეთოდი მიმართულია იაფ და ეფექტურ საშუალებებზე. ამ ექსპერიმენტში 60 მოხალისე ღებულობს მონაწილეობას, რომელთაც გადატანილი აქვთ გულის სხვადასხვა დაავადებები.

ექიმები ამ ახალ მეთოდს ქალაქ კლუჯ ნაპოკას განახლებულ ცენტრში ცდიან. ამ ექსპერიმენტის კოორდინატორმა პროფესორმა, დიმიტრი ზენეამ რუმინულ გაზეთ libertate-ს განუცხადა, რომ **" გამოკვლევა გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო. ჩვენი მიზანი იყო მოგვეძებნა, ზოგიერთი ძვირადღირებული პრეპარატის შემცვლელი და ამით მიგვეღწია სისხლში ქოლესტერინის დონის ნორმალიზაციისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალკოჰოლის მცირე რაოდენობა ყველასთვის ხელმისაწვდომია"**

ამ ექსპერიმენტისთვის სპირტიანი სასმელების ერთერთმა ადგილობრივმა ქარხანამ 100 ლიტრი არაყი გამოუყო ცენტრს.

მკვლევარები გულით ავადმყოფებს ურჩევენ, რომ გააგრძელონ ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობა და არ დაიწყონ არყის სმა. **"ჩვენი მუშაობა ჯერ მხოლოდ გამოკვლევაა, რომლის პრაქტიკაში გამოყენება არ შეიძლება. საბოლოო შედეგებამდე კიდევ დიდი დროა და ვთხოვთ ყველა ავადმყოფს - ნუ გაიქცევიან მაღაზიაში არყის საყიდლად",** - აცხადებენ სპეციალისტები.



# ქართველიშვილები

ბიძინა მაყაშვილი



## სკოლა

ჩემი სახელია გიორგი ქართველიშვილი. მე ვცხოვრობ თბილისში. თბილისი არის მზიური საქართველოს დედაქალაქი. ის მდებარეობს მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე. მამაჩემი მესაფლავეა. ეს ძალიან სასარგებლო სამუშაოა, რადგან რამდენი ადამიანიც იბადება, ზუსტად იმდენივე კვდება. დედაჩემი ფოსტალიონია. ესეც ძალიან სასარგებლო სამუშაოა, რადგან ის ყოველდღე, კვირის გარდა, ურიგებს მოსახლეობას გაზეთებს (ამ გაზეთებს ჩვენი ოჯახი ტუალეტშიც იყენებს), წერილებს და სიხარულს. ჩემი და ხუთი წლის არის და ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით, როცა საწოლშია. ის ყოველდღე დადის კიროვის სახელობის საბავშვო ბაღში.

მე ვსწავლობ 1372ა საშუალო სკოლის მეექვსემესამე კლასში. მე ყველა საგანში ფრიადი მაქვს ფიზკულტურის გარდა, იმიტომ რომ, ფორმის მაისურს ნახვრეტი აქვს. თუ ფრიადოსანი გავხდები, მამა ფერად რადიოს მიყიდის. მე ყველა პედაგოგი მიყვარს, განსაკუთრებით კი ინგლისურის მასწავლებელი დებორა კარლოვნა; იმიტომ რომ, მას ყველაზე მოკლე კაბა აცვია და არც ულვაშები აქვს. ოჯახში ჩვენი ყველაზე საყვარელი საჭმელია მარილიანი მოხარშული მაკარონი, ხოლო ჩემი საყვარელი ხილია კიტრი, იმიტომ რომ, როგორც დედაჩემი ამბობს, მასში ბევრი ვიტამინია და თანაც გარეგნულად ძალიან ჰგავს ბანანს. ჩვენ ცხრასართულიანი სახლის ბოლო სართულზე ვცხოვრობთ და როცა წყალი არ მოდის, სახურავიდან ვაგროვებთ ხოლმე. ჩვენ გვაქვს ერთნახევარი ოთახი და პატარა აივანი. აივანს ზამთრობით მაცივრად ვიყენებთ, ზაფხულობით – კურორტად.

გასული კვირაც ისევე კარგად გავატარე, როგორც ყველა სხვა. დედა სახლში დარჩა და სადილისთვის მაკარონის ხარშვა დაიწყო, მამამ კი მე და ჩემი და ვაკის პარკში წაგვიყვანა. პარკის კიბეებზე სკოლის ამხანაგი შემხვდა (ალბათ, ისიც ეხლა ჩემსავით წერს თემას:”როგორ გავატარე ეს კვირა”), რომელმაც პირიდან კევი გამოიღო და ნახევარი მიწილადა. ხუთი წუთის ღეჭვის შემდეგ კევის ნახევარი ჩემ საყვარელ დაიკოს გავუყავი. ატრაქციონებთან რომ მივედით, კარუსელის გამშვები მამის კლასელი აღმოჩნდა, რომელიც 23 წელი არ ჰყავდა ნანახი. მათ ისე გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა, რომ კარუსელის ძიამ სხვა ბავშვები გაყარა კარუსელიდან და მხოლოდ მე და ჩემს დას ჩაგვირთო; თვითონ კი არყის დასალევად პარკის კაფესკენ გაემართნენ. კარუსელზე ორნახევარი საათის ტრიალის შემდეგ ჩემს დას ღებინება დააწყებინა. ოთხი საათის შემდეგ მეც იგივე პროცესი დამეწყო. საბედნიეროდ, ჩვენი ტანჯვის მეხუთე საათზე დენი გამოირთო. უკვე საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ მამაჩემის და მისი ამხანაგის პოვნა. მათ ეძინათ ახლომდებარე ბუჩქებში საკუთარი ნარწყევის და არყის ბოთლების გარემოცვაში. ჩვენ გავაღვიძეთ მამა და სახლში წავედით. დედას ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა და ყველანი ძალიან ბედნიერები ვიყავით. სანამ ცივ მაკარონს მივირთმევდით, რადიოში ვუსმენდით მეორე დღის ტელე-პროგრამას. აი, ასე საინტერესოდ გავატარე ეს კვირა დღე.







## საბავშვო ბაღი

მე ნინო ქართველიშვილი ვარ. მყავს მშობლები და უფროსი ძმა. მე დავდივარ თბილისის კიროვის სახელობის საბავშვო ბაღში, რომელიც ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარეობს. ჩვენ ჯგუფში 43 ბავშვია; აქედან 20 გოგოა და 14 ბიჭია, მაგრამ ჩემთვის სულერთია. ჩვენი მასწავლებელი 69 წლის ქალია. მას ძალიან უყვარს ბავშვები, განსაკუთრებით, მათი ცემა. მე ძირითადად ფერდებში მირტყამს და ყურებს მიგრეხს ხოლმე. სამაგიეროდ ძალიან მრავალფეროვნად გვაჭმევენ: დილას – თბილი, შაქრიანი წყალი, შუადღისას – მოხარშული მაკარონი და მაკარონის ნახარში, საღამოს – მაკარონის კისელი. აქ სათამაშოებიც ბევრი გვაქვს: ქვიშის ყუთი, წითელი აგურის ნატეხები, პლასტმასის გაბზარული ბურთი, მეეზოვის ძველი ცოცხი, ნახატებშემოხეული ხის კუბი, ფსკერზე საღებავმიმხმარი ვედრო, გათბობის დაჟანგული რადიატორი, რადიოს ბატარეა, გახდილი თოჯინას ტანი და ვარსკვლავიანი ოქროსფერი ღილი. როცა არ გვძინავს და არ გვცემენ, სულ ამ სათამაშოებით ვთამაშობთ. ყველაზე მეტად ორი თამაში მიყვარს: დაბანობანა და სახლობანა. დაბანობანას დროს ერთი ბავშვი მეორეს ვედროდან ქვიშას უყრის ხელისგულებზე, ვითომ წყალია. მეორე კი ამ ქვიშას ისვამს სახეზე, ყურებში, კისერზე – მოკლედ იბანს. სახლობანას დროს ოთხი ბავშვი ქვიშიდან აშენებს სახლს. როცა დაამთავრებენ, დანარჩენები წრეს შეკრავენ და ცდილობენ, აგურების სროლით დაანგრიონ. ის ოთხი კი წრის შიგნით დგას და რადიატორის რკინებით იგერიებს თავდამსხმელებს. ძალიან კარგი თამაშია, ოღონდ ცოტათი მტკივნეულია. ბაღში შუადღისას გვაძინებენ ხოლმე. თუ არ დაიძინებ, გცემენ. მაგრამ, მხოლოდ თერთმეტი საწოლი გვაქვს და სამ-სამს ერთად გვძინავს. ზამთრობით კარგია, თბილა ხოლმე, განსაკუთრებით, თუ შუაში მოხვდები. სამაგიეროდ თუ ვინმემ ჩაიფსა, სამივეს ერთად გვცემენ ხოლმე. აქ რაღაცეებსაც გვასწავლიან. მაგალითად, უკვე სულმოუთქმელად ვითვლი ოთხამდე და ვიცი ქართულის 45 ასო; შემიძლია ოსურის და ვალსის ცეკვა და ვმღერივარ “მაი ბონის” და ”შენ ხარ ვენახოს”; სამ სხვადასხვა ენაზე ვისწავლე ორ-ორი ფრაზა: რუსულად – “პუსტ ვსეგდა ბუდეტ სოლნცე” და “დეტი ცვეტი ბუდუშჩეგო”; გერმანულად – “ჰენდე ჰოჰ” და “ჰიტლერ კაპუტ”; ინგლისურად – “ვი არ დე ვერლდ ვი არ დე ჩილდრენ” და “თუ ბი ორ ნოთ თუ ბი”. ერთხელ სახლში ნათურა გადაგვეწვა და მამამ დამავალა, რომ საბავშვო ბაღიდან მომეპარა. ბავშვებმა დაიჭირეს ძალიან მაღალი კიბე და მე ნათურასთან ავძვერი. უკვე უნდა მომეხსნა, რომ ბავშვებს კიბე გაუვარდათ. მე ხელების ფართხალი დავიწყე და საბედნიეროდ ბუზების დასაჭერ წებოიან ქაღალდს მივეწებე. ასე ვეკიდე ჭერში რამდენიმე საათი. ბავშვები ჩუმად იყვნენ, რომ მასწავლებელს არაფერი გაეგო. კიდევ კარგი, საღამოს წვიმა წამოვიდა. წყალმა ჭერში სწორედ იმ ადგილას გაჟონა, სადაც ჩემი ბუზების ქაღალდი იყო მიმაგრებული. დასველებული ჭერი ჩამოინგრა და იატაკზე მოვადინე ზღართანი. თუმცა, არაფერი მომსვლია, რადგან ერთ ბავშვს დავეცი თავზე. მალე ძმამ გამოიარა და სახლში წამიყვანა; თან უსაქმურობისგან გზაში მცემდა. ნათურა რომ არ გვქონდა, დედას მაკარონი ჩაეხარშა და გაბრაზებულმა მცემა. სადილის შემდეგ მამა მეზობელი სახლის სადარბაზოდან ნათურის მოპარვას ცდილობდა, მაგრამ ცხელი იყო და თითები დაეწვა. სახლში რომ მოვიდა, გაბრაზებული იყო და მცემა. მერე ყველამ დავიძინეთ, ოღონდ სიბნელის გამო ჩემს ძმას ლოგინი აერია და ჩემთან დაწვა.

დასასრული
ხვალინდელ ნომერში





ლევან კიკალიშვილის, გია გელაშვილის და ილია ჭრელაშვილის ნახატები

დოლარი, თეთრი
წამალი, შველა
მკურნალი, პროფესია
მაცხოვარი, უფალი
ტყე, ვარდი
აფრიკა, ავსტრალია
კინო, ტილო
სნეულება, მუცელი
წვერი, მელოტი
ლექსიკონი, მარაგი
გურია, შოგა
სიწყნარე, განცხრომა
ყურძენი, ვენახი
თეატრი, ტრაგედია
მათე, მარკოზი
კულინარია, ცილა
მონოპოლია, გაერთიანება
ამერიკა, ტიფოზი
ჭადი, ტაფა
ფრინველი, გველი



მაწონი, რუსეთი
მონღოლეთი, თავადი
ყავა, ჩინეთი
ალდგომა, ბუჩქი
გენერატორი, სტატორი
ქარი, ნავიჩი
აფრიკა, ნაწილი
მერია, შენობა
ეგვიპტე, ლეგიონერი
ცხოველი, ეკალი
გამა, შვიდი
გერმანია, ბერლინი
ლოგოპედი, ენა
წესი, ვალდებულება
ბომბი, დენი
დოსტოევსკი, სულელი
ბადე, საწოლი
ცხენი, თოკი
გემი, კიბე
სიმღერა, ნალები
სამეული, ომი
დუდაევი, ცარიზმი
ყურანი, თავი
ცოლი, კაცი
ჟანგბადი, სახეობა
ბარდი, აზია
პოლონეთი, პარლამენტი
ბიტლზი, ჯონი
მაჯა, ცემა
ცილა, ფუძე
სახე, დარტყმა
ღვარძლი, ირონია
ლინდა, მაკარტნი
ორკესტრი, სახელი
ბალადა, პოემა
ოვაცია, აპლოდისმენტი
დღე, მთვარე
ჭკუასელი, ანსამბლი
კლდე, პიტალო
კარაქი, დნობა
წილი, შენატანი
სტალონე, მოფერება
ყვავილი, ყანა
შექსპირი, დეზდემონა
სპა, ჯარი
ვაგონი, ოთახი
მძორი, ვადა
კათხა, სასმისი
ვოგი, ბურდა
დეკადა, რიცხვი
პელე, პორტუგალია
წერილი, ხელისუფლება
წვენი, ფუტკარი



| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 1 |
| 2 | 4 |
| 3 | 1 5 |
| 4 | 4 5 |
| 5 | 8 3 |
| 6 | 11 7 |
| 7 | 20 |
| 8 | 2 19 |
| 9 | 1 19 |
| 10 | 17 |
| 11 | 13 |
| 12 | 13 |
| 13 | 5 6 1 |
| 14 | 5 13 |
| 15 | 6 4 1 |
| 16 | 6 4 1 |
| 17 | 7 11 |
| 18 | 7 3 1 |
| 19 | 7 3 |
| 20 | 6 4 |
| 21 | 3 3 3 |
| 22 | 2 2 4 |
| 23 | 2 1 1 4 |
| 24 | 1 2 5 |
| 25 | 3 5 |
| 26 | 10 |
| 27 | 6 3 |
| 28 | 3 2 2 |
| 29 | 2 2 2 |
| 30 | 3 3 2 |

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 1 1 1 |
| 2 | 1 1 1 |
| 3 | 5 |
| 4 | 4 |
| 5 | 6 |
| 6 | 2 5 |
| 7 | 8 |
| 8 | 8 1 |
| 9 | 10 1 |
| 10 | 7 2 |
| 11 | 1 5 2 |
| 12 | 4 2 1 |
| 13 | 5 3 1 |
| 14 | 6 2 2 2 |
| 15 | 8 3 5 |
| 16 | 17 5 1 |
| 17 | 17 5 2 |
| 18 | 16 1 2 |
| 19 | 19 4 |
| 20 | 7 9 4 |
| 21 | 8 7 5 |
| 22 | 8 3 5 |
| 23 | 9 6 |
| 24 | 16 |
| 25 | 13 |
| 26 | 9 |
| 27 | 1 1 |
| 28 | 1 1 |
| 29 | 1 1 |
| 30 | 1 1 |
| 31 | 1 1 |
| 32 | 1 1 |
| 33 | 1 1 |
| 34 | 1 1 |
| 35 | 1 2 1 |

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 2 |
| 2 | 3 |
| 3 | 4 |
| 4 | 5 |
| 5 | 6 |
| 6 | 7 |
| 7 | 8 |
| 8 | 1 9 |
| 9 | 2 10 |
| 10 | 3 11 |
| 11 | 4 12 |
| 12 | 5 4 9 |
| 13 | 6 4 10 |
| 14 | 7 4 10 |
| 15 | 8 4 10 |
| 16 | 9 17 |
| 17 | 10 17 |
| 18 | 11 17 |
| 19 | 12 17 |
| 20 | 13 4 10 |
| 21 | 4 10 |
| 22 | 13 4 10 |
| 23 | 2 10 4 10 |
| 24 | 2 10 4 10 |
| 25 | 2 9 4 10 |
| 26 | 2 9 17 |
| 27 | 8 17 |
| 28 | 8 17 |
| 29 | 7 4 10 |
| 30 | 7 4 10 |
| 31 | 6 4 9 |
| 32 | 6 4 8 |
| 33 | 5 11 |
| 34 | 5 10 |
| 35 | 4 9 |
| 36 | 4 8 |
| 37 | 3 7 |
| 38 | 3 6 |
| 39 | 2 5 |
| 40 | 2 4 |
| 41 | 1 3 |
| 42 | 1 2 |

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 5 |
| 2 | 1 5 |
| 3 | 2 1 |
| 4 | 3 3 |
| 5 | 4 5 |
| 6 | 5 7 |
| 7 | 6 9 |
| 8 | 7 11 |
| 9 | 8 13 |
| 10 | 9 15 |
| 11 | 10 17 |
| 12 | 11 19 |
| 13 | 12 21 |
| 14 | 13 |
| 15 | |
| 16 | 21 |
| 17 | 21 |
| 18 | 21 |
| 19 | 42 |
| 20 | 11 4 3 10 |
| 21 | 10 4 3 9 |
| 22 | 9 4 3 8 |
| 23 | 36 |
| 24 | 34 |
| 25 | 32 |
| 26 | 30 |
| 27 | 28 |
| 28 | 26 |
| 29 | 24 |
| 30 | 22 |
| 31 | 20 |
| 32 | 18 |




ანასტასია ლოგვინენკოს ნახატი



ანასტასია ლოგვინენკოს ნახატი




მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი




ლევან კიკალიშვილის ნახატი




ილია ჭრელაშვილის ნახატი




ილია ჭრელაშვილის ნახატი




გია გელაშვილის ნახატი




გია გელაშვილის ნახატი




ანასტასია ლოგვინენკოს ნახატი